

საქართველოს ქიმიური პროფილი

თბილისი

2009

დოკუმენტი მომზადდა საქართველოს მთავრობისთვის და იგი წარმოადგენს საქართველოს მთავრობის საკუთრებას.

დოკუმენტი მოამზადა საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის ექსპერტმა, ლია თოდუამ. დოკუმენტის მომზადებაში მონაწილეობა მიიღეს ექსპერტებმა: ნია გიუაშვილმა, ავთანდილ დოლიძემ, ლალი ზეიკიძემ, ირაკლი ლეგაშვილმა, კახა რუხაიამ, ჯანრი ქარჩავამ, მარინე ღვინეფაძემ, ალვერდ ჩანქსელიანმა, ირინე ცომაიამ.

დოკუმენტის მომზადებისას ინფორმაცია მოგვაწოდეს, რჩევებით, შენიშვნებით და კომენტარებით დაგვეხმარენ: მარინე არაბიძე, ირაკლი ბალარჯიშვილი, ნანა გაბრიადე, ვახტანგ გელაშვილი, თემურ კობიძე, ნელი კორკოტაძე, თეიმურაზ მელქაძე, მანანა ჟურული, ჯოჯიკ ტაბატაძე, ინგა ღვინერია, მზია წერეთელი, რუსუდან ჯავახაძე.

პროექტი “ქიმიური პროფილის განახლება, SAICM ეროვნულ შესაძლებლობათა შეფასება და პრიორიტეტების დასახვა” საქართველოში განხორციელდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წვრთნებისა და კვლევების ინსტიტუტის (UNITAR) ტექნიკური დახმარებით და “ქიმიურ ნივთიერებათა საერთაშორისო მართვისადმი სტრატეგიული მიდგომის” (SAICM) სწრაფი დაწყების პროგრამის სატრასტო ფონდის (QST TF) ფინანსური დახმარებით.



unitar

United Nations Institute for Training and Research

სარჩევი

შესავალი	10
თავი 1. ანგარიშის მოკლე შინაარსი და ძირითადი დასკვნები	12
1.1 ქიმიურ ნივთიერებათა რეგულირება მართვის სტადიების მიხედვით	13
1.1.1 რეგისტრაცია.....	13
1.1.2 იმპორტ-ექსპორტი.....	13
1.1.3 წარმოება და ტრანსპორტირება	13
1.1.4 გარემოს დაბინძურება.....	14
1.1.5 პესტიციდების მართვა	14
1.1.6 ქიმიური ავარიები.....	15
1.1.7 მომუშავეთა ჯანმრთელობა	16
1.2 ინსტიტუციური მოწყობა	16
1.3 სამართლებრივი ბაზა	19
1.4 ქიმიურ ნივთიერებათა მართვისთვის საჭირო რესურსების ხელმისაწვდომობა.....	30
1.5 დასკვნები და რეკომენდაციები	31
თავი 2. საქართველოში დღესდღეობით არსებული საშიში ქიმიური ნივთიერებები	34
2.1 საშიში ქიმიური ნივთიერებების წარმოება, იმპორტი და ექსპორტი	34
2.1.1 პესტიციდები	34
2.1.2 სასუქები.....	35
2.1.3 დეზინფექციის, დეზინსექციის და დერატიზაციის საშუალებები.....	35
2.1.4 სხვა ქიმიური ნივთიერებები	36
2.2 საშიში ქიმიური ნივთიერებების მოხმარება	40
2.2.1 სასუქები.....	40
2.2.2 პესტიციდები	40
2.2.3 სამრეწველო ქიმიკატები.....	41
2.3 ქიმიური ავარიები	42
2.4 ქიმიური ნივთიერებების ნარჩენები	42
2.4.1 ნარჩენების წარმოქმნა	42
2.4.2 დაგროვილი ნარჩენები	43
2.5 საშიში ქიმიური ნივთიერებებით გამოწვეული პრობლემები	45
2.5.1 საკვების დაბინძურება	45
2.5.2 ნიადაგების და წყლის დაბინძურება.....	45
2.5.3 მოწამვლები	46
2.5.4 მომუშავეთა ჯანმრთელობა	46
თავი 3. ქიმიური ნივთიერებების მართვის სხვადასხვა სტადიის სახელმწიფო რეგულირება 47	
3.1 ქიმიური ნივთიერებების შეფასება და რეგისტრაცია.....	47
3.2 ქიმიური ნივთიერებების იმპორტ-ექსპორტი და ტრანზიტი	48
3.3 ქიმიური ნივთიერებების წარმოება, გამოყენება, ტრანსპორტირება	52
3.4 პესტიციდების მართვა	53
3.4.1 პესტიციდების შერჩევითი დაშვება ბაზარზე.....	53
3.4.2 პესტიციდების ხარისხის, შეფუთვის, ნიშანდების კონტროლი.....	55
3.4.3 პესტიციდების მიმწოდებელთა კონტროლი	56

3.4.4	პესტიციდების უსაფრთხო მოხმარების უზრუნველყოფა	56
3.4.5	მომხმარებლის ინფორმირება და სწავლება	57
3.4.6	პესტიციდების უარყოფითი ზემოქმედების მონიტორინგი	57
3.5	გარემოს დაბინძურება	58
3.6	ქიმიური ავარიების თავიდან აცილება, მზადყოფნა, რეაგირება	61
3.6.1	საშიშ საწარმოთა დაპროექტება, განთავსება, მშენებლობა	62
3.6.2	საშიშ საწარმოთა აღრიცხვა	62
3.6.3	უსაფრთხოების მართვის სისტემები საწარმოებში	63
3.6.4	უსაფრთხოების დეკლარაციები	63
3.6.5	ავარიაზე რეაგირების "საწარმოს-შიდა" გეგმა და მისი განხორციელების რესურსები	64
3.6.6	საშიშ საწარმოთა შემოწმება სახელმწიფოს მიერ	65
3.6.7	ავარიებზე რეაგირების ტერიტორიული გეგმები	65
3.6.8	ავარიების შედეგების ლიკვიდაცია	66
3.7	მომუშავეთა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	67
3.8	ძირითადი ნაკლოვანებები და რეკომენდაციები მათი აღმოფხვრისთვის	67
თავი 4.	ქიმიურ ნივთიერებათა მართვისთვის საჭირო რესურსების ხელმისაწვდომობა ..	71
4.1	მონაცემები არსებული საშიში ქიმიური ნივთიერებების და მათი მომხმარებლების შესახებ	71
4.1.1	ინფორმაცია საშიშ ნივთიერებათა მომხმარებელ საწარმოთა შესახებ	71
4.1.2	იმპორტ-ექსპორტის და ტრანზიტის აღრიცხვა	72
4.2	მონაცემები არსებულ ქიმიურ ნივთიერებათა თვისებების და ზემოქმედების შესახებ	72
4.2.1	ზოგადი ინფორმაცია საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა თვისებების შესახებ	72
4.2.2	ინფორმაცია საშიში ქიმიური ნივთიერებებით გარემოსთვის ან ადამიანთა ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის შესახებ	74
4.3	სამეცნიერო-ტექნიკური ინფრასტრუქტურა და კადრები	75
4.3.1	ლაბორატორიული შესაძლებლობანი	75
4.3.2	სამეცნიერო/ექსპერტული პოტენციალი	77
4.3.3	კვალიფიციური კადრები საჯარო ორგანოებში	78
4.4	ძირითადი ნაკლოვანებანი და რეკომენდაციები მათ გადასაღებად	78
თავი 5.	საქართველოში ქიმიური ნივთიერებების მართვის ინსტიტუციური უზრუნველყოფა	80
5.1	ქიმიური ნივთიერებების მართვის განმახორციელებელი საჯარო ორგანოები	80
5.1.1	სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური ..	81
5.1.2	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	82
5.1.3	გარემოს დაცვის ინსპექცია	84
5.1.4	გარემოს ეროვნული სააგენტო	86
5.1.5	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	88
5.1.6	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი ..	89
5.1.7	საგარეო საქმეთა სამინისტრო	90
5.1.8	საბაჟო ორგანოები	91
5.1.9	საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი	92
5.1.10	ეკონომიკური განვითარების სამინისტრო	93
5.1.11	ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია	93
5.1.12	თავდაცვის სამინისტრო	95

5.1.13	ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია	95
5.1.14	ნავთობის და გაზის სააგენტო	96
5.2	ქიმიური ნივთიერებების მართვასთან დაკავშირებული უწყებათაშორისი ორგანოები	96
5.2.1	ქიმიურ ნივთიერებათა მართვის ინფრასტრუქტურის ეროვნული პროგრამის შემმუშავებელი სახელმწიფო კომისია	97
5.2.2	საშიში ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხო გამოყენების რეგულირების საუწყებათაშორისო საბჭო	97
5.3	არასამთავრობო და სხვა სამეცნიერო ორგანიზაციების მონაწილეობა ქიმიური ნივთიერებების მართვაში	98
თავი 6.	ქიმიური ნივთიერებების რეგულირების ნორმატიული ბაზა საქართველოში....	101
6.1	საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ინსტრუმენტები ქიმიური ნივთიერებების მართვის სფეროში	101
6.1.1	ვენის კონვენცია დედამიწის ოზონის შრის დაცვის შესახებ	102
6.1.2	ბაზელის კონვენცია ნარჩენების გადაზიდვათა შესახებ	105
6.1.3	პარიზის კონვენცია ქიმიური იარაღის შესახებ	107
6.1.4	როტერდამის კონვენცია საშიში ქიმიური ნივთიერებებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ	110
6.1.5	სტოკჰოლმის კონვენცია მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ	114
6.1.6	პესტიციდების გავრცელებისა და გამოყენების საერთაშორისო კოდექსი	117
6.1.7	საბაჟო სისტემის მარეგულირებელი კონვენციები	119
6.1.8	ქიმიურ ნივთიერებათა კლასიფიკაციის და ეტიკეტირების გლობალური ჰარმონიზებული სისტემა (GHS) და საშიში ტვირთების ტრანსპორტირების წესები	121
6.1.9	ქიმიურ ნივთიერებათა რეგისტრაციის, შეფასების, დაშვებისა და შეზღუდვის ევროპული სისტემა REACH	123
6.1.10	სამუშაო ადგილებზე ქიმიური უსაფრთხოების მარეგულირებელი საერთაშორისო დოკუმენტები	128
6.1.11	ქიმიური ავარიების თავიდან აცილების, მზადყოფნის და რეაგირების მარეგულირებელი საერთაშორისო დოკუმენტები	130
6.2	ქიმიური ნივთიერებების მართვასთან დაკავშირებული კანონები და კანონქვემდებარე აქტები 133	
6.2.1	კანონი "ნიადაგების დაცვის შესახებ"	133
6.2.2	კანონი "მაკნე ორგანიზმებისგან მცენარეთა დაცვის შესახებ"	133
6.2.3	კანონი "საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ"	134
6.2.4	კანონი "გარემოს დაცვის შესახებ"	136
6.2.5	კანონი "წყლის შესახებ"	138
6.2.6	კანონი "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ"	139
6.2.7	კანონი "საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ"	141
6.2.8	კანონი "შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის შესახებ"	145
6.2.9	კანონი "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ"	148
6.2.10	კანონი "პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ"	155
6.2.11	კანონი "ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ"	162
6.2.12	კანონი "სურსათისა და თამბაქოს შესახებ"	163

6.2.13	კანონი "საშიში ქიმიური ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ" .	164
6.2.14	კანონი "ნიადაგების კონსერვაციის და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ"	165
6.2.15	კანონი "ლიცენზიების და ნებართვების შესახებ"	166
6.2.16	კანონი "სურსათის უვნებლობის და ხარისხის შესახებ"	174
6.2.17	კანონი "ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ"	175
6.2.18	კანონი "ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ"	177
6.2.19	კანონი "საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ"	180
6.2.20	კანონი "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ"	180
6.3	საქართველოში ქიმიური ნივთიერებების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის ძირითადი ნაკლოვანებები	183
6.3.1	შეუსაბამობა კონვენციების მოთხოვნებთან	183
6.3.2	სასაქონლო ნომენკლატურის ნაკლოვანებები	184
6.3.3	ტერმინი "ქიმიური ნივთიერების" ნაკლოვანებანი	184
6.3.4	"შეზღუდულად ბრუნვადი მასალების" რეგულირების ბუნდოვნობა	185
6.3.5	ქიმიურ ნივთიერებათა კლასიფიკაცია და ეტიკეტირება	186
6.3.6	საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილება და მზადყოფნა	187
დანართი 1. ქიმიური ნივთიერებების მართვის სფეროში საქართველოსთვის გაწეული საერთაშორისო დახმარება		188
დანართი 2. ქვეყნის ზოგადი მიმოხილვა		191
	ფიზიკური და დემოგრაფიული მახასიათებლები	191
	პოლიტიკურ/გეოგრაფიული სტრუქტურა	191
	სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო სექტორები	192
	ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებულ სექტორებში დასაქმებულთა რაოდენობა	194
დანართი 3. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ტერმინოლოგია		195
დანართი 4. გამოყენებული შემოკლებები		201
დანართი 5. პროფილის მომზადების პროცესის მონაწილეები		202
	საკოორდინაციო ჯგუფი	202
დამატება: საქართველოს შესაძლებლობათა შეფასება "ქიმიურ ნივთიერებათა საერთაშორისო მართვისადმი სტრატეგიული მიდგომის"(SAICM) განსახორციელებლად		206
1.	შეფასების მეთოდოლოგია	207
2.	ქიმიურ ნივთიერებათა მართვის მნიშვნელოვანი და გადაუდებელი პრობლემები	207
2.1	სახელმწიფო მართვა	208
2.2	ინფორმაცია და მონაცემები	209
2.3	კონვენციების განხორციელება	212
2.4	ქიმიურ ნივთიერებათა საერთაშორისო გადაზიდვები	214
2.5	კლასიფიკაცია და ნიშანდება	215
2.6	პესტიციდები	215
2.7	სახიფათო ნარჩენების (მ.შ დაგროვილი ნარჩენების) მართვა	216
2.8	ქიმიური ავარიები	217
2.9	გარემოსდაცვითი ინსპექტირება და კონტროლი	218
3.	საპროექტო იდეები საქართველოში ქიმიურ ნივთიერებათა მართვის გაუმჯობესებისთვის ...	224

ცხრილები:

ცხრილი 1.	პესტიციდების გავრცელებისა და გამოყენების წესების საერთაშორისო კოდექსით დადგენილი პესტიციდების მართვის სტადიების განხორციელების მდგომარეობა საქართველოში	14
ცხრილი 2.	ქიმიური ავარიების პრევენციის, მზადყოფნისა და ადექვატური რეაგირების სისტემის მდგომარეობა საქართველოში.....	15
ცხრილი 3.	ქიმიურ ნივთიერებათა მართვაში მონაწილე სახელმწიფო უწყებები, მათი ფუნქციები და განხორციელების მდგომარეობა.....	16
ცხრილი 4.	ქიმიური ნივთიერებების მართვასთან დაკავშირებული, საქართველოში მოქმედი, ეროვნული და საერთაშორისო ნორმატიული დოკუმენტები: შემაჯამებელი ცხრილი.....	20
ცხრილი 5.	2006 წელს იმპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პესტიციდების რაოდენობა სახეობების მიხედვით.....	34
ცხრილი 6.	სასოფლო-სამეურნეო პესტიციდების იმპორტი საქართველოში წლების მიხედვით.....	34
ცხრილი 7.	სასოფლო-სამეურნეო პესტიციდების წარმოება, იმპორტ-ექსპორტი და მოხმარება 2006 წელს (ფიზიკურ ტონებში).....	35
ცხრილი 8.	სასუქების წარმოება, იმპორტ-ექსპორტი და მოხმარება 2006 წელს (ფიზიკურ ტონებში) ..	35
ცხრილი 9.	სასუქების იმპორტი საქართველოში წლების მიხედვით (მოქმედ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით).....	35
ცხრილი 10.	დეზინფექციის, დეზინსექციის და დერატიზაციის საშუალებების წარმოება საქართველოში 2006 წელს	35
ცხრილი 11.	სხვა ქიმიური ნივთიერებების იმპორტი საქართველოში 2006 წელს	36
ცხრილი 12.	სამრეწველო ქიმიური ნივთიერებების წარმოება საქართველოში 2006 წ.....	39
ცხრილი 13.	სარეცხი საშუალებების (დეტერგენტების), საღებავების, გამსხნელების წარმოება საქართველოში 2006 წელს	39
ცხრილი 14.	სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიები, რომელზეც 2006 წელს შეტანილი იქნა მინერალური სასუქები.....	40
ცხრილი 15.	სასოფლო-სამეურნეო პესტიციდების მოხმარება 2006 წელს.....	40
ცხრილი 16.	2006 წ. პესტიციდებით დამუშავებული სასოფლო-სამეურნეო მიწები	40
ცხრილი 17.	2006 წელს პესტიციდებით დამუშავებული სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიები რეგიონების მიხედვით.....	41
ცხრილი 18.	საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა გამოყენება საშიშ საწარმო ობიექტებში	41
ცხრილი 19.	დაგროვილი სახიფათო სამრეწველო ნარჩენების განაწილება რეგიონების მიხედვით	43
ცხრილი 20.	ყოფილ სასაწყობე მეურნეობებში აღმოჩენილი ვადაგასული პესტიციდების რაოდენობები რეგიონების მიხედვით.....	44
ცხრილი 21.	მოწამვლებით ავადობის მაჩვენებელი საქართველოში 2000-2006 წლებში.....	46
ცხრილი 22.	საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები საქართველოში საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა იმპორტ-ექსპორტის მიმართ.....	48

ცხრილი 23.	საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა და ნარჩენების წარმოებისა და ტრანსპორტირების რეგულირების მიმართ	52
ცხრილი 24.	აკრედიტებული ლაბორატორიათა შესაძლებლობები პესტიციდების და აგროქიმიკატების განსაზღვრის მხრივ.....	76
ცხრილი 25.	”დასახელებული” ტესტირების ლაბორატორიები, რომელთაც მინიჭებული აქვთ სურსათის სახელმწიფო კონტროლისთვის ლაბორატორიული ანალიზის განხორციელების უფლება	76
ცხრილი 26.	ორგანიზაციები, რომელშიც ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული სამეცნიერო კვლევები ხორციელდება	77
ცხრილი 27.	სამეცნიერო ორგანიზაციები, რომელშიც რეგულარულად ხორციელდება ქიმიური ნივთიერებების სახელმწიფო ექსპერტიზა	99
ცხრილი 28.	მე-5 მუხლის ფარგლებში მოქმედი ქვეყნის ვალდებულებები ”დედამიწის ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ” მონრეალის ოქმის ფარგლებში	103
ცხრილი 29.	დედამიწის ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების მოხმარება საქართველოში 2007 წელს და მონრეალის ოქმის ფარგლებში საქართველოსთვის დადგენილი ვალდებულებები	105
ცხრილი 30.	პარიზის კონვენციით რეგულირებადი ნივთიერებები	108
ცხრილი 31.	როტერდამის კონვენციის მე-3 დანართში შესული ნივთიერებები	112
ცხრილი 32.	სტოკჰოლმის კონვენციით რეგულირებადი ნივთიერებები და რეგულირების ზომები ..	115
ცხრილი 33.	საერთაშორისო ხელშეკრულებებით რეგულირებული ქიმიური ნივთიერებები, რომელთა ზუსტი იდენტიფიცირების საშუალებას საქართველოში დღეს მოქმედი სასაქონლო ნომენკლატურა იძლევა.....	120
ცხრილი 34.	შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები, რომელიც დღეისთვის საქართველოს მიერ რატიფიცირებულია	129
ცხრილი 35.	საშიში ქიმიური ნივთიერებები ”საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ” კანონის მიხედვით	143
ცხრილი 36.	28-ე და 29-ე სასაქონლო ჯგუფებში შემავალი ორმაგი დანიშნულების საქონელი	146
ცხრილი 37.	REACH რეგულაციის ტერმინების შედარება ”საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ” კანონის ტერმინებთან	152
ცხრილი 38.	ქიმიურ ნივთიერებათა საშიშროების კლასები და მათი აღნიშვნები ”საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ” კანონისა და მის ქვემდებარე აქტების მიხედვით	154
ცხრილი 39.	საქართველოში შეზღუდულად ბრუნვადი მასალები, დანართი 1 (როტერდამის კონვენციის მესამე დანართით და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის #133/ნ (26.03.2001 წ) ბრძანებით (საქართველოს ტერიტორიაზე წარმოების, გამოყენებისა და ექსპორტ-იმპორტის აკრძალვას და მკაცრად შეზღუდვას დაქვემდებარებული) განსაზღვრული საშიში ქიმიური ნივთიერებები)	168
ცხრილი 40.	სახიფათო ტვირთების საშიშროების კლასები ტექნიკური რეგლამენტის ”ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესი” მიხედვით.....	176
ცხრილი 41.	ქიმიური ნივთიერებების სფეროსთან დაკავშირებული საერთაშორისო პროექტები საქართველოში.....	188
ცხრილი 42.	ქვეყნის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო სექტორების ზოგადი მიმოხილვა.....	192

ცხრილი 43.	ქვეყნის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო სექტორის სტრუქტურა.....	192
ცხრილი 44.	სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება	193
ცხრილი 45.	სამრეწველო პროდუქციის წარმოება რეგიონების მიხედვით.....	193
ცხრილი 46.	მომუშავეთა რაოდენობა მრეწველობის ძირითად დარგებში	194
ცხრილი 47.	ქიმიური პროფილის შემუშავების პროცესში გამართული საჯარო განხილვების მონაწილენი	203
ცხრილი 48.	საქართველოში ქიმიურ ნივთიერებათა მართვის მნიშვნელოვან და გადაუდებელ პრობლემებთან დაკავშირებული შესაძლებლობათა ნაკლოვანებანი და მათი გადაჭრის გზების შემაჯამებელი ცხრილი:	219

შესავალი

მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, საყოფაცხოვრებო მეურნეობაში, საწვავად სხვადასხვა ბუნებრივი და ხელოვნური ქიმიური ნივთიერებების გამოყენება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სასიცოცხლო პირობას წარმოადგენს. ამავდროულად ქიმიური ნივთიერებათა დიდი ნაწილი გარემოსთვის, ადამიანთა ჯანმრთელობისთვის და უსაფრთხოებისთვის საშიშროებაა და მათმა არასწორმა გამოყენებამ შეიძლება სერიოზული ზიანი მოიტანოს. ამდენად, ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის ქიმიური უსაფრთხოება და ამ მიზნით საშიში ქიმიური ნივთიერებების სათანადო მართვა აუცილებელია.

ბუნებრივია, ქიმიური უსაფრთხოების საკითხები საერთაშორისო თანამეგობრობის საზრუნავსაც წარმოადგენს. 1980 წლიდან მოყოლებული სახიფათო ქიმიური ნივთიერებების მართვის სხვადასხვა ასპექტების მოსაგვარებლად რამდენიმე საერთაშორისო მექანიზმი შემუშავდა. მათ შორის უმნიშვნელოვანესი იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1992 წლის კონფერენციის "გარემო და განვითარება" გადაწყვეტილებანი. ამ ღონისძიებათაგან უკანასკნელია ქიმიური ნივთიერებების მართვის საერთაშორისო სამთავრობო-საერთაშორისო კონფერენციის მიერ 2006 წელს დუბაიში მიღებული სტრატეგიული მიდგომა ქიმიური ნივთიერებების საერთაშორისო მართვისადმი (Strategic Approach to Sound Management of Chemicals, SAICM), რომლის მიხედვით 2020 წლისთვის მთელს მსოფლიოში ქიმიური ნივთიერებების წარმოებისა და გამოყენების უარყოფითი ზემოქმედება გარემოსა და ადამიანთა ჯანმრთელობაზე მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი. კერძოდ, ფას-დანახარჯთა პრინციპზე დაყრდნობით უნდა შეფასდეს, თუ რამდენად გამართლებულია სახიფათო ქიმიური ნივთიერებების წარმოება და მოხმარება და მაღალი და გაუმართლებელი რისკის მატარებელი ნივთიერებების წარმოება და მოხმარება უნდა შეწყდეს. მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი ასეთი ნივთიერებების გარემოში მოხვედრის შესაძლებლობაც. ამისათვის სტრატეგიით გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევების, ინფორმაციის მოგროვებისა და გაცვლის და ამათხე დამყარებული მართვის გაუმჯობესება როგორც საერთაშორისო, ისევე თითოეული ქვეყნის დონეზე. ამისათვის კი აუცილებელია სათანადო შესაძლებლობათა გაძლიერება თითოეულ ქვეყანაში, ტექნიკური თანამშრომლობა ქვეყნებს შორის და, რაღა თქმა უნდა მთლიანად საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

SAICM საერთაშორისო სტრატეგიის პირველად სამიზნეს ქიმიურ ნივთიერებათა შემდეგი ჯგუფები წარმოადგენს:

- მდგრადი, ბიოაკუმულირებადი და ტოქსიკური ნივთიერებები (PBTs);
- ძალზედ მდგრადი და ძალზედ ბიოაკუმულირებადი ნივთიერებები;
- კანცეროგენული ან მუტაგენური ნივთიერებები, აგრეთვე ნივთიერებები, რომელიც უარყოფითად ზემოქმედებს ადამიანის რეპროდუქციულ, ენდოკრინულ, იმუნურ ან ნერვულ სისტემებზე;
- მდგრადი ორგანული დამაბინძურებლები (POPs);
- ვერცხლისწყალი და სხვა გლობალური საფრთხის მატარებელი ნივთიერებები;
- ქიმიკატები, რომელიც ძალზედ დიდი რაოდენობით იწარმოება ან მოიხმარება;
- ქიმიკატები, რომლებიც დისპერსიულად მოიხმარება;
- ეროვნული მნიშვნელობის მქონე სხვა ქიმიკატები.

წინმდებარე ანგარიში სწორედ ამ სტრატეგიის განსახორციელებლად საქართველოს შესაძლებლობათა შეფასების მიზნით შემუშავდა.

ანგარიში მომზადდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სწავლებისა და მეცნიერების ინსტიტუტის პროექტის "საქართველოს ქიმიური პროფილის განახლება, ქიმიური ნივთიერებების საერთაშორისო მართვისადმი სტრატეგიულ მიდგომაში მონაწილეობისათვის საქართველოს შესაძლებლობების შეფასება და მათი გაუმჯობესებისათვის პრიორიტეტების დასახვა" ფარგლებში. პროექტი დაფინანსდა ქიმიური ნივთიერებების მართვის საერთაშორისო კონფერენციის (ICCM) მიერ "ქიმიური ნივთიერებების

საერთაშორისო მართვისადმი სტრატეგიული მიდგომის” (SAICM) ხელშეწყობის მიზნით შექმნილი ”სწრაფი დაწყების პროგრამის” (Quick Start Programme) ფონდიდან. საქართველოში პროგრამის განხორციელება უზრუნველყო არასამთავრობო ორგანიზაციამ: საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრმა. პროექტის ეროვნული კოორდინატორი იყო საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ინტეგრირებული მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, ქ-ნი ნინო თხილავა.

ანგარიში მომზადდა ქართველი ექსპერტების ჯგუფის მიერ. ანგარიშის პროექტი საერთაშორისო ექსპერტების მიერ იქნა განხილული და გასწორებული. ანგარიშის მომზადებას საქართველოს სხვადასხვა უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან შემდგარი საკოორდინაციო ჯგუფი ზედამხედველობდა (იხ. დანართი 5, ”პროექტის მონაწილეები”).

უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი პირველი პრობლემა, რომელსაც ეროვნული პროფილის მომზადებისას საკოორდინაციო ჯგუფი წააწყდა, იყო იმის დადგენა, თუ კერძოდ რომელი ქიმიური ნივთიერებები უნდა ყოფილიყო ეროვნული პროფილით მოცული. ვინაიდან SAICM სტრატეგიის სამიზნე ნივთიერებები პროდუქციის ფართო ჯგუფებს მოიცავს, საერთო აზრი შეჯერდა იმაზე, რომ ეროვნული პროფილის ანგარიშში განხილული ყოფილიყო საბაზრო ბრუნვაში მყოფი შემდეგი ტიპის პროდუქცია და მათი ნარჩენები:

- პესტიციდები
- აგროქიმიკატები
- სადეზინფექციო, სადეზინსექციო და სადერატიზაციო საშუალებები
- ნავთობპროდუქტები
- სამრეწველო ქიმიკატები (მრეწველობაში გამოსაყენებელი ქიმიური ნაერთები ან ნარეგები)
- სამომხმარებლო/საყოფაცხოვრებო დანიშნულების დეტერგენტები (სარეცხი საშუალებები), პესტიციდები, წებოები, გამხსნელები, ლაქ-საღებავები;
- დედამიწის ოზონის შრის დამშლელი მაცივარაგენტები.
- ქიმიური იარაღის სტატუსის მქონე ქიმიკატები და სხვა წყაროები, როგორცაა ყოფილ საბჭოთა კავშირის (შემდგომში კი – რუსეთის ფედერაციის) სამხედრო ბაზების ტერიტორიებზე დარჩენილი იარაღი და სამხედრო მასალები.

ეს ანგარიში არ მოიცავს ცოცხალ ორგანიზმებს, ფარმაცოლოგიურ და სასურსათო პროდუქციას, აგრეთვე რადიაციულ ნივთიერებებს და მათ შემცველ ნარჩენებს.

პროექტი “ქიმიური პროფილის განახლება, SAICM ეროვნულ შესაძლებლობათა შეფასება და პრიორიტეტების დასახვა” საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წვრთნებისა და კვლევების ინსტიტუტის (UNITAR) ტექნიკური დახმარებით და ”ქიმიურ ნივთიერებათა საერთაშორისო მართვისადმი სტრატეგიული მიდგომის” (SAICM) სწრაფი დაწყების პროგრამის სატრასტო ფონდის (QST TF) ფინანსური დახმარებით განხორციელდა.

თავი 1. ანგარიშის მოკლე შინაარსი და ძირითადი დასკვნები

საქართველოში ქიმიურ ნივთიერებათა მართვის მთავარ ნაკლოვანებას ასეთი მართვისთვის საჭირო საინფორმაციო რესურსების ნაკლოვანება წარმოადგენს. ინფორმაციის მოგროვების და დამუშავების სისტემების სრული მოშლის გამო საქართველოს დღეს არ გააჩნია საიმედო ინფორმაცია იმის შესახებ თუ:

- რა საშიში ქიმიური ნივთიერებები იწარმოება ან შემოდის ან გადაიზიდება ქვეყანაში და რა რაოდენობით;
- სად გამოიყენება საშიში ქიმიური ნივთიერებები, რა რაოდენობით, რა ტექნოლოგიებით; რამდენად დაცულია უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი ნორმები
- რა სახიფათო ნარჩენები წარმოიქმნება ქვეყანაში, რა რაოდენობით, სად და როგორ ხდება მათი გაუვნებელყოფა ან განთავსება, დაცულია თუ არა გარემო დაბინძურებისგან
- რა რაოდენობით საშიში (მავნე) ქიმიური ნივთიერებები ხვდება გარემოში; როგორია ამ ნივთიერებათა კონცენტრაცია ჰაერში, წყალში, ნიადაგში;
- როგორია საშიშ (მავნე) ნივთიერებების ადამიანთა ჯანმრთელობაზე ზემოქმედება (უშუალოდ ან დაბინძურებული გარემოს ან სურსათის/სასმელის წყლის მეშვეობით)

შესაბამისად, ასეთ პირობებში ძალზედ შეზღუდულია პასუხისმგებელ ორგანოების მიერ ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენილის შესაძლებლობები. დღეისათვის მათ მიერ მხოლოდ რამოდენიმე აშკარა "ცხელი წერტილი" გამოვლენილი. ესენია:

- საბჭოთა პერიოდში დაგროვილი სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სამხედრო დანიშნულების ნარჩენები. კერძოდ:
 - o 4-9% დარიშხანის შემცველი 100 ათას ტონამდე ნარჩენი სოფლებში ცანასა და ურაჟში;
 - o ყოფილ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწყობების ტერიტორიებზე დაგროვილი 5000 ტონამდე პესტიციდების და აგროქიმიკატების ნარჩენი;
 - o ყოფილ საბჭოთა სამხედრო ბაზების ტერიტორიაზე დატოვებული 2000 ტონამდე სხვადასხვა სახის ნარჩენი.

როგორც სახელმწიფო რესურსების, ასევე საერთაშორისო დახმარების საშუალებით ამ ნარჩენების ნაწილი უკვე გაუვნებელყოფილია, დანარჩენის გაუვნებელყოფა კვლავ მიმდინარეობს.

გარდა ამისა, ქიმიურ ნივთიერებათა მართვაზე პასუხისმგებელ ორგანოთა მიერ იდენტიფიცირებულია რიგი საფრთხეები, თუმცა სათანადო ზომების გატარებისათვის მათ საკმარისი დასაბუთების შეგროვების საშუალება არ გააჩნიათ. ესენია:

- პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მომხმარებელთა დაბალი ცნობიერების გამო მათი მოწამვლების და აგრეთვე სურსათში ამ ნივთიერებათა ნორმაზე მაღალი კონცენტრაციით მოხვედრის მაღალი ალბათობა;

- ქვეყანაში საშიში ქიმიური ნივთიერებებისა და ნარჩენების იმპორტის კონტროლის დროებითი შეჩერების და ამავე დროს საბაჟო იდენტიფიკაციისა და აღრიცხვის ნაკლოვანებათა გამო ძალზედ საშიში ნივთიერებების შემოტანისა და დაგროვების საშიშროება;
- გარემოს ხარისხის უაღრესად სუსტი მონიტორინგის გამო ჰაერის, წყლის ან ნიადაგების სერიოზული დაბინძურების და ახალი "ცხელი წერტილების" წარმოქმნის საშიშროება.

ქვემოთ შეჯამებულია საქართველოში ქიმიურ ნივთიერებათა მართვის ძირითადი მახასიათებლები და ნაკლოვანებები.

1.1 ქიმიურ ნივთიერებათა რეგულირება მართვის სტადიების მიხედვით

ეს სექცია წარმოადგენს ქვემოთ მე-3 თავში დეტალურად გარჩეული საკითხების მოკლე შეჯამებას. აქ აღწერილია მხოლოდ ძირითადი გამოვლენილი პრობლემები. მეტი დეტალებისთვის იხ. თავი 3

1.1.1 რეგისტრაცია

საქართველოში ფორმალურად მოქმედებს ბრუნვაში გაშვებამდე რიგ ქიმიურ ნივთიერებათა სავალდებულო რეგისტრაციის სისტემა, რომელსაც რეალურად არასოდეს უმუშავია (მიზეზები იხ. 3.1 სექციაში). სასურველია ქიმიურ ნივთიერებათა რეგისტრაციის, შეფასების, დაშვებისა და შეზღუდვის ევროპულ REACH სისტემაში (იხ. სექცია 6.1.9) საქართველოს ჩართვის შესაძლებლობების შესწავლა და, შესაბამისად, საქართველოში ქიმიურ ნივთიერებათა ბრუნვაში შერჩევითი დაშვების სისტემა მიახლოვდეს REACH სისტემასთან (ან მის გამარტივებულ ანალოგთან, საქართველოს შესაძლებლობათა და ეკონომიკის გარდამავალი მდგომარეობის გათვალისწინებით).

1.1.2 იმპორტ-ექსპორტი

მთელი რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და აგრეთვე ეროვნული კანონების მოთხოვნათა მიხედვით საქართველოში საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა და სახიფათო ნარჩენების იმპორტ-ექსპორტი სახელმწიფოს მიერ უნდა რეგულირდებოდეს (იხ. ცხრილი 22). თუცა ასეთი რეგულირების ეფექტური ინსტრუმენტი საქართველოში ჯერ-ჯერობით არ არსებობს. რეგულირების ერთ-ერთი საშუალება შეიძლება ყოფილიყო "შეზღუდულად ბრუნვადი მასალების" იმპორტ-ექსპორტის ნებართვების სისტემა (იხ. სექცია 6.2.15.3), თუმცა სხვადასხვა ქიმიურ ნივთიერებათა რეგულირების საერთაშორისო ნორმების ურთიერთშეთავსებლობის გამო სისტემამ ვერ იმუშავა და დღესდღეობით შეჩერებულია. სასურველია შემუშავდეს ახალი მექანიზმი საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა და სახიფათო ნარჩენების იმპორტ-ექსპორტის რეგულირებისთვის, რომელიც სხვადასხვა საშიშროების ქიმიური ნივთიერებებისთვის და ნარჩენებისთვის განსხვავებულ პროცედურებს გაითვალისწინებს.

საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა და სახიფათო ნარჩენების იმპორტ-ექსპორტის რეგულირების ნაკლოვანებათა დეტალური განხილვა იხ. 3.1 სექციაში.

1.1.3 წარმოება და ტრანსპორტირება

იგივე მდგომარეობაა საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა წარმოებასა და გამოყენებასთან, აგრეთვე ნარჩენების (მათ შორის სახიფათო ნარჩენების) ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით:

მიუხედავად იმისა, რომ რიგი საერთაშორისო და ეროვნული ნორმატიული აქტები ითვალისწინებს მათ სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობას (იხ. ცხრილი 23), ასეთი რეგულირების განხორციელების უზრუნველსაყოფ აქტებს დღევანდელი საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს.

საშინ ქიმიურ ნივთიერებათა წარმოების რეგულირების ნაკლოვანებათა დეტალური განხილვა იხ. 3.3 სექციაში.

1.1.4 გარემოს დაბინძურება

საშინ ქიმიური ნივთიერებებით გარემოს დაბინძურების აღკვეთის აღიარებული მეთოდია ღონისძიებების ორი ურთიერთშემავსებელი კომპლექსის განხორციელება:

- გარემოს დაბინძურების/დამბინძურებლების რეგულირება;
- გარემოს დაბინძურებულობის შემოწმება/მონიტორინგი;

საქართველოს კანონმდებლობა ამ მიდგომას იზიარებს და ადგენს როგორც დამბინძურებლების რეგულირების საშუალებებს, ასევე გარემოს "სისუფთავის ნორმებს". თუმცა ამ მოთხოვნათა შესრულების კოტროლი ან თუნდაც მონიტორინგი ძალზე სუსტია.

დეტალებისთვის იხ. სექცია 3.5.

1.1.5 პესტიციდების მართვა

პესტიციდების მართვის პრობლემები შეჯამებულია ქვემოთ ცხრილში. დეტალებისთვის იხ. სექცია 3.4.

ცხრილი 1. პესტიციდების გავრცელებისა და გამოყენების წესების საერთაშორისო კოდექსით დადგენილი პესტიციდების მართვის სტადიების განხორციელების მდგომარეობა საქართველოში

მართვის სტადია	საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნა	განხორციელების მდგომარეობა	შენიშვნა
პესტიციდების შერჩევითი დაშვება ბაზარზე	პესტიციდების რეგისტრაცია	ხორციელდება ნებაყოფლობით	არ არსებობს არარეგისტრირებული პესტიციდის იმპორტის აღკვეთის მექანიზმი;
	აკრძალული პესტიციდების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის ნებართვა	შეჩერებულია	ბაზრის კონტროლისას არ არსებობს იძულების მექანიზმი
პესტიციდების ხარისხის, შეფუთვისა და ნიშანდების კონტროლი	პესტიციდის უნდა ჰქონდეს ქართულენოვანი წარწერა და ახლდეს ქართულენოვანი ინსტრუქცია და აღწერა.	ხორციელდება ნებაყოფლობით	ბაზრის კონტროლისას არ არსებობს იძულების მექანიზმი;
პესტიციდების მიმწოდებელთა კონტროლი	დადგენილია უსაფრთხოების წესები;	ხორციელდება ნებაყოფლობით	ბაზრის კონტროლისას არ არსებობს იძულების მექანიზმი;
	პერსონალის კვალიფიკაციისადმი მოთხოვნები დადგენილი არ არის		

პესტიციდების უსაფრთხო მოხმარების უზრუნველყოფა	დადგენილია უსაფრთხოების წესები;	ხორციელდება ნებაყოფლობით	კონტროლისას არ არსებობს იძულების მექანიზმი;
პესტიციდების უარყოფითი ზემოქმედების მონიტორინგი (სურსათის და გარემოს დაბინძურების შეფასება, მოწამვლების სტატისტიკა)	გარემოს, სურსათის და წყლის დაბინძურების ნორმატივები და მათი მაკონტროლებელი ორგანოები დადგენილია. არსებობს ორგანიზაცია, რომელსაც ევალება დაავადებათა სტატისტიკის წარმოება	არ ხორციელდება	სურსათის და წყლის შემოწმება იწყება 2009 წელს. გარემოს მონიტორინგი ეპიზოდურია. მოწამვლების სტატისტიკა არასაიმედოა.

1.1.6 ქიმიური ავარიები

საქართველოში ქიმიური ავარიების პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების სისტემის მდგომარეობა ქვემოთ ცხრილშია აღწერილი. დეტალებისთვის იხ. სექცია 3.6.

ცხრილი 2. ქიმიური ავარიების პრევენციის, მზადყოფნისა და ადეკვატური რეაგირების სისტემის მდგომარეობა საქართველოში

სისტემის კომპონენტი	განხორციელების მდგომარეობა	მარეგულირებელი აქტი	შენიშვნა
საშიშ საწარმოთა განთავსების, დაპროექტების, მშენებლობის კონტროლი	ხორციელდება	კანონი "საშიშ საწარმო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ"	ხორციელდება პროექტის ტექნიკური უსაფრთხოების ექსპერტიზა, გაიცემა საშიშ საწარმო ობიექტის ექსპლუატაციის ნებართვა
საშიშ საწარმოთა აღრიცხვა	ნაწილობრივ	კანონი "საშიშ ქიმიური ნივთიერებების შესახებ"	რეესტრი არ წარმოებს
		კანონი "საშიშ საწარმო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ"	ბაზა არსებობს, მაგრამ სისტემატიზებული არ არის, გამოუყენებელია
			არსებობს მომველებული სისტემატიზებული ბაზა საგანგებო სიტუაციათა დეპარტამენტში
უსაფრთხოების მართვის სისტემების დანერგვა საწარმოებში	სუსტად	კანონი "საშიშ საწარმო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ"	კანონი ითვალისწინებს უსაფრთხოების შიდასაწარმო კონტროლს, თუმცა კონტროლის განხორციელების წესები დადგენილი არ არის. უსაფრთხოების მოთხოვნები დადგენილია მხოლოდ რამოდენიმე ტიპის საწარმოსთვის.
უსაფრთხოების დეკლარაციების წარდგენა საწარმოების	არ ხორციელდება	კანონი "საშიშ საწარმო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ"	შესაბამისი კანონქვემდებარე აქტი მიღებული არ არის

მიერ			
ავარიაზე რეაგირების გეგმები და რესურსები საწარმოებში	სუსტად	კანონი "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ", კანონი "საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ"	არ არსებობს საგანგებო სიტუაციაში მოქმედების გეგმების შედგენის დეტალური ინსტრუქციები.
საშიშ საწარმოთა შემოწმება	ნაწილობრივ	კანონი "საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ"	მოწმდება უსაფრთხოების მოთხოვნათა შესრულება. ავარიებისადმი მზადყოფნის შემოწმება გათვალისწინებული არ არის.
ავარიებზე რეაგირების ტერიტორიული გეგმები	არ არსებობს	არ არსებობს	კანონმდებლობა ასეთი გეგმების მომზადებას არ ითვალისწინებს

1.1.7 მომუშავეთა ჯანმრთელობა

საქართველოში სამუშაო ადგილებზე ქიმიური უსაფრთხოება ზოგადი ნორმატიული ბაზით უზრუნველყოფილია, თუმცა ამ ნორმების დაცვის სახელმწიფო კონტროლი არ არსებობს.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის საბაზო კონვენციები, რომელიც ქიმიური საფრთხეებიდან მომუშავეთა დაცვის მინიმალურ დონეს მაინც უზრუნველყოფდა, საქართველოს რატიფიცირებული არ აქვს.

1.2 ინსტიტუციური მოწყობა

ეს სექცია წარმოადგენს ქვემოთ მე-5 თავში დეტალურად გარჩეული საკითხების მოკლე შეჯამებას. აქ აღწერილია მხოლოდ ძირითადი გამოვლენილი პრობლემები. მეტი დეტალებისთვის იხ. თავი 5.

ქიმიურ ნივთიერებათა მართვაში მონაწილე სახელმწიფო უწყებები, მათი კომპეტენციები ქიმიურ ნივთიერებათა მართვის სფეროში და ამ ფუნქციათა განხორციელების მდგომარეობა ქვემოთ ცხრილშია შეჯამებული.

ცხრილი 3. ქიმიურ ნივთიერებათა მართვაში მონაწილე სახელმწიფო უწყებები, მათი ფუნქციები და განხორციელების მდგომარეობა

საჯარო ორგანო	კომპეტენციები ქიმიურ ნივთიერებათა მართვის სფეროში	განხორციელების დონე	შენიშვნა
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო (სექცია 5.1.2)	მონრეალის ოქმის შესრულების უზრუნველყოფა	სრულდება	
	ბაზელის კონვენციის შესრულების უზრუნველყოფა	ნაწილობრივ	ექსპორტის მარეგულირებელი ნორმატიული აქტი შეჩერებულია
	სტოკჰოლმის კონვენციის შესრულების უზრუნველყოფა	ნაწილობრივ	ეროვნული სამოქმედო გეგმა არ არის სამდივნოში წარდგენილი, იმპორტის მარეგულირებელი ნორმატიული აქტი შეჩერებულია
	ეკოლოგიური ექსპერტიზის ორგანიზება და გარემოზე ზემოქმედების ნებართვების გაცემა	სრულდება	
	გარემოზე ზემოქმედების ნებართვების პირობების შესრულების კონტროლი	სრულდება	

	გარემოსდაცვითი რეგლამენტების შესრულების კონტროლი	საწყის სტადიაშია	შემუშავდა და დამტკიცდა რეგლამენტები
	საგანგებო სიტუაციების მართვის დანაყოფის შექმნა (მ.შ. ქიმიური ავარიების მართვისთვის) და ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა	საწყის სტადიაშია	სამინისტროში ასეთი დანაყოფი ჩამოყალიბების პროცესშია
	ქიმიური და რადიაციული ხასიათის საგანგებო სიტუაციების დროს უსაფრთხოების წესების შემუშავება	საწყის სტადიაშია	შემუშავება დაწყებულია
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (სექცია 5.1.5)	როტერდამის კონვენციის შესრულების უზრუნველყოფა	გარდამავალ სტადიაშია	ოფიციალური საკონტაქტო ორგანო გაუქმებულია, ეხლა ინიშნება ახალი; ექსპორტის მარეგულირებელი ნორმატიული აქტი დროებით შეჩერებულია
	საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა ერთიანი სახელმწიფო რეესტრის წარმოება (უნდა შეიცავდეს აგრეთვე ინფორმაციას მწარმოებლის, შემნახველის, გადამტანის და მომხმარებლის შესახებ)	არ სრულდება	რეესტრი არ შექმნილა
ეკონომიკური განვითარების სამინისტრო (სექცია 5.1.10)	ნებართვის გაცემა ორმაგი დანიშნულების ქიმიკატების იმპორტ-ექსპორტზე	სრულდება	
თავდაცვის სამინისტრო (სექცია 5.1.12)	ნებართვის გაცემა ან რეკომენდაციების მომზადება ორმაგი დანიშნულების ქიმიკატების იმპორტ-ექსპორტზე	სრულდება	
საგარეო საქმეთა სამინისტრო (სექცია 5.1.7)	პარიზის კონვენციის მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფა	ნაწილობრივ	ეროვნული მარეგულირებელი კანონმდებლობა შემუშავებული არ არის
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო ორგანოები (სექცია 5.1.8)	საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა და მათი ნარჩენების იმპორტ-ექსპორტის აღრიცხვა და სტატისტიკის წარმოება	სრულდება, არის პრობლემები	სასაქონლო ნომენკლატურა მოძველდა და ართულებს იდენტიფიკაციას. არ არსებობს განმარტებითი მასალა და მონაცემთა ბაზები ა CAS-ის, EU-ს, EC-ს საერთაშორისო სისტემების ნუმერაციის მითითებით. საბაჟო ორგანოებს აკლია კვალიფიციური პერსონალი და სპეციალური ტექნიკური საშუალებები ქიმიურ ნივთიერებათა იდენტიფიცირებისთვის
შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი (სექცია 5.1.9)	საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების და ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის ერთიანი სისტემის მართვა	საწყის სტადიაშია	მისაღებია მთელი რიგი ნორმატიული აქტები (იხ. სექციები 3.6.7, 5.1.9, 6.2.17.5 და 6.3.6)
სურსათის	პესტიციდებისა და აგროქიმიკატების	სრულდება	

უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური (სექცია 5.1.1)	რეგისტრაციის განხორციელება და მის საფუძველზე დაშვებული პესტიციდების და აგროქიმიკატების კატალოგის წარმოება		
	კონტროლი პესტიციდების შემოტანის, მარკირების, შენახვის, წარმოების (დაფასების), ტრანსპორტირების, რეალიზაციის, უსაფრთხო გამოყენების წესების დაცვაზე	ხორციელდება მონიტორინგი	შემდგომი დაგეგმვა მოწმდება. დარღვევებზე რეაგირების პროცედურა არ არსებობს
	ბაზარზე გატანილი პესტიციდების ხარისხის კონტროლი	ხორციელდება მონიტორინგი	
	სურსათში პესტიციდების და სხვა საშიში ქიმიურ ნივთიერებების შემცველობის კონტროლი	ხორციელდება მონიტორინგი	იწყება 2009 წელს
ნავთობის და გაზის ეროვნული სააგენტო (სექცია 5.1.14)	ნავთობის და გაზის მოპოვების, გადამუშავების ან ტრანსპორტირებისთვის საჭირო ყველა ლიცენზიის, ნებართვის, სერტიფიკატის, მიწის მინაკუთვნის გაცემა	სრულდება	
ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია (სექცია 5.1.13)	სახიფათო ტვირთების გადაზიდვების ტექნიკური რეგლამენტების მომზადება და დამტკიცება	სრულდება	
	სახიფათო ტვირთების გადაზიდვების ტექნიკური რეგლამენტების დაცვაზე ზედამხედველობა	ნაწილობრივ	
ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია (სექცია 5.1.11)	საშიში საწარმოო ობიექტის ტექნიკური უსაფრთხოების ექსპერტიზის ჩატარება	სრულდება	
	”საშიში საწარმოო ობიექტის ექსპლუატაციის ნებართვის” გაცემა	სრულდება	
	სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება საშიშ საწარმოო ობიექტებში უსაფრთხოების წესების დაცვაზე	სრულდება ნაწილობრივ	გეგმური ზედამხედველობა ხორციელდება. მაგრამ რიგი საწარმოებისთვის არ არის დადგენილი უსაფრთხოების წესები
	საშიში საწარმოებისგან უსაფრთხოების დეკლარაციების მოთხოვნა	არ სრულდება	არ არის მიღებული მთავრობის შესაბამისი დადგენილება
	საშიშ საწარმოო ობიექტების ერთიანი სახელმწიფო რეესტრის წარმოება	ნაწილობრივ სრულდება	წარმოებს საწარმოთა აღრიცხვა, მაგრამ საინფორმაციო ბაზა სისტემატიზირებული არ არის და სხვა უწყებებისთვის გამოსაყენებლად გამოუსადეგარია
გარემოს დაცვის ინსპექცია (სექცია 5.1.3)	გარემოს დაბინძურების დადგენილი ნორმების/პირობების/რეგლამენტების დარღვევათა აღმოჩენა და რეაგირება	ნაწილობრივ სრულდება	რეაგირება მხოლოდ საჩივრებზე, არ არსებობს ემისიების გამზომი პორტატიული აპარატურა
გარემოს ეროვნული	საშიში ქიმიური ნივთიერებებით	სუსტად	ცოტაა დაბინძურების გამოზომი

სააგენტო (სექცია 5.1.4)	გარემოს დაბინძურებულობის მონიტორინგი	სრულდება	პუნქტები, არ წარმოებს ავტომატური (უწყვეტი) გაზომვები
ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (სექცია 5.1.6)	საშიში ქიმიური ნივთიერებებით ადამიანთა მოწამვლების მონიტორინგი და სტატისტიკის წარმოება; გარემოში ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორების გამოკვლევა	ძალზე სუსტად სრულდება	მოწამვლათა მიზეზების გამოკვლევები არ ხორციელდება; რისკ-ფაქტორების გამოკვლევები არ ფინანსდება

1.3 სამართლებრივი ბაზა

ეს სექცია წარმოადგენს ქვემოთ მე-6 თავში დეტალურად გარჩეული საკითხების მოკლე შეჯამებას. აქ აღწერილია მხოლოდ ძირითადი გამოვლენილი პრობლემები. მეტი დეტალებისთვის იხ.თავი 6.

საქართველოში ქიმიური ნივთიერებების მართვის სამართლებრივი ბაზა დიდი რაოდენობის ნორმატიულ დოკუმენტებს მოიცავს. ესენია როგორც საერთაშორისო ნორმატიული დოკუმენტები, აგრეთვე საქართველოს კანონები და კანონქვემდებარე აქტები. საქართველოში ქიმიური ნივთიერებების მარეგულირებელი ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტები ქვემოთ ცხრილშია ჩამოთვლილი და მოკლედ აღწერილი. მითითებულია აგრეთვე მე-6 თავის შესაბამისი სექცია, სადაც განხილულია თითოეული აქტით დადგენილი ძირითადი უფლებამოსიანობანი, მათი განხორციელების უზრუნველყოფი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები და განხორციელების მდგომარეობა.

მე-6 თავში განხილულია აგრეთვე რიგი საქართველოსთვის არასავალდებულო სტატუსის მქონე საერთაშორისო დოკუმენტებისა, რომელთა განხორციელება საქართველოში ქიმიურ ნივთიერებათა სათანადო მართვისთვის სასურველია. ესენია:

- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) "პესტიციდების განაწილებისა და გამოყენების წესების საერთაშორისო კოდექსი" და სახელმძღვანელო მითითებები პესტიციდების მართვასთან დაკავშირებით (სექცია 6.1.6);
- მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის "საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებულ სისტემა" (HS) (სექცია 6.1.7);
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საკითხების საბჭოს "ქიმიურ ნივთიერებათა კლასიფიკაციისა და ეტიკეტირების გლობალური ჰარმონიზებული სისტემა" (GHS) და "სახიფათო ტვირთების გადაზიდვის შესახებ" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტიპური წესები" (სექცია 6.1.8).
- ევროკავშირის რეგულაცია 1907/2006 "ქიმიურ ნივთიერებათა რეგისტრაციის, შეფასების, დაშვებისა და შეზღუდვის შესახებ", ე.წ. REACH რეგულაცია (სექცია 6.1.9);
- შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) დოკუმენტები, რომლებიც სამუშაო ადგილებზე ქიმიური უსაფრთხოებას არეგულირებს (სექცია 6.1.10);
- ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის "ქიმიური ავარიების თავიდან აცილების, მზადყოფნისა და რეაგირების სახელმძღვანელო პრინციპები" (სექცია 6.1.11).

ცხრილი 4. ქიმიური ნივთიერებების მართვასთან დაკავშირებული, საქართველოში მოქმედი, ეროვნული და საერთაშორისო ნორმატიული დოკუმენტები: შემაჯამებელი ცხრილი

ანგარიშის სექცია	ნორმატიული აქტი	ქიმიური ნივთიერებების რომელ ჯგუფს ეხება	ქიმიური ნივთიერებების მართვის რომელ სტადიას ეხება	რეგულირების არსი და მიზანი	პასუხისმგებელი ორგანო	გამოყოფილი ფინანსური რესურსები	განხორციელების დონე
საერთაშორისო ხელშეკრულებები							
6.1.1	ვენის კონვენცია "დედამიწის ოზონის შრის დაცვის შესახებ" (1985 წ) და მონრეალის ოქმი "ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების შესახებ" (1987 წ)	ოზონის შრის დამშლელი მაცივარაგენტები, ლაბორატორიული აგენტები, პესტიციდები	ნივთიერების წარმოება, იმპორტ-ექსპორტი, მოხმარება	თითოეული ნივთიერების ხმარებიდან ამოღების კონკრეტული განრიგი	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	არის (მონრეალის ოქმის მრავალმხრივი ფონდიდან)	ხორციელდება
6.1.2	ბაზელის კონვენცია "სახიფათო ნარჩენების ტრანსსაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ" (1989 წ)	სახიფათო და სხვა ნარჩენები	იმპორტ-ექსპორტი, გადაზიდვა, განთავსება	მიმღები ქვეყნის თანხმობის გარეშე ნარჩენების ექსპორტის აკრძალვა; ნარჩენების ტრანსპორტირებაზე ნებართვა; არა-მხარეებთან გადაზიდვის აკრძალვა	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	არ არის	ხორციელდება ხარვეზებით
6.1.3	პარიზის კონვენცია "ქიმიური იარაღის შემუშავების, წარმოების, დაგროვების და გამოყენების აკრძალვისა და მისი განადგურების შესახებ" (1993 წ)	ქიმიური იარაღი	შემუშავება, წარმოება, დაგროვება, გამოყენება, იმპორტი, ექსპორტი, განადგურება	ქიმიური იარაღის და მათი პრეკურსორების მიმოქცევის კონტროლი	საგარეო საქმეთა სამინისტრო		ნაწილობრივ

ანგარიშის სექცია	ნორმატიული აქტი	ქიმიური ნივთიერებების რომელ ჯგუფს ეხება	ქიმიური ნივთიერებების მართვის რომელ სტადიას ეხება	რეგულირების არსი და მიზანი	პასუხისმგებელი ორგანო	გამოყოფილი ფინანსური რესურსები	განხორციელების დონე
6.1.4	როტერდამის კონვენცია "ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებით და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობაში წინასწარი დასაბუთებული ვაჭრობის პროცედურის შესახებ" (1998 წ.)	საშიში პესტიციდები და სამრეწველო ქიმიკატები	იმპორტ-ექსპორტი	ექსპორტის რეგულირება სადივნოდან მოსული სხვა ქვეყნებში იმპორტის წესების მიხედვით. კონვენციით არარეგულირებულ აკრძალულ ნივთიერებებზე – მიმღები ქვეყნის წინასწარი ინფორმირება	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	არ არის	ხორციელდ ება ხარვეზებით
6.1.5	სტოკჰოლმის კონვენცია "მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ" (2001 წ.)	მდგრადი ორგანული დამბინძურებლე ბი	წარმოება, გამოყენება, იმპორტი, ექსპორტი	წარმოების, იმპორტ- ექსპორტის, გამოყენების აკრძალვა და აღკვეთა, წარმოქმნის/ემისიის აღკვეთა	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	ნაწილობ რივ არის (GEF, ნიდერლან დების დახმარებ ა)	ხორციელდ ება ხარვეზებით
საქართველოს კანონები							
6.2.1	კანონი "ნიადაგების დაცვის შესახებ" 12.04.94	აგროქიმიკატები	გამოყენება, განთავსება	აგროქიმიკატების გამოყენების რეგულირება	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	ნაწილობ რივ	ნაწლობრივ ხორციელდ ება
6.2.2	კანონი "მავნე ორგანიზმებისგან მცენარეთა დაცვის შესახებ", 12.10.94	პესტიციდები და აგროქიმიკატები	კვლევები, რეგისტრაცია, წარმოება, იმპორტ- ექსპორტი, შენახვა, ტრანსპორტირება, გამოყენება, განთავსება, სახელმწიფო ფიტოსანიტარიული ზედამხედველობა და კონტროლი	პესტიციდების კონტროლი	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	ნაწილობ რივ	ნაწლობრივ ხორციელდ ება, პესტიციდებ ის კონტროლი 2007 წლიდან შეჩერებულ ია 2010

ანგარიშის სექცია	ნორმატიული აქტი	ქიმიური ნივთიერებების რომელ ჯგუფს ეხება	ქიმიური ნივთიერებების მართვის რომელ სტადიას ეხება	რეგულირების არსი და მიზანი	პასუხისმგებელი ორგანო	გამოყოფი ლი ფინანსური რესურსები	განხორციე ლების დონე
							წლამდე
6.2.3	კანონი "საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ", 8.02.95	ქიმიური ნივთიერებების ნარჩენები	ნარჩენების იმპორტ- ექსპორტი	ნარჩენების იმპორტ- ექსპორტის აკრძალვა	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო (საბაჟო დეპარტამენტი)	არის	სრულდება
6.2.4	კანონი "გარემოს დაცვის შესახებ" 10.12.96	ქიმიური საშუალებები ზოგადად	გამოყენება, ტრანსპორტირება, შენახვა	გამოყენების ნორმების და წესების დადგენა ყოველ 5 წელიწადში	გარემოს დაცვის სამინისტრო, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო	არ არის	არ ხორციელდ ება
6.2.5	კანონი "წყლის შესახებ", 17.10.97	ქიმიკატები, ნარჩენები	გამოყენება, განთავსება	წყლის დაბინძურების აღკვეთა	გარემოს დაცვის ინსპექცია	ნაწილობ რივ	ნაწილობრივ
6.2.6	კანონი "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ", 10.12.97	პესტიციდები, სასუქები, სადეზინფექციო საშუალებები	გამოყენება, ნაშთები	ქიმიური უსაფრთხოების განმსაზღვრელი სანიტარული ნორმების დადგენა	შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო	ნაწილობ რივ	შესრულებუ ლია
6.2.7	კანონი "საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ", 10.12.97	სამრეწველო ქიმიკატები, სხვა საშიში ქიმიური ნივთიერებები	წარმოება, საწარმოო გამოყენება, შენახვა, ტრანსპორტირება, განადგურება	ავარიების პრევენცია, მზადყოფნა, რეაგირება			
6.2.8	კანონი "შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და ორმაგი დანაშნულების პროდუქციის საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის შესახებ", 29.04.98	ორმაგი დანაშნულების ქიმიკატები	ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი, ტრანზიტი, დროებით შემოტანა ან გატანა	დაიშვება მხოლოდ ნებართვის საფუძველზე	თავდაცვის სამინისტრო, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო		სრულდება

ანგარიშის სექცია	ნორმატიული აქტი	ქიმიური ნივთიერებების რომელ ჯგუფს ეხება	ქიმიური ნივთიერებების მართვის რომელ სტადიას ეხება	რეგულირების არსი და მიზანი	პასუხისმგებელი ორგანო	გამოყოფილი ფინანსური რესურსები	განხორციელების დონე
6.2.8	კანონი "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ", 12.06.98	საშიში ქიმიური ნივთიერებები	შექმნა, გამოცდა, სახელმწიფო ექსპერტიზა, სტანდარტიზაცია, აღრიცხვა, რეგისტრაცია, წარმოება, შეფუთვა, ნიშანდობა და ეტიკეტირება, იმპორტ-ექსპორტი, ტრანსპორტირება, გადამუშავება, გაუვნებელყოფა, განთავსება, შეზღუდვა, ზედამხედველობა	ერთიანი რეესტრი, სავალდებულო რეგისტრაცია, ეტიკეტირების წესები, ტრანსპორტირების, შენახვის, მოხმარების წესები, ექსპორტისა და იმპორტის რეჟიმი	შრომის, ჯანმრთელობა და სოციალური დაცვის სამინისტრო, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო	არ არის	არ ხორციელდება
6.2.10	კანონი "პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ", 25.11.98	პესტიციდები და აგროქიმიკატები	შემუშავება, რეგისტრაცია, წარმოება, დაფასოება, მარკირება, იმპორტ-ექსპორტი, შენახვა, ტრანსპორტირება, რეალიზაცია, გამოყენება, გაუვნებელყოფა, განთავსება	პესტიციდების რეგისტრაცია, აღრიცხვა, გამოყენების და მოხმარების კონტროლი	სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, ჯ/დ სამინისტრო,	ნაწილობრივ	ნაწილობრივ ხორციელდება
6.2.11	კანონი "ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ", 22.06.99	ოზონდამშლელი ნივთიერებები	იმპორტ-ექსპორტი, ტრანსპორტირება	იმპორტ-ექსპორტის შეზღუდვა	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო (საბაჟო დეპარტამენტი)	არის (მონრეალის ოქმის მრავალმხრივი ფონდიდან)	სრულდება
6.2.12	კანონი "სურსათისა და თამბაქოს შესახებ", 25.06.99	პესტიციდები, აგროქიმიკატები	გამოყენება, ნაშთები	სურსათში პესტიციდების ნაშთების შემცველობის რეგულირება	სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	არ არის	ნაწილობრივ

ანგარიშის სექცია	ნორმატიული აქტი	ქიმიური ნივთიერებების რომელ ჯგუფს ეხება	ქიმიური ნივთიერებების მართვის რომელ სტადიას ეხება	რეგულირების არსი და მიზანი	პასუხისმგებელი ორგანო	გამოყოფი ლი ფინანსური რესურსები	განხორციე ლების დონე
6.2.13	კანონი "საშიში ქიმიური ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ", 23.07.99	საშიში ქიმიური ნივთიერებები	კომპენსაცია დაზიანებულების შედეგად მიყენებული ზიანისთვის	გარემოს დაზიანებულების შედეგად სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო		სრულდება
6.2.13	კანონი "ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ", 03.05.2003	ნავთობპროდუქტები, ქიმიური ნივთიერებების ნარჩენები	გამოყენება, განთავსება	დაზიანებული მიწების აღდგენა	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო	ნაწილობრივ	ნაწილობრივ
6.2.15	კანონი "ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ", 24.06.2005	აკრძალული და მკაცრად შეზღუდული პესტიციდები, სამრეწველო ქიმიკატები, ქიმიური ნივთიერებების ნარჩენები	წარმოება, ტრანსპორტირება, იმპორტ-ექსპორტი	წარმოება, ტრანსპორტირება, იმპორტ-ექსპორტის შეზღუდვა	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, საბაჟო დეპარტამენტი	არ არის	შეჩერებულ ია ნებართვის გაცემა
6.2.16	კანონი "სურსათის უვნებლობის და ხარისხის შესახებ", 27.12.2005	პესტიციდები, აგროქიმიკატები	გამოყენება, ნაშთები	სურსათში და სასმელ წყალში პესტიციდების ნაშთების პარამეტრების დადგენა და შემცველობის კონტროლი	სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	არ არის	2010 წლიდან
6.2.17	კანონი "ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ", 30.03.2007	საშიში ტვირთები	ტრანსპორტირება	ნიშანდება, მოთხოვნები	შინაგან საქმეთა ორგანოები		არ სრულდება

ანგარიშის სექცია	ნორმატიული აქტი	ქიმიური ნივთიერებების რომელ ჯგუფს ეხება	ქიმიური ნივთიერებების მართვის რომელ სტადიას ეხება	რეგულირების არსი და მიზანი	პასუხისმგებელი ორგანო	გამოყოფი ლი ფინანსური რესურსები	განხორციე ლების დონე
6.2.18	კანონი "ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ", 8.06.2007		ქიმიური ავარიები	ავარიების პრევენცია, მზადყოფნა, რეაგირება, პასუხისმგებლობათა გადანაწილება	შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციათა დეპარტამენტი	არასაკმარ ისია	საწყისი სტადია
6.2.19	კანონი "საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ", 27.06.2007	ქიმიური ნივთიერებები ზოგადად	გამოყენება, ნაშთები	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ქიმიური ნივთიერებების მავნე ზეგავლენისგან	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	არ არის	ნორმირება შესრულებულ ია ნაწილობრივ
6.2.20	კანონი "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ", 14.12.2007	ქიმიური ნივთიერებები ზოგადად	გარემოს დაბინძურება საქმიანობის განხორციელებისას	გზმ-ს ეკოლოგიური ექსპერტიზა, ექსპერტიზის საფუძველზე გაიცემა გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. დანარჩენ საქმიანობაზე _ გარემოსდაცვითი რეგლამენტები	გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	არის	ნორმალური

საქართველოში დღეს მოქმედი, ზემოთ ჩამოთვლილი და მოკლედ აღწერილი ნორმატიული ბაზა ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით რიგ ნაკლოვანებებს შეიცავს. კერძოდ:

1. ბუნდოვანია ე.წ. "შეზღუდულად ბრუნვადი მასალების" (იხ. სექცია 6.2.15.4.1) დღევანდელი სამართლებრივი სტატუსი. კერძოდ, "ლიცენზიების და ნებართვების შესახებ" 2005 წლის კანონის მიხედვით ამ მასალების წარმოებას, ტრანსპორტირებას, იმპორტს, ექსპორტს, რეექსპორტს ან ტრანზიტს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვა ესაჭიროება. ამავე დროს, ნებართვის გაცემის წესის დამდგენი კანონქვემდებარე აქტი შეჩერებულია, რაც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ამ ნებართვის გაცემის საშუალებას არ აძლევს. საქართველოს კანონმდებლობა არ იძლევა ერთმნიშვნელოვან პასუხს კითხვაზე, ნიშნავს თუ არა ეს მდგომარეობა შეზღუდულად ბრუნვადი მასალების ბრუნვის სრულ აკრძალვას თუ სრულ თავისუფლებას. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს ის, რომ საქართველოს დანარჩენი კანონმდებლობით შეზღუდულად ბრუნვადი მასალების სტატუსი სხვადასხვაგვარია: რიგი მათგანის იმპორტი და ტრანზიტი დაშვებულია (მაგ. ევროპის თანამეგობრობის საბჭოს 259/93 რეგულაციით დადგენილი ნარჩენების მწვანე სიაში შესული GA, GH, GI, GJ, GN, GL, GE კატეგორიების ნარჩენები, იხ. სექცია 6.2.3.3), ზოგის – მკაცრად აკრძალულია (მაგ.: ყველა სხვა სახის ნარჩენი; აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტ-ექსპორტის აკრძალვას დაქვემდებარებული პესტიციდები, იხ. სექცია 6.2.10.4 და ცხრილი 39), ზოგის კი – დაუდგენელია (მაგ. ოზონდამშლელი ნივთიერებები, ან "მკაცრად შეზღუდული" პესტიციდები და სამრეწველო ქიმიკატები, იხ. ცხრილი 39). შეზღუდულად ბრუნვადი მასალების ასეთი ბუნდოვანი და ამასთან არაერთგვაროვანი სტატუსი განსხვავებული სამართლებრივი ინტერპრეტაციების შესაძლებლობას იძლევა. **სასურველია:**
 - შეზღუდულად ბრუნვადი მასალების დებულების აზრობრივი დაყოფა მასში შესულ ნივთიერებებსა და მასალებისთვის საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი განსხვავებული სტატუსის მიხედვით (მაგ: აკრძალული, შეზღუდული);
 - გადამუშავებული დებულების დროული ამოქმედება, რათა აღმოიფხვრას საქართველოს მიერ რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებების მოთხოვნათა დარღვევა (იხ. ქვემოთ)
2. საქართველოს დღევანდელ კანონმდებლობაში "საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა შესახებ" კანონით დაფუძნებული "ქიმიური ნივთიერების" განმარტება გაუმართლებლად ფართოა და მოიცავს არა მარტო სუფთა ქიმიურ ნივთიერებებს, როგორც პროდუქტს (როგორც ეს მაგალითად ევროკავშირშია, იხ. სექცია 6.1.9), არამედ ნივთიერებათა ყოველგვარ ნაერთებს, ნარევეებს და ხსნარებს. ამ პირობებში კანონის მოთხოვნა "საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა" გამოცდისა და რეგისტრაციის შესახებ ბრუნვაში დაუშვებლობის თაობაზე უაღრესად ამბიციური და რეალურად შეუსრულებადია¹. **საჭიროა** ქართულ საკანონმდებლო სივრცეში "ქიმიური ნივთიერების" განმარტების შესაბამისობაში მოყვანა REACH რეგულაციის განმარტებასთან (იხ. სექცია 6.1.9).
3. საქართველოს არსებული კანონმდებლობა საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა კლასიფიკაციისა და მათი შემცველი პროდუქციისა და ტვირთების ნიშანდების რამოდენიმე განსხვავებულ

¹ ვინაიდან შეუძლებელია დავასახელოთ რაიმე ნივთი ან საქონელი (კანონის მოქმედების სფეროს ფარგლებში), რომელიც ქიმიურ ნივთიერებათა ნაერთს, ნარევეს ან ხსნარს არ წარმოადგენს. ყველა მათგანის გამოცდა და რეგისტრაცია ფინანსების და დროის სრულებით არარეალურ ხარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული.

სისტემას აფუძნებს. კერძოდ: "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ" საქართველოს კანონი და მისი კანონქვემდებარე აქტები (იხ. სექცია 6.2.8) საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს განმარტავს ევროკავშირის 67/548/EEC და 1999/45/EC დირექტივების შესაბამისად და ამავე დოკუმენტების შესაბამის კლასიფიკაციასა და ნიშანდებს აწესებს. ამავე დროს ტექნიკური რეგლამენტს «ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესი» (იხ. სექცია 6.2.17) გაეროს GHS სისტემით და საშიშ ტვირთებთან მოპყრობის სამოდელო წესებით (იხ. სექცია 6.1.8) დადგენილი კლასიფიკაცია შემოაქვს ხმარებაში. საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა მესამე, განსხვავებული განმარტებას და კლასიფიკაციას შეიცავს კანონი "საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ" (სექცია 6.2.7). სამივე მოხსენიებული სისტემა ერთმანეთისგან განსხვავდება, რაც გაურკვევლობას ქმნის როგორც "საშიში ქიმიური ნივთიერების" განმარტებასთან, ასევე ამ ნივთიერების შემცველი საქონელის ან ტვირთის ნიშანდებასთან დაკავშირებით. აუცილებელია ამ ბუნდოვნობის აღმოფხვრა. **ამისთვის საჭიროა:**

- საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა ერთგვაროვანი განმარტება საქართველოს მთელ საკანონმდებლო სივრცეში.
- საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა ერთგვაროვანი კლასიფიკაციისა და ნიშანდების სისტემის შემოღება მათი გამოყენების ყველა სფეროსთვის (ტრანსპორტი, მოხმარება, საწარმოო უსაფრთხოება)

იმის გათვალისწინებით, რომ 2010-2015 წლებიდან ევროკავშირი გაეროს GHS სისტემაზე გადადის, რაციონალურად მიგვაჩნია საქართველოს კანონმდებლობაში გასატარებელი ცვლილებებიც ამ სისტემას დაეფუძნოს.

4. საქართველოს კანონმდებლობა ფორმალურად აყენებს საშიში საწარმოების მიერ "უსაფრთხოების დეკლარაციების" წარდგენის მოთხოვნას (იხ. სექცია 3.6.4), თუმცა მისი შესრულება შეუძლებელია ამ დეკლარაციის ფორმის, შინაარსის, მომზადებისა და წარდგენის წესების მარეგულირებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის არარსებობის გამო (დეტალები იხ. 6.2.7.4 სექციაში).
5. საქართველოში დღეს მოქმედი საბაჟო ნომენკლატურა ბაზელის, პარიზის, როტერდამის და სტოკჰოლმის კონვენციებით რეგულირებადი ნივთიერებების და საქონლის სრულად იდენტიფიკაციის საშუალებას არ იძლევა (იხ. სექცია 6.1.7). ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოში მოქმედი სასაქონლო კოდების სისტემა საბაჟო ჰარმონიზებული სისტემის 2002 წლის ვარიანტთან არის შესაბამისობაში, რომელშიც ამ კონვენციების საჭიროებანი ასახული ჯერ არ იყო. საბაჟო ჰარმონიზებული სისტემის 2007 წლის ვარიანტში გარემოსდცვითი კონვენციების საჭიროებებმა უფრო სრული ასახვა ჰპოვა.

გარდა ამისა, ქიმიურ ნივთიერებათა საბაჟო იდენტიფიკაციას ართულებს ის გარემოებაც, რომ უმეტესწილად, სასაქონლო ჰარმონიზირებული სისტემის ერთი რომელიმე კონკრეტული კოდი მოიცავს ქიმიური ნივთიერებების დიდ ჯგუფს, რომლისადმიც კონკრეტული ნივთიერების ან ტვირთის მიკუთვნება მებაჟისთვის ძალზედ ძნელია, სათანადო განმარტებითი მასალის არარსებობის გამო.

მითითებული პრობლემების დასაძლევად **აუცილებელია:**

- საქართველოში გარემოსდაცვითი კონვენციების სათანადოდ შესრულებისთვის საბაჟო ჰარმონიზებული სისტემის 2007 წლის კოდების დანერგვა;
- ქიმიური ნივთიერებების მიმართ ჰარმონიზებული სასაქონლო სისტემის გამოყენების სახელმძღვანელო ინსტრუქციებისა და განმარტებითი მასალის შემუშავება.

6. საქართველოს კანონმდებლობა უაღრესად ბუნდოვანია საგანგებო სიტუაციათა პრევენციის და მზადყოფნის საკითხებთან დაკავშირებით. კერძოდ,

- საქართველოს კანონმდებლობა ითხოვს, რომ ყველა საშიშ საწარმოს გააჩნდეს ავარიებზე რეაგირების გეგმები², საავარიო სამსახურები³ და მზადყოფნაში იქონიოს საგანგებო სიტუაციათა შედეგების ლიკვიდაციისთვის საჭირო რესურსები⁴ (იხ. სექცია 3.6). თუმცა რომელიმე სახელმწიფო უწყების მიერ ამ მოთხოვნათა შესრულების მდგომარეობის შემოწმებას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. გარდა ამისა, ეს მოთხოვნები არ არის კანონმდებლობაში საკმარისად დეტალურად გაწერილი, რაც მათ შესრულებას უაღრესად ართულებს. კანონის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველსაყოფად **აუცილებელია:**

- o კანონმდებლობაში დეტალურად გაიწეროს ქიმიური ავარიების/საგანგებო სიტუაციებისადმი მზადყოფნის მოთხოვნათა შესრულების წესები და შემოწმების კრიტერიუმები;
- o რომელიმე სახელმწიფო უწყებას დაევალოს საშიშ საწარმოების მიერ ავარიების/საგანგებო სიტუაციებისადმი მზადყოფნის მოთხოვნათა შესრულების სახელმწიფო კონტროლი.

- კანონმდებლობით "საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის ერთიანი სისტემის" (იხ. სექცია 6.2.18.4) ამოცანებში შედის საგანგებო სიტუაციათა პროგნოზირება⁵, პრევენცია⁶ და მათთვის მზადყოფნა⁷, თუმცა დაზუსტებული არ არის, თუ როგორ და კერძოდ რომელი უწყებების მიერ უნდა იყოს უზრუნველყოფილი აღწერილი ზომები. გარდა ამისა, კანონმდებლობის მიხედვით საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ეროვნული გეგმა "ერთიან სისტემაში" მყოფ უწყებათა რეაგირების გეგმების ერთობლიობას წარმოადგენს⁸. თუმცა დღემდე მიღებული ნორმატიული აქტები ასეთი გეგმების შემუშავებას სამთავრობო უწყებებს არ ავალეს. **სასურველია:**

- o კანონქვემდებარე აქტების მიღება, რომელიც საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების და მზადყოფნისთვის აუცილებელ საქმიანობებს შესაბამის სამთავრობო უწყებებზე დეტალურად გადაანაწილებდა.

გარდა აღწერილისა, აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობის დღევანდელი მდგომარეობით საქართველო რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებების არასრული შესრულების მდგომარეობაში იმყოფება. კერძოდ:

² კანონი "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ", მუხლი 42, პუნქტი 1

³ კანონი "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ", მუხლი 43, პუნქტი 1

⁴ კანონი "ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებიდან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ", მუხლი 15, პუნქტი 2 "გ"

⁵ კანონი "ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ", მუხლი 6, პუნქტი 1, ქვეპუნქტები "ა" და "გ"

⁶ იქვე, პუნქტი "ზ" და "ე"

⁷ იქვე, პუნქტები "დ", "ვ" და "ზ"

⁸ კანონი "ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ", მუხლი 1, პუნქტი "ლ"

- არსებობს ხარვეზები საქართველოს მიერ ბაზელის კონვენციის მოთხოვნების შესრულებაში (იხ. სექცია 6.1.2.2). კერძოდ:
 - არ არსებობს ეფექტური ადმინისტრაციული პროცედურა საქართველოსა და ბაზელის კონვენციის არა-მხარე ქვეყნებს შორის ნარჩენების იმპორტ-ექსპორტის აღსაკვეთად (ბაზელის კონვენციის მუხლი 4, პუნქტი 5);
 - არ არსებობს ეფექტური პროცედურა ბაზელის კონვენციით გათვალისწინებული წინასწარი შეტყობინების გარეშე ნარჩენების შემცველი ტვირთის ექსპორტის განხორციელების აღსაკვეთად (ბაზელის კონვენციის მუხლი 6, პუნქტი 3) ;
 - არ არსებობს ადმინისტრაციული პროცედურა საქართველოს ფარგლებში ნარჩენების გადამზიდველთა სათანადო ნებართვის ან უფლებამოსილების არსებობის მოთხოვნისათვის (ბაზელის კონვენციის მუხლი 4, პუნქტი 7).
- არსებობს ხარვეზები საქართველოს მიერ როტერდამის კონვენციის მოთხოვნების შესრულებაში (იხ. სექცია 6.1.4). კერძოდ:
 - არ არის სამდივნოსადმი წარდგენილი ინფორმაცია იმის შესახებ, აკრძალულია თუ არა საქართველოში როტერდამის კონვენციის მე-3 დანართში შესული ქიმიური ნივთიერებების იმპორტი;
 - არ არსებობს ეფექტური ადმინისტრაციული პროცედურა იმის უზრუნველსაყოფად, რომ დაშვებული არ იყოს როტერდამის კონვენციის მე-3 დანართში შესული ქიმიური ნივთიერებების ექსპორტი იმ ქვეყნებში, რომლებმაც კონვენციის სამდივნოს აცნობეს ამ ნივთიერებათა იმპორტის აკრძალვის შესახებ;
 - არ არსებობს ეფექტური და საიმედო ადმინისტრაციული პროცედურა იმის უზრუნველსაყოფად, რომ იმპორტიორი ქვეყნის წინასწარი ინფორმირების გარეშე დაშვებული არ იყოს საქართველოდან ისეთი ქიმიური ნივთიერებების ექსპორტი, რომლებიც საქართველოში აკრძალული ან მკაცრად შეზღუდულია, როტერდამის კონვენციის მე-3 დანართში კი შესული არ არის.
 - კონვენციის სამდივნოში მითითებული ოფიციალური სტრუქტურა, რომელიც პასუხისმგებელია კონვენციის ფარგლებში საქართველოში გამოგზავნილ შეტყობინებებზე პასუხს გაცემაზე, ლიკვიდირებულია. ახალი საკონტაქტო პირის დანიშვნა კი ჭიანჭურდება.
- არსებობს ხარვეზები საქართველოს მიერ სტოკჰოლმის კონვენციის მოთხოვნების შესრულებაში (იხ. სექცია 6.1.5). კერძოდ:
 - საქართველოს ჯერ არ წარუდგენია კონვენციის სამდივნოში კონვენციის განხორციელების ეროვნული გეგმა;
 - საქართველოში დღესდღეობით არ მოქმედებს ეფექტური ადმინისტრაციული მექანიზმი კონვენციით რეგულირებული ნივთიერებების გამოყენების აკრძალვის/შეზღუდვის უზრუნველსაყოფად;
- არ არის შემუშავებული და მიღებული პარიზის კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის (იხ. სექცია 6.1.3) აუცილებელი ეროვნული კანონმდებლობა.

ამ მდგომარეობათა გამოსასწორებლად *აუცილებელია:*

- ”შეზღუდულად ბრუნვადი მასალებს წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ” დებულების გადამუშავება იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს სხვადასხვა კონვენციათა ფრიად განსხვავებული მოთხოვნების შესრულების და პროცედურების დაცვის უზრუნველყოფა (შესაძლოა დაყოფა რამოდენიმე დებულებად).
- სტოკჰოლმის კონვენციის შესრულების ეროვნულ მოქმედებათა გეგმის დამტკიცება და სამდივნოში წარდგენა.
- როტერდამის კონვენციის ოფიციალურ საკონტაქტო პირად რომელიმე დღეს მოქმედი სტრუქტურის დანიშვნა და ამის შესახებ კონვენციის სამდივნოს სათანადოდ ინფორმირება.
- საჭიროა განისაზღვროს უწყება, რომელიც შეიმუშავებს პარიზის კონვენციის შესაბამის ეროვნულ კანონმდებლობას.

1.4 ქიმიურ ნივთიერებათა მართვისთვის საჭირო რესურსების ხელმისაწვდომობა

ეს სექცია წარმოადგენს ქვემოთ მე-4 თავში დეტალურად გარჩეული საკითხების მოკლე შეჯამებას. აქ აღწერილია მხოლოდ ძირითადი გამოვლენილი პრობლემები. მეტი დეტალებისთვის იხ. თავი 4.

ქიმიურ ნივთიერებათა მართვისთვის საჭირო ლაბორატორიული და საექსპერტო პოტენციალი საქართველოს საკმარისი აქვს. თუმცა გადაწყვეტილების მიმღებთათვის ქიმიურ ნივთიერებათა მართვისათვის საჭირო ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის.

კერძოდ, საქართველოში საერთოდ არ გროვდება ინფორმაცია:

- საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა წარმოების შესახებ;
- საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო მოხმარების შესახებ;
- სახიფათო ნარჩენების წარმოქმნის შესახებ;
- სახიფათო ნარჩენების განთავსების შესახებ;

შემდეგი ინფორმაცია კი არასათანადო ხარისხისაა:

- საშიშ ქიმიურ ნივთიერებების გამომყენებელ საწარმოთა რეესტრი;
- მონაცემები საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა იმპორტ-ექსპორტისა და ტრანზიტის შესახებ;
- მონაცემები საშიში (მავნე) ქიმიური ნივთიერებებით გარემოს და სურსათის დაბინძურების მდგომარეობის და ამ დაბინძურებათა ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედების შესახებ.

მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია:

- საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა წარმოებისა და მოხმარების, აგრეთვე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნისა და გაუვნებელოება/განთავსების შესახებ ინფორმაციის სახელმწიფოს მიერ მოგროვების ეფექტური, და ამავე დროს ბიზნესისთვის მისაღები საშუალებების შექმნა და დანერგვა.
- დადგინდეს საშიშ საწარმოთა რეესტრის წარმოების ისეთი ფორმა, რომელიც შესაძლებელს გახდის ამ ინფორმაციის ეფექტურ გამოყენებას (თითოეული

საწარმოსთვის მითითებული უნდა იყოს გამოყენებული საშიში ნივთიერება, მისი მოცულობა საწარმოში, ხარჯვის სიჩქარე, გამოყენების/შენახვის ტექნოლოგია);

- განხორციელდეს მეზაჟეთა კვალიფიკაციის ამაღლება და სათანადო პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვა რეგულირებადი საშიში ქიმიური ნივთიერებების იდენტიფიკაციისა და აღრიცხვის გაუმჯობესებისთვის; მოეწყოს სასაზღვრო ინფრასტრუქტურა ქიმიურად საშიში ტვირთების ინსპექტირებისათვის. ამასთან, საჭიროა საბაჟოების აღჭურვა შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით;
- გაუმჯობესდეს გარემოში, სურსათში და სასმელ წყალში მავნე ქიმიურ ნივთიერებათა შემცველობის და ამ გარემოებათა ადამიანთა ჯანმრთელობაზე ზემოქმედების მონიტორინგი.

1.5 დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველოში დაგროვილ ნარჩენებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი პრობლემების აღმოსაფხვრელად აუცილებელია გაგრძელდეს:

- ქიმიური ნივთიერებების დაგროვილი ნარჩენებით დაბინძურებული ტერიტორიების კონსერვაცია, დაცვა და აღდგენა;

გარდა ამისა, საჭიროა მდგომარეობის გაუმჯობესება ქიმიურ ნივთიერებათა მართვისთვის საჭირო რესურსების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. ამისთვის აუცილებელია:

- საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა წარმოებისა და მოხმარების, აგრეთვე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნისა და გაუვნებელოება/განთავსების შესახებ ინფორმაციის სახელმწიფოს მიერ მოგროვების ეფექტური, და ამავე დროს ბიზნესისთვის მისაღები საშუალებების შექმნა და დანერგვა.
- მეზაჟეთა კვალიფიკაციის ამაღლება და სათანადო პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვა რეგულირებადი საშიში ქიმიური ნივთიერებების იდენტიფიკაციისა და აღრიცხვის გაუმჯობესებისთვის; მოეწყოს საბაჟო გამშვები პუნქტების/საგაუმჯობესების მიმდებარე ტერიტორიებზე ქიმიური საშიში ტვირთების ინსპექტირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა და მოხდეს საბაჟოების აღჭურვა შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით;
- გარემოში, სურსათში და სასმელ წყალში მავნე ქიმიურ ნივთიერებათა შემცველობის და ამ გარემოებათა ადამიანთა ჯანმრთელობაზე ზემოქმედების მონიტორინგის გაუმჯობესება.

დამატებით აუცილებელია ქიმიურ ნივთიერებათა მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის გაუმჯობესება. კერძოდ:

- "შეზღუდულად ბრუნვადი მასალების" მარეგულირებელი ნორმატიული აქტის დახვეწა⁹ და ამოქმედება;
- კანონმდებლობაში საშიში ქიმიური ნივთიერებების ერთიანი განმარტება (ევროკავშირის REACH რეგულაციის განმარტების საფუძველზე), და მათი კლასიფიკაციისა და ნიშანდების საკითხების უნიფიცირება;

⁹ იგულისხმება განსხვავებული რეჟიმის მქონე ნივთიერებებისა და მასალებისთვის განსხვავებული ვადების და პირობების დაწესება. იხ. 6.3.3

- საერთაშორისო ჰარმონიზებული სასაქონლო ნომენკლატურის 2007 წლის ვერსიის დანერგვა;
- სტოკჰოლმის კონვენციის განხორციელების ეროვნული გეგმის დამტკიცება;
- სტოკჰოლმის კონვენციით რეგულირებად ნივთიერებთა (იხ. ცხრილი 32) წარმოებისა და მოხმარების აკრძალვის/აღკვეთის უზრუნველსაყოფი ნორმატიული ბაზის შემუშავება და ამოქმედება.
- როტერდამის კონვენციის ეროვნულ პასუხისმგებელ პირად დღეს მოქმედი საჯარო სტრუქტურის დანიშვნა.
- პარიზის კონვენციის მოთხოვნების შესრულებისათვის აუცილებელი ნორმატიული აქტების მიღება.
- სახიფათო ტვირთების ნიშანდების გაეროს ოთხნიშნა კოდების სისტემის განმარტების ქართულენოვანი აქტის მიღება.
- ქიმიური ავარიების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის სრულყოფა, კერძოდ:
 - დადგინდეს საშიშ საწარმოთა რეესტრის წარმოების ეფექტური ფორმა;
 - შემუშავდეს:
 - უსაფრთხოების წესები საქართველოში არსებული ყველა ტიპის საშიშ საწარმოსთვის;
 - უსაფრთხოების შიდასაწარმოო კონტროლის წესები (სასურველია საწარმოო უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვის გზით);
 - უსაფრთხოების დეკლარაციის ფორმა, შინაარსი, შედგენისა და წარდგენის წესები;
 - საშიშ საწარმოთა მიერ ავარიების ან საგანგებო სიტუაციების დროს მოქმედებების გეგმების შედგენის ინსტრუქცია და წესები;
 - დაეკისროს რომელიმე საჯარო უწყებას:
 - საშიშ საწარმოთა ავარიებისთვის/საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნის კონტროლი;
 - ავარიებზე/საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების კონკრეტული, ტერიტორიული გეგმების მომზადება, სადაც კონკრეტული სახიფათო საწარმოების ურთიერთგანთავსება და შესაძლო კუმულაციური ეფექტი, აგრეთვე ავარიებზე რეაგირების ამ საწარმოებში არსებული და დამატებით საჭირო რესურსები იქნება გათვალისწინებული.
- სამუშაო ადგილებზე ქიმიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამისთვის:
 - რომელიმე უწყებისთვის სამუშაო ადგილებზე დადგენილი ჰიგიენური ნორმების დაცვის მდგომარეობის კონტროლის უფლებამოსილების მინიჭება;
 - შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შემდეგი კონვენციების რატიფიცირება:
 - 1977 წლის კონვენცია #148 სამუშაო გარემოს შესახებ;
 - 1981 წლის კონვენცია #155 სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ;
 - 1947 წლის კონვენცია #81 სამუშაო ადგილის ინსპექტირების შესახებ;
 - 1969 წლის კონვენცია # 129 სოფლის მეურნეობაში სამუშაო ადგილის ინსპექტირების შესახებ;
 - 1990 წლის კონვენცია #170 ქიმიკატების შესახებ;

- 2001 წლის კონვენცია #184 სასოფლო სამეურნეო სამუშაოებისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პესტიციდების მართვის სფეროში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის აუცილებლობა. კერძოდ, საჭიროა:

- შემუშავდეს არარეგისტრირებული პესტიციდების იმპორტის, დისტრიბუციის და გამოყენების აღკვეთის ქმედითი მექანიზმები;
- ამოქმედდეს მიმოქცევაში გაშვებული პესტიციდების ხარისხის, შეფუთვის, ნიშანდების მკაცრი კონტროლი;
- დაწესდეს მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები პესტიციდების დისტრიბუტორებისთვის;
- განხორციელდეს პესტიციდების უსაფრთხო გამოყენების ნორმებსა და წესებთან დაკავშირებით ფერმერთა ინფორმირებისა და სწავლების ფართომასშტაბიანი კომპანია;
- დაწესდეს რეგულარული მონიტორინგი პესტიციდების გამოყენების ნორმების დაცვის შესამოწმებლად;
- გაფართოვდეს და რეგულარულად ხორციელდებოდეს სურსათში პესტიციდების ნაშთების მონიტორინგი ან კონტროლი;
- რეგულარულად ხორციელდებოდეს პესტიციდებით გარემოს დაბინძურების მონიტორინგი;
- უზრუნველყოფილი იქნას პესტიციდებით ფერმერთა და სურსათის მომხმარებელთა მოწამვლის ყოველი შემთხვევის გამოკვლევა და შესაბამისი სტატისტიკის წარმოება.

გარდა ამისა, სხვა საშიში ქიმიური ნივთიერებებით გარემოს დაბინძურების აღკვეთისათვის **სასურველია** აგრეთვე დროულად მოწესრიგდეს შემდეგი მოთხოვნების დაცვის კონტროლი:

- გარემოზე ზემოქმედების ნებართვების პირობები,
- გარემოსდაცვითი რეგლამენტები,
- ავტომობილების გაფრქვევების ნორმები,
- საწვავის ხარისხისა და შემადგენლობის ნორმები.

თავი 2. საქართველოში დღესდღეობით არსებული საშიში ქიმიური ნივთიერებები

2.1 საშიში ქიმიური ნივთიერებების წარმოება, იმპორტი და ექსპორტი

2.1.1 პესტიციდები

საქართველოში პესტიციდების არც წარმოება და არც გადამუშავება/დაფასოება არ ხორციელდება. პესტიციდები საქართველოში მზა პრეპარატული ფორმების სახით შემოდის.

ამ სექციაში მოყვანილია ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო პესტიციდების იმპორტ-ექსპორტის შესახებ. კომუნალურ მეურნეობაში გამოსაყენებელ პესტიციდების იმპორტის მოცულობები ასახულია 2.1.3 სექციაში მოყვანილ მონაცემებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბაჟოებში იმპორტირებული სასოფლო-სამეურნეო და კომუნალური მოხმარების პესტიციდების აღრიცხვა გართულებულია, რაც ქიმიკატების იდენტიფიკაციის პრობლემებთანაა დაკავშირებული და სათანადო ხარისხის კონსოლიდებული ინფორმაციის არსებობის საშუალებას არ იძლევა (იხ. სექცია 4.1).

ცხრილი 5. 2006 წელს იმპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პესტიციდების რაოდენობა¹⁰ სახეობების მიხედვით

პესტიციდის სახე	რაოდენობა (ტონა)	პროცენტი საერთოდან
ინსექტიციდი	144	14.28%
ინსექტაკარაციდი	0,853	0.08%
აკარაციდი	3	0.30%
ნემატოციდები	0,305	0.03%
როდენტიციდები	22	2.18%
ფუნგიციდები (ძირითადად სპილენძმემცველი)	729	72.31%
ჰერბიციდი	109	10.81%
პესტიციდები სულ	1008,2	
მცენარეთა ზრდის რეგულატორები	0,034	

მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური საშუალებების იმპორტი ამჟამად შეწყვეტილია¹¹.

პესტიციდების იმპორტის დინამიკა წინა წლებში ასე გამოიყურება:

ცხრილი 6. სასოფლო-სამეურნეო პესტიციდების იმპორტი საქართველოში წლების მიხედვით

წელი	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
ტონა	1660	1890	940	450	1727	2083	1795	3756	1008	802

ყოველწლიურად იმპორტირებული პესტიციდების მოცულობის ნახევარზე მეტს სპილენძმემცველი ფუნგიციდები შეადგენდა.

¹⁰ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით

¹¹ მცენარეთა დაცვის ბიოლოგიურ საშუალებებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახური იყენებს განსაკუთრებით საშიში მავნებლების სალიკვიდაციო ღონისძიებებში (მაგალითად ამერიკული თეთრი პეპელას წინააღმდეგ)

პესტიციდების ექსპორტი და რეექსპორტი საქართველოდან უმნიშვნელო რაოდენობით ხორციელდება. 2006 წლის მონაცემებით სომხეთში ექსპორტირებული იქნა 20 ტონა პესტიციდი და რეექსპორტის რეჟიმით გავიდა 30 ტონა ფუნგიციდი, ინსექტიციდი და ჰერბიციდი.

ცხრილი 7. სასოფლო-სამეურნეო პესტიციდების წარმოება, იმპორტ-ექსპორტი და მოხმარება 2006 წელს (ფიზიკურ ტონებში)

მოხმარება	წარმოება	იმპორტი	ექსპორტი	რეექსპორტი
1800	ar iwarmoeba	1008.2	20	30

2.1.2 სასუქები

მინერალური სასუქებიდან აზოტიანი სასუქით ქვეყანა მარაგდება რუსთავის ს.ს. "ენერჯი ინვესტი"-ს საწარმოს მიერ, რომელიც უშვებს ამონიუმის გვარჯილას¹². ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქებით ქვეყანა მარაგდება იმპორტის ხარჯზე.

ცხრილი 8. სასუქების წარმოება, იმპორტ-ექსპორტი და მოხმარება 2006 წელს (ფიზიკურ ტონებში)

მოხმარება	წარმოება	იმპორტი	ექსპორტი
59427	295000	5227	240800

ცხრილი 9. სასუქების იმპორტი საქართველოში წლების მიხედვით (მოქმედ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით)

წელი	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
ტონა	1500	1800	1800	2100	2200	2600	3500	3800	2500	6900

2006 წელს ძირითადად შემოტანილი იყო: ამოფოსი, დიამოფოსკა, ნიტროამოფოსი, ნიტროფოსკა, კრისტალონი, ნიტრაბორი. ეს სასუქები წარმოდგენილია რთული კომპლექსური სასუქების ფორმით, რომლებიც ახალი თაობის მაღალპროცენტული ეფექტური სასუქებია და მათი გამოყენების საჰექტარო ნორმა გაცილებით დაბალია, ვიდრე მარტივი სასუქებისა, რომელთა შემოტანა და გამოყენება ხდებოდა ადრეულ წლებში.

2.1.3 დეზინფექციის, დეზინსექციის და დერატიზაციის საშუალებები

საქართველოში რეგისტრირებული 122 სადეზინფექციო საშუალებიდან 10 საქართველოში იწარმოება, დანარჩენი კი იმპორტით შემოდის. საქართველოში იწარმოება რეგისტრირებული 15 სადეზინსექციო საშუალებიდან – ერთი. რაც შეეხება სადერატიზაციო საშუალებებს, საქართველოში რეგისტრირებულია 8 სახის ასეთი საშუალება და ყველა მათგანი იმპორტულია.

ცხრილი 10. დეზინფექციის, დეზინსექციის და დერატიზაციის საშუალებების წარმოება საქართველოში 2006 წელს

ქიმიური ნივთიერების სახე	წლიური წარმოება, ტ
სადეზინფექციო ხსნარი	340
საყოფაცხოვრებო მწერების და მღრღნელების საწინააღმდეგო საშუალებები	3.9

¹² იგივე – ამონიუმის ნიტრატ

2.1.4 სხვა ქიმიური ნივთიერებები

ცხრილი 11. სხვა ქიმიური ნივთიერებების იმპორტი საქართველოში 2006 წელს

სასაქონლო ჯგუფის კოდი	სასაქონლო ჯგუფის დასახელება	შემოტანილი საქონელის აღწერა	შემოტანილი საქონლის საერთო მასა, ტ
2707	ქვანახშირის ზეთები და მარალტემპერატურული გამოხდის სხვა პროდუქტები	ნაფტალინი, ქსილოლი, ტოლოლი, ქვანახშირის ზეთი	380.03
2708	სქელფისი	ელექტროდის ქვანახშირის პეკი თხევადი	234.65
2710	ბიტუმიანი ქანებისგან მიღებული ნავთობპროდუქტები	ბენზინები, დიზელის საწვავი, საავიაციო ნავთი, მაზუთი, საავტომობილო, სატრანსფორმატორო და საპოხი ზეთები	716 174.46
2712	ვაზელინები და პარაფინები	პარაფინი, დამცავი ცვილი, ნავთობის ვაზელინი, პარაპლასტი	652.36
2713	ბიტუმი	საგზაო ბიტუმი	64 484.14
2714	ასფალტი	ჭაბურღილის რეაგენტი	27.75
2715	ბიტუმიანი და ასფალტოვანი ნარევები	ბიტუმიანი მასტიკა	774.88
2801	ქლორი	თხევადი ქლორი კონტეინერებში	675.13
2802	გოგირდი	გოგირდი	0.09
2803	ნახშირბადი	აცეტილენის მური	6.93
2804	სხვა არალითონები	თხევადი აზოტი, ფეროსილიციუმი, არგონი, სამაცივრე აირები, წყალბადი	695.54
2806	მარილმჟავა	მარილმჟავა	322.42
2807	გოგირდმჟავა	გოგირდმჟავა	2 320.52
2808	აზოტმჟავა	აზოტმჟავა	12.02
2809	ფოსფორმჟავა	ორთოფოსფორმჟავა	57.33
2810	ბორის მჟავა	ადიპინის მჟავა და ბორის მჟავა	3.15
2811	სხვა არაორგანული მჟავები	სილიციუმის დიოქსიდი	34.82
2812	არალითონების ჰალოგენიდები	ნატრიუმის ჰიპოქლორიდი	48.96
2814	ამიაკი	ამიაკი	1 393.49
2815	ნატრიუმის ჰიდროქსიდი	კაუსტიკური სოდა, ნატრიუმის ჰიდროქსიდი, მწვავე კალიუმი მყარი სახით	6 112.86
2817	თუთიის ოქსიდი	თუთიის ოქსიდი	3.43
2818	ხელოვნური კორუნდი	ხელოვნური კორუნდი	10.81
2819	ქრომის ოქსიდები	ქრომის ოქსიდები	55.65
2820	მანგანუმის ოქსიდები	მანგანუმის დიოქსიდი	3.01
2821	რკინის ოქსიდები	რკინის ოქსიდი	34.62
2822	კობალტის ოქსიდები	კობალტის ოქსიდები	0.05
2823	ტიტანის ოქსიდები	ტიტანის ოქსიდი	33.33
2824	ტყვიის ოქსიდები	ტყვიის სურინჯი	1.49
2826	ფტორიდები	ამონიუმის ფტორიდი, ბორის სამფტორიდი	0.54
2827	ქლორიდები	კალციუმის ქლორიდი, კალიუმის ქლორიდი, ალუმინის ჰიდროქლორიდი, ამონიუმის ქლორიდი	386.49
2828	ჰიპოქლორიტები	ჰიპოქლორიტები, ქლორი	59.35

2829	ქლორატები და პერქლორატები	ნატრიუმის პერქლორატი, ნატრიუმის ქლორიდი	10.20
2830	სულფიდები	ნატრიუმის სულფატი, ამონიუმის სულფიდი	39.28
2832	სულფიტები	ნატრიუმის სულფიტი	7.42
2833	სულფატები	ნატრიუმის სულფატი, ალუმინის სულფატი, სპილენძის სულფატი (შაბიამანი), ქრომის სულფატი, მაგნიუმის სულფატი, შაბები	1 360.05
2834	ნიტრიტები, ნიტრატები	ნატრიუმის ნიტრატი	18.91
2835	ფოსფატები	კალციუმის ფოსფატი, ნატრიუმის ფოსფატი	99.12
2836	კარბონატები	კალცინირებული სოდა (დინატრიკარბონატი), სოდა (ნატრიუმის ბიკარბონატი), კალციუმის კარბონატი	11 011.78
2837	ციანიდები	ნატრიუმის ნიტროპრუსიდი	0.03
2838	ციანატები	ნატრიუმის თიოციანიტი	1.21
2839	სილიკატები	თხევადი მინა, კალიუმის სილიკატი, სუპრასილი	67.75
2841	ოქსოლითონური მჟავების მარილები	კალიუმის პერმანგანატი, კალიუმის ქრომატი	0.58
2842	სხვა არაორგანული მჟავების მარილები	სხვა არაორგანული მჟავების მარილები	6.26
2847	წყალბადის ზეჟანგი	წყალბადის ზეჟანგი	14.47
2849	კარბიდები	კარბიდები	1 145.18
2901	აციკლური ნახშირწყალბადები	იზობუთილენი, ჰექსანი	1 395.35
2902	ციკლური ნახშირწყალბადები	ქსილოლი, ტოლუოლი, ბენზოლი, სტიროლი, ნაფტალინი	1.18
2903	ჰალოგენირებული ნახშირწყალბადები	დიქლორეთანი ¹³ , ფრენები, ხლადონები, სხვა მაცივარაგენტები, ქლოროფორმი	77.01
2904	სულფინირებული ნახშირწყალბადები	ტოლუენ გოგირდმჟავა	0.30
2905	სპირტები აციკლური	პროპილენგლიკოლი, იზოპროპილის სპირტი, გლიცერინი, ეთილენგლიკოლი	127.14
2906	სპირტები ციკლური	ბენზოლის სპირტი, ქაფური	0.08
2907	ფენოლები	ნონილფენოლი, ბენზენეტრიოლი, ფენოლი	19.01
2909	ეთერები	დიიზოპროპილის ეთერი, ფლოტორეაგენტი, ანისოლი	252.97
2910	ეპოქსიდები	ეპოქსიდის სითხე	0.04
2911	აცეტალები	აცეტალდეჰიდი	0.05
2912	ალდეჰიდები	ფორმალინი, ვანილინი	52.72
2914	კეტონები	აცეტონი, ბუტანონი, კეტონი, ბენზოქინონი, კამფორა	30.87
2915	ნაჯერი აციკლური მჟავები და მათი მარილები	მმარმჟავა, ჰიანჰველამჟავა, ნატრიუმის და ტყვიის აცეტატები, ეთილ-, ვინილ-, ბუთილ-, მეთილაცეტატები, სტეარინის მჟავა, კაპრილის მჟავა, კალციუმის პროპიონატი	215.12

¹³ დაფიქსირებულია 28,9 ტონა დიქლორეთენის იმპორტი. საგულისხმოა, რომ საქართველოში ამ ნივთიერების იმპორტ-ექსპორტი, წარმოება და გამოყენება აკრძალულია, იხ. ცხრილი 39

2916	უჯერი აციკლური მჟავები და მათი ნაერთები	ბენზოის მჟავა, სორბინმჟავა, აკრილმჟავას ეთერები	14.02
2917	პოლიკარბინმჟავები და მათი ანჰიდრიდები	დიოქტილფტალატი, კალიუმის ფტალატი	3.53
2918	დამატებითი ჟანგბადჯგუფის შემცველი მჟავები	ლიმონმჟავა, რმის მჟავა, ღვინის მჟავა, აცეტილსალიცილის მჟავა, სალიცილის მჟავა	167.52
2921	ნაერთები ამინის ჯგუფთან	ციკლომატი, იზოპროპილალკოლი	11.81
2922	ამინონაერთები ჟანგბადშემცველი ჯგუფით	მონოეთანოლამინი, ტრიეთანოლამინი, ლიზინი, კალიუმგლუკონატი, ამინონაფტოლი	39.81
2923	ამონიუმის მეოთხეული მარილები	ლევციტინი, ქოლინი	16.88
2930	გოგირდორგანული ნაერთები	დითიოკარბამატი, მეთიონინი, დითიზონი	40.98
2931	ორგანულ-არაორგანული ნაერთები დანარჩენი	ტრიმეთილსილიტრიფლუოროაცეტატი	15.28
2932	ჰეტეროციკლური ნაერთები	მეთილფურანი	4.99
3201	სათრიმლავი ნივთიერებები	სათრიმლავი ექსტრაქტი	4.84
3202	სათრიმლავი ნივთიერებები	ტანინი	1.93
3203	მცენარეული და ცხოველური საღებავები	მცენარეული და ცხოველური საღებავები	26.15
3204	ორგანული საღებავები	საღებავები და პიგმენტები	84.86
3205	ფერადი ლაქები	კარტრიჯის მელანი	15.83
3206	პიგმენტები	საღებავის პიგმენტები	243.50
3207	პიგმენტები	საღებავის პიგმენტები	30.16
3208	საღებავები და ლაქები	ზეთოვანი საღებავები და ლაქები, საღებავის გამხსნელები	4 267.45
3209	საღებავები და ლაქები	საღებავები და ლაქები	4 489.74
3210	საღებავები და ლაქები	საღებავები და ლაქები	2 637.93
3211	მზა სიკატივები	მზა სიკატივები	7.37
3212	პიგმენტები	პიგმენტები	59.80
3213	სამხატვრო საღებავები	სამხატვრო საღებავები	14.32
3214	საგოზავები	ფისოვანი ცემენტი. საგრუნტავი	9,459.52
3215	სასტამბო საღებავები	სასტამბო საღებავები	145.82
3301	ეთერზეთები	ეთერზეთები, არომატიზატორები	1.59
3302	სურნელოვანი ნივთიერებები	არომატიზატორები, სასმელების კონცენტრატები	482.28
3305	თმის საშუალებები	შამპუნები, ბალზამები, ლაქები	3 489.65
3401	საპონი	საპნები	4 622.30
3402	სხვა ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები	სარეცხი ფხვნილები, მათეთრებლები, საწმენდი საშუალებები	17 080.39
3403	საპოხი მასალები	საპოხი მასალები და ზეთები	383.08
3405	ვაქსები, საცხები, პოლიროლები	ქვის საპრიალებელი პასტა, ტორპედოს გასაწმენდი, მარების პოლიტურები, ავეჯის პოლიროლები, ფეხსაცმლის ვაქსები	814.35
3801	ხელოვნური გრაფიტი	ელექტროდის მასა, ელექტროდის პასტა	803.11
3802	გააქტიურებული ნახშირი	კატსანი, გააქტიურებული ნახშირი	177.99
3804	თუთქი	შემკვრელი	16.60
3805	სკიპიდარი	სკიპიდარი	0.01

3806	კანიფოლი	კანიფოლი	0.50
3809	ღებვის დამაჩქარებლები	ტყავის დასამუშავებელი ნივთიერება, საფეიქრო ნაწარმის დასამუშავებელი ნივთიერება, დიქლოფოსი	87.69
3810	ლითონის ზედაპირის ამოსაჭმელი პრეპარატები, ფლუსები	ლითონის ზედაპირის ამოსაჭმელი პრეპარატები, ფლუსები	19.31
3811	ანტიდეტონატორები	ანტიდეტონატორები, მისართი	251.64
3812	კაუჩუკის პლასტიფიკატორები	ანტიოქსიდანტი, პლასტმასის სტაბილიზატორი, კაუჩუკი	29.79
3813	ცეცხლსაქრობი შემადგენლობები	ცეცხლსაქრობი კონცენტრატი	2.08
3814	ორგანული გამხსნელები	ორგანული გამხსნელები	268.24
3815	კატალიზატორები	კატალიზატორები	57.90
3817	ალკილბენზოლი	ალკილბენზოლი	19.12
3819	სამუხრუჭე სითხეები	სამუხრუჭე სითხეები	398.78
3820	ანტიფრიზები	ანტიფრიზები	692.72
3823	სამრეწველო ცხიმოვანები	სამრეწველო ცხიმოვანები	60.56
3824	მზა შემკვერელი ნივთიერებები	კარაქის ემულგატორი, კარბურატორის საწმენდი საშუალება, გამხსნელი, იონიტი, ნესტის შთანმთქმელი	819.84

ცხრილი 12. სამრეწველო ქიმიური ნივთიერებების წარმოება საქართველოში 2006 წ.

ქიმიური ნივთიერების სახე	წლიური წარმოება, ტ
სპილენძის კონცენტრატი	48677
მანგანუმის მადანი	328643
ამიაკი	1120
ამონიუმის გვარჯილა	370829
ამონიუმის სულფატი	2989
ნატრიუმის ციანიდი	3174.3
აზოტმჟავა	233,3
ფერომანგანუმი	5130
სილიკონმანგანუმი	116945
ნედლი ნავთობი	63500
ბუნებრივი აირი	15000
ასფალტბეტონი	197207

ცხრილი 13. სარეცხი საშუალებების (დეტერგენტების), საღებავების, გამხსნელების წარმოება საქართველოში 2006 წელს

ქიმიური ნივთიერების სახე	წლიური წარმოება, ტ
საღებავები და ლაქები	597.5
საპონი	6.9
სარეცხი საშუალებები	622.6
საწმენდი პასტები და ფხვნილები	43

2.2 საშიში ქიმიური ნივთიერებების მოხმარება

2.2.1 სასუქები

2006 წელს საქართველოში სასუქების მოხმარებამ 59427 ტონა შეადგინა, აქედან აზოტიანი სასუქის – 54820 ტონა. ეს რაოდენობა 80-იანი წლების საშუალო წლიურ მოხმარებაზე 4-5-ჯერ ნაკლებია¹⁴.

ცხრილი 14. სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიები, რომელზეც 2006 წელს შეტანილი იქნა მინერალური სასუქები

ფართობი	სახნავი მიწები		მრავალწლიანი ნარგავები	
	ათასი ჰა	% საერთოდან	ათასი ჰა	% საერთოდან
სულ ქვეყანაში	700	100%	150	100%
სასუქები შეტანილია	165.2	24%	33.4	22%

2.2.2 პესტიციდები

80-იან წლებთან შედარებით პესტიციდების მოხმარება საქართველოში 10-ჯერ და მეტჯერ შემცირებულია¹⁵. ეს გამოწვეულია როგორც მომხმარებელთა დაბალი მოთხოვნით ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ასევე იმით, რომ ახალი თაობის პესტიციდები საკმაოდ ძლიერი და ეფექტურია და გამოიყენება ბევრად უფრო დაბალი ხარჯვის ნორმით. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოში აღარ გამოიყენება ეკოლოგიურად ისეთი საშიში პესტიციდები, როგორიცაა ქლორორგანული, კერცხლისწყლის შემცველი პესტიციდები, ტრიაზოლის ჯგუფის ჰერბიციდები, მკვეთრად შემცირებულია ფოსფორორგანული ინსექტიციდების გამოყენება.

ცხრილი 15. სასოფლო-სამეურნეო პესტიციდების მოხმარება 2006 წელს

პესტიციდის სახე	ტონა	% საერთოდან
გამოყენებული პესტიციდები სულ	1800 ¹⁶	100%
მათ შორის:		
ფუნგიციდები	1044	58%
ინსექტოკარიციდები	630	35%
ჰერბიციდები	90	5%
თესლის შესაწამლი პრეპარატები	36	2%

ცხრილი 16. 2006 წ. პესტიციდებით დამუშავებული სასოფლო-სამეურნეო მიწები

¹⁴ 80-იან წლებში სასუქების საშუალო წლიური მოხმარება 200-250 ათას ტონას შეადგენდა

¹⁵ 80-იან წლებში საქართველო საბჭოთა კავშირის ნაწილი იყო და ისევე როგორც მთელს საბჭოთა კავშირში, სასოფლო-სამეურნეო კულტურების პესტიციდებით დამუშავება გეგმიურად მიმდინარეობდა. ამისათვის საქართველოში წელიწადში საშუალოდ 37 ათასი ტონა პესტიციდი შემოდიოდა.

¹⁶ ეს ციფრი განსხვავდება 2006 წელს იმპორტირებული პესტიციდების რაოდენობისგან. განსხვავება აიხსნება 2005 წლის არახელსაყრელი კლიმატური პირობებით, რის გამოც მიწათმოსარგებლებმა სრულად ვერ გამოიყენეს 2005 წელს იმპორტირებული პესტიციდები და ამ წლის ნაშთი გამოყენებული იქნა 2006 წელს

ფართობი	სახნავი მიწები		მრავალწლიანი ნარგავები	
	ათასი ჰა	% საერთოდან	ათასი ჰა	% საერთოდან
სულ ქვეყანაში	700	100%	150	100%
დამუშავებული სულ	52.3	7%	84.7	56%
მაშ შორის:				
ფუნგიციდებით	8.2	1%	73.5	49%
ინსექტიციდებით	14.1	2%	9.6	6%
ჰერბიციდებით, როდენტიციდებით, ფუმიგანტებით და თესლის შესაწამლი ფუნგიციდებით	30	4%	1.6	1%

ცხრილი 17. 2006 წელს პესტიციდებით დამუშავებული სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიები რეგიონების მიხედვით

ფართობი	სახნავი მიწები		მრავალწლიანი ნარგავები	
	ათასი ჰა	% საერთოდან	ათასი ჰა	% საერთოდან
დამუშავებული სულ	52.3	100%	84.7	100%
მაშ შორის:				
იმერეთში	3.1	6%	12.1	14%
შიდა ქართლში	3.3	6%	10.6	13%
კახეთში	21	40%	53.3	63%
აჭარაში	2.8	5%	8.8	10%
ქვემო ქართლში	12.4	24%		
სამცხე-ჯავახეთში	8.8	17%		
სხვა რეგიონებში	4.4	8%		

2.2.3 სამრეწველო ქიმიკატები

ცხრილში შეჯამებულია მონაცემები საქართველოს საგანგებო სიტუაციათა დეპარტამენტის მიერ აღრიცხული, მოქმედ საწარმოთა განკარგულებაში არსებული სამრეწველო ქიმიკატების შესახებ.

ცხრილი 18. საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა გამოყენება საშიშ საწარმო ობიექტებში¹⁷

ნივთიერება	ნივთიერების ჯამური რაოდენობა
თხევადი ამიაკი	251,27 ტ
გოგირდოვანი ანჰიდრიდი	20,9 ტ
თხევადი ქლორი	119,77 ტ
დიქლორეთანი ¹⁸	10 ტ
ციანმჟავა	1 ტ
კაუსტიკური სოდა	0,1 ტ

¹⁷ საქართველოს საგანგებო სიტუაციათა დეპარტამენტის 2008 წლის მონაცემების მიხედვით

¹⁸ საგულისხმოა, რომ საქართველოში ამ ნივთიერების იმპორტ-ექსპორტი, წარმოება და გამოყენება აკრძალულია, იხ. ცხრილი 39

გოგირდმჟავა	0,771 ტ
თუთია	0,012 ტ
ზოოკუმარინი	0,012 ტ
რატინდანი	0,04 ტ
ქლოროფორმი	0,005 ტ

2.3 ქიმიური ავარიები

საქართველოს საგანგებო სიტუაციათა დეპარტამენტის მიერ წელიწადში 1-3 ქიმიური სამრეწველო ავარია აღირიცხება. ძირითადად ისინი მდგომარეობს ნავთობის ან ნავთობპროდუქტების დაღვრაში ან თხევადი ამიაკის გაჟონვაში. ამ უკანასკნელს რამოდენიმეჯერ მოჰყვა მსხვერპლი.

2.4 ქიმიური ნივთიერებების ნარჩენები

2.4.1 ნარჩენების წარმოქმნა

ზუსტი ინფორმაცია ქვეყანაში ქიმიური ნივთიერებების ნარჩენების/ნაშთების წარმოქმნის მოცულობის შესახებ არ არსებობს. პესტიციდების იმპორტიორთა ინფორმაციით, რომელსაც ისინი ყოველწლიურად სოფლის მეურნეობის სამინისტროს აწვდიან, ეკონომიის თვალსაზრისიდან გამომდინარე ნივთიერებების მფლობელები მაქსიმალურად ცდილობენ მათ გამოყენებას და ყოველი შემდეგი წლის იმპორტის მოცულობა წინა წლის გამოყენებული ნაშთების გათვალისწინებით რეგულირდება. შედეგად პესტიციდების ნარჩენები მნიშვნელოვანი რაოდენობით არ წარმოიქმნება.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ რეგულარულად ხორციელდება პესტიციდების და აგროქიმიკატების არსებული საწყობების მონიტორინგი. თუმცა ამ ნივთიერებების ნაშთების გამოვლენა და ინვენტარიზაცია საწყობებში არ ხორციელდება.

სამრეწველო საწარმოების მიერ წარმოქმნილი ნარჩენების სახელმწიფო აღრიცხვა საქართველოში არ წარმოებს. ქვემოთ ჩამოთვლილია არსებული ინფორმაცია მსხვილ სამრეწველო საწარმოთა ნარჩენების შესახებ:

- რუსთავის ქიმიური კომბინატი "აზოტი"-ს ეკოლოგიური სამსახურის ინფორმაციით საწარმო დღესდღეობით მხოლოდ ორი სახის ნარჩენს წარმოქმნის:
 - გამოუდგარი ცელოფნის ნაწარმს, რომელიც იფქვება და ხელახლა, ადგილზევე გამოიყენება ცელოფნის წარმოებისთვის;
 - გოგირდმჟავური გაწმენდის ნარჩენებს, რომელიც მარტივ გადამუშავებას გადის, გარდაიქმნება სულფატებში და გამოიყენება ადგილზე სხვა ქიმიური პროდუქციის მისაღებად.

გარდა ამისა, კომბინატში არსებობს დაგროვილი ნარჩენი – მანგანუმშემცველი შლამები, რომელიც ელექტროლიტური მანგანუმის ოქსიდის ყოფილი წარმოების შედეგად დაგროვდა. საწარმო მათ იყენებს შემავსებელ მასალად სამშენებლო საქმეში, ასევე პრემიქსებად სოფლის მეურნეობაში.

- საწარმო "მადნეულის" სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი მოიცავს სპილენძის მადნის გამამდიდრებელ ფაბრიკასა და კარიერს და საწარმო "კვარციტს". სამივე ობიექტს გააჩნია მძიმე მეტალებით და სხვა ტოქსიკური ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურებული წყლები, მაგრამ საწარმოები ირწმუნებიან, რომ საიმედოდ წმენდენ მათ. წარმოქმნილი შლამები გროვდება სალექარ ორმოებში და შემდგომ იმარხება საწარმოების ტერიტორიაზე.

2.4.2 დაგროვილი ნარჩენები

2.4.2.1 დაგროვილი სამრეწველო ნარჩენები

საქართველოში 2003 წელს ჩატარდა დაგროვილი სამრეწველო ნარჩენების ინვენტარიზაცია. გამოვლინდა 908 ათასი ტონა დაგროვილი სახიფათო სამრეწველო ნარჩენი. ძირითადად ეს ნავთობპროდუქტების წარმოებისა და მოხმარების და ქიმიური წარმოებისა და გადამუშავების ნარჩენებია. თუმცა ფრიად შემაშფოთებელია რაჭის და სვანეთის სოფლებში, ცანასა და ურავში, საბჭოთა პერიოდში განთავსებული დარიშხანის კონცენტრატის¹⁹ დამამზადებელი საწარმოების ტერიტორიაზე დაგროვილი 100 ათასამდე ტონა დარიშხანის შემცველი ნარჩენი (დარიშხანის შემცველობა 4%-დან 9%-მდე)²⁰.

ცხრილი 19. დაგროვილი სახიფათო სამრეწველო ნარჩენების განაწილება რეგიონების მიხედვით

რეგიონი	დაგროვილი ნარჩენების რაოდენობა, ტ
აჭარის ა.რ.	22 520
სამეგრელო-ზემო სვანეთი	4 520
იმერეთი	768 010
რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი	100 000
ქვემო ქართლი	13 040
თბილისი	660
სულ	908 740

2005-2006 წლებში საქართველოში აგრეთვე ჩატარდა პოლიქლორირებული ბიფენილების (PCB) ინვენტარიზაცია. იდენტიფიცირებული იქნა პოლიქლორირებული ბიფენილების შემცველი ზეთების ნარჩენები 15757 მოქმედ და 1542 უმოქმედო ტრანსპოფრმატორში, 5459 კონდენსატორში და 3200 ძაბვის ამომრთველში.

2.4.2.2 პესტიციდების და აგროქიმიკატების დაგროვილი ნარჩენები

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ყოფილი „სოფლქიმიის“, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ამორტიზირებულ საწყობებში განთავსებულია საბჭოთა პერიოდიდან დაგროვილი ვადაგასული და ხმარებისათვის უვარგისი პესტიციდები. საწყობების უმეტესი ნაწილი დანგრეულია. ზოგიერთის დაშლა სამშენებლო მასალად ადგილობრივი მმოსახლეობის მიერ დღესაც მიმდინარეობს. პესტიციდები ღია ცის ქვეშ ყრია და ატმოსფერული ნალექების მოქმედებით ხვდება ნიადაგში, გრუნტისა და ზედაპირულ წყლებში.

აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის მიზნით სტოკჰოლმის კონვენციის ფარგლებში საქართველოში 2003 წელს განხორციელდა პროგრამა “მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ სტოკჰოლმის კონვენციის შესრულების ეროვნული სამოქმედო გეგმის მომზადება.” პროგრამა დაფინანსდა გლობალური ეკოლოგიური ფონდიდან (GEF) და განხორციელდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) ერთად. ამ პროექტის ფარგლებში 2003-2004 წლებში განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების,

¹⁹ აქ წარმოებული დარიშხანის კონცენტრატი გადიოდა რუსეთში, სადაც ქიმიური იარაღის, ლუიზიტის წარმოებისათვის გამოიყენებოდა

²⁰ 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია 200 ათასი ლარი ამ ნარჩენების უტილიზაცია-გაუვნებელყოფისთვის

მათ შორის პესტიციდების, ინვენტარიზაცია. ინვენტარიზებულ იქნა ვადაგასული და ხმარებისათვის უვარგისი პესტიციდების განთავსების 214 ობიექტი, აქედან პესტიციდების ნარჩენები აღმოჩენილია 46 ობიექტზე.

ცხრილი 20. ყოფილ სასაწყობე მეურნეობებში აღმოჩენილი ვადაგასული პესტიციდების რაოდენობები რეგიონების მიხედვით

	შესწავლილი საწყობების რაოდენობა	საწყობების რაოდენობა, სადაც აღმოჩნდა პესტიციდი	პესტიციდების ნარჩენების რაოდენობა/მოცულობა	
			მყარ მდგომარეობაში, კგ	თხევად მდგომარეობაში, ლიტრი
აჭარის ა.რ.	2	2	15000	
იმერეთი	23	9	10000	100
სამცხე-ჯავახეთი	10	2	4200	
შიდა ქართლი	11	8	18500	100
ხაშურის რაიონი	19	10	50500	
კახეთი	8	3	230000	
გურია	22	2		
მცხეთა-მთიანეთი	8	5	23000	500
სამეგრელო	87	-		
ქვემო სვანეთი	16	-		
ლეჩხუმი				
რაჭა	1	-		
ქვემო ქართლი	7	5	4500	500
სულ	214	46	3570	1200

ვადაგასული პესტიციდების განთავსებისთვის 1976-1985 წლებში საქართველოში ფუნქციონირებდა სპეციალური სამარხი (აღმოსავლეთ საქართველოში, მარნეულის რაიონში, იაღლუჯის მთაზე). სამარხში განთავსებულია 2700 ტონამდე სხვადასხვა ქიმიური ჯგუფის პესტიციდები (მათ შორის, სავარაუდოდ, დიდი ოდენობით ქლორშემცველი პესტიციდები). სამარხის მდგომარეობა არადაზიანებულია: ტერიტორია არ არის შემოღობილი, სამარხი დაუცველია, თავისუფლად გადაადგილდება პირუტყვი. ადგილი აქვს მოსახლეობის მიერ პესტიციდების და მათი ლითონის ტარის ამოღების ფაქტებს. სამარხის ზედაპირზე ნაწილობრივ გაშიშვლებულია პესტიციდები და შესაფუთი ტარა (ტომრები, კასრები). ხდება პესტიციდების გადარეცხვა და გარემოს უკონტროლო დაბინძურება.

2007-2008 წლებში განხორციელდა ნაწილი ვადაგასული პესტიციდების მოგროვება და უსაფრთხოდ განთავსება. 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტი ითვალისწინებს დამატებით 150 ათას ლარს ამ საქმიანობის გასაგრძელებლად.

2.4.2.3 ყოფილ საბჭოთა სამხედრო ბაზებზე დატოვებული სამხედრო ქიმიური ნარჩენები

საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში საქართველოში რამოდენიმე საბჭოთა სამხედრო ბაზა იყო განლაგებული. საბჭოთა ჯარების გასვლის შემდეგ ამ ბაზებზე დიდი რაოდენობით სახიფათო ქიმიური ნივთიერებები დარჩა. კერძოდ, აღწერილია და განადგურებულია 700 ტონამდე რაკეტული საწვავის დამჟანგველი "მელანჟი", 350 ტონა რაკეტული სათბობი "სამინი", 80 ტონამდე გაუვარგისებული ცეცხლგამჩენი ნაპალმი, 65 ტონამდე ბოლწარმომქმნელი კონტეინერები, 20 ტონამდე სადეგაზაციო და იმიტაციური სითხეები, 60 ტონამდე სხვადასხვა დანიშნულების საავიაციო, სამედიცინო და საყოფაცხოვრებო სამხედრო მასალები (მათ შორის 5 ტონამდე ძლიერტოქსიკური ქლორპიკრინი). თუმცა განადგურებას კვლავაც საჭიროებს ათეულობით ათასი ტონა უვარგისი ასაფეთქებელი მასალა, ყუმბარები და ნაღმები, 500 ტონამდე მყარი რაკეტული საწვავი და 160 ტონამდე

დენთი, მილიონამდე უვარგისი აირწინალი და იმიტაციური ნივთიერებების მინის კომპლექტი. საერთაშორისო დახმარების საშუალებით ამ ნარჩენების ნაწილი გაუვნებელყოფილია, თუმცა დიდი ნაწილის გაუვნებელყოფა ჯერ კიდევ არ მომხდარა.

2.5 საშიში ქიმიური ნივთიერებებით გამოწვეული პრობლემები

2.5.1 საკვების დაბინძურება

კერძო პირების მიერ პესტიციდების არაკვალიფიციური და უკონტროლო გამოყენების გამო მაღალია საკვები პროდუქტების დაბინძურების რისკი. უკანასკნელ წლებში პესტიციდებით ან სხვა ქიმიური ნივთიერებებით საკვები პროდუქტების დაბინძურების შემოწმება არ ჩატარებულა. შესაბამისად, დაბინძურების შესახებ ობიექტური მონაცემები არ არსებობს²¹.

2.5.2 ნიადაგების და წყლის დაბინძურება

სტატისტიკური მონაცემები გრუნტის ან ზედაპირული წყლების პესტიციდებით ან სხვა ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურების შესახებ არ არსებობს. ცნობილია მხოლოდ ეპიზოდური გამოკვლევების შესახებ, რომლის შედეგად ასეთი დაბინძურებები გამოვლინდა. კერძოდ, ცნობილია, რომ პესტიციდების დაგროვილი ნარჩენებით დაბინძურებული ტერიტორიებიდან (იხ. ქვემოთ) ბინძურდება ახლომახლო გრუნტის და ზედაპირული წყლები. 2003 წელს ძველი პესტიციდების საწყობების მახლობლად ჩატარებული შესწავლისას ზედაპირული წყლის სამ ნიმუშში აღმოჩნდა ჰეპტაქლორი და დდტ, გრუნტის წყლების 5 ნიმუშში და თევზის 2 სინჯში – ჰეპტაქლორი. აგრეთვე მოსალოდნელია გრუნტის წყლების დაბინძურება პესტიციდების ნაზავების მომზადებისა და შემასხურებული ტექნიკის გამართვისას, თუმცა შესაბამისი გამოკვლევები არ განხორციელებულა.

პესტიციდებით ნიადაგების დაბინძურების გამოკვლევა ამჟამად არ წარმოებს. მცენარეთა დაცვის ინსტიტუტს დაგეგმილი აქვს ატრაზინის ჯგუფის ჰერბიციდებით ნიადაგების დაბინძურების კვლევა.

საწარმო ”მადნეულის” მიერ ჩამდინარე წყლების წარსულში არასათანადო მართვის გამო ადგილი აქვს ნიადაგების სეროზულ დაგროვილ დაბინძურებას მდინარე მაშავერას მიმდებარე ტერიტორიაზე. დღეს საწარმო ირწმუნება, რომ მის მიერ დაბინძურებულ წყლებს წმენდს და ხელახლა იყენებს და არც მდინარეს და არც მის მიმდებარე ტერიტორიას არ აბინძურებს. თუმცა არსებობს დაუდასტურებელი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საწარმოს კუდსაცავებიდან მეტალების შემცველი წყლების ბუნებრივ წყალსატევებში გაჟონვა ბოლომდე აღკვეთილი ჯერ კიდევ არ არის. გადაუწყვეტელია მაშავერას მიმდებარე ტერიტორიის ნიადაგებში დაგროვილი დაბინძურების განეიტრალების პრობლემა.

საბჭოთა პერიოდში დაგროვილი ნარჩენებით წყლის დაბინძურების საიტებიდან ყველაზე შემაშფოთებელია რაჭასა და ქვემო სვანეთში, სოფლებში ცანასა და ურავში, 4-9% დარიშხანის შემცველი 100 ათასამდე ტონა ნარჩენი, რომელიც მდინარეების ცხენისწყლისა და რიონის აუზშია განთავსებული. არსებობს გადაუმოწმებელი მონაცემები ამ ნარჩენების გადარეცხვის შედეგად რიონისა და შავი ზღვის დარიშხანით დაბინძურების შესახებ.

²¹ 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია 650 ათასი ლარი ბაზარზე არსებული სასურსათო პროდუქციის ლაბორატორიული კვლევისთვის. მათ შორის განხორციელდება აგრეთვე სასურსათო პროდუქციის პესტიციდებით დაბინძურების კვლევა

დიდია გარემოს დაბინძურების საშიშროება დღეს მოქმედ საყოფაცხოვრებო ნაგავსაყრელებიდან, რომლებიც არ არის დაცული მათზე სახინათო ნარჩენების მოხვედრისგან.

2.5.3 მოწამვლები

2008 წლის წინასწარი მონაცემების მიხედვით საქართველოში სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებებში არასამედიცინო დანიშნულების სუბსტანციებით მოწამვლის 2093, ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში კი კიდევ 159 შემთხვევა დაფიქსირდა. სტაციონარებში დაფიქსირებული მოწამვლებიდან 18 პესტიციდების ტოქსიკური ზემოქმედების შედეგს წარმოადგენდა.

აღინიშნება ქიმიური სუბსტანციების მიზნით პესტიციდების გამოყენების ერთეული შემთხვევები. სტატისტიკური ინფორმაცია ამ მიმართულებით არ არსებობს. რამდენადაც ცნობილია, სუბსტანციების მიზნით გამოიყენება ფოსფოროვანულ პრეპარატები, პირეტროიდები, სპილენძის შაბი, დარიშხანი (რომელსაც იყენებენ კომუნალურ მეურნეობაში ვირთაგვების წინააღმდეგ) და დღტ.

ცხრილი 21. მოწამვლებით ავადობის მაჩვენებელი საქართველოში 2000-2006 წლებში

წლები	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006
სულ ავადობა	12.7	33.1	40.0	34.4	43.7	35.8	12.9
მ.შ. ბავშვებში	16.5	39.7	51.5	43.8	59.3	45.1	13.7

2.5.4 მომუშავეთა ჯანმრთელობა

საქართველოში უკვე 10 წელზე მეტია მომუშავეთა შრომის პირობებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის რეგულარული შესწავლები აღარ ხორციელდება. შესაბამისად, სისტემატიზებული ინფორმაცია სამუშაო ადგილებზე ქიმიურ ნივთიერებათა ზემოქმედების ან ამ ზემოქმედების შედეგად გამოწვეული პროფესიული დაავადებების შესახებ არ არსებობს. 2007 წლიდან სს ნ. მახვილადის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი ახორციელებს სახელმწიფო პროგრამას "პროფესიულ დაავადებათა პრევენცია და მონიტორინგი", რომლის ფარგლებში მსხვილ საწარმოებში დასაქმებულ ადამიანთა ჯანმრთელობაზე საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა ზემოქმედებას სწავლობს. პროგრამის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაცია და შემუშავებული რეკომენდაციები რეგულარულად მიეწოდება როგორც შესაბამისი საწარმოს ხელმძღვანელობას, ასევე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. ინსტიტუტის მიერ პროგრამის დასრულება დაგეგმილია 2011 წლისთვის.

არსებობს ინფორმაცია პესტიციდების და აგროქიმიკატების მოხმარებასთან დაკავშირებით სოფლის მეურნეობაში მომუშავეთა ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტების შესახებ, თუმცა შესაბამისი კვლევები არ ტარდება.

თავი 3. ქიმიური ნივთიერებების მართვის სხვადასხვა სტადიის სახელმწიფო რეგულირება

3.1 ქიმიური ნივთიერებების შეფასება და რეგისტრაცია

სხვადასხვა ქვეყნებში ქიმიური ნივთიერებების ბრუნვაში შერჩევითი დაშვებისთვის განსხვავებული პროცედურები გამოიყენება. ვინაიდან საქართველო ევროკავშირთან ჰარმონიზაციით არის დაინტერესებული, მნიშვნელოვანია ქიმიურ ნივთიერებათა ბრუნვის მართვის ქართული სისტემის შესაბამის ევროპულ სისტემასთან შედარება.

ევროპაში დღესდღეობით მოქმედებს ქიმიური ნივთიერებების რეგულირების REACH სისტემა, რომელიც მოკლედ შემდეგში მდგომარეობს (მეტი დეტალებისთვის იხ. სექცია 6.1.9):

- ყველა ქიმიური ნივთიერება, რომელიც ევროკავშირში იწარმოება ან შემოდის (სუფთა სახით, პრეპარატების²² შემადგენელ ნაწილად ან ნაკეთობათა შემადგენელ ნაწილად, თუ ამ ნაკეთობის გამოყენებისას ნივთიერების გამოყოფაა მოსალოდნელი), წელიწადში 1 ტონაზე მეტი ოდენობით²³, ექვემდებარება რეგისტრაციას. რეგისტრაციისთვის დაინტერესებულმა პირმა უნდა წარადგინოს ნივთიერების ტექნიკური დოსიე, რომელიც შეიცავს ნივთიერების ფიზიკო-ქიმიური თვისებების სრულ აღწერას, მისი მოსალოდნელი გამოყენების მეთოდების აღწერას და ამ გამოყენებისას ნივთიერების ადამიანებსა და ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შესახებ ინფორმაციას, რომელიც შესაბამისი გამოცდების/ტესტირების შედეგად უნდა იყოს მოპოვებული. რაც უფრო მაღალია ნივთიერების წლიური წარმოების/იმპორტის დონე, მით უფრო რთული გამოცდების ჩატარებაა საჭირო ნივთიერების რეგისტრაციისთვის²⁴. დაშვებულია რამოდენიმე დაინტერესებული პირის მიერ ნივთიერების ერთობლივი რეგისტრაცია. უფრო მეტიც, მარეგისტრირებელი ორგანო, ქიმიკატების ევროპული სააგენტო, ცდილობს ერთობლივი რეგისტრაცია წაახალისოს სათანადო ინტერნეტ-პორტალის საშუალებით²⁵ (მიზანია მეწარმეთა ხარჯების ეკონომია და ქიმიურ ნივთიერებათა ცხოველებზე გამოცდის მინიმუმამდე დაყვანა)
- წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, სააგენტოს მიერ, ხორციელდება ნივთიერების სახიფათოობის შეფასება, მისი შემდგომი შემოწმების/შეფასების პრიორიტეტულობის დასადგენად. პრიორიტეტული ნივთიერებების შეფასებისთვის გამოიყოფა თანხები ევროკავშირის ბიუჯეტში. შეფასებას ახორციელებს რომელიმე წევრი-ქვეყანა (სურვილისამებრ) ან, თუ ასეთი არ მოიძებნა – თავად სააგენტო. შეფასების პროცესში მარეგისტრირებელ პირებს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა მოეთხოვებათ.
- თუ შეფასების შედეგად დადგინდა, რომ ნივთიერება "ძლიერ შემწვანებას იწვევს" დადგინდება ვადა, რომლის შემდეგ მისი თავისუფალი გამოყენება აკრძალდება.

²² იხ. განმარტებისთვის ცხრილი 37

²³ თითო მეწარმეზე

²⁴ შეფასებულია, რომ მაღალი ტონაჟის (1000 ტონაზე მეტი წელიწადში) წარმოების ერთი ნივთიერების სრული გამოცდა საშუალოდ 600000 ევრომდე ჯდება.

²⁵ გარდა ამისა, ერთობლივი რეგისტრაციის შემთხვევაში, თითოეული მეწარმისთვის რეგისტრაციის მოსაკრებელიც მცირდება.

თუმცა დაინტერესებულ პირებს მიეცემათ საშუალება მოითხოვონ და მიიღონ **ნებართვა** ასეთი ნივთიერების გამოყენების კონკრეტული მეთოდისთვის, თუკი სათანადო კვლევების საფუძველზე, დაასაბუთებენ, რომ ასეთი გამოყენება არ არის, ან მხოლოდ მცირედ სარისკოა ადამიანებისთვის და გარემოსთვის და რომ ნივთიერების გამოყენებასთან დაკავშირებული სოციო-ეკონომიკური სარგებლის გამო ეს რისკი გამართლებულია.

REACH რეგულაცია 2006 წელს იქნა მიღებული და დღეს მისი განხორციელება საწყის სტადიაშია: რიგი კრიტერიუმების და სახელმძღვანელო მითითებები ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია. თუმცა ბრუნვაში გაშვებამდე ქიმიურ ნივთიერებათა გამოცდის და მათი თვისებების შესახებ ხელისუფლების ორგანოებისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ევროპაში 1979 წლიდან მოქმედებს. თუმცა ამ "ძველ" სისტემას ახასიათებდა განსხვავებული დამოკიდებულება "არსებულ" და "ახალ" ქიმიურ ნივთიერებებთან, რაც არარაციონალურად ჩაითვადა და სისტემა REACH-მიდგომით შეიცვალა, რომელიც ახალ და ძველ ქიმიურ ნივთიერებებს არ ასხვავებს და ყველა მათგანის რეგისტრაციას ითხოვს.

საქართველოს 1998 წლის კანონი "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ" (იხ. სექცია 6.2.8) აგრეთვე აფუძნებს საშიში ქიმიური ნივთიერებების რეგისტრაციის სისტემას, რომლის წინაპირობას ნივთიერების გამოცდები წარმოადგენს. თუმცა, ერთის მხრივ კანონში არსებული რიგი ლაპსუსების (იხ. სექცია 6.3.3), მეორეს მხრივ კი შესაბამისი საჯარო ორგანოს (სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის სამსახურის) გაუქმების გამო კანონმა ვერ იმუშავა. **სასურველია:** შესწავლილი იქნეს REACH სისტემაში საქართველოს ჩართვის შესაძლებლობები და, შესაბამისად საქართველოში ქიმიურ ნივთიერებათა ბრუნვაში შერჩევითი დაშვების სისტემა მიახლოვდეს REACH სისტემასთან (ან მის გამარტივებულ ანალოგთან, საქართველოს შესაძლებლობათა და ეკონომიკის გარდამავალი მდგომარეობის გათვალისწინებით).

3.2 ქიმიური ნივთიერებების იმპორტ-ექსპორტი და ტრანზიტი

საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოს რიგ საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა იმპორტ-ექსპორტის კონტროლი ევალება. გარდა ამისა, საქართველოს კანონებიც ითვალისწინებს რიგ საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა იმპორტ-ექსპორტის შეზღუდვას ან აკრძალვას. ეს მოთხოვნები შეჯამებულია ცხრილში.

ცხრილი 22. საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები საქართველოში საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა იმპორტ-ექსპორტის მიმართ

ნორმატიული დოკუმენტი	მოთხოვნა
მონრეალის ოქმი "ოზონდამშლელ ნივთიერებათა შესახებ" (სექცია 6.1.1)	ოზონდამშლელ ნივთიერებათა იმპორტ-ექსპორტის მოცულობა არ აღემატებოდეს დადგენილ ლიმიტებს (იხ. ცხრილი 28)
ბაზელის კონვენცია "სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებისა და განთავსების შესახებ" (სექცია 6.1.2)	კონვენციის არა-მხარე ქვეყნებში ნარჩენების ექსპორტის აკრძალვა სახიფათო ნარჩენების ექსპორტის აკრძალვა მიმღები ქვეყნის წინასწარი ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე
პარიზის კონვენცია "ქიმიური იარაღის შემუშავების, წარმოების, დაგროვების და გამოყენების აკრძალვისა და მისი განადგურების შესახებ" (სექცია 6.1.3)	კონვენციის დანართებში შესულ რიგ ნივთიერებათა იმპორტ-ექსპორტის რეგულირება, შეზღუდვა ან აკრძალვა (იხ. ცხრილი 30)

როტერდამის კონვენცია "ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარი დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ" (სექცია 6.1.4)	კონვენციის დანართში მითითებულ ნივთიერებათა (იხ. ცხრილი 31) ექსპორტის აკრძალვა ²⁶ იმ ქვეყნებში, რომელთაც კონვენციის სამდივნოს აცნობეს ამ ნივთიერებათა იმპორტის აკრძალვის შესახებ. კონვენციის დანართში არ-შესული, და საქართველოში "აკრძალულ ნივთიერებათა" სტატუსის მქონე ნივთიერებების (შეადარეთ ცხრილი 31 და ცხრილი 39) ექსპორტის აკრძალვა მიმღები მხარის წინასწარი ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე
სტოკჰოლმის კონვენცია "მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ" (სექცია 6.1.5)	კონვენციის დანართში შესულ რიგ ნივთიერებათა იმპორტ-ექსპორტის აკრძალვა ²⁷ (იხ. ცხრილი 32)
კანონი "საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ" (სექცია 6.2.3)	ნარჩენების იმპორტის აკრძალვა გარდა კონკრეტული მიზნით გამოსაყენებელი კონკრეტული ტიპის ნარჩენებისა
კანონი "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ" (სექცია 6.2.8)	არარეგისტრირებული საშიში ქიმიური ნივთიერების იმპორტ-ექსპორტის აკრძალვა საშიში ქიმიური ნივთიერების იმპორტის აკრძალვა ისეთი ქვეყნებიდან, რომლებიც თავად კრძალავენ ამ ნივთიერების გამოყენებას
კანონი "პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ" (სექცია 6.2.10)	არარეგისტრირებული პესტიციდების და აგროქიმიკატების იმპორტის არ დაშვება

მოქმედი კანონმდებლობით ნებართვა შემდგეგი ტიპის საქონლის იმპორტს, ექსპორტს ან ტრანზიტს ესაჭიროება:

- მცენარეები და ცხოველები, მცენარეული და ცხოველური წარმოშობის პროდუქცია; გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობები;
- შეზღუდულად ბრუნვადი მასალები;
- ბირთვული მასალები, რადიაქტიული ნივთიერებები, იარაღი და საბრძოლო მასალა, ორმაგი დანიშნულების პროდუქცია;
- სამკურნალო საშუალებები; ნარკოტიკული საშუალებები, ფსიქოტროპიული ნივთიერებები და პრეკურსორები;
- კულტურული ფასეულობები;
- არაიოდიზირებული მარილი;

ამ ჩამონათვალიდან ქიმიურ ნივთიერებათა რეგულირების ზემოთ აღწერილ მიზნებს შეზღუდულად ბრუნვადი მასალებისა (იხ. სექცია 6.2.15.3) და იარაღის (იხ. სექცია 6.2.8) ნებართვა ემსახურება²⁸. ამ მასალების იმპორტ-ექსპორტსა და ტრანზიტის განხორციელებისას აუცილებელი საბაჟო პროცედურების განსახორციელებლად დაინტერესებულმა პირმა საბაჟო ორგანოს შეზღუდულად ბრუნვადი მასალებისა და იარაღის იმპორტის, ექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვა უნდა წარუდგინოს.

²⁶ სავალდებულოა შესაბამისი ადმინისტრაციული პროცედურების არსებობა და მისი დარღვევით განხორციელებული იმპორტ-ექსპორტის კრიმინალიზაცია

²⁷ სავალდებულოა აკრძალვა ან/და აუცილებელი ადმინისტრაციული პროცედურების არსებობა აღკვეთისთვის

²⁸ რიგი საშიში ქიმიური ნივთიერებების რეგულირება "ორმაგი დანიშნულების პროდუქციის" იმპორტ-ექსპორტის რეგულირების ფარგლებშიც ხორციელდება, თუმცა ამ რეგულირების ერთადერთ მიზანს ამ პროდუქციის სამშვიდობო და არა მილიტარული გამოყენების კონტროლი წარმოადგენს, რაც ამ ანგარიშის განხილვის სფეროს სცდება

შეზღუდულად ბრუნვადი მასალების იმპორტ-ექსპორტის ნებართვას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო გასცემს (სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით). კანონით დადგენილი პირობების (მათ შორის კონკრეტული ნივთიერებებისთვის დადგენილი აკრძალვების) შემთხვევაში სამინისტროს აქვს უფლება არ გასცეს ასეთი ნებართვა, რაც შესაბამისი ტვირტის იმპორტ-ექსპორტისა აკრძალვის რეალური იმპლემენტაციის საშუალებას იძლევა.

შეზღუდულად ბრუნვადი მასალების იმპორტ-ექსპორტის ნებართვის მარეგულირებელი ნორმატიული აქტის²⁹ მოქმედება 2011 წლის 1 ივლისამდე შეჩერებულია. აგრეთვე შეჩერებულია შესაბამისი საბაჟო ნორმატიული აქტების მოთხოვნები შესაბამისი საქონლის განბაჟებისთვის შეზღუდულად ბრუნვადი მასალის იმპორტ-ექსპორტის ნებართვის წარდგენის შესახებ³⁰, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ საქონლის განბაჟება საქართველოს საბაჟოებზე დღესდღეობით პრაქტიკულად შეუფერხებლად ხორციელდება (იხ. აგრეთვე სექცია 6.2.15.5).

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ზემოთქმულისა, არის შემთხვევები, როდესაც მიმღები ქვეყნის მოთხოვნათა დაკმაყოფილების მიზნით წინასწარი თანხმობის პროცედურის გავლას თავად ექსპორტიორი ითხოვს. ანალოგიურად, არის შემთხვევები, როდესაც საქართველოში საშიში ქიმიური ნივთიერების იმპორტის წინ საქართველოს ინფორმირება და წინასწარი თანხმობის თხოვნა იმპორტიორი ქვეყნის მოთხოვნით ხორციელდება. ასეთ შემთხვევებში, დაინტერესებული პირის თხოვნით, საქართველოს შესაბამისი სამთავრობო საკონტაქტო პირები ოფიციალურ შეტყობინებებს გზავნიან ან მიღებულ ოფიციალურ შეტყობინებებს იხილავენ და მოქმედი კანონების შესაბამისად დადებით ან უარყოფით პასუხს სცემენ. თუმცა, უპრობლემოდ ეს პროცედურა მხოლოდ ბაზელის და სტოკჰოლმის კონვენციების შემთხვევაში ხორციელდება, რაც იმით აიხსნება, რომ შესაბამისი კონვენციათა სამდივნოებში მითითებული ოფიციალური საკონტაქტო პირი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროა. როტერდამის კონვენციის შემთხვევაში კი პროცედურა "იჭედება", ვინაიდან კონვენციის სამდივნოს ინფორმაციით კონვენციის საკონტაქტო პირს საქართველოში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის უფროსი წარმოადგენს, ეს უწყება კი საქართველოში დღეს გაუქმებულია. ამჟამად მიმდინარეობს კონვენციისთვის საქართველოს ახალი საკონტაქტო პირის დანიშვნის

²⁹ იგულისხმება საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 სექტემბრის #184 დადგენილება "შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესის შესახებ დებულებისა და შეზღუდულად მრუნვადი მასალების სიის დამტკიცების თაობაზე" (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 სექტემბრის #184 დადგენილებით, ცვლილებები შევიდა 2006 წლის 22 ნოემბრის #219, 2007 წლის 7 აპრილის #83, 24 აგვისტოს #178, 28 ნოემბრის #261, და 2008 წლის 27 ივნისის #145 დადგენილებებით).

³⁰ იგულისხმება შემდეგი საბაჟო ინსტრუქციები:

- "ინსტრუქცია საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ" (დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის #1760 ბრძანებით, ცვლილებები შევიდა 2007 წლის 8 თებერვლის #105, 23 აპრილის #389, 23 ივლისის #923, 27 აგვისტოს #1028, 2008 წლის 9 იანვრის #10, 18 იანვრის #73, 27 მაისის #464, 20 ივნისის #536, 4 აგვისტოს #637 და 31 დეკემბრის #983 ბრძანებებით), მე-15 მუხლის თანახმად შეჩერებულია მე-9 მუხლის მე-8 პუნქტის "ბ.ბ.ა" ქვეპუნქტის მოქმედება;
- "ინსტრუქცია საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ" (დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის #1770 ბრძანებით, ცვლილებები შევიდა 2007 წლის 9 მარტის #191, 2008 წლის 18 იანვრის #77, 20 ივნისის #530, 4 აგვისტოს #641, 2 დეკემბრის #888 და 31 დეკემბრის #984 ბრძანებებით), მე-13 მუხლის თანახმად შეჩერებულია მე-4 მუხლის მე-6¹ პუნქტის "ბ.ბ.ა" ქვეპუნქტის მოქმედება.

პროცედურა. სავარაუდოდ ეს პირი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო იქნება.

იარაღისა და საბრძოლო მასალის იმპორტ-ექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვებს გასცემს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ამავე სამინისტროსთან არსებული სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედ კომისიასთან შეთანხმებით. ასეთი ნებართვის წარუდგენლობის შემთხვევაში, საბაჟო არ ახორციელებს ქიმიკატების საბაჟო დამუშავების პროცედურებს. აღსანიშნავია, რომ პარიზის კონვენციით განსაზღვრული პირობებიდან გამომდინარე, კონვენციის ნუსხებში მითითებულ ქიმიკატებს (იხ. ცხრილი 30), შეიძლება მიენიჭოს ქიმიური იარაღის სტატუსი, თუმცა ასეთი ქიმიკატის იმპორტ-ექსპორტს თავდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვა არ ესაჭიროება³¹. პარიზის კონვენციის იმპლემენტაციისათვის საჭირო ეროვნული კანონმდებლობის არარსებობის პირობებში, საბაჟოზე გადასადგომი ქიმიური ნივთიერებების შედარება კონვენციის დანართებით განსაზღვრულ ქიმიკატებთან ვერ ხერხდება, რაც ზრდის საზღვარზე კონტროლირებადი ნივთიერებების არალეგალური მიმოქცევის რისკს. კონვენციის ეროვნულ ორგანოს წარმოდგენს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ხოლო უწყება რომელიც შეიმუშავებს კონვენციით განსაზღვრულ საკანონმდებლო ბაზას, ჯერ კიდევ არ არის დანიშნული.

რაც შეეხება მონრეალის ოქმის მოთხოვნას ოზონდამშლელ ნივთიერებათა იმპორტ-ექსპორტის დადგენილი ლიმიტების დაცვის თაობაზე, _ ვინაიდან ნივთიერებათა რეალური წლიური იმპორტ-ექსპორტი ამ ლიმიტების ფარგლებს არ აჭარბებს (იხ. ცხრილი 29), უნდა ჩავთვალოთ, რომ ქვეყანა მონრეალის ოქმის მოთხოვნათა ფაქტობრივი შესრულების მდგომარეობაში იმყოფება. საინტერესოა, რომ ამ მდგომარეობას ქვეყანამ მიაღწია ერთი მხრივ – საბაჟოზე ადმინისტრაციული პროცედურების გამკაცრების, ხოლო მეორეს მხრივ – ალტერნატიული ნივთიერებებისა და ტექნოლოგიების ხელშემწყობი და სადემონსტრაციო პროექტების განხორციელების საშუალებით (იხ. დანართი 1).

გარდა აღნიშნულისა, საბაჟოებზე ქიმიურ ნივთიერებათა იმპორტ-ექსპორტის ეფექტურ კონტროლს კიდევ რამოდენიმე გარემოება უშლის ხელს. კერძოდ:

- საბაჟოზე პრობლემას წარმოადგენს ქიმიკატების სრულფასოვანი იდენტიფიკაცია. **საჭიროა:** შეიქმნას რეგულირებადი ქიმიკატების ერთიანი სახელმწიფო რეესტრი, რომელშიც ქიმიკატების იდენტიფიცირება შესაძლებელი იქნება 2007 წლის სასაქონლო ნომენკლატურის ჰარმონიზირებული სისტემით და ქიმიკატების აღრიცხვის საერთაშორისო სისტემებით CAS, UN, EC.
- საზღვრებზე არ არსებობს ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხო ინსპექტირებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა და იდენტიფიკაციის საშუალებები. **საჭიროა:** მოეწყოს საზღვრებზე ასეთი ინსპექტირების პუნქტები, სადაც საშუალება იქნება ქიმიურად საშიში ტვირთების განცალკევება, უსაფრთხო ინსპექტირება, საშიში ნივთიერებების ლოკალიზება და დროებითი იზოლაცია იქვე განთავსებულ, შესაბამისად დაცულ დროებით საცავში. ინფრასტრუქტურა უნდა მოიცავდეს სადეკონტამინაციო და სანიტარული დამუშავებისათვის საჭირო კვანძებსაც.

³¹ ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 15 ივლისის #304

ბრძანებულებით დამტკიცებულ სამხედრო დანიშნულების პროდუქციის ნუსხაში ქიმიური იარაღის სტატუსის მქონე ქიმიკატები ჩამოთვლილი არ არის

3.3 ქიმიური ნივთიერებების წარმოება, გამოყენება, ტრანსპორტირება

რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ეროვნული კანონებისა საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა და მათი ნარჩენების წარმოების და ტრანსპორტირების სახელმწიფო რეგულირებას ან კონტროლს ითხოვს (იხ. ცხრილი 23).

საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა წარმოების და ნარჩენების ტრანსპორტირების რეგულირების ერთ-ერთი მექანიზმი საქართველოში "შეზღუდულად ბრუნვადი მასალების" წარმოებისა და ტრანსპორტირების ნებართვა შეიძლება ყოფილიყო, თუმცა სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციებისა და ეროვნული მოთხოვნების ერთ პროცედურაში მოთავსების შეუძლებლობის გამო შესაბამისმა დებულებამ ვერ იმუშავა და ამჟამად შეჩერებულია (იხ. სექცია 6.2.15).

რაც შეეხება გარკვეულ ნივთიერებათა გამოყენების აკრძალვას, შესაბამისი მექანიზმი საქართველოში დღესდღეობით საერთოდ არ არსებობს.

ამდენად, მიუხედავად რიგი საერთაშორისო დოკუმენტების და ეროვნული კანონების მოთხოვნისა, დღეს საქართველოში საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა წარმოების, ტრანსპორტირების ან გამოყენების სახელმწიფო რეგულირება პრაქტიკულად ვერ ხორციელდება.

ცხრილი 23. საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა და ნარჩენების წარმოებისა და ტრანსპორტირების რეგულირების მიმართ

ნორმატიული დოკუმენტი	მოთხოვნა
ბაზელის კონვენცია "სახიფათო ნარჩენების ტრანსსაზღვრო გადაზიდვებისა და განთავსების შესახებ" (სექცია 6.1.2)	ნარჩენების გადაზიდვის და განთავსების აკრძალვა სათანადო ნებართვის გარეშე
1993 წლის პარიზის კონვენცია "ქიმიური იარაღის შემუშავების, წარმოების, დაგროვების და გამოყენების აკრძალვისა და მისი განადგურების შესახებ" (სექცია 6.1.3)	კონვენციის დანართებში შესული რიგი ნივთიერებების წარმოების, გამოყენების, გადაცემის აკრძალვა/აღკვეთა, შეზღუდვა.
სტოკჰოლმის კონვენცია "მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ" (სექცია 6.1.5)	კონვენციის დანართში შესულ რიგ ნივთიერებათა წარმოების და გამოყენების აკრძალვა ან აღკვეთა ³² (იხ. ცხრილი 32)
კანონი "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ" (სექცია 6.2.8)	არარეგისტრირებული საშიში ქიმიური ნივთიერების წარმოების და გამოყენების აკრძალვა
კანონი "პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ" (სექცია 6.2.10)	არარეგისტრირებული პესტიციდების და აგროქიმიკატების წარმოების აკრძალვა

რაც შეეხება საშიში ტვირთების ტრანსპორტირების უსაფრთხოებას, საქართველოს კანონმდებლობა ადგენს ასეთი ტვირთების და მისი გადამზიდავი ავტოტრანსპორტის ნიშანდების წესებს (იხ. სექცია 6.2.17). თუმცა წესების განხორციელება და მათი შესრულების კონტროლი გართულებულია იმ გარემოებით, რომ სავალდებულო ნიშანდების დამდგენი ტექნიკური რეგლამენტი ყოველი კონკრეტული ტვირტის ფირნიშზე მისათითებელი გაეროს

³² სავალდებულოა აკრძალვა ან/და აუცილებელი ადმინისტრაციული პროცედურების არსებობა აღკვეთისთვის

ოთხნიშნა კოდის დასადგენად გაეროს შესაბამის დოკუმენტს მიუთითებს, რომელიც ქართველი მომხმარებლისთვის და აგრეთვე მაკონტროლებელი ორგანოებისთვის ხელმიწვდომელია. შესაბამისად, ამ მოთხოვნათა შესრულება სათანადოდ არ კონტროლდება.

3.4 პესტიციდების მართვა

სასოფლო სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების პესტიციდები არსებითად "ფართო მოხმარების ტოქსიკური ნივთიერებებს" წარმოადგენს და ქიმიური უსაფრთხოებისთვის ამ ნივთიერებათა მართვა უმნიშვნელოვანესი საკითხია.

ქვეყანაში პესტიციდების ეფექტური და უსაფრთხო მართვის დასაწესებლად აღიარებულ საერთაშორისო დოკუმენტს გაერთიანებული ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) "პესტიციდების გავრცელებისა და გამოყენების წესების საერთაშორისო კოდექსი" წარმოადგენს (სექცია 6.1.6). იგი პესტიციდების სახელმწიფო მართვის მიღებულ წესებსა და სტანდარტებს აწესებს.

კოდექსის მიხედვით, პესტიციდი, როგორც უაღრესად საშიში პროდუქტი, სერიოზულ სახელმწიფო კონტროლს საჭიროებს. კერძოდ, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სულ ცოტა შემდეგი ღონისძიებები:

- პესტიციდების შერჩევითი დაშვება ბაზარზე – კონკრეტული ქვეყნის პირობებში მათი ეფექტურობის და უსაფრთხო გამოყენების შესაძლებლობის გათვალისწინებით. როგორც წესი, ამისთვის პესტიციდის რეგისტრაციის პროცედურა გამოიყენება; პარალელურად უნდა განხორციელდეს ზომები არარეგისტრირებული პროდუქციის ბაზარზე არ-დაშვებისთვის (იმპორტის კონტროლი, ბაზრის ინსპექტირება);
- მოთხოვნების დაწესება ბაზარზე მოხვედრილი პესტიციდების ხარისხის, შეფუთვისა და ნიშანდებისადმი და მათი დაცვის გაკონტროლება;
- ბაზარზე პესტიციდების მიმწოდებელთა/გამავრცელებელთა კონტროლი – მოთხოვნების დაწესება პესტიციდების გამყიდველებისადმი (საწყობის უსაფრთხოება, კვალიფიციური პერსონალი) და მათ განხორციელების კონტროლი;
- პესტიციდების შემმენთა კონტროლი ან მონიტორინგი – პესტიციდების გამოყენების ნორმების და უსაფრთხოების წესების დაწესება და მათი დაცვის კონტროლი ან მონიტორინგი/შეფასება; აუცილებელია პესტიციდების მომხმარებელთა მუდმივი ინფორმირება და სწავლება პესტიციდების გამოყენების მინიმუზაციის და მეტი უსაფრთხოების მისაღწევად.
- პესტიციდის ეფექტურობის და უვნებლობის გადამოწმება ერთი მხრივ სასოფლო-სამეურნეო დაავადებათა მონიტორინგის, მეორე მხრივ კი პესტიციდებით სურსათისა და გარემოს დაბინძურების და ადამიანთა მოწამვლების მონიტორინგის საშუალებით;

საქართველოში ამ მოთხოვნათა განხორციელება განხილულია ქვემოთ (მეტი დეტალებისთვის იხ. სექცია 6.2.10).

3.4.1 პესტიციდების შერჩევითი დაშვება ბაზარზე

საქართველოს კანონმდებლობა ბაზარზე პესტიციდების შერჩევითი დაშვების ორ მექანიზმს ითვალისწინებს: პესტიციდების რეგისტრაციას და ნებართვებს.

"პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ" კანონის მიხედვით (სექცია 6.2.10), ნებისმიერი სასოფლო-სამეურნეო პესტიციდის საქართველოში წარმოების, შემოტანის, შენახვის, რეალიზაციის, გამოყენების ან რეკლამისთვის აუცილებელია მისი წინასწარი

სახელმწიფო რეგისტრაცია³³. რეგისტრაცია მოიცავს ნივთიერების გამოცდებს, რომელიც ტარდება რეგისტრანტის ინიციატივით და ხარჯით. გამოცდების დადებითი შედეგების შემთხვევაში რეგისტრანტზე გაიცემა ვადიანი სარეგისტრაციო მოწმობა. უკვე რეგისტრირებული ნივთიერების ხელახალი რეგისტრაციისას (რეგისტრაციის ვადის განმავლობაში) შესაძლებელია უკვე გავლილი გამოცდების შედეგების გამოყენება, თუკი პირველი რეგისტრანტი ამაზე ოფიციალურ თანხმობას იძლევა³⁴.

რეგისტრირებული პესტიციდების ჩამონათვალი და მათ შესახებ ინფორმაცია შეიტანება საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდების პერიოდულად განახლებად კატალოგში³⁵. კანონის მიხედვით იმ პესტიციდების შემოტანა და მიმოქცევა, რომლებიც პესტიციდების და აგროქიმიკატების სახელმწიფო კატალოგში შეტანილი არ არის, იკრძალება³⁶.

თუკი სარეგისტრაციო გამოცდისას პესტიციდს ადამიანთა ჯანმრთელობაზე და გარემოზე გაუმართლებლად მაღალი უარყოფითი ზემოქმედებს უნარი აღმოაჩნდა, სარეგისტრაციო ორგანო იღებს გადაწყვეტილებას მისი აკრძალვის ან მკაცრად შეზღუდვის შესახებ. სარეგისტრაციო მოწმობა ასეთ პესტიციდზე არ გაიცემა. პესტიციდის იმპორტი და მიმოქცევა კი მხოლოდ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ (სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით) გაცემული სპეციალური ნებართვის საფუძველზე დაიშვება³⁷. კერძოდ, აკრძალული და მკაცრად შეზღუდული პესტიციდები შესულია ე.წ. "შეზღუდულად ბრუნვადი მასალების" სიაში და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მინიჭებული აქვს ამ მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტ-ექსპორტის და რეექსპორტ-ტრანზიტის ნებართვის გაცემის უფლებამოსილება (იხ. სექცია 6.2.15.4).

გარდა ამისა, "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" კანონის (სექცია 6.2.6) ქვემდებარე აქტით³⁸ დადგენილია სამედიცინო მიზნებით გამოსაყენებელი სადებიზინფექციო, სადებიზინსექციო და სადერატიზაციო საშუალებების სავალდებულო რეგისტრაციის მოთხოვნა. ამ რეგისტრაციას ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (იხ. სექცია 5.1.6) ახორციელებს. არარეგისტრირებული სადებიზინფექციო და სადერატიზაციო საშუალებების ქვეყანაში იმპორტი იკრძალება.

რაც შეეხება საყოფაცხოვრებო დანიშნულების პესტიციდებს, ინსექტიციდებს, ფუმიგანტებს და დერატიზაციის საშუალებებს, დღესდღეობით მათი რეგისტრაცია ან სხვაგვარი კონტროლი არც ერთ სახელმწიფო უწყებას არ ევალება. ამდენად, საქართველოს

³³ იქვე, მუხლი 3, პუნქტი "ე"

³⁴ "საქართველოში პესტიციდების და აგროქიმიკატების სარეგისტრაციო გამოცდების, ექსპერტიზისა და რეგისტრაციის დებულება" (დამტკიცებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრისა და ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 30 ნოემბრის #2-212 ერთობლივი ბრძანებით), მუხლი 5, პუნქტი 13

³⁵ დღეს მოქმედებს "საქართველოში 2005-2009 წწ. გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდების (მცენარეთა დაცვის საშუალებების და ზრდის რეგულატორების) სახელმწიფო კატალოგი", რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 11 ივლისის #2-168, ხოლო შესწორებულია 2006 წლის 19 ივნისის #2-100 ბრძანებით

³⁶ კანონი "პესტიციდების და აგროქიმიკატების შესახებ", მუხლი 4, პუნქტი 1, ქვეპუნქტი "ზ"

³⁷ კანონი "პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ", მუხლი 4, პუნქტი 1, ქვეპუნქტი "გ" და პუნქტი 2

³⁸ იგულისხმება ბრძანება "ქვეყანაში სამედიცინო პროფილაქტიკური სადებიზინფექციო საქმიანობის სრულყოფის შესახებ", რომელიც დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 19 მარტის #64/ნ ბრძანებით, ცვლილებები შევიდა იმავე მინისტრის 2004 წლის 31 დეკემბრის #363/ნ, 2006 წლის 11 აპრილის #108/ნ, 17 მაისის #131/ნ, 7 აგვისტოს #217/ნ და 18 ოქტომბრის #274/ნ და #275/ნ ბრძანებებით

კანონმდებლობა ნაწილობრივ აწესრიგებს ბაზარზე პესტიციდების შერჩევითი დაშვებას. თუმცა დღესდღეობით საქართველოში კანონების ამ მოთხოვნათა შესრულების მექანიზმები არასრულყოფილია. კერძოდ:

მიუხედავად იმისა, რომ სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურს საკუთარი დებულებით ეკისრება პესტიციდების და აგროქიმიკატების ბაზრის სახელმწიფო კონტროლის უფლებამოსილება³⁹, აღმოჩენილ დარღვევებზე რეაგირების მექანიზმი მას არ გააჩნია (იხ. სექცია 6.2.10.5). შესაბამისად, პესტიციდების და აგროქიმიკატების ბაზრის კონტროლი არარეგისტრირებული ან პესტიციდების ბრუნვაში არსებობაზე არ ხორციელდება.

3.4.2 პესტიციდების ხარისხის, შეფუთვის, ნიშანდების კონტროლი

საქართველოს კანონმდებლობა ადგენს კონკრეტულ მოთხოვნებს მიმოქცევაში გაშვებულ პესტიციდებისადმი. კერძოდ:

- პესტიციდებს თან უნდა ახლდეს სარეგისტრაციო ორგანოსთან შეთანხმებული რეკომენდაციები მათი ტრანსპორტირების, შენახვის, უტილიზაციის და გამოყენების შესახებ⁴⁰;
- პესტიციდი მარკირებული უნდა იყოს FAO-ს ინსტრუქციების შესაბამისად⁴¹ და წარწერები შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე⁴²;

ამ მოთხოვნების დაცვის კონტროლი სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურს ევალება⁴³. მასვე ევალება სარეალიზაციოდ გამიზნული პესტიციდების და აგროქიმიკატების ხარისხის კონტროლი⁴⁴. თუმცა, იმის გამო, რომ სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურს პესტიციდების და აგროქიმიკატების ბაზრის სახელმწიფო კონტროლისას აღმოჩენილ დარღვევებზე რეაგირების მექანიზმი არ გააჩნია (იხ. სექცია 6.2.10.5), დღესდღეობით საქართველოში კანონების ამ მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმები არსებობს.

³⁹ "საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის დებულება" (დამტკიცებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2006 წლის 14 მარტის #2-44 ბრძანებით, ცვლილებები შეტანილია 2006 წლის 31 მარტის #2-54, 28 ივნისის #2-111, 16 ოქტომბრის #2-196, 2007 წლის 13 აპრილის #2-48, 26 ივნისის #2-94, 2009 წლის 13 იანვრის #2-8 და 29 იანვრის #2-16 ბრძანებებით), მუხლი 3, პუნქტი "ბ"

⁴⁰ კანონი "პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ", მუხლი 18, პუნქტი 1-2

⁴¹ დეტალურად მარკირების მოთხოვნები განმარტებულია "პესტიციდების და აგროქიმიკატების მარკირების წესებში" (დამტკიცებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს #2-150 ბრძანებით)

⁴² კანონი "პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ", მუხლი 18, პუნქტი 3

⁴³ "საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის დებულება" (დამტკიცებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2006 წლის 14 მარტის #2-44 ბრძანებით, ცვლილებები შეტანილია 2006 წლის 31 მარტის #2-54, 28 ივნისის #2-111, 16 ოქტომბრის #2-196, 2007 წლის 13 აპრილის #2-48, 26 ივნისის #2-94, 2009 წლის 13 იანვრის #2-8 და 29 იანვრის #2-16 ბრძანებებით), მუხლი 4, პუნქტი 5, ქვეპუნქტი "ე"

⁴⁴ იქვე, ქვეპუნქტი "ო"

3.4.3 პესტიციდების მიმწოდებელთა კონტროლი

საქართველოს კანონდებლობა ადგენს უსაფრთხოების მოთხოვნებს პესტიციდების დამფასებლებისა და რეალიზატორებისთვის. თუმცა პესტიციდების რეალიზატორების პერსონალის კვალიფიკაციისადმი მოთხოვნებს საქართველოს კანონდებლობა არ ადგენს.

პესტიციდების დამფასებლებისა და რეალიზატორებისთვის დადგენილი მოთხოვნების დაცვის კონტროლი აგრეთვე სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურს ევალება⁴⁵. თუმცა, იმის გამო, რომ სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურს პესტიციდების და აგროქიმიკატების ბაზრის სახელმწიფო კონტროლისას აღმოჩენილ დარღვევებზე რეაგირების მექანიზმი არ გააჩნია (იხ. სექცია 6.2.10.5), დღესდღეობით საქართველოში კანონების ამ მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმები არსებობს.

3.4.4 პესტიციდების უსაფრთხო მოხმარების უზრუნველყოფა

საქართველოს კანონდებლობა ადგენს პესტიციდების უსაფრთხო მოხმარების წესებს, რომელთა დაცვა სავალდებულოა. კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო პესტიციდების გამოყენებისას დაცული უნდა იყოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესები⁴⁶, ხოლო სადეზინფექციო, სადეზინსექციო და სადერატიზაციო საშუალებების გამოყენებისას კი დაცული უნდა იყოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესები⁴⁷.

სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურის ერთ-ერთ ფუნქციას პესტიციდების უსაფრთხო გამოყენების კონტროლი წარმოადგენს⁴⁸. თუმცა ეს კონტროლი ეფექტური არ არის იმის გამო, რომ ამ სამსახურს აღმოჩენილ დარღვევებზე რეაგირების მექანიზმი არ გააჩნია (იხ. სექცია 6.2.10.5).

კანონი ითვალისწინებს აგრეთვე პასუხისმგებლობას პესტიციდების გამოყენების წესების ისეთი დარღვევისთვის, რასაც სოფლის მეურნეობის პროდუქციაში პესტიციდების ნარჩენების ნორმაზე მეტი ოდენობით დაგროვება შეიძლება მოჰყვეს⁴⁹, თუმცა, ისევე როგორც ზემოთაღნიშნულ შემთხვევაში, საკანონმდებლო ხარვეზის გამო (იხ. სექცია 6.2.10.5) ამ დარღვევის აღმოჩენისას სახდელის დაკისრების უფლებამოსილება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურს არ გააჩნია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო ხარვეზი სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურს პესტიციდების

⁴⁵ იქვე, ქვეპუნქტი "ე"

⁴⁶ "პესტიციდების და აგროქიმიკატების შენახვის, ტრანსპორტირების, რეალიზაციის და გამოყენების წესები" (დამტკიცებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრისა და ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 30 ნოემბრის #2-211 ერთობლივი ბრძანებით)

⁴⁷ "ქვეყანაში სამედიცინო პროფილაქტიკური სადეზინფექციო საქმიანობის სრულყოფის შესახებ" (დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 19 მარტის #64/ნ ბრძანებით, ცვლილებები შევიდა იმავე მინისტრის 2004 წლის 31 დეკემბრის #363/ნ, 2006 წლის 11 აპრილის #108/ნ, 17 მაისის #131/ნ, 7 აგვისტოს #217/ნ და 18 ოქტომბრის #274/ნ და #275/ნ ბრძანებებით)

⁴⁸ "საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის დებულება" (დამტკიცებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2006 წლის 14 მარტის #2-44 ბრძანებით, ცვლილებები შეტანილია 2006 წლის 31 მარტის #2-54, 28 ივნისის #2-111, 16 ოქტომბრის #2-196, 2007 წლის 13 აპრილის #2-48, 26 ივნისის #2-94, 2009 წლის 13 იანვრის #2-8 და 29 იანვრის #2-16 ბრძანებებით), მუხლი 4, პუნქტი 5, ქვეპუნქტი "ე"

⁴⁹ იქვე, მუხლი 98¹, ნაწილი 1

მართვის სფეროში კანონების მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფის ეფექტურ საშუალებას არ აძლევს, არსებული კანონმდებლობის ფარგლებში სამსახურს მაინც აქვს კანონის მოთხოვნათა დაცვის მდგომარეობის მონიტორინგის საშუალება. თუმცა ასეთი მონიტორინგის ეფექტურობა მთლიანად დამოკიდებულია იმ რესურსებზე, რომელიც სახელმწიფო მისი განხორციელებისთვის გამოჰყოფს. დღესდღეობით პესტიციდების გამოყენებისას ნორმებისა და წესების დაცვის მონიტორინგი სამსახურის მიერ არ ხორციელდება.

3.4.5 მომხმარებლის ინფორმირება და სწავლება

პესტიციდების უსაფრთხო გამოყენების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია მათ მომხმარებელთა საკმარისი ინფორმირებულობა ამ ნივთიერებათა საშიშროებისა და უსაფრთხო მოხმარების წესების შესახებ. სამწუხაროდ, საქართველოში ამ მხრივ მდგომარეობა სავალალოა. მიუხედავად საკანონმდებლო მოთხოვნისა, ხშირია შემთხვევები, როდესაც საბითუმო ბრუნვაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო ქიმიკატებს არ გააჩნია ქართულენოვანი წარწერები და თან არ ახლავს ქართულენოვანი ინსტრუქციები. გარდა ამისა, ხშირია მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანის ფაქტები არაკვალიფიცირებული დისტრიბუტორის მიერ.

სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის მიერ ხორციელდება გარკვეული მცდელობები პესტიციდების უსაფრთხო და ნორმების ფარგლებში გამოყენების მიზნით მომხმარებელთა ინფორმირებისთვის. კერძოდ, შეძლებისდაგვარად პერიოდულად მზადდება საინფორმაციო ბროშურები, პლაკატები. თავად "საქართველოში გამოყენებისთვის ნებადართული პესტიციდების კატალოგი" ფაქტობრივად საინფორმაციო ცნობარს წარმოადგენს და მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობის პირობებში იგი ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროდ გამოდგებოდა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ "კატალოგი" ოფიციალურ ნორმატიულ აქტს წარმოადგენს, მისი დიდი ზომის გამო მომხმარებელთათვის მისაწვდომი ბეჭდური ფორმით მისი გამოქვეყნება არ ხდება. იგი არც ინტერნეტის საშუალებით არის ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, კატალოგი ინფორმაციულად უაღრესად გადატვირთული დოკუმენტია, რომლის გამოყენება მოუშაადებელი ფერმერისთვის შეუძლებელია.

არ ტარდება ფერმერების თრენინგები პესტიციდების მიზნობრივი დანიშნულების, გამოყენების ნორმების და წესების შესახებ.

განსხვავებით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების პესტიციდებისგან, სამედიცინო მიზნით გამოყენებისთვის რეგისტრირებულ სადეზინფექციო, სადეზინსექციო და სადერატიზაციო საშუალებების ჩამონათვალი და მოკლე აღწერა ხელმისაწვდომია ინტერნეტით, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (სექცია 5.1.6) ინტერნეტ-გვერდზე www.ncdc.ge.

3.4.6 პესტიციდების უარყოფითი ზემოქმედების მონიტორინგი

საქართველოს კანონმდებლობა ადგენს პესტიციდების შემცველობის ზღვრულად დასაშვებ ნორმატივებს სასმელ წყალში⁵⁰, სურსათში და გარემოში⁵¹. სურსათის უვნებლობის,

⁵⁰ "სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტი" (დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 17 დეკემბრის #349 ბრძანებით)

⁵¹ "გარემოს ობიექტებში პესტიციდების შემცველობის ჰიგიენური ნორმატივები" (დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს #309 ბრძანებით)

ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის სამსახურს ევალება სურსათში და სასმელ წყალში ჰიგიენური მოთხოვნებისა და უვნებლობის პარამეტრების დაცვაზე სახელმწიფო კონტროლი⁵². რეალურად ხორციელდება ბაზარზე განთავსებული პროდუქციის უვნებლობის შერჩევითი შემოწმება ლაბორატორიული კვლევების გზით⁵³.

გარემოს დაბინძურების მონიტორინგი და მათ შორის – პესტიციდებით ნიადაგების დაბინძურებაზე დაკვირვება გარემოს ეროვნულ სააგენტოს ევალება⁵⁴. პესტიციდებით გარემოს დაბინძურების მონიტორინგზე რესურსები გამოყოფილი არ არის.

პესტიციდების ნარჩენებით ან დაბინძურებული სურსათით ადამიანთა მოწამვლის შემთხვევების საგანგებო შესწავლა საქართველოში არ ხორციელდება. ამის მიზეზია შესაბამისი ტოქსიკოლოგიური ლაბორატორიული ბაზის არარსებობა, რაც მოწამვლილი ადამიანის ბიოლოგიურ სითხეებში მომწამვლელი ნივთიერების ზუსტ განსაზღვრას შეუძლებელს ხდის.

3.5 გარემოს დაბინძურება

საშიში ქიმიური ნივთიერებებით გარემოს დაბინძურების და ამის შედეგად ადამიანთა ჯანმრთელობის დაზიანების აღკვეთისთვის სახელმწიფოები, როგორც წესი, შემდეგ ზომებს მიმართავენ:

- დამბინძურებელთა გარემოში მოხვედრის აღკვეთა/მინიმიზაცია გარემოს დამბინძურებელ ობიექტთა/საქმიანობათა რეგულირებისა და კონტროლის გზით;
- ადამიანთა ჯანმრთელობაზე გარემოს ფაქტორების ზემოქმედების შეფასება, გარემოს "სისუფთავის ნორმების" დადგენა, და გარემოს რეალური მდგომარეობის მუდმივი მონიტორინგი.

დღეს საქართველოში გარემოს დაბინძურების (გარემოში მავნე ნივთიერებათა ემისიის) რეგულირების სულ სამი მექანიზმი მოქმედებს. ესენია:

- გარემოზე ზემოქმედების ნებართვა⁵⁵ (მსხვილი სტაციონარული ობიექტებისთვის), რომელიც საქმიანობის ინიციატორის მიერ მომზადებული "გარემოზე ზემოქმედების შეფასების" ეკოლოგიური ექსპერტიზის საფუძველზე გაიცემა. ნებართვა შეიძლება შეიცავდეს დამატებით მოთხოვნებს/პირობებს, რომელთა დაცვა სავალდებულოა (იხ. სექცია 6.2.20.3).

⁵² "საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის დებულება" (დამტკიცებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2006 წლის 14 მარტის #2-44 ბრძანებით, ცვლილებები შეტანილია 2006 წლის 31 მარტის #2-54, 28 ივნისის #2-111, 16 ოქტომბრის #2-196, 2007 წლის 13 აპრილის #2-48, 26 ივნისის #2-94, 2009 წლის 13 იანვრის #2-8 და 29 იანვრის #2-16 ბრძანებებით), მუხლი 3, პუნქტი "ა", "გ", "თ".

⁵³ დაიწყო 2009 წელს. წლის განმავლობაში სურსათისა და სასმელი წყლის 3000-მდე ნიმუშის შემოწმება განხორციელდება.

⁵⁴ "სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულება" (დამტკიცებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 29 აგვისტოს #611 ბრძანებით), მუხლი 2, პუნქტი 2, ქვეპუნქტები "ა" – "დ".

⁵⁵ ან ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, როგორც მსენებლობის ნებართვის ერთ-ერთი საფუძველი – იხ. სექცია 6.2.20.3

- გარემოს დაბინძურების მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები. მათ შორის 2 გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტი სტაციონარული წყაროებისთვის და 1 - ავტომობილებისთვის:
 - საწარმოო და არასაწარმო ობიექტებში ჩამდინარე წყლების ზედაპრული წყლის ობიექტებში ჩაშვების ტექნიკური რეგლამენტი⁵⁶;
 - ტექნიკური რეგლამენტი ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დამაბინძურებელი საქმიანობისთვის⁵⁷;
 - ტექნიკური რეგლამენტი "ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მიმართ წაყენებული ტექნიკური მოთხოვნები და ტესტირების მეთოდები, რომლებთანაც შესაბამისობის დადგენის მიზნითაც ტარდება გზისთვის ვარგისობაზე ტესტირება"⁵⁸
- საწვავის ხარისხობრივი ნორმები:
 - საავტომობილო ბენზინისთვის⁵⁹
 - დიზელის საწვავისთვის⁶⁰

აღწერილი ნორმების/მოთხოვნების შესრულების კონტროლის მდგომარეობა კი ასეთია:

- გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე ან ამ ნებართვის პირობების დარღვევით ან გარემოსდაცვითი რეგლამენტების მოთხოვნათა დარღვევით განხორციელებულ საქმიანობათა გამოვლენა გარემოს დაცვის ინსპექციის ფუნქციაში შედის. თუმცა დღესდღეობით მისი შესაძლებლობები ამ ფუნქციის შესასრულებლად ფრიად შეზღუდულია.
- საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ისეთი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისთვის, რომლის გამონაბოლქვშიც დამბინძურებელ ნივთიერებათა რაოდენობა დადგენილ ნორმას აღემატება⁶¹. თუმცა 2013 წლის 1 იანვრამდე სავალდებულო ტესტირებას (მ.შ. გამონაბოლქვის შემოწმებას) მხოლოდ დიდი და მცირე ავტობუსები და საბარგო ავტომობილები ექვემდებარება⁶² ავტომობილების გამონაბოლქვის გზაზე შემოწმებას საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.
- საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ტყვიაშემცველი ბენზინის ან ტეტრაეთილტყვიის საქართველოში იმპორტის ან გაყიდვისთვის⁶³.

⁵⁶ დამტკიცებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 13 ნოემბრის #745 ბრძანებით;

⁵⁷ დამტკიცებულია იმავე ბრძანებით;

⁵⁸ დამტკიცებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის 2007 წლის 3 ივლისის #45 ბრძანებით, ცვლილება შევიდა 2007 წლის 29 ოქტომბრის # 124 ბრძანებით

⁵⁹ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2004 წლის 31 დეკემბრის #124 დადგენილებით, ცვლილებები შევიდა 2005 წლის 14 დეკემბრის #224, 2006 წლის 15 ნოემბრის #210, 2007 წლის 17 დეკემბრის #282 და 2008 წლის 17 დეკემბრის #243 დადგენილებებით

⁶⁰ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2005 წლის 28 დეკემბრის #238 დადგენილებით, ცვლილებები შევიდა 2007 წლის 31 ივლისის #165, 17 დეკემბრის #278 და 2008 წლის 17 დეკემბრის #244 დადგენილებებით

⁶¹ "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", მუხლი 81

⁶² კანონი "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ", მუხლი 45¹, პუნქტი 1

⁶³ "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", მუხლი 91²

თუმცა ამ სამართალდარღვევის აღმოჩენა დღეს არსებულ არც ერთ ორგანოს არ აკისრია.

რაც შეეხება გარემოს "სისუფთავის ნორმებს", საქართველოში დადგენილია მავნე ნივთიერებათა დაშვებული კონცენტრაციები გარემოს ფაქტორებში⁶⁴, სურსათში⁶⁵ და სასმელ წყალში⁶⁶.

გარემოს ფაქტორების მავნე ნივთიერებებით დაბინძურების არსებული დონის მონიტორინგი გარემოს ეროვნულ სააგენტოს (სექცია 5.1.4) ფუნქციაა⁶⁷. თუმცა დღესდღეობით იგი ჯერ-ჯერობით სუსტად ხორციელდება და მისი შედეგების საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობა შეზღუდულია.

სურსათში და სასმელ წყალში ჰიგიენური მოთხოვნებისა და უვნებლობის პარამეტრების დაცვაზე სახელმწიფო კონტროლი სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის სამსახურს (სექცია 5.1.1) ევალება⁶⁸. დღესდღეობით რეალურად ამ უწყების მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქციის უვნებლობის შერჩევითი შემოწმება ხორციელდება ლაბორატორიული კვლევების გზით⁶⁹.

საშიში ქიმიური ნივთიერებებით ან ამ ნივთიერებებით დაბინძურებული სურსათით ადამიანთა მოწამვლების შემთხვევების საგანგებო შესწავლა საქართველოში არ ხორციელდება. დაავადებების მონიტორინგს და სამედიცინო სტატისტიკას დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრი (სექცია 5.1.6) აწარმოებს⁷⁰, თუმცა ამ მონაცემთა სანდოობა საკმაოდ დაბალია. ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ სათანადო ბაზის არარსებობის გამო სამედიცინო დაწესებულებებში მოხვედრილ მოწამულ ადამიანთა ბიოლოგიურ სითხეებში არსებული მომწამვლელი აგენტების ლაბორატორიული იდენტიფიცირება საქართველოში არ ხორციელდება და დასკვნა მოწამვლის მიზეზის შესახებ მხოლოდ ანამნეზის ან კლინიკური სურათის მიხედვით კეთდება, რაც ბუნებრივია, მონაცემთა სიზუსტეზე უარყოფითად აისახება.

⁶⁴ "გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმები" (დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს #297/ნ ბრძანებით, ცვლილებები შესულია 2003 წლის 24 თებერვლის #38, 2006 წლის 15 სექტემბრის #251 და 2007 წლის 17 დეკემბრის #351 ბრძანებებით)

⁶⁵ საინტარული წესები და ნორმები 2.3.2.00-00 "ჰიგიენური მოთხოვნები სასურსათო ნედლეულისა და საკვები პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოებისადმი" (დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს #301/ნ ბრძანებით) და "გარემოს ობიექტებში პესტიციდების შემცველობის ქიმიური ნორმატივები" (დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს #309/ნ ბრძანებით)

⁶⁶ "სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტი" (დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 17 დეკემბრის #349 ბრძანებით)

⁶⁷ "სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულება" (დამტკიცებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 29 აგვისტოს #611 ბრძანებით), მუხლი 2, პუნქტი 2, ქვეპუნქტები "ა" – "დ".

⁶⁸ "საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საკვეთუწყებო დაწესებულების, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის დებულება" (დამტკიცებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2006 წლის 14 მარტის #2-44 ბრძანებით, ცვლილებები შეტანილია 2006 წლის 31 მარტის #2-54, 28 ივნისის #2-111, 16 ოქტომბრის #2-196, 2007 წლის 13 აპრილის #2-48, 26 ივნისის #2-94, 2009 წლის 13 იანვრის #2-8 და 29 იანვრის #2-16 ბრძანებებით), მუხლი 3, პუნქტი "ა", "გ", "თ".

⁶⁹ დაიწყო 2009 წელს. წლის განმავლობაში სურსათისა და სასმელი წყლის 3000-მდე ნიმუშის შემოწმება განხორციელდება.

⁷⁰ "სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულება" (დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107 ბრძანებით), მუხლი 2, პუნქტი 2, ქვეპუნქტები "აგ" და "გ".

3.6 ქიმიური ავარიების თავიდან აცილება, მზადყოფნა, რეაგირება

ქიმიური ავარიების პრევენციის, მზადყოფნისა და ადექვატური რეაგირებისთვის სახელმძღვანელო საერთაშორისო დოკუმენტია ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) 2003 წლის ”ქიმიური ავარიების თავიდან აცილების, მზადყოფნისა და რეაგირების სახელმძღვანელო პრინციპები”⁷¹ (იხ. სექცია 6.1.10). ამ დოკუმენტის მიხედვით ქვეყანაში ქიმიური უსაფრთხოებისთვის აუცილებელია ქიმიური ავარიების პრევენციისა და მზადყოფნის სისტემის ამოქმედება. ამ სისტემის ფარგლებში ყველა პოტენციურად საშიშ საწარმომ უნდა:

- გაითვალისწინოს ქიმიური უსაფრთხოების საკითხები საწარმოს დაპროექტების და განთავსებისას,
- შეიმუშავოს და დანერგოს უსაფრთხოების მართვის სისტემა,
- რეგულარულად მოამზადოს და წარდგენოს უსაფრთხოების დეკლარაცია,
- შეაფასოს ყველა შესაძლო ავარია და შეიმუშავოს მათზე რეაგირების გეგმა; მზადყოფნაში იქონიოს გეგმის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები.

იმისთვის, რომ ქვეყანაში ასეთი სისტემა ფუნქციონირებდეს, საჭიროა:

- კანონმდებლობა აწესებდეს შესაბამის მოთხოვნებს და მოთხოვნათა შესრულების წესები დეტალურად იყოს გაწერილი;
- არსებობდეს მოთხოვნათა შესრულების კონტროლის ეფექტური მექანიზმი. ანუ:
 - ყველა ობიექტი, რომელიც წარმოადგენს საშიშროებას ქიმიური ავარიის თვალსაზრისით, აღრიცხული იყოს (რისთვისაც უნდა არსებობდეს მათი გამოვლენის ეფექტური პროცედურა);
 - არსებობდეს ქიმიური უსაფრთხოების მაკონტროლებელი (ინსპექტირების) ორგანო, სათანადო რესურსებით;
 - ხორციელდებოდეს უსაფრთხოების და ავარიებისადმი მზადყოფნის მოთხოვნათა შესრულების რეგულარული შემოწმება და დამრღვევთა ეფექტური დასჯა.

გარდა ამისა, საწარმოებიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მთავრობამ უნდა შეიმუშავოს ქიმიურ ავარიებზე რეაგირების (ცენტრალური და ადგილობრივი) გეგმები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება საშიშ საწარმოთა ტერიტორიული ურთიერთგანთავსება და შესაძლო კუმულაციური ეფექტი. ეს გეგმა ინტეგრირებული უნდა იყოს ბუნებრივ კატასტროფებზე რეაგირების გეგმებთან, ვინაიდან ბუნებრივი კატასტროფული მოვლენები ქიმიური ავარიების გამომწვევი ან გამამძლიერებელი ფაქტორი შეიძლება იყოს. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საკმარისი რესურსის არსებობა (ან სწრაფი მობილიზების მექანიზმი) ავარიებზე რეაგირების გეგმის განსახორციელებლად.

ქვემოთ განხილილია ქიმიური ავარიების თავიდან აცილების, მზადყოფნისა და რეაგირების სახელმძღვანელო პრინციპების საქართველოში განხორციელების მდგომარეობა. ეს საკითხები საქართველოში რამოდენიმე კანონით რეგულირდება (დეტალებისთვის იხილეთ შესაბამისი სექციები):

- კანონი ”საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ” (სექცია 6.2.7).
- კანონი ”საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ” (სექცია 6.2.8),
- კანონი ”ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ” (სექცია 6.2.18)

⁷¹ Guiding Principles for Chemical Accident Prevention, Preparedness and Response

3.6.1 საშიშ საწარმოთა დაპროექტება, განთავსება, მშენებლობა

საშიშ საწარმოო ობიექტის მშენებლობის წინაპირობას ობიექტის (ან განსახორციელებელ სამუშაოთა) პროექტის ტექნიკური უსაფრთხოების ექსპერტიზა წარმოადგენს⁷², რომელსაც საწარმოს დაფინანსებით საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია ახორციელებს. გარდა ამისა, საშიშ საწარმოს ექსპლუატაციაში გაშვებისთვის აუცილებელია "საშიშ საწარმოო ობიექტის ექსპლუატაციის ნებართვა"⁷³. ასეთ ნებართვას ორი სხვადასხვა უწყება გასცემს, კერძოდ:

- ნავთობისა და გაზის სექტორში მომუშავე საწარმოებისთვის ნებართვას გასცემს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება: ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტო (ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის დასკვნის საფუძველზე);
- ყველა სხვა საშიშ საწარმოებისთვის ნებართვას გასცემს საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია.

ორივე შემთხვევაში ნებართვის საფუძველია ტექნიკური უსაფრთხოების ექსპერტიზის დადებითი დასკვნა.

საშიშ საწარმოო ობიექტზე გამოყენებულ ტექნიკურ მოწყობილობას უნდა გააჩნდეს ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნათა შესაბამისობის სერტიფიკატი⁷⁴. მოწყობილობის მწარმოებლის მიერ მოწყობილობის მუშაობისათვის დადგენილი ნორმატიული ვადის გასვლის შემდეგ კი მოწყობილობას ესაჭიროება ტექნიკური უსაფრთხოების ექსპერტიზა⁷⁵.

გადაწყვეტილებას საწარმოთა განთავსების შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები იღებენ. მიწათმოწყობის მარეგულირებელი აქტები, რომელსაც ეს გადაწყვეტილებები უნდა დაეყრდნოს, დღეს საქართველოში არ არსებობს.

3.6.2 საშიშ საწარმოთა აღრიცხვა

"საშიშ ქიმიურ ნივთიერებების შესახებ" კანონის მიხედვით საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ (იხ. სექცია 5.1.5) უნდა აწარმოოს საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა ერთიანი სახელმწიფო რეესტრი, რომელმაც ამ ნივთიერებათა გამომყენებელ⁷⁶ საწარმოთა ნუსხაც უნდა მოიცვას. ასეთი რეესტრი შექმნილი დღემდე არ არის.

საშიშ საწარმოთა რეესტრის შექმნას ითვალისწინებს აგრეთვე კანონი "საშიშ საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ". არსებობს კანონპროექტებზე აქტივ, რომელიც რეესტრის წარმოების მიზნით საწარმოთა აღრიცხვის (სააღრიცხვო ბარათის) ფორმას და შევსების წესს

⁷² კანონი "საშიშ საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ", მუხლი 15, პ. 1 და 3

⁷³ იქვე, მუხლი 13, პუნქტი 2, აგრეთვე კანონი "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ", მუხლი 24, პუნქტი 25

⁷⁴ კანონი "საშიშ საწარმო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ", მუხლი 7

⁷⁵ დებულება "საშიშ საწარმოო ობიექტის ტექნიკური უსაფრთხოების ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ" (დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსის 2003 წლის 17 ივლისის #20 ბრძანებით), მუხლი 1, პუნქტი 2 "ე"

⁷⁶ უფრო ზუსტად, რეესტრი უნდა შეიცავდეს საქართველოში იმ საწარმოთა ნუსხას, რომლებიც დაკავშირებულია საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა წარმოებასთან, ტრანსპორტირებასთან, მოხმარებასთან, შენახვასთან, გაუვნებელყოფასთან ან გამოყენებიდან ამოღებასთან (კანონი "საშიშ ქიმიური ნივთიერებების შესახებ", მუხლი 23, პ. 6)

ადგენს⁷⁷. თუმცა ეს აქტი არ აკონკრეტებს თავად რეესტრის, ანუ საინფორმაციო ბაზის წარმოების ფორმას. დღესდღეობით ეს რეესტრი უწყებაში მოგროვილი სხვადასხვა საწარმოების მიერ შევსებული სააღრიცხვო ბარათების სახით არსებობს. მათი დამუშავება და სისტემატიზაცია არ ხორციელდება. შესაბამისად, რეესტრი გამოსაყენებლად პრაქტიკულად გამოუდგარია.

საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტს (იხ. სექცია 5.1.9) გააჩნია საშიშ საწარმოთა და მათში გამოყენებულ საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა სახისა და მოცულობის აღმწერი ჩამონათვალი, რომელიც ძლიერ მოძველებულია და რეალობას აღარ ასახავს. კანონმდებლობა ამ უწყების მიერ საშიშ საწარმოთა ბაზის განახლებას არ ითვალისწინებს.

3.6.3 უსაფრთხოების მართვის სისტემები საწარმოებში

”უსაფრთხოების მართვის სისტემის”⁷⁸ კონცეფციის ანალოგიას საქართველოს კანონმდებლობაში უსაფრთხოების შიდასაწარმოო კონტროლი წარმოადგენს. ყველა საშიშ საწარმოს უნდა გააჩნდეს შიდასაწარმოო კონტროლის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირი ან უსაფრთხოების სამსახური⁷⁹.

საწარმოო უსაფრთხოების შიდასაწარმოო კონტროლის ფუნქციაა:

- ტექნოლოგიური პროცესის უსაფრთხოების ღონისძიებების შემუშავება⁸⁰, ობიექტის უსაფრთხო მუშაობაზე ზეგავლენის მომხდენი გარემოებებისა და დარღვევების გამოვლენა⁸¹.
- წარმოების პირობებში უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა⁸², მ.შ. მუშაკების მიერ უსაფრთხოების ტექნიკის ცოდნის უზრუნველყოფა და კონტროლი⁸³.

საგულისხმოა, რომ უსაფრთხოების წესები, რომელთა მოთხოვნის შესრულება შიდასაწარმოო კონტროლის სამსახურმა უნდა შეამოწმოს, საქართველოს ადმინისტრაციული ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ უნდა იყოს დამტკიცებული⁸⁴. დღეისთვის ასეთი წესები სულ რამოდენიმე ტიპის საწარმოსთვის არის დადგენილი (იხ. სექცია 6.2.7.3).

გარდა ამისა, არ არის დადგენილი ერთიანი მიდგომები შიდასაწარმოო კონტროლისადმი და ამ კონტროლის განხორციელების წესები, ანუ მინიმალური მოთხოვნები საწარმოს უსაფრთხოების მართვის სისტემისადმი და მათი შეფასების კრიტერიუმები.

3.6.4 უსაფრთხოების დეკლარაციები

”საშიშ საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ” კანონის მიხედვით საშიშ საწარმოებს ევალებათ უსაფრთხოების დეკლარაციის წარდგენა ტექნიკური ზედამხედველობის

⁷⁷ დებულება ”საშიშ საწარმოო ობიექტის სახელმწიფო რეესტრის წარმოებისა და რეგისტრაციის წესის შესახებ”, დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსის 2003 წლის 17 ივლისის #22 ბრძანებით

⁷⁸ Safety Management System

⁷⁹ კანონი ”საშიშ საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ”, მუხლი 17, პუნქტი 3

⁸⁰ კანონი ”საშიშ ქიმიური ნივთიერებების შესახებ”, მუხლი 43, პუნქტი 3 ”ზ”

⁸¹ კანონი ”საშიშ საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ”, მუხლი 17, პუნქტი 1

⁸² იქვე

⁸³ კანონი ”საშიშ ქიმიური ნივთიერებების შესახებ”, მუხლი 43, პუნქტი 3 ”დ”

⁸⁴ კანონი ”საშიშ საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ”, მუხლი 5, პუნქტი 1 და 2

სახელმწიფო ინსპექციის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში⁸⁵. თუმცა არ არის დამტკიცებული საქართველოს მთავრობის დადგენლება, რომელიც დეკლარაციის ფორმას, შინაარსს, მომზადებისა და წარდგენის პერიოდულობას და წესებს დაადგენდა. შესაბამისად, ასეთი დეკლარაციების მომზადება და წარდგენა საშიში საწარმოების მიერ არ ხორციელდება.

3.6.5 ავარიაზე რეაგირების "საწარმოს-შიდა" გეგმა და მისი განხორციელების რესურსები

"საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ" კანონი ითხოვს, რომ ყველა საწარმო, რომელიც დაკავშირებულია საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა წარმოებასთან, ტრანსპორტირებასთან, მოხმარებასთან, შენახვასთან, გაუვნებელყოფასთან ან გამოყენებიდან ამოღებასთან, გააჩნდეს შემდეგი⁸⁶:

- შესაძლო ავარიებისა და საგანგებო მდგომარეობათა ნუსხა, მათი შედეგების პროგნოზირებით;
- ავარიებისა და საგანგებო მდგომარეობისადმი მზადყოფნისა და რეაგირების გეგმები და გადაწყვეტილებათა მიღების კრიტერიუმები; საგანგებო მდგომარეობაში მოქმედების გეგმა⁸⁷;
- საშიში ქიმიური ნივთიერებების გამოყენებიდან უსაფრთხო ამოღების და განთავსების სქემები და მეთოდები;
- საავარიო სამსახური⁸⁸.

საგანგებო მდგომარეობაში მოქმედების გეგმა უნდა აღწერდეს⁸⁹:

- საგანგებო მდგომარეობის ლიკვიდაციისთვის საჭირო ძალებისა და საშუალებების ნუსხას;
- იმ პირთა სიას და საკონტაქტო ინფორმაციას, რომლებიც პასუხს აგებენ ავარიის ლიკვიდაციაზე;
- საგანგებო მდგომარეობაში საკუთარი საავარიო სამსახურის მოქმედებათა რიგითობას და ხასიათს;
- სხვა დაწესებულებების ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება ჩაერთონ საგანგებო მდგომარეობის ლიკვიდაციაში, მათ ფუნქციებს, ამოცანებს, მათი ინფორმირების და მათთან ურთიერქმედების წესებსა და პირობებს.

საინტერესოა, რომ კანონის მიხედვით საწარმოს საავარიო სამსახურს ევალება როგორც უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მონაწილეობა (სექცია 3.6.3), ასევე ავარიებისადმი მზადყოფნის უზრუნველყოფის და ავარიის ლოკალიზაცია-ლიკვიდაციის ფუნქციები. ამ უკანასკნელიდან კანონი ითვალისწინებს:

- საგანგებო მდგომარეობათა და საშიშროების შემთხვევების პროგნოზირებას;
- იმიტირებული ავარიების ლოკალიზაცია-ლიკვიდაციის ვარჯიშების ჩატარებას;
- სათანადო სპეცტანსაცმლის, აირწინაღების და სხვა ტექნიკური და სატრანსპორტო საშუალებების უზრუნველყოფას⁹⁰;

⁸⁵ კანონი "საშიში საწარმო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ", მუხლი 2, პუნქტი 3

⁸⁶ კანონი "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ", მუხლი 41, პუნქტი 2

⁸⁷ კანონი "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ", მუხლი 42, პუნქტი 1

⁸⁸ კანონი "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ", მუხლი 43, პუნქტი 1

⁸⁹ კანონი "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ", მუხლი 42, პუნქტი 2

- რეგიონულ საავარიო სამსახურებთან კავშირების აწყობას.

”საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ” კანონი ითხოვს, რომ საავარიო სამსახურს უშუალოდ საწარმოს ხელმძღვანელი უძღვებოდეს⁹¹. თუმცა, ”საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ” კანონის მიხედვით საწარმომ შეიძლება გარედან, ხელშეკრულებით მოიწვიოს სამსახური, რომლის მოვალეობაში ავარიების ლიკვიდაცია და ლოკალიზაცია შევა⁹². ”ზუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებიდან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ” კანონის მიხედვით კი იურიდიული პირები ვალდებული არიან შექმნან საგანგებო სიტუაციათა შედეგების ლიკვიდაციისთვის საჭირო ძალები (არსებული ან დამატებითი ძალების მემეგობით) და უზრუნველყონ მათი მზადყოფნა⁹³.

საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს ნორმატიულ აქტს, რომელიც ავარიებზე ან საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის ფორმას, შინაარსს ან შედეგის წესს, ან მისი შეფასების ერთიან კრიტერიუმებს დაადგენდა, რაც არარეალურს ხდის ყველა საშიში საწარმოს მიერ ასეთი გეგმების შემუშავებას, და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მათ ხარისხს და ეფექტურობას.

3.6.6 საშიშ საწარმოთა შემოწმება სახელმწიფოს მიერ

საშიში საწარმოო ობიექტები ექსპლუატაციის ფაზაში ექვემდებარება რეგულარულ შემოწმებას (ზედამხედველობას) საწარმოო უსაფრთხოების მოთხოვნათა დაცვაზე. ამ შემოწმებებს საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია ახორციელებს. უსაფრთხოების წესების დარღვევათა აღმოჩენის შემთხვევაში ინსპექცია ადგენს მიწერილობას, რომლის შესრულება სავალდებულოა. გარდა ამისა, უსაფრთხოების წესების დარღვევა საჯარიმო სანქციებით ისჯება (იხ. სექცია 6.2.7.5).

რაც შეეხება ქიმიური ავარიებისადმი მზადყოფნის მოთხოვნებს (რეაგირების გეგმები, საჭირო რესურსების არსებობა და ა.შ.) საქართველოს კანონმდებლობა მათი შესრულების სახელმწიფო შემოწმებას არ ითვალისწინებს.

3.6.7 ავარიებზე რეაგირების ტერიტორიული გეგმები

ავარიებზე რეაგირების ადგილობრივი გეგმები საქართველოში არ არსებობს. ”ზუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ” კანონის ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2008 წლის 26 აგვისტოს დამტკიცდა ”ზუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმა”, რომელიც ადგენს საგანგებო სიტუაციებზე სახელმწიფო რეაგირების ზოგად სქემას, სახელმწიფო უწყებათა ურთიერთდახმარების 17 ფუნქციას, ამ ფუნქციის ფარგლებში შესასრულებელ ამოცანებს და თითოეული ფუნქციის შესრულებაზე პასუხისმგებელ და დამხმარე ორგანოებს. კანონის მიხედვით, საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმა რეაგირების ”ერთიან სისტემაში⁹⁴” შემავალ სახელმწიფო

⁹⁰ კანონი ითხოვს, რომ ამ საშუალებებით საავარიო სამსახურმა საწარმოს უსაფრთხოების სამსახური მოამარაგოს, – რაც, ვფიქრობთ, შეცდომაა.

⁹¹ კანონი ”საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ”, მუხლი 43, პუნქტი 2

⁹² კანონი ”საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ”, მუხლი 14, პუნქტი 2

⁹³ კანონი ”ზუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებიდან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ”, მუხლი 15, პუნქტი 2 ”გ”

⁹⁴ სრული დასახელება: საგანგებო სიტუაციათა თავიდან აცილების, ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის ერთიანი სისტემა, იხ. დანართი 3, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ტერმინოლოგია

უწყებათა რეაგირების გეგმების ერთობლიობას უნდა წარმოადგენდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ უწყებებმა ასეთი გეგმები უნდა შეიმუშავონ.

გარდა ამისა, საქართველოს კანონმდებლობა "ერთიანი სისტემის" ამოცანებად ითვალისწინებს საგანგებო სიტუაციათა პროგნოზირებას⁹⁵ და მათთვის მზადყოფნას⁹⁶. შესაბამისად, ეს კომპონენტები თითოეული სახელმწიფო უწყების მიერ მომზადებულ რეაგირების გეგმებსაც უნდა გააჩნდეთ.

საგანგებო სიტუაციების კუთხით ქიმიური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე ძირითად პასუხისმგებელ ორგანოს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო წარმოადგენს. შესაბამისად, ქვეყანაში ქიმიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის გეგმა სამინისტრომ უნდა შეიმუშავოს. დღეს ეს პროცესი სამინისტროში მხოლოდ საწყის სტადიაზეა.

3.6.8 ავარიების შედეგების ლიკვიდაცია

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საგანგებო სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაცია პირველ რიგში თავად იმ იურიდიული კერძო ან საჯარო პირების ძალებით და საშუალებებით უნდა მოხდეს, რომელთა ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზე და რომელთა ბრალეულობით წარმოიქმნა საგანგებო სიტუაცია⁹⁷. იმ შემთხვევაში, თუ საგანგებო სიტუაციის შედეგების ლიკვიდაცია აღნიშნული შიდა ძალებით შეუძლებელია, სალიკვიდაციო ღონისძიებებში ე.წ. "ერთიანი სისტემა"⁹⁸ უნდა ჩაერთოს.

"საგანგებო სიტუაციის თავიდან აცილების, ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის ერთიანი სისტემა" სამთავრობო უწყებათა შორის თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების წინასწარ დადგენილ სქემას წარმოადგენს. ერთიანი სისტემის საქმიანობის მართვას საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის შესაბამისი დონის (ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკების, ადგილობრივი) დანაყოფები ახორციელებენ⁹⁹.

"ერთიანი სისტემის" ფარგლებში საგანგებო სიტუაციებისას ქიმიური და რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნქციის განხორციელებაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო არის პასუხისმგებელი¹⁰⁰. კერძოდ, ამ ფუნქციაში საწარმოო ობიექტებზე მომხდარი ავარიების შედეგად ძლიერმოქმედი ტოქსიკური ან რადიოაქტიური ნივთიერებების გავრცელების უნარისა და საშიშროების შეფასება და ამ გავრცელების აღკვეთისა და მოსახლეობის დაცვის ღონისძიებების შემუშავება და (სხვა უწყებებთან ერთობლივად) განხორციელების ორგანიზება იგულისხმება.

⁹⁵ კანონი "ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ", მუხლი 6, პუნქტი 1, ქვეპუნქტები "ა" და "გ"

⁹⁶ იქვე, პუნქტები "დ", "ვ" და "ზ"

⁹⁷ კანონი "ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობის და ტერიტორიის დაცვის შესახებ", მუხლი 5, პუნქტი 4

⁹⁸ სრული დასახელება: საგანგებო სიტუაციის თავიდან აცილების, ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის ერთიანი სისტემა. იხ. დანართი 3, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ტერმინოლოგია

⁹⁹ ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმა (დამტკიცებული საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 26 აგვისტოს #415 ბრძანებულებით), მუხლი 8, პუნქტი 1

¹⁰⁰ ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმა (დამტკიცებული საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 26 აგვისტოს #415 ბრძანებულებით), დანართი 1.

3.7 მომუშავეთა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

სამუშაო ადგილებზე ადამიანთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვას უდიდეს ყურადღებას უთმობს შრომის სერთაშორისო ორგანიზაცია ILO. ქიმიური ნივთიერებების მავნე ზემოქმედებისგან მომუშავეთა დაცვის აღიარებული სქემა მდგომარეობს სამუშაო გარემოს უსაფრთხო (მ.შ. ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო) სავალდებულო მახასიათებლების დადგენაში, მეწარმის მიერ მათ უზრუნველყოფაში და სახელმწიფოს მხრიდან ამის გაკონტროლებაში.

სამუშაო ადგილებზე ქიმიური უსაფრთხოებისათვის საჭირო მთელი რიგი ნორმები საქართველოში დადგენილია და მეწარმე ვალდებულია ისინი შეასრულოს¹⁰¹. თუმცა საქართველოში არ არსებობს ორგანო, რომელიც ამ მოთხოვნათა შესრულებას გააკონტროლებდა.

საჭიროა:

- არსებულ ან ახალ საჯარო ორგანოს დაევალოს სამუშაო ადგილებისთვის დადგენილი ჰიგიენური ნორმების დაცვის მდგომარეობის შემოწმება;
- განხორციელდეს მომუშავეთა დაცვის საბაზო კონვენციების რატიფიცირება და იმპლემენტაცია საქართველოს მიერ:
 - o 1977 წლის კონვენცია #148 სამუშაო გარემოს შესახებ;
 - o 1981 წლის კონვენცია #155 სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ;
 - o 2001 წლის კონვენცია #184 სასოფლო სამეურნეო სამუშაოებისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.
 - o 1947 წლის კონვენცია #81 სამუშაო ადგილის ინსპექტირების შესახებ;
 - o 1969 წლის კონვენცია #129 სოფლის მეურნეობაში სამუშაო ადგილის ინსპექტირების შესახებ;
 - o 1990 წლის კონვენცია #170 ქიმიკატების შესახებ;

3.8 ძირითადი ნაკლოვანებები და რეკომენდაციები მათი აღმოფხვრისთვის

როგორც ზემოთ ნაჩვენებია, რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებები და ეროვნული კანონები საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა საქართველოში იმპორტ-ექსპორტის, წარმოების და მოხმარების, აგრეთვე მათი ნარჩენების ტრანსპორტირების რეგულირებასა და კონტროლს ითხოვს. თუმცა ამ მოთხოვნათა შესრულების ეფექტური მექანიზმი საქართველოში ჯერ არ არსებობს. მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია:

- ”შეზრუდულად ბრუნვადი მასალების” იმპორტ-ექსპორტის, წარმოებისა და ტრანსპორტირების მარეგულირებელი აქტის დახვეწა იმგვარად, რომ იგი სრულად ითვალისწინებდეს სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციებითა და ეროვნული

¹⁰¹ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 18 სექტემბრის #262 ბრძანებით დამტკიცებული ”სამუშაო ზონის ჰაერში ფიზროგენური, შერეული ტიპის აეროზოლებისა და ლითონების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები” და 2003 წლის 25 დეკემბრის #346 ბრძანებით დამტკიცებული ”სამუშაო ზონის ჰაერში მავნე ნივთიერებების შემცველობის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები”.

კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და პროცედურებს (სასურველია აქტი დაიყოს რამოდენიმე ნაწილად);

- სტოკჰოლმის კონვენციით რეგულირებად ნივთიერებთა (იხ. ცხრილი 32) წარმოებისა და მოხმარების აკრძალვის/აღკვეთის უზრუნველსაყოფი ნორმატიული ბაზის შემუშავება და ამოქმედება.
- პარიზის კონვენციით რეგულირებადი ნივთიერებების (იხ. ცხრილი 30) წარმოების, მოხმარების, გადაცემის (ექსპორტ–იმპორტის), აკრძალვის/აღკვეთის, შეზღუდვის და განადგურების უზრუნველსაყოფი ნორმატიული ბაზის შემუშავება და ამოქმედება.

გარდა ამისა, საჭიროა საბაჟოების შესაძლებლობათა გაძლიერება ქიმიურ ნივთიერებათა სათანადო და უსაფრთხო იდენტიფიცირებისთვის. ამისთვის საჭიროა: საბაჟოებზე შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, საბაჟოების აღჭურვა ქიმიურ ნივთიერებათა საიდენტიფიკაციო მოწყობილობით, მებაჟეთა უზრუნველყოფა სათანადო საინფორმაციო ბაზებით და მებაჟეთა წვრთნები.

სახიფათო ტვირთების სათანადო ნიშანდების უზრუნველსაყოფად კი აუცილებელია მიღებული იქნას კანონქვემდებარე აქტი, რომლითაც სახიფათო ტვირთებისთვის გაეროს მიერ დადგენილი ოთხნიშნა კოდების მნიშვნელობებს განმარტავს.

პესტიციდების მართვის სფეროში გამოვლენილი ძირითადი ნაკლოვანებები და მათი აღმოფხვრის ზომები შემდეგია:

- პესტიციდების რეგისტრაციას არ გააჩნია იძულების მექანიზმი. **საჭიროა:** შემუშავდეს არარეგისტრირებული პესტიციდების იმპორტის, დისტრიბუციის და გამოყენების აღკვეთის ქმედითი მექანიზმები;
- მიმოქცევაში გაშვებული პესტიციდების ხარისხის, შეფუთვის, ნიშანდების მონიტორინგი სუსტია და კონტროლი კი საერთოდ შეჩერებულია. ამავე დროს ხშირია მომხმარებლის არასათანადო ინფორმირების, ან შეცდომაში შეყვანის შემთხვევები. **საჭიროა:** მიმოქცევაში გაშვებული პესტიციდების ხარისხის, შეფუთვის, ნიშანდების მკაცრი კონტროლის ამოქმედება;
- არ არსებობს საკვალიფიკაციო მოთხოვნები პესტიციდების დისტრიბუტორებისთვის. მომხმარებელთა მეტი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად **სასურველია** ასეთი მოთხოვნების დაწესება და კონტროლი;
- არ ხორციელდება პესტიციდების გამოყენების ნორმების დაცვის შემოწმება. **სასურველია** დაწესდეს რეგულარული მონიტორინგი პესტიციდების გამოყენების ნორმების დაცვის შესამოწმებლად;
- მხოლოდ საწყის სტადიაშია სურსათში პესტიციდების ნაშთების მონიტორინგი ან კონტროლი. **აუცილებელია** ამ საქმიანობათა გაფართოება და რეგულარულად წარმოება.
- დაბალია ფერმერთა ინფორმირებულობა პესტიციდების უსაფრთხო გამოყენების ნორმებისა და წესების თაობაზე. **აუცილებელია** განხორციელდეს ფერმერთა ინფორმირებისა და სწავლების ფართომასშტაბიანი კომპანია;
- არარეგულარულია პესტიციდებით გარემოს დაბინძურების მონიტორინგი. **აუცილებელია** პესტიციდებით გარემოს დაბინძურების მონიტორინგის რეგულარული განხორციელება;
- არ წარმოებს პესტიციდებით ფერმერთა და სურსათის მომხმარებელთა მოწამვლების კვლევა. **აუცილებელია:** პესტიციდებით ფერმერთა და სურსათის მომხმარებელთა

მოწამვლის ყოველი შემთხვევის გამოკვლევის და შესაბამისი სტატისტიკის წარმოების უზრუნველყოფა.

სხვა საშიში ქიმიური ნივთიერებებით გარემოს დაბინძურების აღკვეთის სფეროში გამოვლენილი ძირითადი ნაკლოვანებები გარემოსდაცვითი კონტროლისა და მონიტორინგის სისტემების დაკავშირებული. კერძოდ:

- გასაძლიერებელია გარემოსდაცვითი ინსპექციის მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვების პირობების შესრულების კონტროლი;
- არ ხორციელდება გარემოსდაცვითი რეგლამენტების შესრულების კონტროლი;
- შეჩერებულია ავტომობილების გაფრქვევათა კონტროლი;
- არ ხორციელდება საწვავის ხარისხისა და შემადგენლობის კონტროლი;
- არასაკმარისია გარემოში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციების გაზომვები;
- არ ხორციელდება გარემოს ფაქტორების (და მათი დაბინძურების) ადამიანთა ჯანმრთელობაზე ზემოქმედების კვლევა.

გარემოს დაბინძურების აღკვეთისთვის *სასურველია* მონიტორინგისა და კონტროლის ჩამოთვლილი ღონისძიებების სათანადო დონეზე განხორციელება.

საქართველოში ქიმიური ავარიების პრევენციის, მზადყოფნისა და ადექვატური რეაგირების სფეროში გამოვლენილი ძირითადი ნაკლოვანებები და მათი აღმოფხვრის ზომები შემდეგია:

- საშიშ საწარმოთა რეესტრი ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციაში წარმოებს ისეთი ფორმით, რომელიც გამოუდგარია სხვა უწყებების მიერ გამოსაყენებლად (მ.შ. საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების გეგმების შესადგენად). *საჭიროა:* ნორმატიული აქტის შემუშავება და დამტკიცება, რომელიც ამ რეესტრის ფორმას გამოსაყენებლად უფრო მისაღებს გახდის;
- საქართველოს კანონმდებლობა საწარმოთა უსაფრთხოების მართვის სიტემებს არ იცნობს. მის სანაცვლოდ გათვალისწინებულია უსაფრთხოების შიდასაწარმოო კონტროლი სპეციალური პირის ან სამსახურის მხრიდან. თუმცა სახელმწიფოს მიერ არ არის დადგენილი ამ კონტროლის განხორციელების დეტალური წესები. გარდა ამისა, უსაფრთხოების წესები, რომელთა დაცვა საწარმოო კონტროლმა უნდა შეამოწმოს, საქართველოში სულ რამოდენიმე ტიპის საწარმოსთვის არის დადგენილი. *საჭიროა:* ნორმატიული აქტების შემუშავება და დამტკიცება, რომლებიც უსაფრთხოების შიდასაწარმოო კონტროლის წესებს დაადგენს (სასურველია საწარმოო უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვის გზით) და აგრეთვე დაადგენს უსაფრთხოების წესებს საქართველოში არსებული ყველა ტიპის საშიში საწარმოსთვის;
- კანონმდებლობა არ განმარტავს უსაფრთხოების დეკლარაციის ფორმას, შინაარსს, შედგენისა და წარდგენის წესებს. *საჭიროა:* შესაბამისი ნორმატიული აქტის შემუშავება და დამტკიცება;
- კანონმდებლობა არ შეიცავს საშიშ საწარმოთა მიერ ავარიების ან საგანგებო სიტუაციების დროს მოქმედებების გეგმების შედგენის ინსტრუქციებსა და წესებს. *საჭიროა:* შესაბამისი ნორმატიული აქტის შემუშავება და დამტკიცება;
- კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საშიშ საწარმოთა მიერ ავარიებისთვის/საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნის მოთხოვნების კონტროლს. *საჭიროა:* შესაბამისი უფლებამოსილების დაკისრება რომელიმე საჯარო უწყებაზე და კონტროლის პროცედურის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შემუშავება და დამტკიცება;

- არ არის შემუშავებული ქიმიურ ავარიებზე/საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ეროვნული და ადმინისტრაციული გეგმები, სადაც კონკრეტული სახიფათო საწარმოების ურთიერთგანთავსება და შესაძლო კუმულაციური ეფექტი, აგრეთვე ავარიებზე რეაგირების ამ საწარმოებში არსებული და დამატებით საჭირო რესურსები იქნებოდა გათვალისწინებული. **საჭიროა:** შესაბამისი უწყების გაძლიერება ამ გეგმების დროულად შესამუშავებლად;

მომუშავეთა ქიმიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად **საჭიროა:**

- არსებულ ან ახალ საჯარო ორგანოს დაევალოს სამუშაო ადგილებისთვის დადგენილი ჰიგიენური ნორმების დაცვის მდგომარეობის შემოწმება;
- განხორციელდეს მომუშავეთა დაცვის შემდეგი კონვენციების რატიფიცირება და იმპლემენტაცია საქართველოს მიერ:
 - o 1977 წლის კონვენცია #148 სამუშაო გარემოს შესახებ;
 - o 1981 წლის კონვენცია #155 სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ;
 - o 2001 წლის კონვენცია #184 სასოფლო სამეურნეო სამუშაოებისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.
 - o 1947 წლის კონვენცია #81 სამუშაო ადგილის ინსპექტირების შესახებ;
 - o 1969 წლის კონვენცია #129 სოფლის მეურნეობაში სამუშაო ადგილის ინსპექტირების შესახებ;
 - o 1990 წლის კონვენცია #170 ქიმიკატების შესახებ.

თავი 4. ქიმიურ ნივთიერებათა მართვისთვის საჭირო რესურსების ხელმისაწვდომობა

ქიმიურ ნივთიერებათა სწორი მართვისთვის უმნიშვნელოვანესია სათანადო რესურსების ხელმისაწვდომობა. კერძოდ, გადაწყვეტილების მიმღებთათვის აუცილებელია:

- შემდეგი ინფორმაციისა და მონაცემთა ხელმისაწვდომობა:
 - ქვეყანაში არსებული (ბრუნვაში და მოხმარებაში მყოფი) საშიში ქიმიური ნივთიერებების ტიპები და რაოდენობა;
 - ამ ნივთიერებათა მომხმარებლები, ნივთიერების მოხმარების სახეები და ტექნოლოგიები;
 - ნივთიერებათა მოხმარებისას უსაფრთხოების, ავარიებისადმი მზადყოფნის, და გარემოს დაცვის ნორმების დაცვის მდგომარეობა;
 - საშიში ქიმიური ნივთიერებებით გარემოს და ადამიანთა სურსათის და სასმელი წყლის დაბინძურების მდგომარეობა და ამის გავლენა ადამიანების ჯანმრთელობაზე;
- შემდეგ ტექნიკურ-ინფრასტრუქტურულ და საკადრო შესაძლებლობათა ხელმისაწვდომობა:
 - ლაბორატორიული ინფრასტრუქტურა ქიმიურ ნივთიერებათა და მათი ნაშთების აღმოსაჩენად და გასაზომად;
 - სათანადო საექსპერტო შესაძლებლობანი ქიმიურ ნივთიერებათა გამოყენების ტექნოლოგიების ადექვატურობის შესაფასებლად;
 - საჯარო მოხელეთა სათანადო კვალიფიკაციის ამაღლება კანონმდებლობის მოთხოვნათა ჩამოყალიბების, დარღვევების აღმოჩენისა და ადეკვატური რეაგირების უზრუნველსაყოფად.
 - ინფრასტრუქტურა და სპეციალური ტექნიკური საშუალებები საბაჟოებში ქიმიურ ნივთიერებათა უსაფრთხო იდენტიფიცირებისთვის;

4.1 მონაცემები არსებული საშიში ქიმიური ნივთიერებების და მათი მომხმარებლების შესახებ

4.1.1 ინფორმაცია საშიშ ნივთიერებათა მომხმარებელ საწარმოთა შესახებ

”საშიშ ქიმიურ ნივთიერებების შესახებ” კანონის მიხედვით საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ უნდა აწარმოოს საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა ერთიანი სახელმწიფო რეესტრი, რომელმაც ამ ნივთიერებათა გამოყენებელ¹⁰² საწარმოთა ნუსხაც უნდა მოიცვას. ასეთი რეესტრი შექმნილი დღემდე არ არის.

¹⁰² უფრო ზუსტად, რეესტრი უნდა შეიცავდეს საქართველოში იმ საწარმოთა ნუსხას, რომლებიც დაკავშირებულია საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა წარმოებასთან, ტრანსპორტირებასთან, მოხმარებასთან, შენახვასთან, გაუვნებელყოფასთან ან გამოყენებიდან ამოღებასთან (კანონი ”საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ”, მუხლი 23, პ. 6)

”საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ” კანონის მიხედვით კი საშიშ საწარმოო ობიექტების სახელმწიფო რეესტრი საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციამ უნდა აწარმოოს. ინსპექციამ რეესტრში შესატანი ინფორმაციის მოგროვების მექანიზმიც შეიმუშავა – საშიში საწარმოო ობიექტების მიერ ”საშიში ობიექტის ექსპლუატაციის ნებართვის” მოთხოვნისას მისგან რეესტრში სარეგისტრაციო მონაცემების ამოღებაც ხორციელდება სათანადო სააღრიცხვო ბარათის შევსების საშუალებით. თუმცა ამგვარად მოგროვილი ინფორმაციის შემდგომი დამუშავება უწყებაში აღარ ხორციელდება. შესაბამისად, აღნიშნული რეესტრი გამოსაყენებლად პრაქტიკულად გამოუდგარია.

4.1.2 იმპორტ-ექსპორტის და ტრანზიტის აღრიცხვა

მონაცემთა მოგროვების უფრო საიმედო მექანიზმი არსებობს ქიმიურ ნივთიერებათა იმპორტ-ექსპორტის სფეროში, ვინაიდან საბაჟო ორგანოები ტვირთებს საერთაშორისო საბაჟო სისტემის შესაბამისად აღრიცხავს და მოგროვილი ინფორმაციის სისტემატიზებასაც ახორციელებს. თუმცა აქ უნდა აღინიშნოს რამოდენიმე პრობლემა:

1. საქართველოში მოქმედი საბაჟო კოდექსი ჰარმონიზებულია საერთაშორისო საბაჟო ნომენკლატურის 2002 წლის ვარიანტთან და ამდენად არ ითვალისწინებს ქიმიურ ნივთიერებათა მარეგულირებელი რიგი კონვენციების მოთხოვნებს (იხ. სექცია 6.1.7)
2. საკმაოდ დაბალია საბაჟო ორგანოების შესაძლებლობანი ქიმიურ ნივთიერებათა სათანადოდ იდენტიფიცირების საკითხში, ამიტომ მოგროვებული საბაჟო ინფორმაცია ამ მხრივ არასაიმედო და ხშირად არაინფორმატულია.
3. შესაბამისი ინფორმაციული ბაზის არარსებობის გამო ვერ ხერხდება ქიმიკატების იდენტიფიკაცია საერთაშორისო სისტემებით (CAS, UN, EC) განსაზღვრული ციფრული კოდების შესაბამისად¹⁰³.

აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში სამინისტროები ცდილობენ დაეხმარონ საბაჟოებს მათი ინტერესის სფეროში არსებული ნივთიერებების იდენტიფიცირებაში შესაბამისი პროდუქციის გავრცელებული სავაჭრო დასახელებების მიწოდების გზით. ასეთ ინფორმაციას საბაჟოებს რეგულარულად აწვდის სოფლის მეურნეობის სამინისტრო (პესტიციდების შესახებ) და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო (ოზონდამშლელი ნივთიერებების შესახებ). თუმცა ასეთი ინფორმაციის ფრაგმენტულობის და არასრულფასოვნების გამო საბაჟოების მიერ მოგროვილი ინფორმაციის ხარისხს ეს თანამშრომლობა მნიშვნელოვნად ვერ ცვლის. განსაკუთრებული პრობლემებია პესტიციდებთან დაკავშირებით, ვინაიდან რეგისტრაციაში პესტიციდი ტარდება მისი სავაჭრო დასახელების მიხედვით, ხოლო შემადგენელი ქიმიკატების დასახელება ან (CAS, UN, EC) კოდი მებაჟისთვის უცნობია.

4.2 მონაცემები არსებულ ქიმიურ ნივთიერებათა თვისებების და ზემოქმედების შესახებ

4.2.1 ზოგადი ინფორმაცია საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა თვისებების შესახებ

”საშიშ ქიმიურ ნივთიერებების შესახებ” კანონის მიხედვით საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ უნდა აწარმოოს საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა ერთიანი სახელმწიფო

¹⁰³ პრობლემის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ხშირად ქიმიური ნივთიერებების სავაჭრო დასახელებები არ ასახავენ მათი რეგულირების რეჟიმის დასადგენად საჭირო ქიმიურ შემადგენლობას

რეესტრი. თითოეული საშიში ქიმიური ნივთიერებისთვის რეესტრი უნდა შეიცავდეს სრული "სასიცოცხლო ციკლის" აღმწერ მონაცემებს. კერძოდ, შემდეგ ინფორმაციას¹⁰⁴:

- ნივთიერების საერთაშორისო იდენტიფიკაცია;
- ნივთიერების თვისებები და მახასიათებლები, კლასიფიკაცია, მავნე ზემოქმედების უნარი ადამიანსა და ჯანმრთელობაზე
- ნივთიერების წარმოების მოცულობა, სამეურნეო ბრუნვაში არსებული ნივთიერების ოდენობა, ინფორმაცია იმპორტ-ექსპორტის, ტრანსპორტირების, შენახვის შესახებ;
- ნივთიერების გამოყენების სფეროები, მათ დახასიათება (მ.შ. ნივთიერების მავნე ზემოქმედება)
- უსაფრთხოების ზომები და პირობები ნივთიერების წარმოების, ტრანსპორტირების, შენახვის, მოხმარების და სხვა სახით გამოყენების დროს
- რეაგირების ღონისძიებები ნივთიერების გაჟონვის, ავარიის, მოწამვლის ან სხვა უბედური შემთხვევის დროს.

ასეთი რეესტრი ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში დღემდე შექმნილი არ არის.

სხვა სახელმწიფო უწყებები ფლობენ ინფორმაციას რიგ საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა თვისებების შესახებ. კერძოდ:

- სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური ფლობს ინფორმაციას რეგისტრირებული და გამოსაყენებლად დაშვებული პესტიციდების ყველა მახასიათებლის შესახებ (მათ შორის: პესტიციდების უსაფრთხოების ფურცლები (MSDS), სადაც აღწერილია პესტიციდების საშიშროება ადამიანისათვის და გარემოსათვის, მათი შენახვის, ტრანსპორტირების, გამოყენების, ხანძრისა და ავარიის ლიკვიდაციის დროს უსაფრთხოების ზომები, პირველადი დახმარება, ასევე პესტიციდების მოქმედი ნივთიერების და სოფლის მეურნეობის პროდუქციაში მათი ნარჩენი რაოდენობების განსაზღვრის მეთოდები); ეს ინფორმაცია ღიაა და მოთხოვნის შემთხვევაში ყველა მსურველზე გაიცემა. თუმცა საზოგადოების აქტივობა ასეთი ინფორმაციის მოთხოვნის მხრივ დაბალია.
- საგანგებო სიტუაციათა დეპარტამენტი ფლობს ინფორმაციას საშიშ ობიექტებზე გამოყენებული მომწამვლელი ნივთიერებების თვისებების, განეიტრალების საშუალებებისა და პირველადი დახმარების ზომების შესახებ. ეს ინფორმაცია საჯარო არ არის.

სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის მიერ ხორციელდება გარკვეული მცდელობები პესტიციდების უსაფრთხო და ნორმების ფარგლებში გამოყენების მიზნით მომხმარებელთა ინფორმირებისთვის. კერძოდ, შეძლებისდაგვარად პერიოდულად მზადდება საინფორმაციო ბროშურები, პლაკატები. თავად "საქართველოში გამოყენებისთვის ნებადართული პესტიციდების კატალოგი" ფაქტობრივად საინფორმაციო ცნობარს წარმოადგენს და მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობის პირობებში იგი ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროდ გამოდგებოდა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ "კატალოგი" ოფიციალურ ნორმატიულ აქტს წარმოადგენს, მისი დიდი ზომის გამო მომხმარებელთათვის მისაწვდომი ბეჭდური ფორმით მისი გამოქვეყნება არ ხდება. გარდა ამისა, კატალოგი ინფორმაციულად უაღრესად გადატვირთული დოკუმენტია, რომლის გამოყენება მოუშაადებელი ფერმერისთვის

¹⁰⁴ კანონი "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ", მუხლი 23, პ. 4

შეუძლებელია. *აუცილებელია* შემუშავდეს პესტიციდების შესახებ ფერმერებისთვის ინფორმაციის მიწოდების უფრო ეფექტური ფორმები.

ამავე დროს საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს მოთხოვნას იმის შესახებ, რომ მინიმალური ინფორმაცია (ქართულ ენაზე) პესტიციდის საშიშროების, დანიშნულების და უსაფრთხო გამოყენების ნორმების და წესების შესახებ ბაზარზე გამოტანილ დაფასოებულ პესტიციდებს თან უნდა ახლდეს. თუმცა ამ მოთხოვნის შესრულება სათანადოდ არ კონტროლდება და მისი დარღვევა ძალზე ხშირია (იხ. სექცია 3.4.2).

უნდა აღინიშნოს, რომ პესტიციდების მომხმარებლებისთვის ამ ნაწარმის თვისებების შესახებ ინფორმაციის მისაღებად ბუნებრივ წყაროს პესტიციდების დისტრიბუტორები წარმოადგენენ. თუმცა საქართველოს კანონმდებლობა ამ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს არ ითვალისწინებს (იხ. სექცია 3.4.3), რის შედეგადაც ხშირია დისტრიბუტორების მიერ მომხმარებლის არასწორი ინფორმირების და შეცდომაში შეყვანის შემთხვევები. შესაბამისად ინფორმაციის ეს წყარო მომხმარებლისთვის არასაიმედოა.

4.2.2 ინფორმაცია საშიში ქიმიური ნივთიერებებით გარემოსთვის ან ადამიანთა ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის შესახებ

საშიში ქიმიური ნივთიერებებით გარემოს და სურსათის დაბინძურების და ასეთი დაბინძურების შედეგად ადამიანთა მოწამვლების შემთხვევების შესახებ ინფორმაციის მოგროვება საქართველოში რამოდენიმე სახელმწიფო უწყების კომპეტენციაში შედის. კერძოდ:

- სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის სამსახურს ევალება სურსათში და სასმელ წყალში ჰიგიენური მოთხოვნებისა და უვნებლობის პარამეტრების დაცვაზე სახელმწიფო კონტროლი¹⁰⁵;
- გარემოს დაბინძურების მონიტორინგი გარემოს ეროვნულ სააგენტოს ევალება¹⁰⁶;
- დაავადებების მონიტორინგი და სამედიცინო სტატისტიკის წარმოება დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს ევალება¹⁰⁷.

საბჭოთა კავშირის დამხობის შემდეგ ყველა ეს მონიტორინგი პრაქტიკულად შეწყდა. დღესდღეობით, სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამების საშუალებით (იხ. დანართი 1), გარემოს ეროვნულმა სააგენტომ თანდათან აღადგინა გარემოს დაბინძურების მონიტორინგი (იხ. სექცია 5.1.4), თუმცა გაზომვათა სიხშირე, სანდოობა და მონაცემთა ხელმისაწვდომობა საზოგადოებისთვის ჯერჯერობით კვლავ ძალზე დაბალია.

2009 წლიდან სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის სამსახურის მიერ დაიწყო სურსათის მონიტორინგი რიგი საშიში ქიმიური ნივთიერებებით

¹⁰⁵ "საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საკვეთეულებო დაწესებულების, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის დებულება" (დამტკიცებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2006 წლის 14 მარტის #2-44 ბრძანებით, ცვლილებები შეტანილია 2006 წლის 31 მარტის #2-54, 28 ივნისის #2-111, 16 ოქტომბრის #2-196, 2007 წლის 13 აპრილის #2-48, 26 ივნისის #2-94, 2009 წლის 13 იანვრის #2-8 და 29 იანვრის #2-16 ბრძანებებით), მუხლი 3, პუნქტი "ა", "გ", "თ".

¹⁰⁶ "სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულება" (დამტკიცებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 29 აგვისტოს #611 ბრძანებით), მუხლი 2, პუნქტი 2, ქვეპუნქტები "ა" – "დ".

¹⁰⁷ "სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულება" (დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107 ბრძანებით), მუხლი 2, პუნქტი 2, ქვეპუნქტები "აგ" და "გ".

დაბინძურებაზე. თუმცა ამ მონიტორინგის მასშტაბები ჯერ-ჯერობით უაღრესად მოკრძალებულია.

რაც შეეხება დაბინძურებული გარემოს და სურსათის ზემოქმედებას ადამიანთა ჯანმრთელობაზე, შესაბამისი რეისკების შეფასება საქართველოში არ ხორციელდება. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (სექცია 5.1.6) ამზადებს სტატისტიკურ ინფორმაციას მოწამვლებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, თუმცა ადგილებზე მოწამვლის რეალური გამომწვევი ფაქტორების ლაბორატორიული ანალიზის შესაძლებლობათა არარსებობის გამო, სამედიცინო დაწესებულებათა მიერ მოწოდებული ეს ინფორმაცია საკმაოდ არასაიმედოა.

რაც შეეხება ქიმიურ ნივთიერებათა ზემოქმედებას მომუშავეთა ჯანმრთელობაზე, 2007 წლიდან სს ნ. მახვილადის სახელობის შრომის მედიცინის და ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი სახელმწიფოს დაფინანსებით, საქართველოს მსხვილ საწარმოებში ახორციელებს პროგრამას ”პროფესიულ დაავადებათა პრევენცია და მონიტორინგი”. პროგრამის ფარგლებში მოგროვილი ინფორმაცია ყოველწლიურად მიეწოდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. თუმცა პროგრამის შეზღუდული დაფინანსება მომუშავეთა ჯანმრთელობის ჩადრმავებული ტოქსიკოლოგიური გამოკვლევების საშუალებას არ იძლევა.

შესაბამისად, როგორც გადაწყვეტილების მიმღებნი, ასევე საზოგადოების წარმომადგენლები, საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას იძულებულნი არიან მიახლოებით, არასაიმედო და უზუსტო მონაცემებს თუ შეფასებებს დაეყრდნონ, რაც არასწორი გადაწყვეტილებების რისკს ზრდის. მიგვაჩნია, რომ, სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად ქვეყანაში გარემოსა და ჯანმრთელობის მონიტორინგის სათანადო დონეზე წარმოება აუცილებელია.

4.3 სამეცნიერო-ტექნიკური ინფრასტრუქტურა და კადრები

4.3.1 ლაბორატორიული შესაძლებლობანი

საქართველოში დღესდღეობით საშიშ ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებულ გაზომვებისთვის საკმაოდ სერიოზული ლაბორატორიული ინფრასტრუქტურა არსებობს.

საქართველოს აკრედიტაციის ცენტრის მიერ დღეისათვის აკრედიტებულია 4 ლაბორატორია, რომლებსაც ყველა შესაძლებლობა გააჩნიათ (მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და კვალიფიციური კადრები, სათანადო განსაზღვრის მეთოდები) სურსათში და მცენარეული წარმოშობის პროდუქციაში, ნიადაგებში, წყალში პესტიციდების და აგროქიმიკატების ხარისხობრივი და რაოდენობრივი განსაზღვრისათვის. აკრედიტებულია აგრეთვე ერთი ლაბორატორია, რომელიც მხოლოდ აგროქიმიური ანალიზების ჩატარებაზე არის სპეციალიზებული. სულ დღესდღეობით სურსათის სახელმწიფო კონტროლის მიზნით ლაბორატორიული ანალიზის განხორციელების უფლება 11 დასახელებულ ტესტირებულ ლაბორატორიას აქვს (იხ. ცხრილი 25).

აგრეთვე საკმარისია ლაბორატორიული შესაძლებლობანი (როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო) გარემოს ფაქტორებში საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა შემცველობის გასაზომად (გარდა ჰაერის ხარისხის გაზომვებისთვის საჭირო ავტომატური დანადგარების და ემისიების გამზომი მობილური მოწყობილობისა, იხ. აგრეთვე სექცია 5.1.4).

სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში ასევე არსებობს სხვა ლაბორატორიები, რომლებიც ალჭურვილის შედარებით მოძველებული აპარატურით და ამის გამო არ არის

აკრედიტებული, თუმცა მათში მომუშავე კადრები ხშირად მაღალკვალიფიციური და გამოცდილია (იხ. ქვემოთ).

ცხრილი 24. აკრედიტებული ლაბორატორიათა შესაძლებლობები პესტიციდების და აგროქიმიკატების განსაზღვრის მხრივ

ლაბორატორიის დასახელება	ლაბორატორიის შესაძლებლობანი
შპს "მულტიტესტი"	პესტიციდების და აგროქიმიკატების ნაშთების განსაზღვრა სურსათში და სოფლის მეურნეობის პროდუქციაში, ნიადაგში, პესტიციდების ხარისხის დადგენა
შპს "ნორმა"	პესტიციდების ნაშთების განსაზღვრა სურსათში და სოფლის მეურნეობის პროდუქციაში,
შპს "მომავალი საუკუნე"	პესტიციდების ნაშთების განსაზღვრა სურსათში და სასოფლო/სამეურნეო პროდუქციაში,
სსიპ "საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს კვების, ქიმიური მრეწველობისა და ნავთობპროდუქტების ტესტირების ლაბორატორია"	სპილენძმემცველი პესტიციდების და გოგირდის ხარისხის განსაზღვრა
შპს "ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგებისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი ანასელი"	აგროქიმიური კვლევების განხორციელება
შპს "სამეცნიერო-კვლევითი ფირმა გამა"-ს ტესტირების ლაბორატორია	ქიმიური ნივთიერებებით ნიადაგის და წყლის დაბინძურების განსაზღვრა

ცხრილი 25. "დასახელებული" ტესტირების ლაბორატორიები¹⁰⁸, რომელთაც მინიჭებული აქვთ სურსათის სახელმწიფო კონტროლისთვის ლაბორატორიული ანალიზის განხორციელების უფლება

ლაბორატორიის დასახელება	ლაბორატორიის პროფილი	მისამართი
შპს "ეტალონი"	კვების პროდუქტების ტესტირება	თბილისი, ჩარგლის ქ. #73
შპს "ექსპერტიზა"	კვების პროდუქტების ტესტირება	თბილისი, შ. იამანიძის ქ. #3
შპს "მიკრობიოლოგი"	კვების პროდუქტების ტესტირება	თბილისი განჯის ქ. #15
შპს "მომავალი საუკუნე"	კვების პროდუქტების ტესტირება	თბილისი, არბოს ქ. კორპუსი "ა"
შპს "მულტიტესტი"	კვების პროდუქტების ტესტირება	თბილისი, სოფ. დიღომი, დიდგორის ქ. #13
შპს "საარბიტრაჟო ლაბორატორია"	ხილ-ბოსტნეულის ტესტირება	ბათუმი, კოსტავას ქ. #6
სს "სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი"	კვების პროდუქტების ტესტირება	თბილისი, დ. უზნაძის ქ. #78
სსიპ "საქართველოს მეზღაღობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტი",	ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ტესტირება	თბილისი, გელოვანის გამზ. #6

¹⁰⁸ "სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ" კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით ლაბორატორიებს "ასახელებს" სსიპ "აკრედიტაციის ერთიანი ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი". იხ აგრეთვე სექცია 6.2.16.4

შპს "სპექტრი"	კვების პროდუქტების ტესტირება	ბათუმი, აღმაშენებლის ქ. #22, ბინა 3
შპს "ღვინის ლაბორატორია"	ალკოჰოლური სასმელების ტესტირება	თბილისი, დიდი დილმიდან გლდანში მიმავალი მაგისტრალი, ნაკვეთი 4/60
შპს "ციტო-2"	მიკრობიოლოგიური ტესტირება	თბილისი, ფალიაშვილის #40 (არაყიშვილის #20)

4.3.2 სამეცნიერო/ექსპერტული პოტენციალი

საქართველოში მთელ რიგ სამეცნიერო ორგანიზაციებს საკმაოდ სოლიდური ექსპერტიზა გაჩნიათ ქიმიურ ნივთიერებათა მართვს სხვადასხვა საკითხებში.

ცხრილი 26. ორგანიზაციები, რომელშიც ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული სამეცნიერო კვლევები ხორციელდება

ორგანიზაციის დასახელება	კვლევები, რომელსაც ორგანიზაცია ახორციელებს
სსიპ ლევან ყანჩაველის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი	პესტიციდების ლაბორატორიული და საველე კვლევები (ბიოლოგიური და ტოქსიკოლოგიური შეფასება, პესტიციდების ნაშთების კონტროლი სოფლის მეურნეობის პროდუქციაში, ნიადაგებში)
მცენარეთა დაცვის ასოციაცია	პესტიციდების საველე კვლევები (ბიოლოგიური-ტოქსიკოლოგიური შეფასება) მცენარეთა მავნებლებთან ბრძოლის ქიმიური და ბიოლოგიური საშუალებების გამოყენების რეკომენდაციების შემუშავება
სსიპ მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის ინსტიტუტი	პესტიციდების საველე კვლევები (ვაზში, ხეხილში)
სსიპ იულონ ლომოურის მიწათმოქმედების ინსტიტუტი	პესტიციდების საველე კვლევები (მარცვლეულ და ბოსტნეულ კულტურებში)
ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტი (ანასელი)	პესტიციდების საველე კვლევები (ციტრუსებში)
სსიპ აგრარული რადიოლოგიისა და ეკოლოგიის ინსტიტუტი	პესტიციდების და სხვა ქიმიური დამბინძურებლების კვლევები ნიადაგში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაში; პესტიციდების კონტროლის მეთოდების შემუშავება
სსიპ პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი	ქლორორგანული დამბინძურებლების ლაბორატორიული კვლევა თანამედროვე ხელსაწყოების საშუალებით
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ქლორორგანული დამბინძურებლების ლაბორატორიული კვლევა
სსიპ მიხეილ საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის ინსტიტუტი	აგროქიმიური კვლევები
სს მახვილამის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის ინსტიტუტი	პესტიციდების მოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე, შრომის მედიცინის საკითხები
სს გ.ნათაძის სახელობის სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი	ჰაერში, წყალსა და ნიადაგში, სურსათში, ბავშვთა მოხმარების საგნებში მავნე ქიმიური ნივთიერებების შემცველობის ჰიგიენური ნორმატივების დადგენა და შეფასება
პროფილაქტიკოს ტოქსიკოლოგთა ასოციაცია	პესტიციდების მოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე, შრომის მედიცინის საკითხები
ეკოლოგიური და ბიოლოგიური	ქიმიური ნივთიერებების მოქმედება ადამიანის

მონიტორინგის ასოციაცია	ჯანმრთელობაზე
სსიპ რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი	სხვადასხვა ქიმიურ ნივთიერებათა თვისებების კვლევა
სსიპ ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი	სხვადასხვა მეტალების და სხვა მასალების თვისებების კვლევები
სსიპ იოველ ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი	ფარმაცოქიმიური კვლევები
სსიპ სერგი დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი	ბიოქიმიური კვლევები

4.3.3 კვალიფიციური კადრები საჯარო ორგანოებში

დარგობრივ სამინისტროებში საკმარისად არის კვალიფიციური კადრები, რომლებიც ფლობენ ზოგად ინფორმაციას უმეტესი საშიში ქიმიური ნივთიერებების თვისებების შესახებ.

თუმცა ქიმიურ ნივთიერებათა მართვისთვის საჭირო რიგ საკითხებში საჯარო მოხელეთა კვალიფიკაცია ამაღლებას საჭიროებს. კერძოდ, შეზღუდულია მეზაჟეთა შესაძლებლობანი ქიმიურ ნივთიერებათა სათანადოდ იდენტიფიცირების საკითხში. გარდა საკანონმდებლო ნაკლოვანებებისა, მოქმედი მეზაჟეები ვერ ფლობენ შესაბამის სპეციფიკურ უნარ-ჩვევებს აღნიშნულ სფეროში..

4.4 ძირითადი ნაკლოვანებანი და რეკომენდაციები მათ გადასალახად

ქიმიურ ნივთიერებათა მართვისთვის საჭირო ლაბორატორიული და საექსპერტო პოტენციალი საქართველოს საკმარისი აქვს. თუმცა გადაწყვეტილების მიმღებთათვის ქიმიურ ნივთიერებათა მართვისათვის საჭირო ინფორმაცია სისტემატიზებული სახით ხელმისაწვდომი არ არის.

კერძოდ, საქართველოში საერთოდ არ გროვდება ინფორმაცია:

- საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა წარმოების შესახებ;
- საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო მოხმარების შესახებ;
- სახიფათო ნარჩენების წარმოქმნის შესახებ;
- სახიფათო ნარჩენების განთავსების შესახებ;

შემდეგი ინფორმაცია კი არასათანადო ხარისხისაა:

- საშიშ ქიმიურ ნივთიერებების გამომყენებელ საწარმოთა რეესტრი;
- მონაცემები საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა იმპორტ-ექსპორტისა და ტრანზიტის შესახებ;
- მონაცემები საშიში (მავნე) ქიმიური ნივთიერებებით გარემოს და სურსათის დაბინძურების მდგომარეობის და ამ დაბინძურებათა ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედების შესახებ.

მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია:

- საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა წარმოებისა და მოხმარების, აგრეთვე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნისა და გაუვნებელყოფა/განთავსების შესახებ ინფორმაციის

სახელმწიფოს მიერ მოგროვების ეფექტური, და ამავე დროს ბიზნესისთვის მისაღები საშუალებების შექმნა და დანერგვა.

- დადგინდეს საშიშ საწარმოთა რეესტრის წარმოების ისეთი ფორმა, რომელიც შესაძლებელს გახდის ამ ინფორმაციის ეფექტურ გამოყენებას (თითოეული საწარმოსთვის მითითებული უნდა იყოს გამოყენებული საშიში ნივთიერება, მისი მოცულობა საწარმოში, ხარჯვის სიჩქარე, გამოყენების/შენახვის ტექნოლოგია);
- განხორციელდეს მეზაჟეთა კვალიფიკაციის ამაღლება, საზღვრებზე სპეციალური ინფრასტრუქტურის მოწყობა, შესაბამისი სპეცტექნიკითა და სათანადო პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვა რეგულირებადი საშიში ქიმიური ნივთიერებების იდენტიფიკაციისა და აღრიცხვის გაუმჯობესებისთვის;
- გაუმჯობესდეს გარემოში, სურსათში და სასმელ წყალში მავნე ქიმიურ ნივთიერებათა შემცველობის და ამ გარემოებათა ადამიანთა ჯანმრთელობაზე ზემოქმედების მონიტორინგი.

თავი 5. საქართველოში ქიმიური ნივთიერებების მართვის ინსტიტუციური უზრუნველყოფა

5.1 ქიმიური ნივთიერებების მართვის განმახორციელებელი საჯარო ორგანოები

ქიმიური ნივთიერებების მართვაში შემდეგი საჯარო ორგანოებია ჩართული:

1. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო (სექცია 5.1.2) და მის სისტემაში შემავალი უწყებები:
 - სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, გარემოს დაცვის ინსპექცია (სექცია 5.1.3);
 - საჯარო სამართლის იურიდიული პირი, გარემოს ეროვნული სააგენტო (სექცია 5.1.4);
2. ეკონომიკური განვითარების სამინისტრო (სექცია 5.1.10) და მის სისტემაში შემავალი:
 - საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია (სექცია 5.1.11).
3. ენერგეტიკის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ნავთობის და გაზის ეროვნული სააგენტო (სექცია 5.1.14).
4. თავდაცვის სამინისტრო (სექცია 5.1.12);
5. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია (სექცია 5.1.13).
6. საგარეო საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტი (სექცია 5.1.7);
7. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება: სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური (სექცია 5.1.1);
8. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო კონტროლის დეპარტამენტი (სექცია 5.1.8);
9. შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი (სექცია 5.1.9);
10. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (სექცია 5.1.5) და მის სისტემაში შემავალი უწყება:
 - საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (სექცია 5.1.6)

5.1.1 სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური

5.1.1.1 კომპეტენცია ქიმიურ ნივთიერებათა მართვის სფეროში

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურს ეკისრება:

- პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რეგისტრაციის განხორციელება (იხ. აგრეთვე სექციები 3.4.1 და 6.2.10.4), სარეგისტრაციო გამოცდების ორგანიზება, სარეგისტრაციო მოწმობების გაცემა, რეგისტრირებული პესტიციდების და აგროქიმიკატების სახელმწიფო კატალოგის წარმოება¹⁰⁹;
- პესტიციდების და აგროქიმიკატების შემოტანის, მარკირების, შენახვის, წარმოების (დაფასოების), ტრანსპორტირების, რეალიზაციის, უსაფრთხო გამოყენების წესების დაცვაზე კონტროლის განხორციელება¹¹⁰
- სარეალიზაციოდ გამიზნული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხის კონტროლი¹¹¹;
- სურსათის უვნებლობის, მათ შორის ჰიგიენური¹¹² მოთხოვნების დაცვაზე სახელმწიფო კონტროლი.

5.1.1.2 კომპეტენციით განხორციელების მდგომარეობა

დაინტერესებული პირის მოთხოვნის შემთხვევაში სამსახური ახორციელებს პესტიციდების სარეგისტრაციო გამოცდების ორგანიზებას და წარმატების შემთხვევაში – პესტიციდის სახელმწიფო რეგისტრაციას. რეგისტრაციის განმავლობაში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე სამსახური რეგულარულად ანახლებს "გამოყენებისთვის დაშვებული პესტიციდების სახელმწიფო კატალოგს", და აწარმოებს პესტიციდების და აგროქიმიკატების იმპორტიორ/ექსპორტიორთა, რეალიზატორების, შემნახველების და მწარმოებლების შიდა რეესტრს.

გარდა ამისა, სამსახური ატარებს არსებული სავაჭრო ქსელის¹¹³ რეგულარულ მონიტორინგს; კერძოდ, მოწმდება პესტიციდების და აგროქიმიკატების დაფასოების, მარკირების, შენახვის, რეალიზაციის დადგენილი წესების დაცვის მდგომარეობა და ბაზარზე განთავსებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხი. ამ უკანასკნელის შემოწმება ხდება მათი

¹⁰⁹ "საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის დებულება" (დამტკიცებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2006 წლის 14 მარტის #2-44 ბრძანებით, ცვლილებები შეტანილია 2006 წლის 31 მარტის #2-54, 28 ივნისის #2-111, 16 ოქტომბრის #2-196, 2007 წლის 13 აპრილის #2-48, 26 ივნისის #2-94, 2009 წლის 13 იანვრის #2-8 და 29 იანვრის #2-16 ბრძანებებით), მუხლი 3, პუნქტი "ყ" და მუხლი 4, პუნქტი 5, ქვეპუნქტი "ნ"

¹¹⁰ იქვე, მუხლი 3, პუნქტი "ყ" და მუხლი 4, პუნქტი 5, ქვეპუნქტი "ე"

¹¹¹ იქვე, მუხლი 4, პუნქტი 5, ქვეპუნქტი "ო"

¹¹² საშიში ქიმიური ნივთიერებების ნაშთების დაშვებული შემცველობა სურსათში საქართველოში სწორედ ჰიგიენური ნორმებით რეგულირდება, კერძოდ: "გარემოს ობიექტებში პესტიციდების შემცველობის ჰიგიენური ნორმატივებით" (დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს #309 ბრძანებით)

¹¹³ მონიტორინგი ტარდება პესტიციდების და აგროქიმიკატების სამსახურისთვის ცნობილ 151 მაღაზიაში, აქედან 50 სპეციალიზირებული მაღაზიაა, დანარჩენი 101 კი მცირე ფარდულები, ჯიხურები, შერეული მაღაზიები, ან მარტივი კონტეინერები.

დათვალიერების, ნიმუშების აღების და აკრედიტებულ ლაბორატორიებში მათი გამოცდის საშუალებით. უხარისხო ან ვადაგასული პესტიციდების აღმოჩენის შემთხვევაში, თუკი პრეპარატის გამოყენება მაინც დასაშვებია, შემუშავდება რეკომენდაცია მისი ხარჯვის ნორმის (რეგლამენტის) კორექტირების შესახებ. თუ პრეპარატის გამოყენება შეუძლებელია, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური იღებს გადაწყვეტილებას მისი ხმარებიდან ამოღების შესახებ. თუმცა არც ამ გადაწყვეტილებათა და არც სხვა წესების დარღვევათა აღმოჩენის შემთხვევაში რეაგირების საშუალება (ანუ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენის უფლებამოსილება) სამსახურს არ გააჩნია – იხ. დეტალებისთვის სექცია 6.2.10.5.

2009 წლიდან სამსახურმა აგრეთვე დაიწყო ბაზარზე განთავსებული სურსათის კონტროლი, მათ შორის სურსათში პესტიციდებისა და სხვა აგროქიმიკატების ნაშთების შემცველობაზე. კონტროლი განხორციელდება პროდუქციის შერჩევითი შესყიდვის და ლაბორატორიული ანალიზის საშუალებით. 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ამ მიზნით 650 ათასი ლარი არის გამოყოფილი, რაც 3 ათასამდე სურსათის ნიმუშის ანალიზს ითვალისწინებს.

5.1.2 გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

5.1.2.1 კომპეტენციები ქიმიურ ნივთიერებათა მართვის სფეროში

სამინისტრო პასუხისმგებელია საქართველოს მიერ ქიმიურ ნივთიერებათა სფეროში მოქმედი რამოდენიმე საერთაშორისო ხელშეკრულების შესრულებაზე. კერძოდ, ესენია:

- ვენის 1985 წლის კონვენცია "დედამიწის ოზონის შრის დაცვის შესახებ" და ამ კონვენციის 1987 წლის მონრეალის ოქმი "ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ";
- ბაზელის 1989 წლის კონვენცია "სახიფათო ნარჩენების ტრანსსაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ";
- სტოკჰოლმის 2001 წლის კონვენცია "მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ".

გარდა ამისა, საქართველოს კანონმდებლობით, ქიმიურ ნივთიერებათა მართვის სფეროში სამინისტროს კომპეტენციებია:

- დაინტერესებული პირის მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს საქმიანობის ეკოლოგიური ექსპერტიზა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემა¹¹⁴;
- გამოავლინოს ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საწარმოები, რომელიც გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე ახორციელებენ საქმიანობას და დააკისროს დამრღვევებს ადმინისტრაციული სახდელი¹¹⁵, ხოლო ლაბორატორიული ანალიზის შედეგების შესაბამისად, დაიანგარიშოს გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობა (იხ. აგრეთვე სექცია 6.2.13) და წაუყენოს დამრღვევს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. დარღვევის განმეორების შემთხვევაში – სამინისტრომ უნდა დააკვალიფიციროს საქმე სისხლის სამართლის შესაბამისი მუხლით¹¹⁶, გამოიძიოს და გადასცეს განსახილველად სასამართლოს¹¹⁷;

¹¹⁴ კანონი "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ", მუხლი 4, პუნქტი 6

¹¹⁵ "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", მუხლები 79¹ და 222

¹¹⁶ "საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი", მუხლი 306

¹¹⁷ "საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი", მუხლი 62, პუნქტი 6

- აკონტროლოს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის (ან ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის) დადგენილი პირობების შესრულება¹¹⁸, მათი დარღვევის შემთხვევაში, ლაბორატორიული ანალიზის საფუძველზე, დაიანგარიშოს გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობა და წაუყენოს დამრღვევს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა;
- აკონტროლოს გარემოსდაცვითი რეგლამენტების შესრულების მდგომარეობა¹¹⁹, ხოლო მათი დარღვევის შემთხვევაში, ლაბორატორიული ანალიზის საფუძველზე, დაიანგარიშოს გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობა და წაუყენოს დამრღვევს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა;
- დაინტერესებული პირის მოთხოვნის შემთხვევაში გასცეს ნებართვა შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოებაზე, ტრანსპორტირებაზე, იმპორტზე, ექსპორტზე, რეექსპორტსა ან ტრანზიტზე - ეს ფუნქცია შეჩერებულია 2011 წლის 1 ივლისამდე (იხ. სექცია 6.2.7.3)
- შექმნას საგანგებო სიტუაციის მართვის დანაყოფი საგანგებო სიტუაციის (მ.შ. ქიმიური ავარიების) თავიდან აცილების, ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის ერთიანი სისტემის ფუნქციონირებისთვის (იხ. სექცია 6.2.18.4)¹²⁰.
- შეიმუშავოს ქიმიური ან რადიაციური ხასიათის საგანგებო სიტუაციის დროს "წარმოების ტექნოლოგიური პროცესების, პროდუქციის უსაფრთხოების ნორმები და წესები, აგრეთვე ორგანიზაციების თანამშრომელთა დაცვის ნორმები"¹²¹.

5.1.2.2 კომპეტენციათა განხორციელების მდგომარეობა

საერთაშორისო ხელშეკრულებათა მოთხოვნების შესრულების მხრივ სამინისტროს წარმატება სხვადასხვაგვარია. კერძოდ:

- ვენის კონვენციისა და მონრეალის ოქმის მოთხოვნების შესრულება საქართველოს მიერ უზრუნველყოფილია (იხ. სექცია 6.1.1.4);
- ბაზელის კონვენციის მოთხოვნები (იხ. სექცია 6.1.2.2) საქართველოში სრულდება ხარვეზებით. კერძოდ:
 - არ არსებობს ეფექტური ადმინისტრაციული პროცედურა საქართველოსა და ბაზელის კონვენციის არა-მხარე ქვეუწინებს შორის ნარჩენების იმპორტ-ექსპორტის აღსაკვეთად (ბაზელის კონვენციის მუხლი 4, პუნქტი 5);
 - არ არსებობს ეფექტური პროცედურა ბაზელის კონვენციით გათვალისწინებული წინასწარი შეტყობინების გარეშე ნარჩენების შემცველი ტვირთის ექსპორტის განხორციელების აღსაკვეთად (ბაზელის კონვენციის მუხლი 6, პუნქტი 3) ;
 - არ არსებობს ადმინისტრაციული პროცედურა საქართველოს ფარგლებში ნარჩენების გადამზიდველებისგან სათანადო ნებართვის ან

¹¹⁸ "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", მუხლები 79² და 222

¹¹⁹ "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", მუხლები 69 და 222

¹²⁰ კანონი "ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებიდან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ", მუხლი 14, პუნქტი 1, ქვეპუნქტი "ა"

¹²¹ კანონი "ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებიდან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ", მუხლი 14, პუნქტი 1, ქვეპუნქტი "დ"

უფლებამოსილების მოთხოვნისათვის (ბაზელის კონვენციის მუხლი 4, პუნქტი 7).

- ხარვეზებია აგრეთვე სტოკჰოლმის კონვენციის მოთხოვნების (იხ. სექცია 6.1.5) საქართველოს მიერ შესრულებაში. კერძოდ:
 - საქართველოს არ წარუდგენია კონვენციის სამდივნოში კონვენციის განხორციელების ეროვნული გეგმა;
 - საქართველოში დღესდღეობით კონვენციით რეგულირებული ნივთიერებების გამოყენების აკრძალვის/შეზღუდვის უზრუნველყოფი ადმინისტრაციული ეფექტური მექანიზმი არ მოქმედებს;

დაინტერესებულ პირთა მოთხოვნის შემთხვევაში სამინისტრო დროულად ახორციელებს ეკოლოგიური ექსპერტიზის ორგანიზებას და მის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის თაობაზე. უნებართვო საქმიანობათა აღმოჩენა, ნებართვის პირობების შესრულების გაკონტროლება და გარემოსდაცვითი რეგლამენტების შესრულების კონტროლი გარემოს დაცვის ინსპექციის კომპეტენციაა. ამჟამად მიმდინარეობს ინსპექციის ინსტიტუციური გაძლიერება, მასზე დაკისრებულ ფუნქციათა ეფექტურობის გასაუმჯობესებლად.

მიუხედავად კანონით განსაზღვრული ვალდებულებისა, სამინისტროში ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული საგანგებო სიტუაციების მართვის დანაყოფი არ არსებობს. და არც ქიმიური ან რადიაციური ხასიათის საგანგებო სიტუაციის დროს "წარმოების ტექნოლოგიური პროცესების, პროდუქციის უსაფრთხოების ნორმების და წესების, აგრეთვე ორგანიზაციების თანამშრომელთა დაცვის ნორმების" შემუშავება მიმდინარეობს.

5.1.3 გარემოს დაცვის ინსპექცია

გარემოს დაცვის ინსპექცია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქველწყებო დაწესებულებას წარმოადგენს. ინსპექციაში შედის 6 სამსახური და 9 ტერიტორიული ორგანო.

ინსპექციის სამსახურებია:

- ინსპექტირების;
- სწრაფი რეაგირების;
- ანალიტიკური;
- ეკოლოგიური მონიტორინგის;
- სპეციალურ დავალებათა;
- ფინანსური უზრუნველყოფის.

ინსპექციის ტერიტორიული ორგანოებია:

- აღმოსავლეთ-ცენტრალური ბიურო;
- ქვემო ქართლის ბიურო;
- კახეთის ბიურო;
- სამცხე-ჯავახეთის ბიურო;
- დასავლეთ-ცენტრალური ბიურო;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის ბიურო;
- აჭარის ბიურო;
- ზემო აფხაზეთის ბიურო;
- შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექცია.

ინსპექციაში მომუშავე გარემოსდაცვითი ინსპექტორების რიცხვი 100 კაცს აღწევს.

ინსპექციაში მოქმედებს ცხელი ხაზი, რომელიც 24 საათის განმავლობაში იღებს მოქალაქეთა საჩივრებს.

5.1.3.1 კომპეტენციები ქიმიურ ნივთიერებათა მართვის სფეროში

გარემოს დაცვის ინსპექციის კომპეტენციას ქიმიური ნივთიერებებით გარემოს დაბინძურების დადგენილი ნორმების (მათ შორის გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობების და ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების) დარღვევების აღმოჩენა და მათზე სათანადო რეაგირება წარმოადგენს.

5.1.3.2 კომპეტენციების შესრულების მდგომარეობა

გარემოს დაცვის ინსპექციის მიერ აღნიშნული კომპეტენციის განსახორციელება რიგი ხელშემშლელი ფაქტორების გამო შეზღუდულია. კერძოდ:

- ინსპექციას დღემდე არ გააჩნია საწარმოთა გეგმური შემოწმებების დამტკიცებული გრაფიკი. შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების მქონე საწარმოთა და საქმიანობათა რეგულარული, გეგმური შემოწმებები ინსპექციის მიერ არ ხორციელდება. საწარმოთა შემოწმება ხდება მხოლოდ შემოსული საჩივრების, ან საწარმოს მიერ წარმოდგენილი არასრული ანგარიშის საფუძველზე. **საჭიროა:** გარემოზე ზემოქმედების უნარის მქონე საწარმოთა და საქმიანობათა გეგმური ინსპექტირების განრიგის დამტკიცება.
- არ არსებობს სისტემატიური მიდგომა ინსპექციის მიერ გარემოზე ზემოქმედების უნარის მქონე უნებართვო საქმიანობის, ან გარემოსდაცვითი რეგლამენტების დარღვევით განხორციელებული საქმიანობის აღმოსაჩენად. ასეთი საქმიანობების აღმოჩენა მხოლოდ მოსახლეობისგან შესაბამისი საჩივრის შემოსვლის შემთხვევაში ხდება. **საჭიროა:** სისტემატიური მიდგომის შემუშავება უნებართვო ან გარემოსდაცვითი რეგლამენტების დარღვევით განხორციელებულ საქმიანობათა აღმოსაჩენად.
- მონაცემები გარემოზე ზემოქმედების უნარის მქონე საწარმოებისა და საქმიანობების, აგრეთვე მათი შემოწმებების შედეგების შესახებ არ არის სისტემატიზებული. ამჟამად შესაბამის მონაცემთა ბაზა (ბაზა "ინსპექტორი") შექმნის სტადიაშია. **საჭიროა:** ქვეყანაში არსებულ საშიშ და გარემოზე ზემოქმედების უნარის მქონე საწარმოთა ერთიან მონაცემთა ბაზის შექმნა, თანამშრომლობა ამ მიმართულებით ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციასთან (იხ. სექცია 5.1.10)
- ინსპექციას არ გააჩნია მოწყობილობა ინსპექტირების დროს საჭირო გაზომვების განსახორციელებლად. როგორც წესი, ინსპექტირებისას ინსპექცია დახმარებას გარემოს ეროვნულ სააგენტოს გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტს (იხ. სექცია 5.1.4) სთხოვს, თუმცა ეს უკანასკნელი ძირითადად გარემოს ფონურ დაბინძურებათა გაზომვაზეა ორიენტირებული და ემისიათა გამზომი პორტატიული მოწყობილობები აგრეთვე არ გააჩნია. **საჭიროა:** ინსპექციის აღჭურვა ემისიების გამზომი პორტატიული აპარატურით.
- არასაკმარისია ინსპექტორთა კვალიფიკაცია გარემოში ემისიათა გამომწვევი პროცესების სათანადო შემოწმების და მიწერილობის შედგენის ან ემისიათა პრევენციის მიზნით დამბინძურებლებთან ახსნა-განმარტებითი მუშაობისთვის. **საჭიროა:** გარემოსდაცვით ინსპექტორთა პერმანენტული ტრენინგები გარემოს დამბინძურებელ ტექნოლოგიებსა და გარემოს დაბინძურების შემცირებისა და პრევენციის საკითხებში. სასურველია შეიქმნას სპეციალური სასწავლო ცენტრი ან ბაზა, ამ მიზნით.

5.1.4 გარემოს ეროვნული სააგენტო

გარემოს ეროვნული სააგენტო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს წარმოადგენს. ადმინისტრაციის გარდა მასში შედის:

- ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტი;
- გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტი;
- სივრცული ინფორმაციის დეპარტამენტი;
- გეოლოგიური საშიშროებისა და გეოლოგიური გარემოს მართვის დეპარტამენტი;
- ნაპირდაცვის დეპარტამენტი.

5.1.4.1 კომპეტენციები ქიმიურ ნივთიერებათა მართვის სფეროში

ქიმიურ ნივთიერებათა მართვის სფეროდან სააგენტოს, კერძოდ კი გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტს ევალება გარემოს მდგომარეობის (მათ შორის საშიში ქიმიური ნივთიერებებით გარემოს სხვადასხვა ფაქტორის დაბინძურების) და დაბინძურების წყაროების მონიტორინგი¹²².

5.1.4.2 კომპეტენციების შესრულების მდგომარეობა

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გარემოს მონიტორინგი საქართველოში მთლიანად მოიშალა, ბოლო წლებში განხორციელებული რიგი საერთაშორისო დახმარების პროექტების საშუალებით (იხ. დანართი 1) მოხერხდა დეპარტამენტის ლაბორატორიების ხელახალი აღჭურვა თანამედროვე აპარატურით (ატომურ-აბსორბციული სპექტროფოტომეტრი, იონური და გაზური ქრომატოგრაფები, მას-სპექტრომეტრი, ლაბორატორიული ავეჯი, ჭურჭელი და აპარატურა, საექსპედიციო მოწყობილობა და ავტომობილები), მიმდინარეობს დაკვირვების სადგურების აღდგენა და ხელახალი აღჭურვა, თუმცა პრობლემები დეპარტამენტს კვლავაც აქვს.

გარდა ცენტრალური ლაბორატორიებისა, დეპარტამენტის განკარგულებაშია აგრეთვე ქუთაისის, ზესტაფონის და რუსთავის ლაბორატორიები, შავი ზღვის მონიტორინგის ცენტრი ბათუმში და EMEP-სადგური აბასთუმანში. დეპარტამენტში და მის რეგიონულ განყოფილებებში სულ 38 სამტატო და 5 საკონტრაქტო თანამშრომელი მუშაობს.

5.1.4.2.1 ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაზომვა

ატმოსფერულ ჰაერში ტრადიციულად იზომება (დღეში 3-ჯერ ან 4-ჯერ) CO, NO_x, SO₂ და მტვრის კონცენტრაცია. დღეისთვის ჰაერის ხარისხის გაზომვი თითო ჯიხური მოქმედებს თბილისში, ზესტაფონში, ბათუმსა და ქუთაისში. მიმდინარეობს მეორე ჯიხურის შეძენა და აღჭურვა თბილისისთვის, ასევე გაზომვი ჯიხურის მოწყობა რუსთავში და კასპში.

თბილისში ჰაერში დამატებით იზომება ტყვიის საშუალო თვიური კონცენტრაცია, ზესტაფონში – მანგანუმის ორჟანგიის, თუმცა ლაბორატორია ამ გაზომვებისთვის ალურ ატომურ-აბსორბციულ სპექტროფოტომეტრს იყენებს, რომლის სათანადოდ დაკალიბრება ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა.

¹²² "სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულება" (დამტკიცებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 29 აგვისტოს #611 ბრძანებით), მუხლი 2, პუნქტი 2, ქვეპუნქტები "ა" – "დ".

ჰაერის გაზომვის არსებული მეთოდები მოძველებულია და თანამედროვეობის მოთხოვნებს არ პასუხობს. გარდა ამისა, არსებობს ინფორმაცია სამრეწველო საწარმოების მიერ ჰაერის დაბინძურების შესახებ ღამის პერიოდში, როდესაც ჰაერის ხარისხის აზომვები არ წარმოებს. ჰაერის ხარისხის სათანადოდ გაზომვისთვის აუცილებელია ძირითადი ქალაქები ავტომატური გაზოანალიზატორი სადგურებით იქნეს აღჭურვილი.

5.1.4.2.2 წყლის ხარისხის გაზომვა

დეპარტამენტი ახორციელებს ზედაპირული წყლების მახასიათებლების (36 ინგრედიენტი) ყოველთვიურ გაზომვებს 22 მდინარის 41 წერტილში.

5.1.4.2.3 ემისიების გაზომვა წყალსა და ჰაერში

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დავალებით, დეპარტამენტი ახორციელებს ემისიათა გაზომვებს გარემოს დაცვის ინსპექციის მიერ საწარმოების შემოწმებისას. თუმცა შესაბამისი მობილური აპარატურა დეპარტამენტს აკლია. დღესდღეობით მიმდინარეობს ბიუჯეტის სახსრებით ჰაერის ემისიათა გამზომი მობილური აპარატურის (ნაწილის) შესყიდვა.

5.1.4.2.4 ნიადაგების დაბინძურების გაზომვები

დეპარტამენტში აწყობილია ლაბორატორია ნიადაგების დაბინძურების გასაზომად. ლაბორატორიის შესაძლებლობები ძირითადად გამოიყენება გარემოს დაცვის ინსპექციის მოთხოვნის შემთხვევაში. ძირითადად იზომება ნიადაგების დაბინძურების ხარისხი ნავთობპროდუქტების დაღვრის შემთხვევებში.

ნიადაგების ფონური დაბინძურების გაზომვები ჯერ-ჯერობით დაგეგმვის სტადიაზეა.

5.1.4.2.5 ინფორმაციის დამუშავება და ხელმისაწვდომობა

დეპარტამენტი ყოველთვიურად ამზადებს და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარუდგენს ანგარიშს გარემოს მდგომარეობის შესახებ. საზოგადოებისთვის ამ ანგარიში არსებობა ცნობილი არ არის.

დეპარტამენტის მიერ მომზადებული მონაცემები გარემოს დაბინძურების შესახებ შედის სივრცული ინფორმაციის ცენტრის მონაცემთა ბაზაში. ჯერჯერობით არც ეს ბაზაა საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი.

თუმცა საქართველოში გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაიდუმლოება აკრძალულია. ამდენად, მოთხოვნის შემთხვევაში, დეპარტამენტის მიერ მოგროვილი ინფორმაცია საზოგადოებას მიეწოდება. თუმცა ინფორმაციის აქტიური გავრცელება და საზოგადოებისთვის მისი ხელმისაწვდომობის გაიოლება არ ხდება.

5.1.4.2.6 ძირითადი პრობლემები

- ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაზომვები არ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. **საჭიროა:** ჰაერის გამზომი ავტომატური სადგურების შექმნა და დაინსტალირება (თბილისისთვის სულ ცოტა 5 სადგური, ქუთაისში, ბათუმში, ზესტაფონში, რუსთავსა და კასპში – თითო მაინც);
- გარემოში ემისიათა გაზომვები არასათანადო ხარისხისაა, შესაბამისი აპარატურის სიმწირის გამო. **საჭიროა:** დეპარტამენტის და მისი რეგიონული განყოფილებების აღჭურვა ჰაერში და წყალში ემისიების გამზომი მობილური აპარატურით;

- დეპარტამენტის პერსონალს აკლია ცოდნა და გამოცდილება ახალი აპარატურის სათანადოდ გამოსაყენებლად (განსაკუთრებით ეს ეხება გაზურ ქრომატოგრაფს-მას-სპექტრომეტრს). **საჭიროა:** პერსონალის ინტენსიური თრენინგი ახალი აპარატურის ათვისებისთვის. სასურველია რამოდენიმე თრენერის მომზადება საზღვარგარეთ, რომლებიც შემდგომ დაწარჩენი პერსონალის წვრთნას ადგილზე განახორციელებენ;
- პრობლემატურია რეაქტივები, სტანდარტები და სხვა სახარჯი მასალა ახალი აპარატურის მომსახურებისთვის. **სასურველია:** დეპარტამენტის მომარაგება სახარჯი მასალებით.
- არასაკმარისია გარემოს დაბინძურების გაზომვათა შედეგების ხელმისაწვდომობა საზოგადოებისთვის. **საჭიროა:** ინფორმაციის განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე, მომხმარებლისთვის გასაგებ, იოლ და ადვილად მოსაძიებელი ფორმით.

5.1.5 შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

5.1.5.1 კომპეტენცია ქიმიურ ნივთიერებათა მართვის სფეროში

სამინისტრო პასუხისმგებელია საქართველოს მიერ ქიმიურ ნივთიერებათა სფეროში მოქმედი შემდეგი საერთაშორისო ხელშეკრულების შესრულებაზე:

- როტერდამის 1998 წლის კონვენცია "ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ";

გარდა ამისა, ქიმიურ ნივთიერებათა მართვის სფეროში შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციაა:

- ქიმიური ნივთიერებების კლასიფიკაცია, ტოქსიკურობისა და საშიშროების კლასებისადმი ქიმიური ნივთიერებების მიკუთვნების წესების დადგენა; ქიმიური ნივთიერებების შეფუთვისადმი, ნიშანდებისა და ეტიკეტირებისადმი მოთხოვნების დადგენა; ქიმიურ ნივთიერებასთან უსაფრთხო მოპყრობის შესახებ საინფორმაციო ფურცლის ფორმისა და მასში შესატანი ინფორმაციის მოცულობის დადგენა.
- სურსათსა და სასმელ წყალში პესტიციდების და სხვა აგროქიმიკატების ნაშთების დაშვებული რაოდენობის დადგენა,
- ატმოსფერულ ჰაერში (მ.შ. სამუშაო ზონის ჰაერში) და ნიადაგში მავნე ქიმიური ნივთიერებების შემცველობის ჰიგიენურ ნორმატივების დადგენა;
- სადებიზინფექციო საშუალებების გამოყენების წესების და ნორმების დადგენა და დაცვის შემოწმება;
- საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა¹²³ ერთიანი სახელმწიფო რეესტრის წარმოება. ნივთიერებათა თვისებების გარდა რეესტრში აღრიცხული უნდა იყოს საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა მწარმოებელი, შემნახველი, გადამტანი და მომხმარებელი ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი.

¹²³ იგულისხმება საშიში ქიმიური ნივთიერებები "საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა შესახებ" კანონის განმარტების მიხედვით. ანუ, აქ არ შედის, მაგალითად, პესტიციდების და აგროქიმიკატების მომხმარებელი პირები

5.1.5.2 კომპეტენციათა განხორციელების მდგომარეობა

როტერდამის კონვენციის მოთხოვნები საქართველოში ხარვეზებით სრულდება. კერძოდ:

- არ არის სამდივნოსადმი წარდგენილი ინფორმაცია იმის შესახებ, აკრძალულია თუ არა საქართველოში როტერდამის კონვენციის მე-3 დანართში შესული ქიმიური ნივთიერებების იმპორტი;
- არ არის დანერგილი ეფექტური ადმინისტრაციული პროცედურა იმის უზრუნველსაყოფად, რომ დაშვებული არ იყოს როტერდამის კონვენციის მე-3 დანართში შესული ქიმიური ნივთიერებების ექსპორტი იმ ქვეყნებში, რომლებმაც კონვენციის სამდივნოს აცნობეს ამ ნივთიერებათა იმპორტის აკრძალვის შესახებ;
- არ არსებობს ეფექტური ადმინისტრაციული პროცედურა იმის უზრუნველსაყოფად, რომ იმპორტიორი ქვეყნის წინასწარი ინფორმირების გარეშე დაშვებული არ იყოს საქართველოდან ისეთი ქიმიური ნივთიერებების ექსპორტი, რომლებიც საქართველოში აკრძალული ან მკაცრად შეზღუდულია, როტერდამის კონვენციის მე-3 დანართში კი შესული არ არის.

უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით კონვენციის ოფიციალურ საკონტაქტო პირს (Designated National Authorities, DNA) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის უფროსი წარმოადგენს. ეს უწყება ამჟამად გაუქმებულია და მიმდინარეობს კონვენციისთვის საქართველოს ახალი საკონტაქტო პირის დანიშვნის პროცედურა. სავარაუდოდ ეს პირი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს ინტეგრირებული მართვის დეპარტამენტის ნარჩენებისა და ქიმიურ ნივთიერებათა მართვის სამმართველოს უფროსი იქნება.

საშიშო ქიმიურ ნივთიერებათა ერთიანი სახელმწიფო რეესტრი სამინისტროში არ შექმნილა.

5.1.6 დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს წარმოადგენს.

5.1.6.1 კომპეტენციები ქიმიურ ნივთიერებათა მართვის სფეროში

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს დაავადებების მონიტორინგი და სამედიცინო სტატისტიკის წარმოება ევალება¹²⁴.

საშიშო ქიმიური ნივთიერებებით ადამიანთა მოწამვლების შემთხვევების აღრიცხვა და სათანადო სისტემატიზაცია სწორედ ამ უწყებამ უნდა განახორციელოს.

გარდა ამისა, გარემოს, სურსათისა და სასმელი წყლის დაბინძურების ინფორმაციის საფუძველზე ცენტრმა უნდა შეაფასოს ჯანმრთელობის რისკები და განახორციელოს ეპიდემიოლოგიური კვლევები.

¹²⁴ "სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულება" (დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107 ბრძანებით), მუხლი 2, პუნქტი 2, ქვეპუნქტები "აგ" და "გ".

5.1.6.2 კომპეტენციების შესრულების მდგომარეობა

ინფორმაციას საშიში ქიმიური ნივთიერებებით ადამიანთა მოწამვლების შემთხვევების რაოდენობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ ცენტრირებული აღზადებს. მაგრამ ამ ინფორმაციის სიზუსტე სამედიცინო დაწესებულებების ხელთ არსებული ინფორმაციის სიზუსტეზე და მათ მიერ შესაბამისი სტატისტიკური ანგარიშების შედგენის ხარისხზე დამოკიდებული. ეს უკანასკნელი თბილისში შედარებით კარგ დონეზეა, რეგიონებში კი საკმაოდ მოიკოჭლებს. თუმცა უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ როგორც რეგიონებში, ასევე თბილისში სამედიცინო დაწესებულებები არ ფლობენ საშუალებებს მომწამვლელი ნივთიერების ზუსტად დასადგენად. კერძოდ, ქვეყანაში არ არსებობს არც ერთი სათანადოდ აღჭურვილი ტოქსიკოლოგიური ლაბორატორია, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნებოდა მოწამვლილი ადამიანის ბიოლოგიურ სითხეებში მომწამვლელი ნივთიერების ზუსტი იდენტიფიცირება. შესაბამისად, დასკვნას მომწამვლელი აგენტის შესახებ სამედიცინო დაწესებულებები ანამნეზის ან კლინიკური მონაცემების მიხედვით თუ აკეთებენ, რაც, ბუნებრივია, ხშირად არაზუსტია. **აუცილებელია:** ტოქსიკოლოგიური ლაბორატორიული ბაზის გაძლიერება – ქვეყანაში თუნდაც ერთი სათანადო ტოქსიკოლოგიური ლაბორატორიის აწყობა; **ტოქსიკოლოგიური საინფორმაციო ცენტრისა და ტოქსიკოლოგთა ასოციაციის** გაძლიერების ხელშეწყობა.

რაც შეეხება ჯანმრთელობის რისკების შეფასებას, ცენტრს არ გააჩნია საკმარისი ინფორმაცია გარემოს, სურსათისა და სასმელი წყლის დაბინძურების შესახებ და ამიტომ არ აქვს საშუალება შეაფასოს ჯანმრთელობის რისკები და აწარმოოს ეპიდემიოლოგიური კვლევები. ჯანმრთელობის რისკების შეფასებას აგრეთვე მნიშვნელოვნად ართულებს ქვეყანაში ბრუნვაში მყოფი საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის (რეესტრის) არარსებობა და ქიმიურ ნივთიერებათა კლასიფიკაციის მოუწესრიგებლობა. **საჭიროა:** ქვეყანაში ბრუნვაში მყოფი საშიში ქიმიური ნივთიერებების ერთიანი საინფორმაციო ბაზის (რეესტრის) აწყობა; გარემოს, სურსათისა და სასმელი წყლის დაბინძურების შესახებ ინფორმაციის რეგულარული მოგროვება და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

5.1.7 საგარეო საქმეთა სამინისტრო

5.1.7.1 კომპეტენცია ქიმიურ ნივთიერებათა მართვის სფეროში

კომპეტენცია ქიმიურ ნივთიერებათა მართვის სფეროში საგარეო საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტს გააჩნია. კერძოდ მის კომპეტენციაში შედის "ქიმიური იარაღის შემუშავების, წარმოების, დაგროვების და გამოყენების აკრძალვისა და მისი განადგურების შესახებ" 1993 წლის პარიზის კონვენციით (იხ. სექცია 6.1.3) საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა.

5.1.7.2 კომპეტენციათა განხორციელების მდგომარეობა

პარიზის კონვენცია საქართველოში დღესდღეობით სრულფასოვნად არ სრულდება. კერძოდ:

- არ არის შერჩეული უწყება, რომელსაც დაევალება კონვენციის იმპლემენტაციისათვის საჭირო კანონმდებლობის შემუშავება
- არ არის დადგენილი ადმინისტრაციული მექანიზმი კონვენციით რეგულირებადი ქიმიკატების წარმოების, გამოყენების, გადამცემის (იმპორტის-ექსპორტის) აკრძალვის/შეზღუდვის და განადგურების უზრუნველსაყოფად.

5.1.8 საბაჟო ორგანოები

საქართველოს საბაჟო ორგანოები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ადგილობრივი ორგანოების შემადგენელი უწყებებია. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური კი ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას წარმოადგენს.

5.1.8.1 კომპეტენცია ქიმიურ ნივთიერებათა მართვის სფეროში

საბაჟო ორგანოების ფუნქციაა საქონლის იმპორტ-ექსპორტისას საბაჟო ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის განხორციელება.

კერძოდ, საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა მართვის სფეროში საბაჟო ორგანოები ვალდებული არიან არ დაუშვან შეზღუდულად ბრუნვადი მასალების (იხ. სექცია 6.2.15.4.1) იმპორტ-ექსპორტი და ტრანზიტი ტვირთის დეკლარაციასთან ერთად დეკლარანტის მიერ შესაბამისი ნებართვის წარდგენის გარეშე¹²⁵. თუმცა ეს მოთხოვნა შეჩერებულია 2011 წლის 1 ივლისამდე¹²⁶. ერთდერთი დღეს მოქმედი მოთხოვნა ეხება შეზღუდულად ბრუნვადი მასალების არ-დაშვებას გამარტივებული საბაჟო პროცედურების რეჟიმზე¹²⁷ (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქონლის მიმღები რომელიმე სამინისტროა)¹²⁸.

გარდა ამისა, საბაჟო ოპერაციების განხორციელებისას მიღებული ინფორმაციის განზოგადოების საფუძველზე შემოსავლების სამსახური ვალდებულია აწარმოოს საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკა და სპეციალური საბაჟო სტატისტიკა¹²⁹.

¹²⁵ "ინსტრუქცია საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ" (დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის #1760 ბრძანებით, ცვლილებები შევიდა 2007 წლის 8 თებერვლის #105, 23 აპრილის #389, 23 ივლისის #923, 27 აგვისტოს #1028, 2008 წლის 9 იანვრის #10, 18 იანვრის #73, 27 მაისის #464, 20 ივნისის #536, 4 აგვისტოს #637 და 31 დეკემბრის #983 ბრძანებებით), მუხლი 9, პუნქტი 8, ქვეპუნქტი "ბ.ბ.ა" და "ინსტრუქცია საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ" (დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის #1770 ბრძანებით, ცვლილებები შევიდა 2007 წლის 9 მარტის #191, 2008 წლის 18 იანვრის #77, 20 ივნისის #530, 4 აგვისტოს #641, 2 დეკემბრის #888 და 31 დეკემბრის #984 ბრძანებებით), მუხლი 4, პუნქტი 6¹, ქვეპუნქტი "ბ.ბ.ა";

¹²⁶ იმავე ინსტრუქციების მე-15 და მე-13 მუხლები შესაბამისად

¹²⁷ ივლისისხმება გამარტივებული საბაჟო პროცედურები საბაჟო-სავაჭრო თანამშრომლობის განხორციელების ფარგლებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) მიერ შემუშავებული საბაჟო მონაცემთა ავტომატიზებული სისტემის (ASYCUDA) გასანერგად.

¹²⁸ "ინსტრუქცია საბაჟო-სავაჭრო თანამშრომლობის განხორციელების წესის შესახებ" (დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 31 დეკემბრის #990 ბრძანებით), მუხლი 8, პუნქტი "ა" და "ინსტრუქცია საბაჟო-სავაჭრო თანამშრომლობის მონაწილეთა მიერ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმში გაცხადებულ საქონელზე, რომლის მიმართაც დადგენილი წესით ხორციელდება გამარტივებული საბაჟო კონტროლი, სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის შევსების, წარდგენის და რეგისტრაციის წესის შესახებ" (დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის #1232 ბრძანებით, ცვლილება შევიდა 2008 წლის 31 დეკემბრის #982 ბრძანებით), მუხლი 2, პუნქტი "ბ.ა";

¹²⁹ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის დებულება" (დამტკიცებულია ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 2 მარტის #170 ბრძანებით, ცვლილებები შევიდა 2007 წლის 19 მარტის #219, 13 აპრილის #342, 6 ივნისის #607, 2 ივლისის #785 და 787, 28 სექტემბრის #1100, 1 ოქტომბრის #1114, 10 ოქტომბრის #1134, 24 ოქტომბრის #1171, 22 ნოემბრის #1228, 2008 წლის 10 იანვრის #23, 18 იანვრის #56, 14 თებერვლის #136, 15 თებერვლის #147, 25 თებერვლის #189, 21 მარტის #259, 27 მარტის #297, 23 აპრილის #382, 11 ივლისის #590, 15 სექტემბრის #725, 27 ოქტომბრის #807, 11 დეკემბრის #908, 29 დეკემბრის #951 და 2009 წლის 30 იანვრის #46 ბრძანებებით), მუხლი 15, პუნქტი 2, ქვეპუნქტი "ე"

5.1.8.2 კომპეტენციათა განხორციელების მდგომარეობა

საბაჟო ოპერაციების განხორციელებისას მიღებული ინფორმაციის განზოგადოების საფუძველზე შემოსავლების სამსახური აწარმოებს საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკას და სპეციალურ საბაჟო სტატისტიკას.

თუმცა საბაჟო ორგანოთა შესაძლებლობანი საქონლის (განსაკუთრებით ქიმიურ ნივთიერებათა) სწორად იდენტიფიცირების საკითხში ფრიად შეზღუდულია, რაც მოგროვილი ინფორმაციის ხარისხზე აისახება. კერძოდ, საბაჟოებზე ადგილი აქვს ქიმიურ ნივთიერებების იდენტიფიკაციასა და ინსპექტირებასთან დაკავშირებულ ინფორმაციულ და ინფრასტრუქტურულ პრობლემებს:

- საბაჟოებს არ გააჩნიათ საინფორმაციო ბაზა, რომელიც თითოეული ქიმიური ნივთიერების ყველა საერთაშორისო დასახელებისა და კოდის (CAS, UN, EC კოდები) ურთიერთდაკავშირების და შესაბამისი სასაქონლო კოდის და რეგულირების რეჟიმის იდენტიფიცირების საშუალებას მისცემდა. **საჭიროა:** შეიქმნას რეგულირებადი ქიმიკატების ერთიანი სახელმწიფო რეესტრი, რომელშიც ქიმიკატების იდენტიფიცირება შესაძლებელი იქნება ერთი მხრივ 2007 წლის სასაქონლო ნომენკლატურის ჰარმონიზირებული სისტემით და მეორეს მხრივ – ქიმიკატების ნებისმიერი საერთაშორისო დასახელებით ან კოდით (CAS, UN, EC).
- საზღვრებზე არ არსებობს ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხო ინსპექტირებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა და იდენტიფიკაციის საშუალებები. **საჭიროა:** მოეწყოს საზღვრებზე ასეთი ინსპექტირების პუნქტები, სადაც საშუალება იქნება ქიმიურად საშიში ტვირთების განცალკევება, უსაფრთხო ინსპექტირება, საშიში ნივთიერებების ლოკალიზება და დროებითი იზოლაცია იქვე განთავსებულ, შესაბამისად დაცულ დროებით საცავში. ინფრასტრუქტურა უნდა მოიცავდეს სადეკონტამინაციო და სანიტარული დამუშავებისათვის საჭირო კვანძებსაც.

5.1.9 საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი

5.1.9.1 კომპეტენცია ქიმიურ ნივთიერებათა მართვის სფეროში

ქიმიურ ნივთიერებათა მართვის სფეროში შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის და მისი ტერიტორიული დანაყოფების კომპეტენციები მათ მიერ "საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის ერთიანი სისტემის" საქმიანობის მართვის ფუნქციასთან¹³⁰ არის დაკავშირებული.

"ერთიან სისტემას" გარკვეული ამოცანები აკისრია როგორც საგანგებო სიტუაციების წარმოშობისას, ასევე მათ წარმოშობამდე. კერძოდ, საგანგებო სიტუაციათა დადგომამდე "ერთიანმა სისტემამ" უნდა უზრუნველყოს¹³¹:

¹³⁰ "ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმის" (დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 26 აგვისტოს #415 ბრძანებულებით) მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით "ერთიანი სისტემის" საქმიანობის მართვას საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტი და მისი ტერიტორიული დანაყოფები ახორციელებენ

¹³¹ "ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისგან მოსახლეობის და ტერიტორიის დაცვის შესახებ" კანონის მე-6 მუხლის 1 პუნქტის მიხედვით

- საგანგებო სიტუაციების პროგნოზირება და მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების შეფასება;
- საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის უზრუნველყოფის ნორმების შემუშავება და განხორციელება;
- მიზნობრივი და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების განხორციელება:
 - საგანგებო სიტუაციის რისკის ფაქტორის დროულად გამოვლენისა და მისი თავიდან აცილების მიზნით,
 - საგანგებო სიტუაციის დროს სამრეწველო და სოციალური დანიშნულების ობიექტების სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით;
- საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალებისა და საშუალებების, აგრეთვე სპეციალურად უფლებამოსილი მართვის ორგანოების მზადყოფნის უზრუნველყოფა (მ.შ. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების სწავლება და გადამზადება);
- მატერიალურ ფასეულობათა მარაგის შექმნა საგანგებო სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის მიზნით;

საგანგებო სიტუაციის დადგომის შემთხვევაში კი "ერთიანი სისტემის" ამოცანაა საგანგებო სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაცია;

5.1.9.2 კომპეტენციათა შესრულების მდგომარეობა

"ერთიანი სისტემის" საქმიანობანი საწყის სტადიაზე იმყოფება. სისტემის წინაშე მდგარი ამოცანებიდან ქიმიურ ნივთიერებათა მართვის სფეროში ჯერჯერობით არც ერთი განხორციელებულა.

5.1.10 ეკონომიკური განვითარების სამინისტრო

ქიმიურ ნივთიერებათა მართვის სფეროში ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ფუნქციას დაინტერესებული პირის მოთხოვნის შემთხვევაში ორმაგი დანიშნულების ქიმიკატების (იხ. სექცია 6.2.8) იმპორტ-ექსპორტსა და ტრანზიტზე ნებართვის გაცემა წარმოადგენს. რიგი ქიმიკატების შემთხვევაში (იხ. ცხრილი 36) ასეთი ნებართვის გაცემა მხოლოდ თავდაცვის სამინისტროსთან არსებული სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე არის შესაძლებელი (იხ. სექცია 5.1.12).

5.1.11 ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია

საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიული პირს წარმოადგენს.

5.1.11.1 კომპეტენცია ქიმიურ ნივთიერებათა მართვის სფეროში

საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა მართვის სფეროში ინსპექციის კომპეტენციებია:

- საშიშ საწარმოო ობიექტების სახელმწიფო რეესტრის წარმოება¹³².
- საშიში საწარმოო ობიექტის ტექნიკური უსაფრთხოების ექსპერტიზის ჩატარება¹³³;

¹³² კანონი "საშიში საწარმოო ობიექტის შესახებ", მუხლი 14¹, პუნქტი 1

¹³³ კანონი "საშიში საწარმოო ობიექტის შესახებ", მუხლი 15, პუნქტი 5

- ”საშიში საწარმოო ობიექტის ექსპლუატაციის ნებართვის” გაცემა¹³⁴;
- საშიში საწარმოო ობიექტებიდან უსაფრთხოების დეკლარაციების მოთხოვნა¹³⁵;
- სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება საშიშ საწარმოო ობიექტებში უსაფრთხოების წესების დაცვაზე¹³⁶

საშიში ქიმიური ნივთიერებების მართვის სფეროში ინსპექცია ტექნიკურ ზედამხედველობას შემდეგ საწარმოებსა და დანადგარებს უწევს:

- სამთო და სამთოქიმიური, ქიმიური, ნავთობქიმიური, მეტალურგიული, ბიოლოგიური, მიკრობიოლოგიური, ქიმიურ-ფარმაცევტული, მცენარეული ნედლეულის გადამამუშავებელი და შესანახი, ჰაერის გაყოფის პროდუქტების მწარმოებელი აფეთქება-ხანძარსაფრთხიან საწარმოები; ამიაკის სამაცივრო დანადგარები;
- ნავთობპროდუქტ-საცავები და მიღება-გაცემის პუნქტები, მაგისტრალური ნავთობ და ნავთობპროდუქტსადენები;
- მაგისტრალური გაზსადენებისა და გაზომომარაგების სისტემები, თხევადი გაზის (პროპან-ბუტანი) ტრანსპორტირება და შენახვა-გამოყენება, საავტომობილო გაზსაცვები საკომპრესორო სადგურები, გაზის აპარატურის დამამზადებელი და სამონტაჟო საწარმოები;
- სარკინიგზო ტრანსპორტით საშიში ტვირთების გადაზიდვა; შესაბამისი სისტემები და მოწყობილობა, სპეციალური კონტეინერები და ვაგონები; სარკინიგზო ტრანსპორტით ტვირთების მიმღები, გამგზავნი, საექსპედიტორო, სარემონტო და დიაგნოსტიკური საწარმოების მოწყობილობა;

5.1.11.2 კომპეტენციათა შესრულების მდგომარეობა

ინსპექცია ასრულებს თავის კომპეტენციებს საშიში საწარმოო ობიექტის ტექნიკური უსაფრთხოების ექსპერტიზის ჩატარებისა და ”საშიში საწარმოო ობიექტის ექსპლუატაციის ნებართვის” გაცემის მხრივ. გარდა ამისა, ინსპექცია რეგულარულად ახორციელებს აღრიცხულ საშიშ საწარმოებში უსაფრთხოების მოთხოვნათა დაცვის გეგმურ შემოწმებებს.

საგულისხმოა, რომ უსაფრთხოების წესები, რომელთა მოთხოვნების შესრულება ინსპექციამ უნდა შეამოწმოს, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ უნდა იყოს დადგენილი¹³⁷. დღეისთვის ასეთი წესები ჯერ მხოლოდ რამოდენიმე ტიპის საწარმოსთვის არის დადგენილი (იხ. სექცია 6.2.7.3)¹³⁸, რაც სერიოზულად ზღუდავს როგორც შემმოწმებლის, ასევე საწარმოს შესაძლებლობებს საწარმოო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

კანონმდებლობით დაკისრებულ ფუნქციას საშიში საწარმოო ობიექტებიდან უსაფრთხოების დეკლარაციების მოთხოვნის თაობაზე ინსპექცია ვერ ასრულებს, ამ დეკლარაციის ფორმისა და წარდგენის წესის შესახებ სამთავრობო დადგენილების არარსებობის გამო¹³⁹.

¹³⁴ კანონი ”საშიში საწარმოო ობიექტის შესახებ”, მუხლი 13, პუნქტი 2

¹³⁵ კანონი ”საშიში საწარმოო ობიექტის შესახებ”, მუხლი 2, პუნქტი 3

¹³⁶ კანონი ”საშიში საწარმოო ობიექტის შესახებ”, მუხლი 3, პუნქტი 1 ”ბ”

¹³⁷ კანონი ”საშიში საწარმო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ”, მუხლი 5, პუნქტი 1-2

¹³⁸ რიგი საწარმოების უსაფრთხოების წესები ინსპექციის მიერ შემუშავებულია და განხილვისა და დამტკიცების სტადიაში იმყოფება

¹³⁹ დადგენილების ტექსტი წელიწადზე მეტია შემუშავებულია. მიმდინარეობს მისი განხილვა მთავრობაში.

რაც შეეხება საშიშ საწარმოო ობიექტების რეესტრის შედგენის მოთხოვნას, ფორმალურად ეს მოთხოვნა ინსპექციის მიერ სრულდება, თუმცა საკმაოდ თავისებური ფორმით. საქმე იმაშია, რომ კანონქვემდებარე აქტი, რომელიც რეესტრის წარმოების მიზნით საწარმოთა აღრიცხვის (სააღრიცხვო ბარათის) ფორმას და შევსების წესს ადგენს¹⁴⁰, არ აკონკრეტებს თავად რეესტრის, ანუ საინფორმაციო ბაზის წარმოების ფორმას. გარდა ამისა, ინსპექციის შესაძლებლობანი კომპიუტერიზებული ბაზების წარმოების მხრივ საკმაოდ შეზღუდულია. ამიტომ დღესდღეობით რეესტრი უწყებაში მოგროვილი სხვადასხვა საწარმოების მიერ შევსებული სააღრიცხვო ბარათების სახით არსებობს. მათი დამუშავება და სისტემატიზაცია ინსპექციის მიერ ვერ ხორციელდება. შესაბამისად, რეესტრი სხვა უწყებების მიერ გამოსაყენებლად¹⁴¹ პრაქტიკულად გამოუსადეგია.

5.1.12 თავდაცვის სამინისტრო

ქიმიურ ნივთიერებათა მართვის სფეროში სამინისტროს კომპეტენციას წარმოადგენს რიგ ორმაგი დანიშნულების ქიმიკატების (იხ. ცხრილი 36) იმპორტ-ექსპორტსა და ტრანზიტზე სანებართვო განაცხადების განხილვა და ნებართვის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთვის (იხ. სექცია 5.1.10) რეკომენდაციების მომზადება. კერძოდ, ამ ფუნქციას სამინისტროს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისია ასრულებს, რომლის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა სამინისტროს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა დეპარტამენტის საქმეა.

გარდა ამისა, იმ შემთხვევაში თუ ორმაგი დანიშნულების ქიმიკატის იმპორტ-ექსპორტი იარაღის დამზადებასთან არის კავშირში, ნებართვა ამგვარი ორმაგი დანიშნულების მასალის იმპორტ-ექსპორტზე თავად თავდაცვის სამინისტროს მიერ გაცემა.

5.1.13 ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია

ქიმიურ ნივთიერებათა მართვის სფეროში რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის ფუნქციას სახიფათო ტვირთების გადაზიდვების ტექნიკური რეგლამენტების მომზადება, დამტკიცება და მათ დაცვაზე ზედამხედველობა წარმოადგენს¹⁴².

ადმინისტრაციას დამტკიცებული აქვს "ტექნიკური რეგლამენტი: ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესი"¹⁴³, რომელიც ქიმიურ ნივთიერებათა კლასიფიკაციისა და ნიშანდების თანამედროვე, GHS სისტემას ეფუძნება (იხ. სექცია 6.1.8).

¹⁴⁰ დებულება "საშიშ საწარმოო ობიექტის სახელმწიფო რეესტრის წარმოებისა და რეგისტრაციის წესის შესახებ", დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსის 2003 წლის 17 ივლისის #22 ბრძანებით

¹⁴¹ მაგალითად, ქიმიურ ავარიებზე რეაგირების ეროვნული ან ტერიტორიული გეგმების შესადგენად, იხ. სექცია 3.6.7

¹⁴² საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის დებულება (დამტკიცებულია რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2009 წლის 6 მარტის #1 ბრძანებით), მუხლი 2, პ.2 "ბ" და "გ".

¹⁴³ დამტკიცებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის უფროსის 2008 წლის 21 აპრილის #49 ბრძანებით

თუმცა რეგლამენტს თან არ ახლავს ”სახიფათო ტვირთების გადაზიდვის შესახებ” გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტიპური წესების უმნიშვნელოვანესი ნაწილი – სახიფათო ტვირთების ჩამონათვალი, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ტვირთის ოთხნიშნა კოდის დადგენა და როგორც ტვირთის ნიშანდება, ასევე ავტომობილზე დასამაგრებელი ტაბლოს შერჩევა. ამიტომ ტექნიკური რეგლამენტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტიპური წესების დოკუმენტის გარეშე გამოუყენებადია. როგორც ტვირთის გადამზიდისთვის, ასევე რეგლამენტის შესრულებუს ზედამხედველის თუ მაკონტროლებლისთვის.

შესაბამისად, საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდულ სახიფათო ტვირთებზე რეგლამენტით დადგენილი მარკირების კონტროლი და ზედამხედველობა დღეს საქართველოში არ ხორციელდება.

5.1.14 ნავთობის და გაზის სააგენტო

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება: ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტო ნავთობის და გაზის სფეროს სახელმწიფო მართვას ახორციელებს. კერძოდ, იგი კურირებს ნავთობპროდუქტების წარმოებას, გადამუშავებას ან ტრანსპორტირებას. ამ სფეროებში მისი ფუნქციებია:

- ნავთობის და გაზის მოპოვების, გადამუშავების ან ტრანსპორტირებისთვის საჭირო ყველა ლიცენზიის, ნებართვის, სერტიფიკატის, მიწის მინაკუთვნის გაცემა¹⁴⁴ (მათ შორის ”საშიში საწარმოო ობიექტის ექსპლუატაციის ნებართვის” გაცემა ნავთობისა და გაზის სექტორში მომუშავე საშიში საწარმოებისთვის (იხ. სექცია 3.6.1);
- შესაბამის საქმიანობათა სახელმწიფო რეგისტრაცი და ერთიანი საინფორმაციო ბანკის შექმნა;

5.2 ქიმიური ნივთიერებების მართვასთან დაკავშირებული უწყებათაშორისი ორგანოები

საქართველოში ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული ორი უწყებათაშორისი ორგანო არის შექმნილი:

- ქიმიურ ნივთიერებათა მართვის ინფრასტრუქტურის ეროვნული პროგრამის შემუშავებული სახელმწიფო კომისია. შეიქმნა 1998 წლის 17 მარტს საქართველოს პრეზიდენტის #82 განკარგულებით;
- საშიში ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხო გამოყენების რეგულირების საუწყებათაშორისო საბჭო. შეიქმნა 2002 წლის 21 ივნისს საქართველოს პრეზიდენტის #307 ბრძანებულებით.

¹⁴⁴ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ნავთობის და გაზის სააგენტოს დებულება (დამტკიცებულია ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 1 აგვისტოს #53 ბრძანებით), მუხლი 2 ”ე”.

5.2.1 ქიმიურ ნივთიერებათა მართვის ინფრასტრუქტურის ეროვნული პროგრამის შემმუშავებელი სახელმწიფო კომისია

ქიმიურ ნივთიერებათა მართვის ინფრასტრუქტურის ეროვნული პროგრამის შემმუშავებელი სახელმწიფო კომისია შედგებოდა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის (რომელიც კომისიის თავმჯდომარე იყო), გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის, მრეწველობის მინისტრის, სოფლის მეურნეობის და სურსათის მინისტრისგან. კომისიაში შედიოდნენ აგრეთვე ამ სამინისტროების თანამდებობის პირები, სახელმწიფო მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლები და სახელმწიფო საწარმოს (სს "საქაგროსერვისის") თანამდებობის პირი.

კომისიის ფუნქციას წარმოადგენდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სწავლებისა და მეცნიერების ინსტიტუტის (UNITAR) და ქიმიურ ნივთიერებათა სწორი მართვის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOMC) მიერ შემოთავაზებული ეროვნული პროგრამის შემუშავება. ამისთვის თითოეულ მონაწილე სამინისტროს უნდა შეექმნა სამუშაო ჯგუფები, ხოლო მათი საქმიანობის ერთობლივი კოორდინაცია ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს უნდა გაეწია.

კომისიის მიზნად დასახული პროგრამა არ შემუშავებულა. კომისია დღეს აღარ ფუნქციონირებს (თუმცა ფორმალურად გაუქმებული არ არის).

5.2.2 საშიში ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხო გამოყენების რეგულირების საუწყებატაშორისო საბჭო

საშიში ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხო გამოყენების რეგულირების საუწყებატაშორისო საბჭო შეიქმნა "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ" კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, საშიში ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხო გამოყენების მართვის განსახორციელებლად გასატარებელ ღონისძიებათა კოორდინაციის მიზნით. საბჭოს თავმჯდომარეობდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი. საბჭოში შედიოდნენ ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე, გარემოსა და ბუნებრივი დაცვის მინისტრის მოადგილე, აგრეთვე აღნიშნული სამინისტროების, სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის თანამდებობის პირები და სპეციალისტები, აგრეთვე სახელმწიფო კვლევითი ინსტიტუტის (სს ნ. მახვილამის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი) წარმომადგენელი.

დებულებით საბჭო საკონსულტაციო-სათათბირო ორგანოს წარმოადგენს. ქიმიურ ნივთიერებათა უსაფრთხო გამოყენების მართვის ღონისძიებათა კოორდინაციის მიზნით საბჭოს შეუძლია:

- შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებების, შეთანხმებების და ეროვნული პროექტების განხილვაში მონაწილეობა
- რეკომენდაციების მომზადება;
- კონფერენციების და თრენინგების ორგანიზება;
- საჭირო გარე სპეციალისტების მოწვევა-კონსულტირება.

დებულებით საბჭოს სხდომები კვარტალში ერთხელ მაინც უნდა იმართებოდეს. დაფუძნების შემდეგ საბჭოს სხდომა სულ ორჯერ გაიმართა, თუმცა ფორმალურად საბჭო გაუქმებული დღესაც არ არის.

აღსანიშნავია, რომ საბჭოს შემადგენლობა საქართველოს მთავრობის დღევანდელ სტრუქტურას არ შეესაბამება. მაგალითად, მასში ფიგურირებს ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის მინისტრის მოადგილე, თუმცა ასეთი მინისტრი დღევანდელ საქართველოს მთავრობაში აღარ არსებობს. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ საბჭოში არ არის წარმოდგენილი საბაჟო ორგანოები (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური), რაც საბჭოს ფუნქციების შესასრულებლად (მაგალითად, კონვენციების შესრულების მიზნით ქიმიკატების საბაჟო რეგულირების მექანიზმების დასადგენად) აუცილებელია.

5.3 არასამთავრობო და სხვა სამეცნიერო ორგანიზაციების მონაწილეობა ქიმიური ნივთიერებების მართვაში

ქიმიური ნივთიერებების მართვის სფეროში რიგი სახელმწიფო ფუნქციები და საქმიანობები ტენდერის საფუძველზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კერძო ან საჯარო სამართლის იურიდიული პირების¹⁴⁵ დაქირავების საშუალებით ხორციელდება. ასე, მაგალითად:

- პესტიციდების და აგროქიმიკატების სახელმწიფო რეგისტრაციის (იხ. სექცია 3.4.1) წინაპირობას ამ ნივთიერებების (და მათი გამოცდების შედეგების) ექსპერტიზა წარმოადგენს. ამ მიზნით ტარდება 5 სახის ექსპერტიზა: ბიოლოგიური, ჰიგიენურ-ტოქსიკოლოგიური, ეკოლოგიური, იქტიოტოქსიკოლოგიური და ვეტერინარულ-სანიტარიული (დოკუმენტალური, ლაბორატორიული და საველე) ექსპერტიზა. ეს ექსპერტიზები სათანადო შესაძლებლობის მქონე სამეცნიერო ინსტიტუტის სპეციალისტების მიერ ხორციელდება (იხ. ცხრილი 27).
- საქმიანობათა ეკოლოგიური ექსპერტიზა (იხ. სექცია 6.2.20.3) ხორციელდება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შესაბამისი დარგის დამოუკიდებელი ექსპერტების დაქირავების საშუალებით. ექსპერტთა ხარჯებს (წინასწარ დადგენილი ნიხრის მიხედვით) დაინტერესებული პირი ანაზღაურებს.
- სახელმწიფოს განმგებლობაში არსებულ საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა გაუვნებელყოფის სამუშაოები, რომელსაც სახელმწიფო ბუჯეტი აფინანსებს, ტენდერის საფუძველზე შერჩეული შესაბამისი შესაძლებლობების მქონე სამეცნიერო ან არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ხორციელდება. მაგალითად, 2007 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო ყოფილ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწყობებში არსებული ვადაგასული პესტიციდების ნაწილის მოგროვება და გაუვნებელყოფა. გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა და გათვალისწინებული სამუშაოები განახორციელა **პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტმა**. 2009 წელს ანალოგიური ტენდერი კვლავ გამოცხადდება.

საქართველოში ქიმიურ ნივთიერებათა მართვის სფეროში სამთავრობო ორგანოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმატებული თანამშრომლობის სხვა მაგალითებია:

- ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თანამშრომლობა **”ეკოლოგიური და ბიოლოგიური მონიტორინგის ასოციაციასთან”**¹⁴⁶ საქართველოს პირველი ქიმიური პროფილის მომზადებისას (1998-1999 წწ); ეს არასამთავრობო ორგანიზაცია ქიმიურ

¹⁴⁵ სამეცნიერო პროფილის ორგანიზაციები საქართველოში სამეწარმეო ან არასამეწარმეო კერძო პირის, ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით არსებობენ

¹⁴⁶ Georgian Environmental and Biological Monitoring Association (GEBMA)

ნივთიერებათა მართვის ინფრასტრუქტურის ეროვნული პროგრამის შემმუშავებელ სახელმწიფო კომისიაშიც (იხ. სექცია 5.2.1) იყო წარმოდგენილი.

- გარემოს დაცვის სამინისტროს თანამშრომლობა "საქართველოს მემაცირეთა ასოციაციასთან" ოზონდამშლელ მაცივარაგენტების ხმარებიდან ამოღების საკითხებში და ასოციაციასთან "სამოქალაქო საზოგადოება სოფლად" ოზონდამშლელი პესტიციდების (მეთილბრომიდი) ხმარებიდან ამოღების საკითხებში (შესაბამისი პროექტების ჩამონათვალისთვის იხ. ცხრილი 41);
- გარემოს დაცვის სამინისტროს თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაცია – **Milieucontact International** წარმომადგენლობასთან საქართველოში ვადაგასული პესტიციდების აღწერისა და გაუვნებელყოფის საკითხებში (შესაბამისი პროექტების ჩამონათვალისთვის იხ. ცხრილი 41);
- გარემოს დაცვის სამინისტროს თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაცია "მონიტორინგთან" ყოფილ საბჭოთა სამხედრო ბაზებზე დარჩენილი სარაკეტო საწვავის და სხვა ქიმიური ნივთიერებების შეგროვებისა და გაუვნებელყოფის საკითხებში;
- გარემოს დაცვის სამინისტროს მიმდინარე თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან" საქართველოს ქიმიური პროფილის განახლებისა და SAICM განხორციელების დაგეგმვის საკითხებში და არასამთავრობო ორგანიზაცია "კავკასიის არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელთან" SAICM განხორციელებისთვის დამზინძურებელთა გაშვებისა და გადატანის რეესტრის ჩამოყალიბების საკითხებში.
- დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრის რეგულარული თანამშრომლობა "ტოქსიკოლოგიის ეროვნულ საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრთან" და "საქართველოს ტოქსიკოლოგთა ასოციაციასთან".

ცხრილი 27. სამეცნიერო ორგანიზაციები, რომელშიც რეგულარულად ხორციელდება ქიმიური ნივთიერებების სახელმწიფო ექსპერტიზა

ინსტიტუტის დასახელება	ფუნქცია ქიმიურ ნივთიერებათა სახელმწიფო ექსპერტიზაში	ადგილმდებარეობა, საკონტაქტო ინფორმაცია
სსიპ ლევან ყანჩაველის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი	ბიოლოგიური შეფასება (დოკუმენტური, ლაბორატორიული და საველე)	თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 82, ტელ: 230388
სსიპ მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის ინსტიტუტი	ბიოლოგიური შეფასება (დოკუმენტური და საველე)	თბილისი, მარშალ გელოვანის 6, ტელ: 523011
სსიპ იულონ ლომოურის მიწათმოქმედების ინსტიტუტი	ბიოლოგიური შეფასება (დოკუმენტური და საველე)	მცხეთა, წეროვანი, ტელ: 265256
სსიპ ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი	ბიოლოგიური შეფასება (დოკუმენტური და საველე)	ოზურგეთის რ-ნი, სოფ. ანასეული, ტელ: (296)74600
სს ნ. მახვილამის სახელობის შრომის მედიცინის და ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი	ჰიგიენურ-ტოქსიკოლოგიური შეფასება (დოკუმენტური, ლაბორატორიული, ეპიდემიოლოგიური)	თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 60

სსიპ აგრარული რადიოლოგიისა და ეკოლოგიის ინსტიტუტი	ეკოლოგიური შეფასება, გარემოზე და ეკოტოქსიკოლოგიური შეფასება (დოკუმენტური, ლაბორატორიული, საველე)	თბილისი, ზაჰესი, ტელ:658033
სსიპ ზოოლოგიის ინსტიტუტი	იქტიო-ტოქსიკოლოგიური და ცხოველთა სამყაროზე (ხერხემლიანები, უხერხემლოები) ზემოქმედების შეფასება (დოკუმენტური, ლაბორატორიული)	თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.31, ტელ: 223353
სსიპ მეფუტკრეობის ინსტიტუტი	ვეტერინარულ-სანიტარიული, ეკოლოგიური შეფასება (მეფუტკრეობა და მეცხოველეობა) (დოკუმენტური, ლაბორატორიული, საველე)	თბილისი, ოქროყანა, ტელ: 932363

თავი 6. ქიმიური ნივთიერებების რეგულირების ნორმატიული ბაზა საქართველოში

6.1 საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ინსტრუმენტები ქიმიური ნივთიერებების მართვის სფეროში

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები (თუ მათი დებულებები საქართველოს კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება) საქართველოში უშუალოდ მოქმედებს და მათ საქართველოს კანონებთან შედარებით უპირატესი ძალა გააჩნია.

ქიმიური ნივთიერებების მართვის სფეროში საქართველოში შემდეგი საერთაშორისო ხელშეკრულებები მოქმედებს:

- "დედამიწის ოზონის შრის დაცვის შესახებ" ვენის 1985 წლის კონვენცია და "ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ" 1987 წლის მონრეალის ოქმი (სექცია 6.1.1).
- "სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ" ბაზელის 1989 წლის კონვენცია (სექცია 6.1.2).
- "ქიმიური იარაღის შემუშავების, წარმოების, დაგროვების და გამოყენების აკრძალვისა და მისი განადგურების შესახებ" პარიზის 1993 წლის საერთაშორისო კონვენცია (სექცია 6.1.3).
- "ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ" 1998 წლის 10 სექტემბრის როტერდამის კონვენცია (სექცია 6.1.4).
- 2001 წლის 23 მაისის სტოკჰოლმის კონვენცია "მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ" (სექცია 6.1.5).

გარდა ამისა, ქიმიურ ნივთიერებათა მართვის სფეროში რამოდენიმე საერთაშორისო დოკუმენტს ნორმატიული ძალა საქართველოს კანონმდებლობაში მისი გადმოტანის შედეგად აქვს მინიჭებული. ესენია:

- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) "პესტიციდების განაწილებისა და გამოყენების წესების საერთაშორისო კოდექსი"¹⁴⁷ და სახელმძღვანელო მითითებები პესტიციდების მართვასთან დაკავშირებით (სექცია 6.1.6);
- მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის "საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებულ სისტემა" (HS) (სექცია 6.1.7);
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საკითხების საბჭოს "ქიმიურ ნივთიერებათა კლასიფიკაციისა და ეტიკეტირების გლობალური

¹⁴⁷ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს "პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე

ჰარმონიზებული სისტემა” (GHS) და ”სახიფათო ტვირთების გადაზიდვის შესახებ» გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტიპური წესები¹⁴⁸(სექცია 6.1.8).

საქართველოში ქიმიური ნივთიერებების მართვისთვის მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტებია აგრეთვე:

- ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ”ქიმიური ავარიების თავიდან აცილების, მზადყოფნისა და რეაგირების სახელმძღვანელო პრინციპები” (სექცია 6.1.11);
- ევროკავშირის რეგულაცია 1907/2006 ”ქიმიურ ნივთიერებათა რეგისტრაციის, შეფასების, დაშვებისა და შეზღუდვის შესახებ”, ე.წ. REACH რეგულაცია (სექცია 6.1.9);
- შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები სამუშაო ადგილებზე მომუშავეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და მათი ჯანმრთელობის დასაცავად (სექცია 6.1.10).

6.1.1 ვენის კონვენცია დედამიწის ოზონის შრის დაცვის შესახებ

6.1.1.1 ხელშეკრულების დადების და ამოქმედების თარიღი და დამატებითი ინსტრუმენტები

”კონვენცია დედამიწის ოზონის შრის დაცვის შესახებ” დაიდო 1985 წლის 22 მარტს, ვენაში (ავსტრია), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 28 ქვეყანას შორის. კონვენცია ძალაში შევიდა 1988 წლის 22 სექტემბერს.

კონვენციის ოქმი ”დედამიწის ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ” მიღებულია მონრეალში (კანადა), 1987 წლის 16 სექტემბერს. იგი ძალაში შევიდა 1989 წლის 1 იანვარს. ოქმს აქვს ოთხი დამატება, რომლებიც მიღებულია ლონდონში 1990 წელს, კოპენჰაგენში 1992 წელს, მონრეალში 1997 წელს და ბეიჯინგში 1999 წელს.

საქართველო ვენის კონვენციის და მონრეალის ოქმის მხარე ქვეყანა 1996 წლის 21 მარტიდან გახდა¹⁴⁹. მონრეალის ოქმის ლონდონის, კოპენჰაგენის და მონრეალის დამატებების კი – 2000 წლის 12 ივლისიდან¹⁵⁰.

6.1.1.2 კონვენციის ინსტრუმენტებით საქართველოზე დაკისრებული ვალდებულებანი და მათი შესრულების კონტროლის საერთაშორისო მექანიზმები

მონრეალის ოქმი ოზონდამშლელი ნივთიერებების მოხმარებისა და წარმოების შეზღუდვის და ეტაპობრივად შეწყვეტის უზრუნველყოფი საერთაშორისო ინსტრუმენტია. იგი წევრ ქვეყნებს კონკრეტულ ვადებს უდგენს სხვადასხვა ოზონდამშლელ ნივთიერებათა ხმარებიდან ამოღებისთვის, რაც ნიშნავს წარმოების, იმპორტ-ექსპორტის და მოხმარების შეწყვეტას¹⁵¹. ე.წ. ”მე-5 მუხლის ფარგლებში მოქმედი ქვეყნებისთვის”, ანუ იმ განვითარებადი

¹⁴⁸ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს ტექნიკური რეგლამენტის «ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესი» საფუძველზე (დამტკიცებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის უფროსის 2008 წლის 21 აპრილის N 49 ბრძანებით).

¹⁴⁹ საქართველო ამ ხელშეკრულებებს შეუერთდა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 8 ნოემბრის # 711 გადაწყვეტილებით

¹⁵⁰ ამ ინსტრუმენტებს საქართველო პარლამენტის 200 წლის 14 ნოემბრის # 376, 377 და 378 დადგენილებათა საფუძველზე შეუერთდა

¹⁵¹ მონრეალის ოქმის ფარგლებში ნივთიერების მოხმარება=წარმოება+იმპორტი-ექსპორტი

ქვეყნებისთვის, სადაც ძირითადი ოზონდამშლელი ნივთიერებების¹⁵² წლიური მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით 0,3 კილოგრამს არ აღემატება, ოზონდამშლელ ნივთიერებათა ხმარებიდან ამოღების უფრო რბილი, შეღავათიანი გრაფიკია დაწესებული და შექმნილია სპეციალური ფონდი ამ ქვეყნებისთვის ამ საქმიანობაში დასახმარებლად.

საქართველო მონრეალის ოქმის "მე-5 მუხლის ფარგლებში მოქმედი" ქვეყანაა. მისი ვალდებულებები მონრეალის ოქმის ფარგლებში ქვემოთ ცხრილშია შეჯამებული.

ცხრილი 28. მე-5 მუხლის ფარგლებში მოქმედი ქვეყნის ვალდებულებები "დედამიწის ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ" მონრეალის ოქმის ფარგლებში

ნივთიერებათა ჯგუფი	წელი (12 თვე)	რეგულირების ზომა
A-დანართის I ჯგუფი: ქლორფტორნახშირბადები (CFC-11, CFC-12, CFC-113, CFC-114, CFC-115)		საბაზო დონე: 1995-1997 წლების საშუალო
	1999 წ. 1 ივლისიდან	მოხმარების და წარმოების გაყინვა საბაზო დონეზე
	2005 წ. 1 იანვრიდან	50%-იანი შემცირება
	2007 წ. 1 იანვრიდან	85%-იანი შემცირება
	2010 წ. 1 იანვრიდან	100% ხმარებიდან ამოღება (შესაძლებელია შენარჩუნდეს მოხმარება მნიშვნელოვანი მიზნებისთვის)
A-დანართის II ჯგუფი: ჰალონები (ჰალონ-1211, ჰალონ-1301, ჰალონ-2402)		საბაზო დონე: 1995-1997 წწ საშუალო
	2002 წ. 1 იანვრიდან	მოხმარების და წარმოების გაყინვა საბაზო დონეზე
	2005 წ. 1 იანვრიდან	50%-იანი შემცირება
	2010 წ. 1 იანვრიდან	100% ხმარებიდან ამოღება (შესაძლებელია შენარჩუნდეს მოხმარება მნიშვნელოვანი მიზნებისთვის)
B-დანართის I ჯგუფი: ქლორფტორნახშირბადები (CFC-13, CFC-111, CFC-112, CFC-211, CFC-212, CFC-213, CFC-214, CFC-215, CFC-216, CFC-217)		საბაზო დონე: 1998-2000 წწ საშუალო
	2003 წ. 1 იანვრიდან	20%-იანი შემცირება
	2007 წ. 1 იანვრიდან	85%-იანი შემცირება
	2010 წ. 1 იანვრიდან	100% ხმარებიდან ამოღება (შესაძლებელია შენარჩუნდეს მოხმარება მნიშვნელოვანი მიზნებისთვის)
B-დანართის II ჯგუფი: ოთხქლორიანი ნახშირბადი		საბაზო დონე: 1998-2000 წწ საშუალო
	2005 წ. 1 იანვრიდან	85%-იანი შემცირება
	2010 წ. 1 იანვრიდან	100% ხმარებიდან ამოღება (შესაძლებელია შენარჩუნდეს მოხმარება მნიშვნელოვანი მიზნებისთვის)
B-დანართის III ჯგუფი: მეთილქლოროფორმი (1,1,1 ტრიქლორეთანი)		საბაზო დონე: 1998-2000 წწ საშუალო
	2003 წ. 1 იანვრიდან	მოხმარების და წარმოების გაყინვა საბაზო დონეზე
	2005 წ. 1 იანვრიდან	30%-იანი შემცირება
	2010 წ. 1 იანვრიდან	70%-იანი შემცირება
	2015 წ. 1 იანვრიდან	100% ხმარებიდან ამოღება (შესაძლებელია შენარჩუნდეს მოხმარება მნიშვნელოვანი მიზნებისთვის)
C-დანართის I ჯგუფი: ქლორფტორნახშირწყალბად ები (მოხმარება) HCFCs		საბაზო დონე: 2009-2010 წწ საშუალო
	2013 წ. 1 იანვრიდან	მოხმარების და წარმოების გაყინვა საბაზო დონეზე
	2015 წ. 1 იანვრიდან	10%-იანი შემცირება
	2020 წ. 1 იანვრიდან	35%-იანი შემცირება
	2025 წ. 1 იანვრიდან	67,5%-იანი შემცირება
C-დანართის II ჯგუფი: ბრომფტორნახშირწყალბად ები (HBFCs)	1996 წ. 1 იანვრიდან	100% ხმარებიდან ამოღება (შესაძლებელია შენარჩუნდეს მოხმარება მნიშვნელოვანი მიზნებისთვის)

¹⁵² იგულისხმება კონვენციის დანართ ა-ში ჩამოთვლილი ნივთიერებები, ანუ ქლორფტორნახშირბადები

C-დანართის III ჯგუფი: ბრომქლორმეთანი	2002 წ. 1 იანვრიდან	100% ხმარებიდან ამოღება (შესაძლებელია შენარჩუნდეს მოხმარება მნიშვნელოვანი მიზნებისთვის)
E-დანართი: მეთილბრომიდი (ბრომმეთანი)		საბაზო დონე: 1995-1998 წწ საშუალო
	2002 წ.	მოხმარების და წარმოების გაყინვა საბაზო დონეზე (გარდა საკარანტინო და ტვირთის გადაზიდვამდე დამუშავების მიზნებისთვის მოხმარებისა)
	2005 წ.	20%-იანი შემცირება
	2015 წ.	100% ხმარებიდან ამოღება (შესაძლებელია შენარჩუნდეს მოხმარება მნიშვნელოვანი მიზნებისთვის)

მონრეალის ოქმით დადგენილი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ ქვეყნები ოზონის კონვენციის სამდივნოში ყოველწლიურ ანგარიშს წარადგენენ. ანგარიშის წარუდგენლობის ან მონრეალის ოქმის სხვა ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევაში საკითხი გადაეცემა შესრულებაზე ზედამხედველობის კომიტეტს, რომელიც დამრღვევ ქვეყანასთან ერთად იხილავს მას და დარღვევების აღმოფხვრის კონკრეტულ გეგმასა და განრიგს შეიმუშავებს. საქართველო მიჩნეულია მონრეალის ოქმით დადგენილ ვალდებულებების შესრულების მდგომარეობაში მყოფ ქვეყნად.

6.1.1.3 კონვენციის განხორციელების ეროვნული მექანიზმები

საქართველოში მონრეალის ოქმის განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს კანონი "გარემოს დაცვის შესახებ", 52-ე მუხლი. ამ კანონის თანახმად ოზონდამშლელი ნივთიერებების შემცველი პროდუქციის საქართველოში იმპორტის განხორციელება ხდება მხოლოდ სპეციალური ნებართვის საფუძველზე. ოზონის შრის დაცვის საკითხებს, მათ შორის იმპორტ-ექსპორტსა და შიდა მოხმარებას არეგულირებს აგრეთვე საქართველოს კანონი "ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ" (იხ. ქვემოთ სექცია 6.2.11) 54-ე მუხლი, რომლის საფუძველზე გამოცემულია:

- დებულება საქართველოს ტერიტორიაზე ოზონდამშლელ ნივთიერებათა რეგულირების შესახებ (დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 8 მაისის #226 ბრძანებულებით)

ამ კანონქვემდებარე აქტის შემდეგ მიღებული იქნა საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 სექტემბრის #184 დადგენილება "შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესის შესახებ დებულებისა და შეზღუდულად ბრუნვადი მასალების სიის დამტკიცების შესახებ" (იხ. სექცია 6.2.15.3). ამ უკანასკნელ დადგენილებაში მონრეალის ოქმით დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებელი ზომები (კერძოდ, ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტ-ექსპორტის რეგულირება) ასახული იქნა. თუმცა 2006 წლის 22 ნოემბრიდან ამ უკანასკნელი აქტის მოქმედებაც შეჩერებდა. მისი ამოქმედება მხოლოდ 2011 წლის 1 ივლისს არის გათვალისწინებული¹⁵³.

ვენის კონვენციის და მონრეალის ოქმის საკონტაქტო ოფიციალურ პირს საქართველოში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო წარმოადგენს. სამინისტრო რეგულარულად ამზადებს და წარადგენს ანგარიშებს საქართველოში ოზონდამშლელ ნივთიერებათა მოხმარების შესახებ. სამინისტრო აგრეთვე კოორდინირებს უწევს მონრეალის ოქმის მრავალმხრივი ფონდის დაფინანსებით მიმდინარე პროექტების განხორციელებას საქართველოში (იხ. ცხრილი 41).

¹⁵³ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 27 ივნისის #145 დადგენილებით,

6.1.1.4 კონვენციის შესრულების მდგომარეობა

ვენის კონვენციის მონრეალის ოქმით საქართველომ იკისრა გარკვეულ ოზონდამშლელ ნივთიერებათა ეტაპობრივი ხმარებიდან ამოღების და იმპორტ-ექსპორტის შემცირების ვალდებულება. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მონრეალის ოქმის ვალდებულებათა შესრულების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში ყოველწლიურად მიმდინარეობს ქვეყანაში ოზონდამშლელ ნივთიერებათა მოხმარების ინვენტარიზაცია, რომელიც ნაწილობრივ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემებს ეყრდნობა. ინვენტარიზაციის მონაცემებით, 1996 წლიდან საქართველოში ვენისკონვენციითა და მონრეალის ოქმით დაკისრებული ვალდებულებები სრულდება. კერძოდ, ოზონდამშლელ ნივთიერებებს საქართველო საერთოდ არ აწარმოებს, მათი იმპორტი და მოხმარება საქართველოსთვის დადგენილ ლიმიტებზე ბევრად ნაკლებია, მათი ტრანზიტი ან რეექსპორტი კი ნულის ტოლია.

ცხრილი 29. დედამიწის ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების მოხმარება საქართველოში 2007 წელს და მონრეალის ოქმის ფარგლებში საქართველოსთვის დადგენილი ვალდებულებები

ქიმიური ნივთიერების დასახელება	ქიმიური ფორმულა	საბაზო წლის მოხმარების დონე	ვალდებულება 2007 წლისთვის	რეალური მოხმარება 2007 წელს
დიქლორდიფთორმეთანი (CFC-12)	CF ₂ Cl ₂	22 480 კგ	85%-ით შემცირება ანუ, არა უმეტეს 3 372 კგ	2 700 კგ
ბრომქლორდიფთორმეთანი (HALON 1211)	CBrClF ₂	4 400 კგ	50%-ით შემცირება ანუ, არა უმეტეს 2 200 კგ	0
ბრომტრიფთორმეთანი (HALON 1301)	CBrF ₃	2 920 კგ	50%-ით შემცირება ანუ, არა უმეტეს 1 460 კგ	0
ქლორდიფთორმეთანი (HCFC-22)	CHF ₂ Cl	-	-	32 500 კგ
მეთილბრომიდი	CH ₃ Br	22 750 კგ	20%-ანი შემცირება. ანუ, არა უმეტეს 18 200 კგ (შეზღუდვა არ ეხება ნივთიერების გამოყენებას საკარანტინო ან ტრანსპორტირებამდე ტვირთების დამუშავების მიზნით)	3 000 კგ

გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის ხელშეწყობით საქართველოში ფუნქციონირებს "ოზონის ჯგუფი", რომელიც კოორდინირებას უწევს ოზონდამშლელ ნივთიერებათა ხმარებიდან ამოღებასთან დაკავშირებულ ყველა საქმიანობას. გარდა ამისა, საქართველო ჩართულია აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის "ოზონის რეგიონულ ქსელში" (მონრეალის ოქმის მრავალმხრივი ფონდის დაფინანსებით), რომლის ფარგლებში რეგიონის ქვეყნები ერთმანეთს მონრეალის ოქმის ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების გამოცდილებას უზიარებენ.

6.1.2 ბაზელის კონვენცია ნარჩენების გადაზიდვათა შესახებ

6.1.2.1 კონვენციის დადებისა და ამოქმედების თარიღი

კონვენცია "სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებისა და განთავსების შესახებ" დაიდო 1989 წლის 22 მარტს ქ. ბაზელში (შვეიცარია). კონვენცია ძალაში შევიდა 1992 წლის 5 მაისს. საქართველო კონვენციის მხარეა 1999 წლის 20 მაისიდან.

6.1.2.2 კონვენციით დადგენილი საერთაშორისო პროცედურა

ბაზელის კონვენციის მიხედვით კონვენციის მხარე-ქვეყანასა და არა-მხარე ქვეყანას შორის ნარჩენების იმპორტ-ექსპორტი იკრძალება¹⁵⁴. მხარე-ქვეყნებს შორის სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვისთვის კი აუცილებელია მიმღები ქვეყნის ინფორმირება და წინასწარი თანხმობა¹⁵⁵. ეს იმას ნიშნავს, რომ ექსპორტიორმა ქვეყნამ იმპორტიორი ქვეყნის სათანადო უწყებიდან თანხმობის მიღებამდე სახიფათო ნარჩენის ტვირთის ექსპორტი არ უნდა დაუშვას¹⁵⁶. იმ შემთხვევაში, თუკი ქვეყანას საერთოდ აკრძალული აქვს საკუთარ ტერიტორიაზე სახიფათო ნარჩენების იმპორტი ან ტრანზიტი, მან ამის შესახებ კონვენციის ყველა მხარეს უნდა აცნობოს (კონვენციის სამდივნოს საშუალებით), რის შედეგადაც წევრმა ქვეყნებმა თავიანთი ტერიტორიიდან ამ ქვეყანაში სახიფათო ნარჩენების ექსპორტის განხორციელება უნდა აღკვეთონ¹⁵⁷.

გარდა ამისა, კონვენციის მიხედვით, მხარე ქვეყნებმა თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში უნდა უზრუნველყონ, რათა ნარჩენების გადაზიდვა ან განთავსება ხორციელდებოდეს მხოლოდ სათანადო უფლებამოსილების ან ნებართვის მქონე პირების მიერ¹⁵⁸.

კონვენცია თავად განმარტავს "სახიფათო ნარჩენებს"¹⁵⁹, თუმცა ქვეყნებს შესაძლებლობა აქვთ სამდივნოს საშუალებით საკუთარი კორექტირება შეიტანონ ამ განმარტებაში და ამის შესახებ ყველა მხარეს აცნობონ¹⁶⁰.

კონვენციის წევრი ქვეყნები ვალდებული არიან კონვენციის სამდივნოს ყოველწლიური ანგარიში წარუდგინონ ქვეყანაში სახიფათო ნარჩენების იმპორტ-ექსპორტისა და ტრანზიტის მოცულობების შესახებ¹⁶¹.

6.1.2.3 კონვენციის განხორციელების ეროვნული მექანიზმი

საქართველოში 1995 წელს მიღებული იქნა კანონი "საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ" (იხ. ქვემოთ სექცია 6.2.3), რომლითაც სახიფათო ნარჩენების იმპორტი და ტრანზიტი საქართველოს ტერიტორიაზე აიკრძალა. გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 234 მუხლი, რომლის მიხედვით საქართველოში სახიფათო ნარჩენების იმპორტი კრიმინალურ ქმედებად იქნა მიჩნეული (იხ. სექცია 6.2.3). ბაზელის კონვენციის პროცედურის გათვალისწინებით ამ აკრძალვების შესახებ სათანადოდ ინფორმირებული იქნა ბაზელის კონვენციის სამდივნო. შემდგომ, 2006 წელს, "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" 2005 წლის კანონის (იხ.

¹⁵⁴ "სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებისა და განთავსების შესახებ" კონვენციის 4.5 მუხლი.

კონვენციის მხარე დღესდღეობით 170 ქვეყანაა. კონვენციის მხარეები არ არიან: ავღანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ანგოლა, ბურმა, გაბონი, ერაყი, ვანუატუ, ზიმბაბვე, ლაოსი, პალაუ, სან-მარინო, საო ტომე და პრინციპე, სიერა ლეონე, სომალი, სურინამი, ტაჯიკეთი, ტონგა, ტუვალუ და ფიჯი.

¹⁵⁵ იქვე, მუხლი 6.1

¹⁵⁶ იქვე, მუხლი 6.3

¹⁵⁷ იქვე, მუხლი 4.2

¹⁵⁸ იქვე, მუხლი 4.7

¹⁵⁹ იქვე, მუხლი 1

¹⁶⁰ იქვე, მუხლი 3

¹⁶¹ იქვე, მუხლი 13

ქვემოთ სექცია 6.2.15) ფარგლებში მიღებული იქნა დებულება ”შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესის შესახებ”¹⁶², რომლითაც სახიფათო ნარჩენების იმპორტზე და ტრანზიტზე ნებართვის გაცემა დაშვებული იქნა, თუმცა სისხლის სამართლის კოდექსის 234 მუხლი გაუქმებული არ იქნა. ხსენებულმა დებულებამ სულ 1,5 თვე იმოქმედა (2006 წლის 3 ოქტომბრიდან 22 ნოემბრამდე) და ამ პერიოდის განმავლობაში გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ სახიფათო ნარჩენების იმპორტზე ან ტრანზიტზე ნებართვები არ გაცემულა და არც ბაზელის კონვენციის სამდივნოსთვის გაგზავნილა შეტყობინება საქართველოში ნარჩენების იმპორტისა და ტრანზიტის რეჟიმის შეცვლის შესახებ. 2006 წლის 22 ნოემბრიდან აღნიშნული აქტის მოქმედება შეჩერდა¹⁶³. დღესდღეობით, მიუხედავად ფორმალური იურიდიული კოლიზიისა, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო კვლავ ”საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ” კანონის შესაბამისად მოქმედებს და ბაზელის კონვენციის ფარგლებში მიღებულ ყველა საერთაშორისო თხოვნას სახიფათო ნარჩენების იმპორტის ან ტრანზიტის დაშვების შესახებ უარით პასუხობს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ნარჩენების შემცველი ტვირთი საქართველოში მაინც შემოვა, საქართველოს კანონმდებლობით ეს ქმედება კრიმინალად ითვლება და იგი შინაგან საქმეთა ორგანოებმა უნდა აღკვეთონ (იხ. სექცია 6.2.3.4).

რაც შეეხება სახიფათო ნარჩენების ექსპორტს, ”ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” კანონის ზემოხსენებული ქვემდებარე აქტის შეჩერების შემდგომ საქართველოში ამ საქმიანობის მარეგულირებელი რაიმე სხვა მოქმედი ეროვნული ნორმატიული აქტი არ არსებობს, ამიტომ ეს საქმიანობა უშუალოდ ბაზელის კონვენციით რეგულირდება. თუმცა ეფექტური ადმინისტრაციული პროცედურა, რომელიც სახიფათო და სხვა ნარჩენების ექსპორტორს მიმღები ქვეყნის წინასწარ ინფორმირებას და მისგან თანხმობის მიღებას აიძულებდა, დღესდღეობით დანერგილი არ არის. ამდენად საქართველოდან ნარჩენების ექსპორტისას ბაზელის კონვენციით გათვალისწინებული წინასწარი შეტყობინებები დღესდღეობით ნარჩენების ექსპორტორის კეთილი ნებისა და მიმღები ქვეყნის მიერ დადგენილი შესაბამისი სავალდებულო პროცედურის საფუძველზე ხორციელდება. საქართველოს სახელმწიფოს ამ პროცედურებში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო წარმოადგენს.

საქართველოში აგრეთვე არ არსებობს ეფექტური პროცედურა ბაზელის არა-მხარე ქვეყნებთან ნარჩენების იმპორტ-ექსპორტის აღსაკვეთად.

გარდა ამისა, ზემოხსენებული დებულების შეჩერებით შეჩერდა ბაზელის კონვენციის კიდევ ერთი მოთხოვნის შესრულება – ნარჩენების ტრანსპორტირებისთვის სპეციალური ნებართვის ან უფლებამოსილების საჭიროების შესახებ. დღეს ნარჩენების გადაზიდვა საქართველოში ნებისმიერ მეწარმეს შეუძლია.

6.1.3 პარიზის კონვენცია ქიმიური იარაღის შესახებ

6.1.3.1 კონვენციის დადებისა და ამოქმედების თარიღი

”ქიმიური იარაღის შემუშავების, წარმოების, დაგროვების და გამოყენების აკრძალვისა და მისი განადგურების შესახებ” კონვენცია დაიდო ქ. პარიზში (საფრანგეთი), 1993 წლის 13

¹⁶² დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 სექტემბრის #184 დადგენილებით

¹⁶³ დღევანდელი მდგომარეობით აქტი შეჩერებულია 2011 წლის 1 ივლისამდე

იანვარს. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1997 წლის 29 აპრილს. დღეს მსოფლიოს 184 ქვეყანა კონვენციის მხარეა. საქართველო კონვენციის მხარე ქვეყანაა 1995 წლის 27 ნოემბრიდან¹⁶⁴.

6.1.3.2 კონვენციით საქართველოზე დაკისრებული ვალდებულებანი

კონვენცია კრძალავს ქიმიური იარაღის და მისი პრეკურსორების შემუშავებას, წარმოებას, გამოყენებას, გადაცემას და ადგენს კონკრეტულ გრაფიკს მათი განადგურებისთვის.

ქიმიური იარაღის შემადგენელი სხვადასხვა ტოქსიკური ნივთიერებებისთვის და მათი პრეკურსორებისთვის კონვენცია სამ სხვადასხვა რეჟიმს ითვალისწინებს: პირველი რეჟიმის ნივთიერებების წარმოება, შეძენა, გადაცემა, გამოყენება იკრძალება. ყველა რეჟიმის ნივთიერებები ექვემდებარება მონიტორინგს და შემოწმებას.

ცხრილი 30. პარიზის კონვენციით რეგულირებადი ნივთიერებები

ჯგუფი	ნივთიერება	CAS ნომერი	რეგულირების რეჟიმი
O-ალკილ($\leq C_{10}$, მ.შ. ციკლოალკილ)-ალკილ(მეთან, ეთან, n-პროპან ან i-პროპან)-ფტორფოსფონატები	მაგ: ზარინი (O-იზოპროპილმეთილფტორფოსფონატი)	107-44-8	რეჟიმი 1, ტოქსიკური ნივთიერებები
	მაგ: ზომანი (O-პინაკოლილმეთილფტორფოსფონატი)	96-64-0	
O-ალკილ($\leq C_{10}$, მ.შ. ციკლოალკილ) N,N-დიალკილ(მეთან, ეთან, n-პროპან ან i-პროპან)-ამიდოციანფოსფატები	მაგ: ტაბუნი (O-ეთილ-N,N-დიმეთილამიდოციანფოსფატი)	77-81-6	
O-ალკილ (H ან $\leq C_{10}$, მ.შ. ციკლოალკილ)-S-2-დიალკილ (მეთან, ეთან, n-პროპან ან i-პროპან)-ამინოეთილალკილ(მეთან, ეთან, n-პროპან ან i-პროპან) ტიოფოსფონატები და შესაბამისი ალიკილირებული ან პროტონირებული მარილები	მაგ: VX (O-ეთილ-S-2-დიიზოპროპილამინოეთილმეთილტიოფოსფონატი)	50782-69-9	
გოგირდოვანი იპრიტები	2-ქლორეთილქლორმეთილსულფიდი	2625-76-5	
	იპრიტი: ბის(2-ქლორეთილ)სულფიდი	505-60-2	
	ბის(2-ქლორეთილტიო)მეთანი	63869-13-6	
	სესკვიპრიტი: 1,2-ბის(2-ქლორეთილტიო)ეთანი	3563-36-8	
	1,3-ბის(2-ქლორეთილტიო)-n-პროპანი	63905-10-2	
	1,4-ბის(2-ქლორეთილტიო)-n-ბუტანი	142868-93-7	
	1,5-ბის(2-ქლორეთილტიო)-n-პენტანი	142868-94-8	
	ბის(2-ქლორეთილტიომეთილ)ეთერი	63918-90-1	
	O-იპრიტი: ბის(2-ქლორეთილტიომეთილ)ეთერი	63918-89-8	
	ლუიზიტ-1: 2-ქლორვინილდილქლორარსინი	541-25-3	
ლუიზიტები	ლუიზიტ-2: 2-ქლორვინილდილქლორარსინი	40334-69-8	

¹⁶⁴ საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 9 მარტის #682 დადგენილებით

აზოტოვანი იბრიტები	ბის(2-ქლორვინილ)ქლორარსინი		რეჟიმი 1, პრეკურსორები
	ლუიზიტ-3:	40334-70-1	
	ტრის(2-ქლორვინილ)არსინი		
	HN1: ბის(2-ქლორეთილ)ეთილამინი	538-07-8	
საქსიტოქსინი	HN2: ბის(2-ქლორეთილ)მეთილამინი	51-75-2	რეჟიმი 2, პრეკურსორები
	HN3: ტრის(2-ქლორეთილ)ამინი	555-77-1	
		35523-89-8	
რიცინი		9009-86-3	
ალკილ(მეთან, ეთან, n-პროპან ან i-პროპან)ფოსფონილდიფტორიდები	მაგ: DF (მეთილფოსფონილდიფტორიდი)	676-99-3	რეჟიმი 2, პრეკურსორები
O-ალკილ(H ან $\leq C_{10}$, მ.შ ციკლოალკილ)-O-2-დიალკილ (მეთან, ეთან, n-პროპან ან i-პროპან)-ამინოეთილალკილ (მეთან, ეთან, n-პროპან ან i-პროპან)ფოსფონიტები და შესაბამისი ალიკილირებული ან პროტონირებული მარილები	მაგ: QL (O-ეთილ O-2-დიიზოპროპილამინოეთილ მეთილფოსფონიტი)	57856-11-8	
ქლორზარინი (O-იზოპროპილ მეთილქლორფოსფონატი)		1445-76-7	
ქლორზომანი (O-პინაკოლილ მეთილქლორფოსფონატი)		7040-57-5	
ამიტონი: O,O-დიეთილ-S-[2-(დიეთილამინო)ეთილ] ტიოფოსფატი და შესაბამისი ალიკილირებული ან პროტონირებული მარილები		78-53-5	რეჟიმი 2, პრეკურსორები
PFIB: 1,1,3,3,3-პენტაფტორ-2-(ტრიფტორმეთილ)-1-პროპენი		382-21-8	
BZ: 3-ქინუკლიდინილ ბენზილატი		6581-06-2	
ქიმიური ნივთიერებები (გარდა რეჟიმ 1-ში შესულებისა), რომელშიც ფოსფორის ატომი დაკავშირებულია მეთილის, ეთილის ან პროპილის (ნორმალურ ან იზო) მხოლოდ ერთ ჯგუფთან და არ არის ზმაში ნახშირბადის სხვა ატომთან	მაგ: მეთილფოსფონილ დიქლორიდი მაგ: დიმეთილ მეთილფოსფონატი გამონაკლისი: ფონოფოსი: O-ეთილ S-ფენილეთილფოსფონტიოლტიონატი	676-97-1 756-79-6 944-22-9	
N,N-დიალკილ(მეთან, ეთან, n-პროპან ან i-პროპან) ამიდოდიჰალიდფოსფატები			რეჟიმი 2, პრეკურსორები
დიალკილ (მეთან, ეთან, n-პროპან ან i-პროპან) N,N-დიალკილ (მეთან, ეთან, n-პროპან ან i-პროპან)-ამიდოფოსფატები			
სამქლორიანი დარიშხანი		7784-34-1	
2,2-დიფენილ-2-ჰიდროქსიაცეტატი		76-93-7	
ქინუკლიდინ-3-ოლი		1619-34-7	რეჟიმი 3, პრეკურსორები
N,N-დიალკილ(მეთან, ეთან, n-პროპან ან i-პროპან)ამინოეთილ-2-ქლორიდები და შესაბამისი პროტონირებული მარილები			
N,N-დიალკილ (მეთან, ეთან, n-პროპან ან i-პროპან) ამინოეთან-2-ოლები და შესაბამისი პროტონირებული მარილები	გამონაკლისები: N,N-დიმეთილამინოეთანოლი და მისი პროტონირებული მარილები N,N-დიეთილამინოეთანოლი და მისი პროტონირებული მარილები	108-01-0 100-37-8	
N,N-დიალკილ (მეთან, ეთან, n-პროპან ან i-პროპან) ამინოეთან-2-ტიოლები და შესაბამისი პროტონირებული მარილები			
თიოდიგლიკოლი: ბის(2-ჰიდროქსიეთილ)სულფიდი		111-48-8	რეჟიმი 3, პრეკურსორები
პინაკოლილის სპირტი: 3,3-დიმეთილბუტან-2-ოლი		464-07-3	
ფოსგენი: ნახშირმჟავის დიქლორანჰიდრიდი		75-44-5	
ქლორის ციანიდი		506-77-4	
წყალბადის ციანიდი		74-90-8	რეჟიმი 3, პრეკურსორები
ქლორპიკრინი: ტრიქლორნიტრომეთანი		76-06-2	

ფოსფორის ოქსიქლორიდი (ქლორჟანგი)	10025-87-3	რეგულირებადი ქიმიური ნივთიერებები
ფოსფორის ტრიქლორიდი	7719-12-2	
ფოსფორის პენტაქლორიდი	10026-13-8	
ტრიმეთილფოსფიტი	121-45-9	
ტრიეთილფოსფიტი	122-52-1	
დიმეთილფოსფიტი	868-85-9	
დიეთილფოსფიტი	762-04-9	
გოგირდის მონოქლორიდი	10025-67-9	
გოგირდის დიქლორიდი	10545-99-0	
ტიონილ ქლორიდი	7719-09-7	
ეთილდიეთანოლამინი	139-87-7	
მეთილდიეთანოლამინი	105-59-9	
ტრიეთანოლამინი	102-71-6	

საქართველო კონვენციით რეგულირებად ნივთიერებათა მწარმოებელ ან მარაგების მქონე ქვეყნების რიცხვში არ შედის, თუმცა ექსპორტ-იმპორტისა და ყოფილი საბჭოთა ჯარების მიერ ქვეყნის ტერიტორიაზე მიტოვებული ქიმიური იარაღის რეგულირების თვალსაზრისით გარკვეული ვალდებულებები ეკისრება.

6.1.3.3 კონვენციის ვალდებულებათა შესრულება საქართველოში

”ქიმიური იარაღის შემუშავების, წარმოების, დაგროვების და გამოყენების აკრძალვისა და მისი განადგურების შესახებ” 1993 წლის პარიზის კონვენციით ნაკისრი ვალდებულებები საქართველოში დღესდღეობით სრულფასოვნად არ სრულდება. კერძოდ:

- არ არის შერჩეული უწყება, რომელსაც დაევალება კონვენციის იმპლემენტაციისათვის საჭირო კანონმდებლობის შემუშავება
- არ არის დადგენილი ადმინისტრაციული მექანიზმი კონვენციით რეგულირებადი ქიმიკატების წარმოების, გამოყენების, გადაცემის (იმპორტის-ექსპორტის აკრძალვის/შეზღუდვის) და განადგურების უზრუნველსაყოფად.

6.1.3.4 კონვენციის ეროვნული საკონტაქტო ორგანო

კონვენციის საკონტაქტო ორგანოს საქართველოში საგარეო საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტი წარმოადგენს.

6.1.4 როტერდამის კონვენცია საშიში ქიმიური ნივთიერებებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ

6.1.4.1 კონვენციის დადებისა და ამოქმედების თარიღი

”ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარი დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ” კონვენცია დაიდო როტერდამში (ნიდერლანდების სამეფო) 1998 წლის 10 სექტემბერს და ძალაში შევიდა 2004 წლის 24 თებერვალს. საქართველო კონვენციის მხარე 2007 წლის 27 თებერვალს გახდა¹⁶⁵.

¹⁶⁵ კონვენციასთან მიერთება განხორციელდა საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 1 დეკემბრის #3817 დადგენილების საფუძველზე

6.1.4.2 კონვენციით საქართველოზე დაკისრებული ვალდებულებანი და მისი შესრულების კონტროლის საერთაშორისო მექანიზმი

კონვენციის მიზანს რიგი საშიში ქიმიური ნივთიერებების უკონტროლო საერთაშორისო გადაზიდვათა მინიმუმამდე დაყვანა წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ კონვენცია ამ ნივთიერებათა საერთაშორისო გადაზიდვებს არ კრძალავს, მაგრამ ქმნის მექანიზმს იმის უზრუნველსაყოფად, რომ თუკი რომელიმე ქვეყანაში ამ ნივთიერებათა იმპორტი აკრძალული ან შეზღუდულია, ექსპორტიორი ქვეყნები ამის შესახებ ინფორმირებულნი იყვნენ და პატივიც სცენ ამგვარ აკრძალვას – ანუ არ დაუშვან საკუთარი ქვეყნიდან ამ ნივთიერებათა ექსპორტი შესაბამის ქვეყანაში.

აღნიშნული მიზნით კონვენცია ადგენს ე.წ. წინასწარი თანხმობის პროცედურას, რომელიც მდგომარეობს კონვენციის სამდივნოს საშუალებით თითოეული მხარის ინფორმირებაში სხვა მხარე-ქვეყნების ტერიტორიებზე ამ ქიმიური ნივთიერებების იმპორტთან დაკავშირებით დაწესებული აკრძალვის ან შეზღუდვის შესახებ. შესაბამისად, კონვენციის მხარე ქვეყანამ, რომელმაც კონვენციის სამდივნოდან მიიღო შეტყობინება იმის შესახებ, რომ ესა თუ ის ქვეყანა გარკვეული ნივთიერების იმპორტს თავის ტერიტორიაზე კრძალავს, მისი ტერიტორიიდან შესაბამის ქვეყანაში ასეთი ნივთიერების ექსპორტი უნდა აღკვეთოს.

წინასწარი თანხმობის პროცედურის მიხედვით კონვენციის სამდივნო ყოველი წლის ივნისსა და დეკემბერში მხარე ქვეყნების მიერ მითითებულ თანამდებობის პირებს (Designated National Authorities, DNA) უგზავნის ცირკულარს, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნების მიერ კონვენციის დანართში მითითებულ საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა იმპორტზე დაწესებულ შეზღუდვების შესახებ ინფორმაცია არის თავმოყრილი¹⁶⁶. მხარე ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მისი ტერიტორიიდან არ განხორციელდეს ექსპორტი, რომელიც ამ შეტყობინებებში აღწერილ შეზღუდვებს ან აკრძალვებს ეწინააღმდეგება¹⁶⁷. მხარე აგრეთვე ვალდებულია არ დაუშვას კონვენციის მე-3 დანართში მითითებულ ნივთიერებათა ექსპორტი ისეთ მხარე-ქვეყნებში, რომელთაც სამდივნოსთვის მათ ტერიტორიაზე ამ ნივთიერებათა იმპორტის რეჟიმის შესახებ ჯერ არ უცნობებიათ¹⁶⁸.

როტერდამის კონვენცია აგრეთვე ადგენს გარკვეულ პროცედურებს იმ ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებითაც, რომელიც კონვენციის მე-3 დანართში მითითებული არ არის. კერძოდ, თუკი როტერდამის კონვენციის მხარე-ქვეყანაში რომელიმე ასეთი ნივთიერება აკრძალული ან შეზღუდულია, ქვეყანა ვალდებულია უზრუნველყოს, რომ სხვა მხარე-ქვეყანაში ამ ნივთიერების ექსპორტს წინ უძღოდეს მიმღები ქვეყნის შესაბამისი თანამდებობის პირისადმი (Designated National Authorities, DNA) ”ექსპორტის შესახებ შეტყობინების” გაგზავნა. ნივთიერების ექსპორტი კი უნდა განხორციელდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიმღები ქვეყანა ასეთი შეტყობინების მიღებას დაადასტურებს¹⁶⁹.

¹⁶⁶ გარდა ამისა, ეს ინფორმაცია მუდმივად ხელმისაწვდომია როტერდამის კონვენციის ვებ-გვერდზე <http://www.pic.int/>

¹⁶⁷ ”ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარი დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ” როტერდამის კონვენცია, მუხლი 11, პუნქტი 1

¹⁶⁸ იქვე, მუხლი 11, პუნქტი 2

¹⁶⁹ გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც მიმღებ ქვეყანას მითითებული აქვს ამ ნივთიერების იმპორტის რეჟიმი PIC-ცირკულარში. ასეთ შემთხვევაში ექსპორტის შეტყობინების გაგზავნა სავალდებულო არ არის, ექსპორტის განხორციელება კი ცირკულარში მითითებულ რეჟიმზეა დამოკიდებული.

ცხრილი 31. როტერდამის კონვენციის მე-3 დანართში შესული ნივთიერებები

ნივთიერების დასახელება	საერთაშორისო სარეგისტრაციო კოდი	ნივთიერების დანიშნულება	რომელი სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტით რეგულირდება
2,4,5-T და მისი მარილები და ეთერები	93-76-5	პესტიციდი	
ალდრინი	309-00-2	პესტიციდი	სტოკჰოლმის კონვენცია
ბინაპაკრილი	485-31-4	პესტიციდი	
კაპტაფოლი	2425-0601	პესტიციდი	
ქლორდანი	57-74-9	პესტიციდი	სტოკჰოლმის კონვენცია
ქლორდიმეფორმი	6164-98-3	პესტიციდი	
ქლორბენზილატი	510-15-6	პესტიციდი	
დდტ	50-29-3	პესტიციდი	სტოკჰოლმის კონვენცია
დიელდრინი	60-57-1	პესტიციდი	სტოკჰოლმის კონვენცია
დინიტროორთოკრეზოლი (დნოკი) და მისი მარილები	534-52-1 2980-64-5 5787-96-2 2312-76-7	პესტიციდი	
დინოსები და მისი მარილები და ეთერები	88-85-7	პესტიციდი	
1,2-დიბრომეთანი	106-93-4	პესტიციდი	
1,2-დიქლორეთანი (ეთილენდიქლორიდი)	107-06-2	პესტიციდი	
ეთილენის ოქსიდი	75-21-8	პესტიციდი	
ფტორაცეტამიდი	640-19-7	პესტიციდი	
ჰექსაქლორციკლოჰექსანი (HCH)	608-73-1	პესტიციდი	
ჰეპტაქლორი	76-44-8	პესტიციდი	სტოკჰოლმის კონვენცია
ჰექსაქლორბენზოლი	118-74-1	პესტიციდი	სტოკჰოლმის კონვენცია
ლინდანი	58-89-9	პესტიციდი	
ვერცხლისწყლის შემცველი ნაერთები		პესტიციდი	
მონოკროტოფოსი	6923-22-4	პესტიციდი	
მონოკროტოფოსი (600გ/ლ-ზე მაღალი შემცველობის ხსნარი)	6923-22-4	ძალზე საშიში პესტიციდური პრეპარატი	
პარათიონი	56-38-2	პესტიციდი	
პარათიონი (ყველა სახის პრეპარატები, კაპსულირებული სუსპენზიის გარდა)	56-38-2	ძალზე საშიში პესტიციდური პრეპარატი	
პენტაქლორფენოლი და მისი მარილები და ეთერები	87-86-5	პესტიციდი	
ტოქსაფენი	8001-35-2	პესტიციდი	სტოკჰოლმის კონვენცია
ფხვნილოვანი შემადგენლობები, რომლებიც შეიცავენ: - 7%-ზე მეტ ბენომილს - 10%-ზე მეტ კარბოფურანს - 15%-ზე მეტ თირამს	17804-35-2 1563-66-2 137-26-8	ძალზე საშიში პესტიციდური პრეპარატი	
მეტამიდოფოსი (600გ/ლ-ზე მაღალი შემცველობის ხსნარი)	10265-92-6	ძალზე საშიში პესტიციდური პრეპარატი	
ფოსფამიდონი (1000გ/ლ-ზე მაღალი	13171-21-6	ძალზე საშიში	

შემცველობის ხსნარი)	(E და Z იზომერები) 23783-98-4 (Z იზომერი) 297-99-4 (E იზომერი)	პესტიციდური პრეპარატი	
მეთილპარათიონი (19,5%-ზე მაღალი შემცველობის ემულგირებადი კონცენტრატები ან 1,5%-ზე მაღალი შემცველობის ფხვნილი)	298-00-0	მაღზე საშიში პესტიციდური პრეპარატი	
აზბესტი: - აქტინოლიტი - ანთოფილიტი - ამოზიტი - კროკოდილიტი - ტრემოლიტი	77536-66-4 77534-67-5 12172-73-5 12001-28-4 77536-68-6	სამრეწველო სამრეწველო სამრეწველო სამრეწველო სამრეწველო	
პოლიბრომირებული დიფენილები (PBB)	36355-01-8 (ჰექსა) 27858-07-7 (ოქტა) 13654-09-6 (დეკა)	სამრეწველო	
პოლიქლორირებული დიფენილები (PCB)	1336-36-3	სამრეწველო	სტოკჰოლმის კონვენცია
პოლიქლორირებული ტერფენილები (PCT)	61788-33-8	სამრეწველო	
ტეტრაეთილტყვია	78-00-2	სამრეწველო	
ტეტრამეთილტყვია	75-74-1	სამრეწველო	
ტრის (2,3-დიბრომოპროპილ) ფოსფატი	126-72-7	სამრეწველო	

კონვენციის მე-3 დანართში ჩამოთვლილ ნივთიერებათა გამოყენებასა ან იმპორტზე დაწესებულ ეროვნულ შეზღუდვების შესახებ კონვენციის ყველა მხარე კონვენციის სამდივნოს კონვენციასთან მიერთებისთანავე აცნობებს¹⁷⁰. როტერდამის კონვენციის სამდივნოს საქართველოდან ასეთი ინფორმაცია არ მიუღია. უფრო მეტიც, მას შემდეგ, რაც საქართველოში როტერდამის კონვენცია ამოქმედდა, კონვენციის სამდივნომ უკვე 3-ჯერ გამოგზავნა საქართველოში PIC-ცირკულარი, სადაც საქართველო მითითებული იყო, როგორც ქვეყანა, რომელსაც სამდივნოსადმი საჭირო ინფორმაცია არ წარმოუდგენია. კონვენციის ბოლო ცირკულარში საქართველო მითითებულია, როგორც ქვეყანა, რომელსაც 2008 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით საერთოდ არავითარი პასუხი არ გაუგზავნია კონვენციის სამდივნოსთვის¹⁷¹.

6.1.4.3 კონვენციის შესრულების ეროვნული მექანიზმი

საქართველოში როტერდამის კონვენციის საკონტაქტო პირს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის უფროსი წარმოადგენს. ეს უწყება ამჟამად გაუქმებულია, რითიც აიხსნება საქართველოს მიერ კონვენციის სამდივნოსადმი შესაბამისი დოკუმენტების დროული წარუდგენლობის ფაქტი. ამჟამად მიმდინარეობს კონვენციისთვის საქართველოს ახალი საკონტაქტო პირის დანიშვნის პროცედურა. სავარაუდოდ ეს პირი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო იქნება.

როტერდამის კონვენციის მე-3 დანართში ჩამოთვლილი ყველა ნივთიერება შესულია საქართველოში შეზღუდულად ბრუნვადი მასალების სიაში¹⁷², რაც იმას ნიშნავს, რომ მათ

¹⁷⁰ ყველა შემთხვევაში ეს ინფორმაცია სამდივნოს შესაბამის ქვეყანაში კონვენციის ამოქმედებამდე უნდა მიეწოდოს

¹⁷¹ იხ. <http://www.pic.int/en/Circular/CIRC-28-EN.pdf>, გვ. 5

¹⁷² დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 სექტემბრის #184 დადგენილებით "შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის

იმპორტს ან ექსპორტს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვა ესაჭიროება, რაც პრინციპში, შესაძლებლობას აძლევს ამ სამინისტროს ამ ნივთიერებათა ექსპორტის ნებართვა როტერდამის კონვენციის ფარგლებში მიღებული ცირკულარის შესაბამისად გასცეს.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ შეზღუდულად ბრუნვადი მასალების სიაში ისეთი ნივთიერებებიც შედის, რომლებიც როტერდამის კონვენციის მე-3 დანართში მითითებული არ არის. როტერდამის კონვენციის შესაბამისად საქართველოდან ამ ნივთიერებათა ექსპორტს წინ შეტყობინების გაგზავნა უნდა უსწრებდეს. ექსპორტზე ნებართვის გაცემის პროცედურა პრინციპში ამის საშუალებასაც იძლევა.

თუმცა, 2006 წლის 22 ნოემბრიდან "შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესის შესახებ დებულებისა და შეზღუდულად ბრუნვადი მასალების სიის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 სექტემბრის #184 დადგენილების მოქმედება შეჩერდა¹⁷³ (იხ. სექცია 6.2.15). ამიტომ დღესდღეობით შეზღუდულად ბრუნვადი მასალების ექსპორტი რეგულირებას არ ექვემდებარება. ეს მდგომარეობა ეწინააღმდეგება როტერდამის კონვენციის მე-11 მუხლით ქვეყანაზე დაკისრებულ ვალდებულებას უზრუნველყოს, რათა არ განხორციელდეს კონვენციის მე-3 დანართში მითითებული ნივთიერებების ექსპორტი იმ ქვეყნებში, რომელმაც კონვენციის სამდივნოს მათი იმპორტის აკრძალვის შესახებ აცნობა.

6.1.5 სტოკჰოლმის კონვენცია მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ

6.1.5.1 კონვენციის დადებისა და ამოქმედების თარიღი

კონვენცია "მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ" დაიდო სტოკჰოლმში (შვედეთი) 2001 წლის 23 მაისს. კონვენცია ძალაში შევიდა 2004 წლის 17 მაისს.

საქართველო კონვენციის ხელმომწერი მხარეა. კონვენციის რატიფიცირება საქართველოს პარლამენტმა 2006 წლის 11 აპრილს მოახდინა¹⁷⁴. საქართველოს ტერიტორიაზე კონვენცია ძალაში შევიდა 2006 წლის 4 ოქტომბრიდან.

6.1.5.2 კონვენციით საქართველოზე დაკისრებული ვალდებულებანი და მისი შესრულების კონტროლის საერთაშორისო მექანიზმი

მხარე ქვეყნებს კონვენცია კონკრეტულ ვალდებულებებს აკისრებს 12 მდგრადი ორგანული დამბინძურებლის წარმოების, გამოყენების, იმპორტ-ექსპორტსა და გაუმიზნავ წარმოქმნასთან დაკავშირებით. მხარე ვალდებულია აკრძალოს და/ან მიიღოს საჭირო საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ზომები ამ ნივთიერებების წარმოების, გამოყენებისა და იმპორტ-ექსპორტის აღსაკვეთად (გარდა გარკვეული დაშვებული გამონაკლისებისა. იხ. ცხრილი 32).

კონვენციის მხარის უპირველეს ვალდებულებას წარმოადგენს კონვენციის ამოქმედებიდან ორი წლის ვადაში ეროვნულ დონეზე კონვენციის განხორციელების გეგმის მომზადება და

ნებართვის გაცემის წესის შესახებ დებულებისა და შეზღუდულად ბრუნვადი მასალების სიის დამტკიცების შესახებ"

¹⁷³ 2008 წლის ოქტომბრის მდგომარეობით ამ აქტის მოქმედება შეჩერებულია 2011 წლის 1 ივლისამდე.

¹⁷⁴ საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 11 აპრილის #2840 დადგენილება

კონვენციის სამდივნოსთვის წარდგენა. საქართველოს მიერ ასეთი გეგმის წარდგენის ვადა 2009 წლის 2 იანვარს ამოიწურა.

ცხრილი 32. სტოკჰოლმის კონვენციით რეგულირებადი ნივთიერებები და რეგულირების ზომები

ნივთიერების დასახელება	საერთაშო რისო სარეგისტრ აციო კოდი	ნივთიერების დანიშნულება	კონვენციის მოთხოვნა მხარე ქვეყნებისადმი	
			წარმოება და გამოყენება	იმპორტ-ექსპორტ ი
ენდრინი	72-20-8	პესტიციდი	წარმოების, იმპორტ-ექსპორტის და გამოყენების სრული აკრძალვა / აღკვეთა	იმპორტ-ექსპორტი დაიშვება მხოლოდ ეკოლოგიურად მისაღები მეთოდით განთავსებისთვის ან დაშვებული და რეგისტრირებული გამონაკლისების ფარგლებში გამოყენებისთვის
ტოქსაფენი	8001-35-2	პესტიციდი		
ალდრინი	309-00-2	პესტიციდი	წარმოების სრული შეწყვეტა; არსებული მარაგების იმპორტი და გამოყენება მხოლოდ კონვენციით დადგენილი მიზნებისთვის და მხოლოდ კონვენციის სამდივნოში რეგისტრაციის საფუძველზე	
დიელდრინი	60-57-1	პესტიციდი		
ჰეპტაქლორი	76-44-8	პესტიციდი		
ქლორდანი	57-74-9	პესტიციდი		
მირექსი	2385-85-5	პესტიციდი	წარმოება, იმპორტი და გამოყენება მხოლოდ კონვენციით დადგენილი მიზნებისთვის და მხოლოდ კონვენციის სამდივნოში რეგისტრაციის საფუძველზე	
დდტ	50-29-3	პესტიციდი		
ჰექსაქლორ-ბენზოლი	118-74-1	პესტიციდი, სამრეწველო ქიმიკატი	წარმოება, იმპორტი და გამოყენება მხოლოდ კონვენციით დადგენილი მიზნებისთვის და მხოლოდ კონვენციის სამდივნოში რეგისტრაციის საფუძველზე; გაუმინერალიზებული ემისიების მინიმიზაცია	
პოლიქლორირებული ბიფენილები (PCB)	-	სამრეწველო (ზეთებში)	წარმოების სრული შეწყვეტა; PCB-შემცველი მოწყობილობის ხმარებიდან ამოღება 2025 წლამდე, ასეთი მოწყობილობის იმპორტ-ექსპორტის შეწყვეტა, არსებული მოწყობილობიდან ნივთიერების მოგროვება და განადგურება 2028 წლამდე, შემთხვევითი ემისიების/დაღვრების მინიმიზაცია	
პოლიქლორირებული დიბენზო-პ-დიოქსინები (PCDD)		არ გააჩნია (წვის თანა-პროდუქტია)	შემთხვევითი გაფრქვევების მინიმიზაცია	
პოლიქლორირებული დიბენზოფურანები (PCDF)		არ გააჩნია (წვის თანა-პროდუქტია)		

6.1.5.3 კონვენციის შესრულების ეროვნული მექანიზმი

2003 წელს გლობალურმა გარემოსდაცვითმა ფონდმა (Global Environmental Facility, GEF) გამოჰყო დაფინანსება საქართველოსთვის სტოკჰოლმის კონვენციის განხორციელების ეროვნული გეგმის მოსამზადებლად. პროექტი განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ. პროექტის შედეგად სტოკჰოლმის

კონვენციის განხორციელების ეროვნული გეგმის პროექტი მომზადდა, და იგი ამჟამად საქართველოს მთავრობის მიერ განხილვის პროცესში იმყოფება.

სტოკჰოლმის კონვენციის განხორციელების ეროვნული გეგმის პროექტით საქართველოში კონვენციის შესასრულებლად სამი პრიორიტეტული მიმართულება არის გამოვლენილი:

- ყოფილ საბჭოთა საწყობებში დაგროვილი ვადაგასული პესტიციდების მოგროვება, გაუვნებელყოფა ან გარემოსთვის უსაფრთხოდ განთავსება;
- ძველი ელექტროტრანსფორმატორებიდან პოლიქლორირებული ბიფენილების შემცველი ზეთების მოგროვება და გაუვნებელყოფა;
- ნარჩენების წვის შედეგად გარემოში დიოქსიდებისა და ფურანების მოხვედრის აღკვეთა.

აღწერილი მიზნების მისაღწევად დასახული სამოქმედო გეგმა შემდეგ ღონისძიებებს ითვალისწინებს:

1. კანონმდებლობის და პასუხისმგებლობათა ინსტიტუციონალური გადანაწილების დახვეწა; ღონისძიების მიახლოებითი ღირებულებაა 1,4 მლნ აშშ დოლ; განხორციელების ვადა: 2007-2010 წწ;
2. შესაძლებლობათა გაძლიერება კანონმდებლობის აღსრულების გაუმჯობესებისთვის; ღონისძიების მიახლოებითი ღირებულებაა 1 მლნ აშშ დოლ, განხორციელების ვადა: 2008-2010 წწ;
3. პესტიციდების იმპორტისა და გამოყენებისას გარემოს დაბინძურების თავიდან აცილება და დაგროვილი ვადაგასული პესტიციდების მოგროვება და გაუვნებელყოფა; ღონისძიება ითვალისწინებს ახალი და ვადაგასული პესტიციდების დეტალურ ინვენტარიზაციას, ვადაგასული პესტიციდების მოგროვებას, დროებით შეფუთვის და უსაფრთხო განთავსებას; ღონისძიების მიახლოებითი ღირებულებაა 1,4 მლნ აშშ დოლარს აღემატება, განხორციელების ვადა: 2007-2012 წწ;
4. პოლიქლორირებული ბიფენილების შემცველი მოწყობილობისა და ნარჩენების მდგრადი მართვის უზრუნველყოფა. ღონისძიება ითვალისწინებს პეპ-ს შემცველი მოწყობილობის დეტალურ ინვენტარიზაციას, ნივთიერების მოგროვებას და უსაფრთხო განთავსების სადემონსტრაციო პროექტებს. ღონისძიების ღირებულებაა 4 მლნ აშშ დოლარს აღემატება, განხორციელების ვადა: 2007-2012 წწ;
5. ნარჩენების წვის შედეგად გარემოში მოდ-ების მოხვედრის აღკვეთა. ღონისძიება ითვალისწინებს ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის და ნაგავსაყრელების მართვის ეროვნული პროგრამის შემუშავებას, 5 ნაგავსაყრელზე მართვის გაუმჯობესების საცვენებელი პროექტების განხორციელებას, ერთ რეგიონში ნარჩენების უსაფრთხო განთავსების კონცეფციის ჩამოყალიბებას. ღონისძიების მიახლოებითი ღირებულებაა 2,2 მლნ აშშ დოლ, განხორციელების ვადა: 2007-2012 წწ;
6. დაინტერესებულ მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლის სისტემის შექმნა; ღონისძიების მიახლოებითი ღირებულებაა 0,15 მლნ აშშ დოლ, განხორციელების ვადა: 2007-2012 წწ;
7. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება მდგრად ორგანულ დამბინძურებლებთან დაკავშირებით; ღონისძიების მიახლოებითი ღირებულებაა 0,2 მლნ აშშ დოლ, განხორციელების ვადა: 2007-2012 წწ;
8. მოდ-ებით დაბინძურებული ტერიტორიების გამოვლენა და 5 მათგანის გაწმენდა; ღონისძიების მიახლოებითი ღირებულებაა 2 მლნ აშშ დოლ, განხორციელების ვადა: 2013-2017 წწ;
9. მონიტორინგის სისტემის განვითარება მდგრადი ორგანული დამბინძურებლებით გარემოს დაბინძურების გასაზომად; ღონისძიების მიახლოებითი ღირებულებაა 2,7 მლნ აშშ დოლ, განხორციელების ვადა: 2007-2012 წწ;
10. კვლევები მოდ-ებისგან თავისუფალი ტექნოლოგიებისა და მოდ-ების ჯანმრთელობაზე ზეგავლენის სფეროში; ღონისძიების მიახლოებითი ღირებულებაა 1 მლნ აშშ დოლ, განხორციელების ვადა: 2012-2022 წწ.

რაც შეეხება სტოკჰოლმის კონვენციით რეგულირებული პესტიციდები და სამრეწველო ქიმიკატების გამოყენების, წარმოების და იმპორტ-ექსპორტის აკრძალვას, ყველა ეს ნივთიერება შედის საქართველოში აკრძალული და შეზღუდული საშიში ქიმიური

ნივთიერებების ჩამონათვალში (იხ. სექცია 6.2.9.3) და აგრეთვე შეზღუდულად ბრუნვადი მასალების სიაში (იხ. სექცია 6.2.15.3). საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ნებართვებს შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, გამოყენების, იმპორტ-ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტისთვის. თუმცა იმის გამო, რომ შეზღუდულად ბრუნვადი მასალები ბევრ სხვადასხვა ქიმიურ ნივთიერებასა და ნარჩენებს შეიცავს, რომელთა რეგულირების რეჟიმი და პროცედურები მნიშვნელოვნად განსხვავებული და ხშირ შემთხვევაში ურთიერთშეუთავსებადია, შესაბამისი დებულება დროებით შეჩერებულია. ამიტომ, დღევანდელი მდგომარეობით უნდა ჩაითვალოს, რომ საქართველოში როტერდამის კონვენციით რეგულირებადი ნივთიერებების რეგულირების ეფექტური მექანიზმი ჯერ-ჯერობით დანერგილი არ არის.

6.1.6 პესტიციდების გავრცელებისა და გამოყენების საერთაშორისო კოდექსი

6.1.6.1 კოდექსის საერთაშორისო სტატუსი

”პესტიციდების გავრცელებისა და გამოყენების წესების საერთაშორისო კოდექსი¹⁷⁵” მოწონებული იქნა 1985 წელს გაერთიანებული ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ. კოდექსი განახლდა 1998 და 2002 წლებში. კოდექსი წარმოადგენს სარეკომენდაციო დოკუმენტს მთავრობებისთვის და კერძო პირებისთვის. არსებითად იგი წარმოადგენს ნებაყოფლობით სტანდარტს, რომელიც საჯარო და კერძო პირების მიერ პესტიციდების უსაფრთხო მართვის წესებს ადგენს.

კოდექსის მოთხოვნათა შესრულების გასაიოლებლად გაერთიანებული ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ 25-ზე მეტი სახელმძღვანელო მითითება არის შემუშავებული და კიდევ 20-მდე იმავე დანიშნულების დოკუმენტი შემუშავების პროცესშია¹⁷⁶.

6.1.6.2 კოდექსის სტატუსი საქართველოში

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის წევრი საქართველო 1995 წლის 20 ოქტომბერს გახდა.

”პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ” 1998 წლის კანონით FAO-ს ”პესტიციდების განაწილებისა და გამოყენების წესების საერთაშორისო კოდექსი” საქართველოში პესტიციდების და აგროქიმიკატების გამოყენებისა და უსაფრთხო მოხმარების ერთ-ერთ სამართლებრივ საფუძვლად არის მიჩნეული¹⁷⁷.

6.1.6.3 კოდექსის ძირითადი მოთხოვნები

კოდექსის მიხედვით, ქვეყანაში პესტიციდების ხელმისაწვდომობა, გავრცელება და გამოყენება მთავრობის მიერ უნდა რეგულირდებოდეს. რეგულირების მიზანი პესტიციდების მომხმარებელთა უსაფრთხოება, აგრეთვე პესტიციდების გამოყენებით

¹⁷⁵ International Code of Conduct on the Distribution and Use of Pesticides, განთავსებულია ინტერნეტში მისამართზე <http://www.fao.org/WAICENT/FAOINFO/AGRICULT/AGP/AGPP/Pesticid/Code/Download/code.pdf>

¹⁷⁶ ამ სახელმძღვანელო მითითების ჩამოტვირთვა შესაძლებელია ინტერნეტ-გვერდიდან <http://www.fao.org/agriculture/crops/core-themes/theme/pests/pm/code/frame/en/>

¹⁷⁷ საქართველოს კანონი ”პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ”, მუხლი 2

მიღებული სურსათის მომხმარებელთა უსაფრთხოება, აგრეთვე გარემოს დაბინძურების თავიდან აცილება და ბიომრავალფეროვნების დაცვა უნდა იყოს.

პესტიციდების სახელმწიფო რეგულირების უნივერსალურ მეთოდად კოდექსი მთავრობებს პესტიციდების ეროვნულ რეგისტრაციას სთავაზობს. რეგისტრაციაში იგულისხმება სათანადო საჯარო ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღება ეროვნულ ბაზარზე პესტიციდის დაშვების შესახებ. გადაწყვეტილება მიღებული უნდა იყოს პესტიციდის ეფექტურობისა და ადამიანებისთვის მეტ-ნაკლებად უსაფრთხოების შესახებ არსებული ინფორმაციის განხილვის საფუძველზე. კოდექსის რეკომენდაციით პესტიციდის სახელმწიფო რეგისტრაცია ვადიანი უნდა იყოს, რადგან პესტიციდების ეფექტურობა საკმაოდ სწრაფად იცვლება. ამიტომ საჯარო ორგანოს პერიოდულად საშუალება უნდა ჰქონდეს ხელახლა განიხილოს ამა თუ იმ პესტიციდის ბაზარზე დაშვების მიზანშეწონილობა მის ეფექტურობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით დაგროვილი ახალი ინფორმაციის საფუძველზე.

ქვეყანაში პესტიციდების ხელმისაწვდომობის რეგულირების საჭირო სხვა საშუალებების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მთავრობამ პესტიციდების მომხმარებელთა ცნობიერება და პესტიციდების უსაფრთხო მოხმარების ცოდნა-უნარები უნდა გაითვალისწინოს. თუ ეს უკანასკნელი დაბალია, პესტიციდების ხელმისაწვდომობა უნდა შეიზღუდოს რიგი საშიში პესტიციდების რეგისტრაციის აკრძალვის, ან პესტიციდების შეძენის უფლების მხოლოდ გარკვეული უნარის მქონე პირებისთვის მინიჭებით.

უნდა გაკონტროლდეს აგრეთვე პესტიციდების გავრცელების საშუალებები. კოდექსი არ მიესალმება პესტიციდების გავრცელების მთავრობის ხელში მოქცევას, ვინაიდან ამან შესაძლებელია პესტიციდების საჭიროზე მეტი ოდენობით შეძენა და დაგროვება გამოიწვიოს. თუმცა თავსუფალი ბაზრის საშუალებით პესტიციდების გავრცელებისას აუცილებელია უზრუნველყოფილი იქნას მათი შემძენის სათანადო ინფორმირება პესტიციდის სასიშიროების და გამოყენების უსაფრთხო და ეფექტური საშუალებების შესახებ. ამ მიზნით შესაძლებელია განხორციელდეს პესტიციდების გამყიდველთა ლიცენზირებაც. გარდა ამისა, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სათანადო წარწერების, ინსტრუქციების, ეტიკეტების არსებობა პესტიციდებზე, მათი განცალკევებული გაყიდვა, უსაფრთხო შენახვა საწყობებში; უნდა აკრძალოს პესტიციდების ხელახალი დაფასოება გაყიდვის ადგილებში. ხელმისაწვდომი უნდა იყოს პესტიციდების უსაფრთხო მოხმარებისთვის აუცილებელი მოწყობილობა, ხელი უნდა შეეწყოს მათ ფართო გამოყენებას. ხელმისაწვდომი უნდა იყოს გასაყიდი პესტიციდების ხარისხის შემოწმება.

ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე პესტიციდების ნახმარ კონტეინერებს. კოდექსის რეკომენდაციაა, რომ მთავრობამ და ბიზნესმა ერთობლივად უზრუნველყონ ასეთი კონტეინერების მოგროვება და გაუვნებელყოფა.

გარდა ამისა, კოდექსის რეკომენდაციაა, რომ მთავრობამ განახორციელოს პესტიციდების ნარჩენების რეგულარული მონიტორინგი სურსათსა და გარემოში. გარდა ამისა, რეგულარულად უნდა გროვდებოდეს სტატისტიკური ინფორმაცია პესტიციდებით მოწამვლების შესახებ. საავადმყოფოებს უნდა გააჩნდეთ ასეთი მოწამვლების მკურნალობისათვის საჭირო ინფორმაცია.

6.1.6.4 კოდექსის რეკომენდაციების შესრულება საქართველოში

კოდექსის რეკომენდაციების დიდი ნაწილი ტრანსფორმირებულია საქართველოს კანონში "პესტიციდების და აგროქიმიკატების შესახებ" და მის ქვემდებარე აქტებში. ამ მოთხოვნათა განხორციელების ნაკლოვანებებისთვის იხ: სექცია 3.4.

6.1.7 საბაჟო სისტემის მარეგულირებელი კონვენციები

6.1.7.1 კონვენციების დადებისა და ამოქმედების თარიღი, საქართველოს სტატუსი

”საბაჟოთა თანამშრომლობის საბჭოს¹⁷⁸ დამაარსებელი კონვენცია დაიდო ბრიუსელში (ბელგია), 1950 წლის 15 დეკემბერს, ხოლო ამოქმედდა 1952 წლის 4 ნოემბერიდან. საქართველო ამ ორგანიზაციის წევრი 1993 წელს გახდა.

”საერთაშორისო კონვენცია ჰარმონიზებული სისტემის შესახებ” დაიდო ბრიუსელში (ბელგია) 1983 წლის 14 ივნისს. საბაჟო ჰარმონიზებული სისტემა 1988 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა. ამის შემდეგ ჰარმონიზებული სისტემა რამდენჯერმე გადამუშავდა. კერძოდ: 1996, 2002 და 2007 წლებში.

საქართველო ”საერთაშორისო კონვენცია ჰარმონიზებული სისტემის შესახებ” კონვენციის მხარე არ არის, მას მხოლოდ ჰარმონიზებული საბაჟო სისტემის (2002 წლის ვერსიის) განმხორციელებელი ქვეყნის სტატუსი აქვს დეკლარირებული.

6.1.7.2 კონვენციების მოთხოვნები

”საერთაშორისო კონვენცია ჰარმონიზებული სისტემის შესახებ” ითხოვს, რომ:

- მხარე-ქვეყნების საბაჟო სატარიფო და სტატისტიკური ნომენკლატურა ”საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებულ სისტემასთან” (შემოკლებით: ”ჰარმონიზებული სისტემა”) იყოს შესაბამისობაში¹⁷⁹;
- მხარე-ქვეყნებმა გამოაქვეყნონ იმპორტ-ექსპორტის სავაჭრო სტატისტიკა ჰარმონიზებული სისტემის ექვსნიშნა კოდების მიხედვით¹⁸⁰.

6.1.7.3 ჰარმონიზებული საბაჟო სისტემის განხორციელება საქართველოში (საშუალო ქიმიურ ნივთიერებებთან მიმართებაში)

საქართველოში მოქმედებს სასაქონლო ნომენკლატურა¹⁸¹, რომელიც საბაჟო ჰარმონიზებული სისტემის 2002 წლის ვარიანტთან არის შესაბამისობაში. იგი საერთაშორისო ხელშეკრულებებით რეგულირებული ქიმიური ნივთიერებების მხოლოდ ნაწილის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა (იხ. ცხრილი 33).

ჰარმონიზებული საბაჟო სისტემის 2007 წლის ვარიანტი ზემოთ აღწერილი საერთაშორისო ხელშეკრულებებით რეგულირებული ქიმიური ნივთიერებების და მათი შემცველი საქონლის იდენტიფიცირების ზევრად უკეთეს საშუალებას იძლევა. თუმცა ეს სისტემა ჯერ საქართველოში დანერგილი არ არის.

¹⁷⁸ 1994 წლიდან საბაჟოთა თანამშრომლობის საბჭოს სამუშაო დასახელებად ”მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია” გამოიყენება.

¹⁷⁹ საერთაშორისო კონვენცია ჰარმონიზებული სისტემის შესახებ, მუხლი 3, პუნქტი ”ა”

¹⁸⁰ საერთაშორისო კონვენცია ჰარმონიზებული სისტემის შესახებ, მუხლი 3, პუნქტი ”ხ”

¹⁸¹ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2006 წლის 23 აგვისტოს #163 დადგენილებით ”საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე”

ცხრილი 33. საერთაშორისო ხელშეკრულებებით რეგულირებული ქიმიური ნივთიერებები, რომელთა ზუსტი იდენტიფიცირების საშუალებას საქართველოში დღეს მოქმედი სასაქონლო ნომენკლატურა იძლევა

ნივთიერების დასახელება	სასაქონლო კოდი სეს ესნ მიხედვით	კონვენცია, რომლითაც რეგულირდება
ოთხქლორიანი ნახშირბადი	2903 14 000 00	მონრეალის ოქმი, დანართი B, ჯგII
1,2-დიქლორეთანი (ეთილენდიქლორიდი)	2903 15 000 00	როტერდამის კონვენცია
მეთილქლოროფორმი (1,1,1ტრიქლორეთანი)	2903 19 100 00	მონრეალის ოქმი, დანართი B, ჯგIII
მეთილბრომიდი (ბრომმეთანი)	2903 30 330 00	მონრეალის ოქმი, დანართი E
ტრიქლორფთორმეთანი (CFC-11)	2903 41 000 00	მონრეალის ოქმი, დანართი A, ჯგI
დიქლორდიფთორმეთანი (CFC-12)	2903 42 000 00	მონრეალის ოქმი, დანართი A, ჯგI
ტრიქლორტრიფთორეთანები (CFC-113)	2903 43 000 00	მონრეალის ოქმი, დანართი A, ჯგI
დიქლორტეტრაფთორეთანები (CFC-114)	2903 44 100 00	მონრეალის ოქმი, დანართი A, ჯგI
ქლორპენტაფთორეთანი (CFC-115)	2903 44 900 00	მონრეალის ოქმი, დანართი A, ჯგI
ქლორტრიფთორმეთანი (CFC-13)	2903 45 100 00	მონრეალის ოქმი, დანართი B, ჯგI
პენტაქლორფთორეთანი (CFC-111)	2903 45 150 00	მონრეალის ოქმი, დანართი B, ჯგI
ტეტრაქლორდიფთორეთანები (CFC-112)	2903 45 200 00	მონრეალის ოქმი, დანართი B, ჯგI
ჰექსაქლორფთორპროპანები (CFC-211)	2903 45 250 00	მონრეალის ოქმი, დანართი B, ჯგI
ჰექსაქლორდიფთორპროპანები (CFC-212)	2903 45 300 00	მონრეალის ოქმი, დანართი B, ჯგI
პენტაქლორტრიფთორპროპანები (CFC-213)	2903 45 350 00	მონრეალის ოქმი, დანართი B, ჯგI
ტეტრაქლორტეტრაფთორპროპანები (CFC-214)	2903 45 400 00	მონრეალის ოქმი, დანართი B, ჯგI
ტრიქლორპენტაფთორპროპანები (CFC-215)	2903 45 450 00	მონრეალის ოქმი, დანართი B, ჯგI
დიქლორჰექსაფთორპროპანები (CFC-216)	2903 45 500 00	მონრეალის ოქმი, დანართი B, ჯგI
ქლორჰექსაფთორპროპანები (CFC-217)	2903 45 550 00	მონრეალის ოქმი, დანართი B, ჯგI
ბრომქლორდიფთორეთანი (Halon-1211)	2903 46 100 00	მონრეალის ოქმი, დანართი A, ჯგII
ბრომტრიფთორმეთანი Halon-1301)	2903 46 200 00	მონრეალის ოქმი, დანართი A, ჯგII
დიბრომტეტრაფთორეთანი (Halon-2402)	2903 46 900 00	მონრეალის ოქმი, დანართი A, ჯგII
აციკლური ნახშირწყალბადების ჰალოგენირებული წარმოებულები, მხოლოდ ფთორისა და ქლორის შემცველი, მეთანის, ეთანის ან პროპანის (HCFC-ები)	2903 49 100 00	მონრეალის ოქმი, დანართი C, ჯგI
აციკლური ნახშირწყალბადების ჰალოგენირებული წარმოებულები, მხოლოდ ფთორისა და ბრომის შემცველი, მეთანის, ეთანის ან პროპანის (HBFC-ები)	2903 49 300 00	მონრეალის ოქმი, დანართი C, ჯგII
ჰექსაქლორციკლოპექსანი (HCH)	2903 51 000 00	როტერდამის კონვენცია
ჰექსაქლორბენზოლი	2903 62 000 00	როტერდამის კონვენცია
დღტ	2903 62 000 00	როტერდამის კონვენცია სტოკჰოლმის კონვენცია

რაც შეეხება იმპორტ-ექსპორტის სავაჭრო სტატისტიკის გამოქვეყნებას, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი ყოველთვიურად აქვეყნებს ინტერნეტ-გვერდზე <http://www.statistics.ge> იმპორტ-ექსპორტის სავაჭრო სტატისტიკის ინფორმაციას ჰარმონიზებული სისტემის ექვსნიშნა კოდების მიხედვით. თუმცა სავაჭრო ინფორმაცია ქვეყნდება მხოლოდ ფულად ექვივალენტში და კონკრეტულ საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა მოცულობების დადგენა ამ ინფორმაციის საშუალებით შეუძლებელია.

6.1.8 ქიმიურ ნივთიერებათა კლასიფიკაციის და ეტიკეტირების გლობალური ჰარმონიზებული სისტემა (GHS) და საშიში ტვირთების ტრანსპორტირების წესები

6.1.8.1 GHS სისტემის და საშიში ტვირთების გადაზიდვათა საერთაშორისო წესების ჩამოყალიბება

ქიმიურ ნივთიერებათა უმრავლესობას ადამიანსა და გარემოზე ამა თუ იმ ხარისხის მავნე ზემოქმედების უნარი გააჩნია. ამ ზემოქმედების შემცირებისთვის გადამწყვეტია ამ საშიშროებათა შესახებ ქიმიურ ნივთიერებათა მომხმარებლების ინფორმაციული უზრუნველყოფა. ასეთი უზრუნველყოფის საშუალებებია:

- ნივთიერებათა ერთიანი კლასიფიკაცია საშიშროების ხარისხის და ზემოქმედების ტიპის მიხედვით;
- გარემოსა და ადამიანზე ქიმიური ნივთიერების ზემოქმედების უნარის ამომწურავად აღწერილი დოკუმენტების¹⁸² არსებობა და ხელმისაწვდომობა;
- ქიმიურ ნივთიერებათა სავალდებულო ეტიკეტირება, მათ შორის ისეთი ნიშნებით (სიმბოლოებით), რომელიც გასაგები იქნება ყველასთვის, მიუხედავად ენისა და განათლებისა.

ქვეყნების მიერ ქიმიურ ნივთიერებათა მომხმარებლების საინფორმაციო უზრუნველყოფის რამოდენიმე განსხვავებული სისტემა იქნა შემუშავებული. 1992 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენციის "გარემო და განვითარება" მიერ გადაწყდა ყველა ამ მიდგომის ჰარმონიზაცია. საქმიანობას კოორდინირებას უწევდა "ქიმიურ ნივთიერებათა მდგრადი მართვის ორგანიზაციათაშორის პროგრამა"¹⁸³ (IOMC). ქიმიურ ნივთიერებათა კლასიფიკაციის და ეტიკეტირების გლობალური ჰარმონიზებული სისტემის (GHS) პირველი ვარიანტის მომზადება 2002 წელს დასრულდა. 2005 და 2007 წლებში სისტემამ შემდგომი გაუმჯობესება განიცადა¹⁸⁴.

პარალელურად მსგავსი საქმიანობა მიმდინარეობდა სახიფათო ტვირთების გადაზიდვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა საბჭოს ეგიდით მომუშავე სახიფათო ტვირთების გადაზიდვის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჯერ კიდევ 1956 წელს მომზადდა სახიფათო

¹⁸² იგულისხმება Safety Data Sheets (SDS)

¹⁸³ Inter-Organization Programme for the Sound Management of Chemicals, შეიქმნა 1995 წელს, წარმოადგენს 7 საერთაშორისო ორგანიზაციის ერთობლივ პროგრამას. ესენია:

1. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO),
2. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO),
3. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD),
4. გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP),
5. გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია (UNIDO),
6. გაეროს სწავლებისა და კვლევების ინსტიტუტი (UNITAR);
7. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (WHO).

¹⁸⁴ სისტემის ბოლო ოფიციალური ვარიანტი განთავსებულია ინტერნეტში მისამართზე http://www.unece.org/trans/danger/publi/ghs/ghs_rev02/02files_e.html, ხოლო მარტივი ვერსია: <http://www.osha.gov/dsg/hazcom/ghs.html#4.0>

ტვირთების გადაზიდვის რეკომენდაციები, რომელმაც ამის შემდეგ მრავალი განახლება განიცადა. 1996 წლიდან ამ რეკომენდაციებს თან ახლავს აგრეთვე ”სახიფათო ტვირთების გადაზიდვის სამოდელო რეგულაციები”¹⁸⁵.

1999 წლიდან სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე და ქიმიურ ნივთიერებათა კლასიფიკაციასა და ეტიკეტირების ჰარმონიზაციაზე მომუშავე ჯგუფები გაერთიანდა. დღესდღეობით სახიფათო ტვირთების გადაზიდვის რეკომენდაციები და სამოდელო წესები GHS სისტემასთან შესაბამისობაშია.

6.1.8.2 GHS სისტემის და სახიფათო ტვირთების გადაზიდვის ტიპური წესების მოთხოვნები

GHS ადგენს:

- ქიმიურ ნივთიერებათა საშიშროების კლასებს და ამ კლასისადმი ნივთიერების ან ნარევის მიკუთვნების კრიტერიუმებს;
- ქიმიურ ნივთიერებათა საშიშროების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ისეთი საშუალებების, როგორიცაა ეტიკეტი და უსაფრთხოების ფურცელი (safety data sheet) ფორმას და მასში გამოსაყენებელ სიმბოლოებს.

სახიფათო ტვირთების გადაზიდვის ტიპური წესები საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა და მათი შემცველი ტვირთების გადაზიდვის პირობებს არეგულირებს. კერძოდ, იგი ადგენს:

- სახიფათო ტვირთების კლასიფიკაციას და ამა თუ იმ კლასისადმი ტვირთის მიკუთვნების კრიტერიუმებს;
- დოკუმენტაციის ჩამონათვალს, რომელიც თან უნდა ახლდეს სახიფათო ტვირთს, მის ფორმას და შინაარსს;
- აღნიშვნებს და წარწერებს, რომელიც დატანილი უნდა იყოს თითოეული ტიპის სახიფათო ტვირთზე;
- სახიფათო ტვირთების შეფუთვის წესებს;
- სახიფათო ტვირთებს, რომელთა ტრანსპორტირება დაუშვებელია.

გარდა ამისა, სახიფათო ტვირთების გადაზიდვის რეკომენდაციები ითხოვს, რომ თითოეული ქვეყნის შესაბამისმა ორგანოებმა აღწერილი წესების შესრულება აკონტროლონ.

6.1.8.3 GHS სისტემის და სახიფათო ტვირთების გადაზიდვათა რეკომენდაციების განხორციელება საქართველოში

GHS სისტემით დაფუძნებული კლასიფიკაცია და შესაბამის საშიშ ტვირთებთან მოპყრობის სამოდელო წესები საქართველოს კანონმდებლობაში შემოტანილია ტექნიკური რეგლამენტით «ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესი»¹⁸⁶ (იხ. სექციები 6.2.17 და 6.3.5). თუმცა ეს უკანასკნელი წინააღმდეგობაში მოდის ”საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ” საქართველოს კანონსა და მის კანონქვემდებარე აქტებთან (იხ.

¹⁸⁵ 2007 წელს ამ წესების მე-15 განახლება გამოიცა: ST/SG/AC.10/1/Rev15, იგი განთავსებულია მისამართზე http://www.unece.org/trans/danger/publi/unrec/GuidingPrinciples/Guiding_Principles_Rev15.pdf

¹⁸⁶ დამტკიცებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის უფროსის 2008 წლის 21 აპრილის N 49 ბრძანებით

სექცია 6.2.8), რომელიც საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა და ნარევთა განსხვავებულ კლასიფიკაციას აფუძნებს. საქმე იმაშია, რომ "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ" საქართველოს კანონი და მისი კანონქვემდებარე აქტები მომზადდა ევროკავშირის 67/548/EEC და 1999/45/EC დირექტივების შესაბამისად. თუმცა 2003 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ GHS სისტემის დამტკიცების შემდეგ ევროკავშირმა დაიწყო თავისი შესაბამისი კანონმდებლობის ცვლილების პროცესი, რომელიც ქიმიურ ნივთიერებათა შემცველი საქონლისა და ტვირთების კლასიფიკაციის ცვლილებასაც მოიცავს. ევროკავშირი GHS სისტემაზე გადავა 2010 წლის 1 დეკემბრიდან სუფთა ქიმიური ნივთიერებებისთვის, და ქიმიურ ნივთიერებათა 2015 წლის 1 ივნისიდან – ქიმიურ ნივთიერებათა ნარევებისთვის. სასურველია ამ ვადებისთვის შესაბამისი ცვლილებები საქართველოს კანონმდებლობაშიც განხორციელდეს¹⁸⁷.

6.1.9 ქიმიურ ნივთიერებათა რეგისტრაციის, შეფასების, დაშვებისა და შეზღუდვის ევროპული სისტემა REACH

6.1.9.1 საკითხის მოკლე ისტორია

2006 წლამდე ევროკავშირის პოლიტიკას საშიშ ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით ოთხი ძირითადი ნორმატიული აქტი განსაზღვრავდა:

- დირექტივა 67/548/EEC საშიშ ნივთიერებათა კლასიფიკაციის, შეფუთვისა და ნიშანდების შესახებ¹⁸⁸;
- დირექტივა 76/769/EEC გარკვეულ საშიშ ნივთიერებებისა და პრეპარატების გაყიდვისა და გამოყენების შეზღუდვის შესახებ¹⁸⁹.
- დირექტივა 88/379/EEC¹⁹⁰ საშიში პრეპარატების კლასიფიკაციის, შეფუთვისა და ნიშანდების შესახებ¹⁹¹;
- რეგულაცია 793/93 არსებულ ქიმიურ ნივთიერებათა რისკების შეფასებისა და კონტროლის შესახებ¹⁹²;

67/548/EEC დირექტივა თავდაპირველად ბრუნვაში არსებული ქიმიური ნივთიერებების სათანადო შეფუთვისა და ნიშანდების საკითხებს არეგულირებდა. თუმცა 1979 წელს შეტანილი ცვლილებების შედეგად¹⁹³ დირექტივის შინაარსი მნიშვნელოვნად გაფართოვდა და მან ახალი ქიმიური ნივთიერებების ბრუნვაში გაშვებამდე მათი სავალდებულო გამოცდის და ამ გამოცდების შედეგების შესახებ საჯარო ორგანოებისთვის ინფორმაციის მიწოდების საკითხებიც მოიცვა. დირექტივის ეს ახალი შინაარსი 1992 წელს კიდევ უფრო დაიხვეწა¹⁹⁴. შემდგომ, 1993 წელს მიღებული 793/93 რეგულაციით კი არსებული ქიმიური

¹⁸⁷ სახელმძღვანელოდ შეიძლება გამოყენებული იქნას ევროკომისიის დამტკიცებული საკანონმდებლო წინადადება COM(2007)355 final

¹⁸⁸ Council Directive 67/548/EEC relating to the classification, packaging and labelling of dangerous substances

¹⁸⁹ Directive 76/769/EEC relating to restrictions on the marketing and use of certain dangerous substances and preparations

¹⁹⁰ შემდგომში შეიცვალა 1999/45/EC დირექტივით

¹⁹¹ Directive 88/379/EEC relating to the classification, packaging and labelling of dangerous preparations

¹⁹² Council Regulation (EEC) 793/93 on evaluation and control of risks of existing substances, მოკლედ: Existing Substances Regulation (ESR)

¹⁹³ ეს ცვლილებები შევიდა 79/831/EEC დირექტივით

¹⁹⁴ იგულისხმება დირექტივა 92/32/EEC

ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის მოგროვებისა და ხელმისაწვდომობის, აგრეთვე ამ ნივთიერებებთან დაკავშირებული რისკების შეფასებისა და კონტროლის საკითხებიც დარეგულირდა.

2001 წელს ევროპის თანამეგობრობის საბჭომ შეაფასა საშიშ ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით მის მიერ განხორციელებული პოლიტიკის ეფექტურობა, გამოავლინა სუსტი მხარეები და ქიმიურ ნივთიერებათა მართვის განახლებული პოლიტიკა შეიმუშავა¹⁹⁵. ძველი პოლიტიკის ძირითად ნაკლოვანებად ახალ და არსებულ ქიმიურ ნივთიერებათა შესახებ ინფორმაციის და რისკების შეფასების მოთხოვნათა მნიშვნელოვანი განსხვავება იქნა მიჩნეული. ახალ პოლიტიკაში ამ განსხვავებათა ნიველირება განხორციელდა და ახალი და არსებული ნივთიერებებისადმი ერთიანი მიდგომა დაინერგა. გარდა ამისა, მეტი ყურადღება მიიმართა ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული რისკების შეფასებისას ნივთიერებათა გამოყენების სხვადასხვა შესაძლებლობებისა და მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფების განსხვავებული ექსპოზიციის საკითხების გათვალისწინების აუცილებლობაზე.

ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებულმა ახალმა პოლიტიკამ ხორცშესხმა ე.წ. "REACH რეგულაციაში" ჰპოვა. ეს არის რეგულაცია 1907/2006 ქიმიურ ნივთიერებათა რეგისტრაციის, შეფასების, დაშვებისა და შეზღუდვის შესახებ¹⁹⁶. იგი თანდათანობით ჩაანაცვლებს ზემოთხსენებულ დირექტივებს. 2015 წლიდან 67/548/EEC და 1999/45/EC დირექტივები მთლიანად გაუქმდება.

REACH რეგულაციით აგრეთვე დაარსდა ქიმიკატების ევროპული სააგენტო¹⁹⁷, რომელსაც რეგულაციის ტექნიკური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული ასპექტების განხორციელება დაევა.

6.1.9.2 სისტემის აღწერა

უნდა აღინიშნოს, რომ "ნივთიერებად" ევროკავშირის სამართლებრივ სივრცეში მიიჩნევა ბრუნვაში გაშვებული სუფთა ქიმიური ნივთიერება¹⁹⁸, ანუ ქიმიური ნივთიერება, როგორც საქონელი. "პრეპარატად" მიიჩნევა საქონელი, რომელიც ორ ან მეტ სუფთა ქიმიური ნივთიერების ნარევს წარმოადგენს (იხ. ცხრილი 37), ხოლო "პროდუქციად" ან "ნაკეთობად" მიიჩნევა ისეთი საქონელი, რომლის სამომხმარებლო თვისებებს არა იმდენად მისი ქიმიური შემადგენლობა, რამდენად სხვა, ფიზიკური თვისებები განსაზღვრავს¹⁹⁹ (იხ. ცხრილი 37). 2006 წლამდე ქიმიურ ნივთიერებათა რეგულირების პოლიტიკა ევროკავშირში ძირითადად შემოიფარგლებოდა საქონლით, რომელიც "სუფთა" ნივთიერებებს ან პრეპარატებს წარმოადგენდა. 2006 წლის შემდგომ კი ამ პოლიტიკამ საშიში ქიმიური ნივთიერებების

¹⁹⁵ Strategy for a future Chemicals Policy, COM(2001)88.

¹⁹⁶ Regulation (EC) No 1907/2006 of the European Parliament and of the Council concerning the Registration, Evaluation, Authorization and restriction of Chemicals (REACH), establishing a European Chemicals Agency, amending Directive 1999/45/EC and repealing Council Regulation (EEC) No 793/93 and Commission regulation (EC) No 1488/94 as well as Council Directive 76/769/EEC and Commission Directives 91/155/EEC, 93/67/EEC, 93/105/EC and 2000/21/EC.

¹⁹⁷ European Chemicals Agency (ECHA), იხ <http://echa.europa.eu>

¹⁹⁸ ტექნოლოგიური მინარევების ან ბრუნვაში გაშვებისთვის აუცილებელი დანამატების ან სტაბილიზატორების ჩათვლით. იხ. ცხრილი 37

¹⁹⁹ თუმცა, ბუნებრივია, საბოლოო ჯამში ყველა ნივთი ქიმიური ნივთიერებისგან შედგება და ამდენად, "ქიმიურ ნივთიერებათა ნარევს" წარმოადგენს.

შემცველი სხვა პროდუქცია, ანუ "ნაკეთობები" მოიცავს²⁰⁰. თუმცა აქ არ შედის (ვინაიდან ცალკე რეგულირდება) შემდეგი :

- სამედიცინო ან ვეტერინარული პროდუქცია, ნარკოტიკები;
- რადიაქტიული ნივთიერებები;
- სურსათი და ცხოველთა საკვები;
- ტრანზიტის რეჟიმში მყოფი ან საბაჟოებში დროებით განთავსებული ნივთიერებები;
- საშიშ ნივთიერებათა გადაზიდვები
- ნარჩენები;

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, REACH რეგულაციის ამოქმედებამდე ქიმიური ნივთიერებების ბრუნვის მართვა ახალი და არსებული (ანუ 1981 წლისთვის უკვე ბრუნვაში მყოფი) ნივთიერებებისათვის სხვადასხვა სქემით მიმდინარეობდა. კერძოდ²⁰¹, ახალი ნივთიერების ბრუნვაში გაშვებამდე²⁰² მისი მწარმოებელი ან იმპორტიორი ვალდებული იყო ჩაეტარებინა ადამიანსა და გარემოზე ნივთიერების ზემოქმედების გამოცდები და ევროკომისიისადმი ნივთიერების ყველა თვისებების აღმწერი დეტალური ტექნიკური დოსიე წარედგენა.

ბრუნვაში უკვე არსებული ნივთიერებების მართვა კი შემდეგი სტადიებისგან შედგებოდა²⁰³:

1. ნივთიერების შესახებ არსებულ მონაცემთა მოგროვება: ნივთიერების²⁰⁴ მწარმოებელი ან იმპორტიორი ვალდებული იყო ევროკომისიისთვის მიეწოდებინა მის ხელთ არსებული მთელი ინფორმაცია ნივთიერების შესახებ, თუმცა დამატებითი გაზომვების ან გამოცდების ჩატარება მას არ ევალებოდა;
2. პრიორიტეტების განსაზღვრა: მიღებული ინფორმაციის შეფასების საფუძველზე ევროკომისია ადგენდა იმ პრიორიტეტული ნივთიერებების ჩამონათვალს, რომელთა რისკების შესწავლა დამატებით იყო საჭირო²⁰⁵;
3. პრიორიტეტული ნივთიერებების რისკის შეფასება: ევროკავშირის ერთ-ერთ წევრ ქვეყანას ევალებოდა პრიორიტეტული ნივთიერების დეტალური გამოკვლევა;

ამა თუ იმ გზით ნივთიერების მავნეობის დადგენის შემთხვევაში ევროკომისიის მიერ ხდებოდა ნივთიერების გამოყენების შეზღუდვა. კერძოდ, შედიოდა შესწორება დირექტივებში (მაგ. 76/769/EEC დირექტივაში), რომლითაც კონკრეტული ნივთიერებათა კონკრეტული, მითითებული მიზნებით გამოყენება ევროკავშირში იზღუდება ან იკრძალება.

REACH სისტემის ამოქმედების შემდეგ მოთხოვნები ახალ ნივთიერებებთან დაკავშირებით ოდნავ შერბილდა: ადამიანებსა და გარემოზე ნივთიერების ზემოქმედების გამოცდების ჩატარება და ტექნიკური დოსიეს წარდგენა მხოლოდ წელიწადში 1 ტონის წარმოების ან

²⁰⁰ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაკეთობის მოსალოდნელი გამოყენებისას ხდება ამ ნივთიერების გამოყოფა და ერთი მწარმოებლის ნაკეთობებში ქიმიური ნივთიერების შემცველობა აღემატება 1 ტონას წელიწადში.

²⁰¹ 67/548/EEC დირექტივის მიხედვით, 79/831/EEC და 92/32/EEC დირექტივებით მასში შესული ცვლილებების გათვალისწინებით.

²⁰² ეს ეხებოდა ყველა ახალ ნივთიერებას, რომლის წარმოება ან იმპორტი წელიწადში 10 კგ-ს აღემატებოდა.

²⁰³ 793/93 რეგულაციის მიხედვით

²⁰⁴ ეს ეხებოდა ყველა ნივთიერებას, რომლის წარმოება ან იმპორტი წელიწადში 10 ტონას აღემატება, გარდა 793/93 რეგულაციის მეორე დანართში ჩამოთვლილი 67 გამოწვევისა.

²⁰⁵ 793/93 რეგულაციის ამოქმედების შემდგომ ევროკომისიამ პრიორიტეტულ ნივთიერებათა სულ ოთხი ჩამონათვალი გამოაქვეყნა. ამჟამად პრიორიტეტულ ნივთიერებათა სიაში 141 ნივთიერება შედის.

იმპორტის შემთხვევაში გახდა აუცილებელი. სამაგიეროდ ერთმანეთს დაუახლოვდა მოთხოვნები არსებულ და ახალ ნივთიერებებთან დაკავშირებით. კერძოდ, არსებული ნივთიერებების მწარმოებლებს დაუდგინდათ კონკრეტული ვადები იმისთვის, რომ ყველა მათ მიერ წარმოებულ ან იმპორტირებულ ნივთიერების ზემოქმედების გამოცდები ჩაატარონ და ევროკომისიას ნივთიერებათა თვისებების აღმწერი სრული ტექნიკური დოსიეები წარუდგინონ²⁰⁶. ამ პროცესის მოსაწესრიგებლად კი შემოღებული იქნა ნივთიერებათა რეგისტრაციის პროცედურა, რომელსაც ქიმიკატების ევროპული სააგენტო ახორციელებს²⁰⁷.

რეგისტრაციისთვის დაინტერესებულმა პირმა უნდა წარადგინოს ნივთიერების ტექნიკური დოსიე, რომელიც შეიცავს ნივთიერების ფიზიკო-ქიმიური თვისებების სრულ აღწერას, მისი მოსალოდნელი გამოყენების მეთოდების აღწერას და ამ გამოყენებისას ნივთიერების ადამიანებსა და ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შესახებ ინფორმაციას, რომელიც შესაბამისი გამოცდების/ტესტირების შედეგად უნდა იყოს მოპოვებული. რაც უფრო მაღალია ნივთიერების წლიური წარმოების/იმპორტის დონე, მით უფრო რთული გამოცდების ჩატარებაა საჭირო ნივთიერების რეგისტრაციისთვის. იმისთვის, რომ ამ მოთხოვნების შესრულება მეწარმეებს გაუიოლდეთ, აგრეთვე მათი თანხების ეკონომიის და ცხოველებზე გამოცდების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, ქიმიკატების ევროპული სააგენტოს მიერ შექმნილია სპეციალური ინტერნეტ-პორტალი რეგისტრაციით დაინტერესებულ მეწარმეთა ერთმანეთთან დასაკავშირებლად (იხ. <http://echa.europa.eu>). დაინტერესებულ მეწარმეებს შეუძლიათ ნივთიერების რეგისტრაცია (და ამისთვის საჭირო ყველა ინფორმაციის და მონაცემების მოპოვება) ერთობლივად განახორციელონ.

რეგისტრაციის ფარგლებში მეწარმეების მიერ მოწოდებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას და შეფასებას. წარმოდგენილი ტექნიკური დოსიეების საშუალოდ 5% სააგენტოს მიერ გადამოწმდება. გარდა ამისა, გამოიყოფა პრიორიტეტული ნივთიერებები²⁰⁸, რომელთათვისაც საჭიროა შემდგომი დამატებითი გამოცდები. ამ შეფასებას ევროკავშირის რომელიმე წევრი ქვეყანა განახორციელებს, ხოლო შეფასებათა კოორდინირება სააგენტოს ევალება. ქვეყნები თავად ირჩევენ, თუ რომელი ნივთიერების შეფასება სურთ²⁰⁹, ხოლო თუ პრიორიტეტული ნივთიერების შეფასების სურვილი არც ერთმა ქვეყანამ არ გამოთქვა, შეფასებას სააგენტო ახორციელებს. შეფასებისას რეგისტრანტს მოეთხოვება დამატებითი ინფორმაციის მოგროვება და წარმოდგენა ნივთიერების ზემოქმედების შესახებ. როგორც წესი, შეფასება 12 თვის განმავლობაში უნდა დასრულდეს.

თუ შეფასების შედეგად დადგინდა, რომ ნივთიერება "ძლიერ შემფოთებას იწვევს"²¹⁰, დაწესდება ვადა, რომლის შემდეგ მისი თავისუფალი გამოყენება აიკრძალება (REACH რეგულაციის XIV დანართში ამ ნივთიერების შეტანის საშუალებით) ან შეიზღუდება (REACH რეგულაციის XVII დანართში შესაბამისი დებულების შეტანის გზით). თუმცა

²⁰⁶ გამოცდათა მასშტაბი და ტექნიკური დოსიეების შინაარსი დამოკიდებულია მეწარმის მიერ წლის განმავლობაში წარმოებული ან იმპორტირებული ნივთიერების რაოდენობაზე.

²⁰⁷ რეგისტრაცია ფასიანია. მოსაკრებლის ოდენობა დამოკიდებულია მეწარმის მიერ წლის განმავლობაში წარმოებული ან იმპორტირებული ნივთიერების რაოდენობაზე. აგრეთვე მეწარმის ზომაზე და ინფორმაციის ინდივიდუალურ ან კოლექტიურ წარდინების ფორმაზე. ამ ფაქტორების მიხედვით რეგისტრაციის ფასი 120 ევროდან 31000 ევრომდე იცვლება. ეს თანხები სისტემის ადმინისტრირებას უნდა მოხმარდეს.

²⁰⁸ ამჟამად სააგენტო მუშაობს თანმიმდევრული კრიტერიუმების შემუშავებაზე ასეთი პრიორიტეტული ნივთიერებების დასადგენად.

²⁰⁹ შეფასება ევროკავშირის ბიუჯეტიდან ფინანსდება.

²¹⁰ დღესდღეობით ამ რანგში გადიან მხოლოდ კანცეროგენური, მუტაგენური და გამრავლებისთვის ტოქსიკური ნივთიერებები, აგრეთვე მდგრადი ორგანული დამბინძურებლები. მიმდინარეობს უფრო დეტალური თანმიმდევრული კრიტერიუმების შემუშავება.

დაინტერესებულ პირებს მიეცემათ საშუალება მოითხოვონ და მიიღონ ნებართვა ასეთი ნივთიერების გამოყენების კონკრეტული მეთოდისთვის, თუკი სათანადო კვლევების საფუძველზე დაასაბუთებენ, რომ ასეთი გამოყენება არ არის, ან მხოლოდ მცირედ სარისკოა ადამიანებისთვის და გარემოსთვის და რომ ნივთიერების გამოყენებასთან დაკავშირებული სოციო-ეკონომიკური სარგებლის გამო ეს რისკი გამართლებულია.

ქიმიური ნივთიერებების შესახებ მწარმოებლებისა და იმპორტიორების მიერ ევროკომისიისთვის მიწოდებული მთელი ინფორმაცია საგანგებო საჯარო რეესტრებში იყრის თავს. დღეისთვის ესენია:

- არსებულ²¹¹ კომერციულ ქიმიურ ნივთიერებათა ჩამონათვალი/რეესტრი, ე.წ. EINECS²¹², რომელიც დღეისათვის 100204 ნივთიერებას მოიცავს;
- 92/32/EEC დირექტივის მოთხოვნათა მიხედვით "ნოტიფიცირებულ ქიმიურ ნივთიერებათა" ჩამონათვალი ELINCS²¹³. იგი დღეს 4381 ნივთიერებას მოიცავს;
- 793/93 რეგულაციის მიხედვით შედგენილი იმ ქიმიურ ნივთიერებათა ჩამონათვალი, რომელიც დიდი მოცულობით (ანუ წელიწადში 1000 ტონაზე მეტი) იწარმოება ან იმპორტირდება ევროკავშირში (ე.წ. HPVCs²¹⁴) ან მცირე მოცულობით (ანუ წელიწადში 10-დან 1000 ტონამდე) იწარმოება ან იმპორტირდება ევროკავშირში (ე.წ. LPVCs²¹⁵). HPVCs ჩამონათვალში დღეისათვის 2782 ნივთიერებაა, LPVCs ჩამონათვალში _ 7829 ნივთიერება;
- 793/93 რეგულაციის მიხედვით დადგენილი პრიორიტეტული ნივთიერებების სია და მათთან დაკავშირებული რისკების შეფასების მდგომარეობა და საბოლოო ანგარიშები, რომელიც რისკის შეფასების მიდევნების ონლაინ-სისტემაში, ე.წ. ORATS²¹⁶-შია განთავსებული;
- 793/93 რეგულაციით გათვალისწინებული პრიორიტეტული ნივთიერებების რისკის შეფასების პროგრამის ფარგლებში მეწარმეების მიერ მოწოდებული ტექნიკური დოსიეების ამონაკრებებისგან შემდგარი ქიმიკატების ერთიანი საერთაშორისო მონაცემთა ბაზა, ე.წ. IUCLID²¹⁷. დღეისათვის IUCLID ბაზა 2604 ნივთიერების შესახებ ინფორმაციას შეიცავს.

ამჟამად ყველა მითითებული საინფორმაციო ბაზა და რეესტრი თავისუფლად ხელმისაწვდომია ქიმიურ ნივთიერებათა ევროპული საინფორმაციო სისტემის²¹⁸ საიტზე <http://ecb.jrc.ec.europa.eu/esis/>. აქ საჯაროა შემდეგი ინფორმაცია:

²¹¹ იგულისხმება ნივთიერებები, რომელიც ევროკავშირის ბაზარზე 1981 წლის 18 სექტემბრამდე (ანუ 79/831/EEC დირექტივის მოთხოვნათა ძალაში შესვლამდე) არსებობდა.

²¹² The European Inventory of Existing Commercial Chemical Substances

²¹³ European List of Notified Chemical Substances

²¹⁴ High Production Volume Chemicals

²¹⁵

²¹⁷ International Uniform Chemical Database. საინტერესოა, რომ ბაზის საინფორმაციო უზრუნველყოფისთვის ევროკომისიის მიერ შეიქმნა სათანადო პროგრამული უზრუნველყოფა, ე.წ. Hedset (Harmonised Electronic DataSET software package), რომელიც მეწარმეებს უფასოდ მიეწოდებათ.

²¹⁸ European Chemical Substances Information System (ESIS)

- ნივთიერების ყველა შესაძლო დასახელება და აღნიშვნა სხვადასხვა ევროპულ ენებზე; სიმბოლოები და წარწერები, რომელიც მითითებული უნდა იყოს ნივთიერების ეტიკეტზე;
- ნივთიერების მწარმოებელი/იმპორტიორი ფირმების დასახელება და ქვეყანა;
- შედის თუ არა ნივთიერება მაღალი ან დაბალი მოცულობით წარმოებულ ნივთიერებათა ჩამონათვალში;
- არის თუ არა ნივთიერება პრიორიტეტული; ჩატარდა ან მიმდინარეობს თუ არა მისი რისკის შეფასება და რომელი ქვეყნის მიერ; აგრეთვე რისკის შეფასების ანგარიში.

6.1.9.3 ევროპული სისტემის ტრანსპოზიციის მცდელობანი ქართულ კანონმდებლობაში

საქართველოს კანონი "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ" (იხ. სექცია 6.2.8) შეიცავს მთელ რიგ დებულებებს, რომელიც ქიმიურ ნივთიერებათა რეგისტრაციას, შეფასებას და ბრუნვაში დაშვებას ან შეზღუდვას ემსახურება. თუმცა კანონის ამ დებულებებს არასოდეს უმუშავია. მიზეზები დეტალურად 6.2.8 სექციაშია განხილული.

სასურველია ქიმიურ ნივთიერებათა ბრუნვის ევროპული სისტემების ანალიზის საფუძველზე შემუშავდეს და დაინერგოს საქართველოსთვის გამოსადეგი გამარტივებული მოდელი, რომელიც ერთი მხრივ მოსახლეობისა და გარემოს უსაფრთხოების გონივრულ დონეს უზრუნველყოფს და მეორე მხრივ გაუმართლებელ ტვირთად არ დააწვება არც გადასახადის გადამხდელებს და არც მეწარმეებს.

6.1.10 სამუშაო ადგილებზე ქიმიური უსაფრთხოების მარეგულირებელი საერთაშორისო დოკუმენტები

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას (ILO)²¹⁹ დიდი სამუშაო აქვს გაწეული მომუშავეთა ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად, მათ შორის სამუშაო ადგილებზე მავნე ქიმიურ ნივთიერებათა ზემოქმედებისგან დაცვის კუთხით.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის საბაზო დოკუმენტები სამუშაო ადგილებზე ქიმიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შემდეგია:

- 1977 წლის კონვენცია #148 სამუშაო გარემოს შესახებ²²⁰, რომელიც ადგენს მხარე-ქვეყნების ვალდებულებას დანერგონ ნორმები, რომელიც უზრუნველყოფს მომუშავეთა დაცვას სამუშაო ადგილებზე ჰაერის დაბინძურებისგან, ხმაურისგან და ვიბრაციისგან;
- 1981 წლის კონვენცია #155 სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ²²¹, რომელიც ითხოვს, რომ მხარე-სახელმწიფოებს გააჩნდეთ თანმიმდევრული პოლიტიკა უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველსაყოფად.

გარდა ამისა, ორგანიზაციას მიღებული აქვს მთელი რიგი კონვენციები და რეკომენდაციები სხვადასხვა კონკრეტულ სფეროებში მომუშავე ადამიანთა დასაცავად, ან კონკრეტული რისკებისგან მომუშავეთა დასაცავად. მათ შორის აღსანიშნავია:

²¹⁹ International Labour Organization

²²⁰ Working Environment Convention

²²¹ The Occupational Safety and Health Convention

- 1971 წლის კონვენცია #135 ბენზოლის შესახებ;
- 1986 წლის კონვენცია #162 აზბესტის შესახებ;
- 1990 წლის კონვენცია #170 ქიმიკატების შესახებ;
- 2001 წლის კონვენცია #184 სასოფლო სამეურნეო სამუშაოებისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ²²²;

ქიმიური უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანია აგრეთვე:

- 1947 წლის კონვენცია #81 სამუშაო ადგილის ინსპექტირების შესახებ, რომელიც ავალდებულებს მხარე ქვეყნებს რეგულარულად აკონტროლონ, დაცულია თუ არა სამუშაო ადგილებზე კანონით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნები;
- 1969 წლის კონვენცია # 129 სოფლის მეურნეობაში სამუშაო ადგილის ინსპექტირების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის იგივე ვალდებულებას სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ადამიანთა მიმართ.

საქართველო შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია 1993 წლიდან, თუმცა ქიმიურ ნივთიერებებისგან მომუშავეთა დაცვასთან დაკავშირებული არც ერთი კონვენციის რატიფიკაცია მას ჯერ-ჯერობით არ განუხორციელებია (იხ. ცხრილი 34).

გარდა ამისა, საქართველოში არ მოქმედებს სამუშაო ადგილების სახელმწიფო კონტროლის ან ინსპექტირების სისტემა, რომელიც დასაქმებულთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ნორმების დაცვას შეამოწმებდა. არ არსებობს სახელმწიფო უწყება, რომელსაც ამგვარი პასუხისმგებლობა დაევალებოდა. თუმცა, სამუშაო ადგილებზე ქიმიური უსაფრთხოების რიგ ნორმებს კანონმდებლობა ადგენს (მაგ: სამუშაო ზონის ჰაერში მავნე ნივთიერებების შემცველობის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციებს, იხ. სექცია 6.2.6)

ცხრილი 34. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები, რომელიც დღეისთვის საქართველოს მიერ რატიფიცირებულია

კონვენციის #	კონვენციის მიღების წელი	კონვენციის დასახელება ინგლისურად	კონვენციის დასახელება ქართულად ²²³	რატიფიკაციის თარიღი
29	1930	Forced Labour Convention	იძულებითი შრომის შესახებ	22.06.1997
52	1936	Holidays with Pay Convention	ყოველწლიური ფასიანი შვებულების შესახებ	22.06.1997
87	1948	Freedom of Association and Protection of the Right to Organize Convention	ასოციაციის თავისუფლებისა და ორგანიზაციის დაცვის შესახებ	03.08.1999
88	1948	Employment Service Convention	დასაქმების სამსახურის ორგანიზების შესახებ	11.09.2002
98	1949	Right to Organize and Collective Bargaining	კოლექტიური მოლაპარაკებების ორგანიზებასა და გამართვაზე	22.06.1993

²²² The Safety and Health in Agriculture Convention

²²³ მოყვანილია დასახელებათა ოფიციალური ქართული თარგმანები

		Convention	უფლებათა პრინციპების გამოყენების შესახებ	
100	1951	Equal Remuneration Convention	მამაკაცთა და ქალთა თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ	22.06.1993
105	1957	Abolition of Forced Labour Convention	იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ	23.09.1996
111	1958	Discrimination (Employment and Occupation) Convention	შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ	22.06.1993
117	1962	Social Policy (Basic Aims and Standards) Convention	სოციალური პოლიტიკის მიზნებისა და ნორმების შესახებ	21.10.1997
122	1964	Employment Policy Convention	დასაქმების პოლიტიკის შესახებ	22.06.1993
138	1973	Minimum Age Convention	სამუშაოზე მისაღები მინიმალური ასაკის შესახებ	23.09.1996
142	1975	Human Resources Development Convention	ადამიანური რესურსების პროფესიული ორიენტაციისა და მომზადების შესახებ	22.06.1993
151	1978	Labour Relations (Public Service) Convention	სახელმწიფო სამსახურში დასაქმების პირობების განსაზღვრის პროცედურების და ორგანიზების უფლების დაცვის შესახებ	10.10.2003
163	1987	Seafarers' Welfare Convention	ზღვაში და ნავსადგურებში მეზღვაურთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების შესახებ	22.06.2004
181	1997	Private Employment Agencies Convention	დასაქმების კერძო სააგენტოების შესახებ	27.08.2002
182	1999	Worst Forms of Child Labour Convention	ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრის შესახებ	24.07.2002

6.1.11 ქიმიური ავარიების თავიდან აცილების, მზადყოფნის და რეაგირების მარეგულირებელი საერთაშორისო დოკუმენტები

2003 წელს ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) მიერ "ქიმიურ ნივთიერებთა მდგრადი მართვის ორგანიზაციათაშორისი პროგრამის" (IOMC) ფარგლებში²²⁴ მომზადდა ორი სახელმძღვანელო დოკუმენტი:

- "ქიმიური ავარიების თავიდან აცილების, მზადყოფნისა და რეაგირების სახელმძღვანელო პრინციპები"²²⁵;
- "სახელმძღვანელო პრინციპები უსაფრთხოების ზომების განხორციელების ინდიკატორების სისტემის შემუშავებისთვის"²²⁶

²²⁴ იხ. ზემოთ

²²⁵ OECD Guiding Principles for Chemical Accident Prevention, Preparedness and Response, <http://www.oecd.org/dataoecd/10/37/2789820.pdf>

²²⁶ OECD Guidance on Developing Safety Performance Indicators. ეს დოკუმენტი წარმოადგენს დეტალურ კითხვარს "სახელმძღვანელო პრინციპების" შესრულების შეფასებისთვის

2004 წლის 15 იანვარს ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) საბჭომ მიიღო რეკომენდაცია წვერი-ქვეყნებისთვის, რათა მათ ზემოთ მითითებული დოკუმენტების საფუძველზე განაახლონ და გააუმჯობესონ ქიმიური ავარიების თავიდან აცილების, მზადყოფნისა და რეაგირების ეროვნული პროგრამები.

საქართველო ჯერ-ჯერობით არ არის ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წვერი ქვეყანა. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ორგანიზაცია აერთიანებს 30 წამყვან დემოკრატიულ ქვეყანას (მათ შორის 20 ევროკავშირის წევრია) სასურველი და გამართლებულია საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის დახვეწის მიზნით, სახელმძღვანელოდ, სწორედ აღნიშნული დოკუმენტების გამოყენება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული დოკუმენტები ძირითადად შესაბამისობაშია ევროკავშირის 96/82/EC დირექტივასთან "სახიფათო ნივთიერებებთან დაკავშირებული ავარიების კონტროლის შესახებ" (ე.წ. დირექტივა "სევესო-2").

6.1.11.1 ძირითადი მოთხოვნები

OECD სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით ქიმიური ავარიების მართვა 4 მნიშვნელოვანი სტადიისგან შედგება:

1. პრევენცია,
2. მზადყოფნა,
3. ოპერატიული რეაგირება,
4. შემდგომი რეაგირება (follow-up).

OECD სახელმძღვანელო პრინციპების დოკუმენტში აღწერილია, თუ რა როლი და ფუნქცია აქვს თითოეულ ამ სტადიაზე:

- სამრეწველო სექტორს,
- ხელისუფლებას,
- საზოგადოებას.

კერძოდ, მეწარმის ფუნქციაა:

- იცნობდეს მის საწარმოში არსებულ ყველა ქიმიურ საშიშროებას; ეცადოს მინიმუმამდე დაიყვანოს საშიში ქიმიური ნივთიერებებისა და პროცესების გამოყენება; იყოს უკიდურესად ფრთხილი საწარმოო პროცესის ნებისმიერი ცვლილების განხორციელებისას.
- დანერგოს საწარმოში "უსაფრთხოების კულტურა"; შეიმუშავოს და დანერგოს უსაფრთხოების მართვის სისტემა და რეგულარულად ამოწმოს მისი ფუნქციონირება;
- იყოს სრულ მზადყოფნაში ნებისმიერი ავარიისთვის, ანუ გააჩნდეს ავარიაზე რეაგირების დეტალური გეგმები და რეაგირების საშუალებები; ავარიის შემთხვევაში იმოქმედოს ამ გეგმების შესაბამისად.

სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციაა, მეწარმეთათვის შესაბამისი მოთხოვნების დადგენა და მათი შესრულების ეფექტური კონტროლი. კერძოდ,

1. სახელმწიფომ უნდა დაავალდებულოს სახიფათო სამრეწველო ობიექტის ოპერატორები, რათა მათ:
 - შეიმუშავონ და დანერგონ უსაფრთხოების მართვის სისტემები;

- რეგულარულად წარადგინონ უსაფრთხოების დეკლარაციები;
- შეიმუშავონ ავარიებზე შიდა რეაგირების გეგმები და იქონიონ მათი განხორციელებისთვის საჭირო რესურსები;

(ყველა ეს მოთხოვნა უნდა იყოს დეტალურად გაწერილი და საჭიროების შემთხვევაში მეწარმეს უნდა ჰქონდეს განმარტებების მიღების საშუალება)

2. სახელმწიფომ უნდა განხორციელოს ამ მოთხოვნათა სათანადოდ შესრულების კონტროლი. ამისთვის:

- უნდა განხორციელდეს სახიფათო ობიექტების აღრიცხვა;
- არსებობდეს მოთხოვნათა შესრულების მაკონტროლებელი ორგანო, სათანადო რესურსებით;
- ხორციელდებოდეს ყველა სახიფათო ობიექტის რეგულარული და სამართლიანი ინსპექტირება;
- არსებობდეს მოთხოვნათა დარღვევის აღმოჩენაზე ეფექტური რეაგირების მექანიზმები

გარდა ამისა, საწარმოებიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მთავრობამ უნდა შეიმუშავოს ქიმიურ ავარიებზე რეაგირების ე.წ. "ობიექტს-გარე გეგმები", რომელშიც გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა საშიშ საწარმოთა ტერიტორიული ურთიერთგანთავსება და შესაძლო კუმულაციური ეფექტი. გარდა ამისა, ეს გეგმა ინტეგრირებული უნდა იყოს ბუნებრივ კატასტროფებზე რეაგირების გეგმებთან, ვინაიდან ბუნებრივი კატასტროფული მოვლენები ქიმიური ავარიების გამომწვევი ან გამაძლიერებელი ფაქტორი შეიძლება იყოს. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საკმარისი რესურსის არსებობა (ან სწრაფი მობილიზების მექანიზმი) ავარიებზე რეაგირების გეგმის განსახორციელებლად.

6.1.11.2 დოკუმენტების განხორციელება საქართველოში

საქართველოში ქიმიური ავარიებისადმი მზადყოფნისა და რეაგირების საკითხები რამოდენიმე კანონით რეგულირდება. ესენია: კანონი "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ" (სექცია 6.2.8), "ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ" (სექცია 6.2.17.5), "საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ" (სექცია 6.2.7).

ქიმიურ ავარიათა მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობის ძირითადი ნაკლოვანებებია:

- საშიშ საწარმოთა რეესტრი ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციაში წარმოებს ისეთი ფორმით, რომელიც გამოუდგარია სხვა უწყებების მიერ გამოსაყენებლად (მ.შ. საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების გეგმების შესადგენად).
- საქართველოს კანონმდებლობა უსაფრთხოების მართვის სიტემებს არ იცნობს. მის სანაცვლოდ გათვალისწინებულია უსაფრთხოების შიდასაწარმოო კონტროლი სპეციალური პირის ან სამსახურის მხრიდან. თუმცა სახელმწიფოს მიერ არ არის დადგენილი ამ კონტროლის განხორციელების დეტალური წესები. გარდა ამისა, უსაფრთხოების წესები, რომელთა დაცვა საწარმოო კონტროლმა უნდა შეამოწმოს, საქართველოში სულ რამოდენიმე ტიპის საწარმოსთვის არის დადგენილი.
- კანონმდებლობა არ განმარტავს უსაფრთხოების დეკლარაციის ფორმას, შინაარსს, შედგენისა და წარდგენის წესებს.

- კანონმდებლობა არ შეიცავს საშიშ საწარმოთა მიერ ავარიების ან საგანგებო სიტუაციების დროს მოქმედებების გეგმების შედგენის ინსტრუქციებსა და წესებს.
- კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საშიშ საწარმოთა მიერ ავარიებისთვის/საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნის მოთხოვნების კონტროლს.
- არც ერთ საჯარო ორგანოს არ ევალება ავარიებზე/საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების კონკრეტული, ტერიტორიული გეგმების მომზადება, სადაც კონკრეტული სახიფათო საწარმოების ურთიერთგანთავსება და შესაძლო კუმულაციური ეფექტი, აგრეთვე ავარიებზე რეაგირების ამ საწარმოებში არსებული და დამატებით საჭირო რესურსები იქნებოდა გათვალისწინებული.

დეტალებისთვის იხ. სექცია 3.6.

6.2 ქიმიური ნივთიერებების მართვასთან დაკავშირებული კანონები და კანონქვემდებარე აქტები

6.2.1 კანონი "ნიადაგების დაცვის შესახებ"

6.2.1.1 რომელ ნივთიერებებს ეხება

კანონი ეხება სასუქებს და ქიმიურ მელიორანტებს, აგრეთვე, სხვა ქიმიურ ნივთიერებებს, რომლითაც შესაძლოა ნიადაგი დანაგვიანდეს.

6.2.1.2 კანონის მიღების და ცვლილებების თარიღი

კანონი მიღებულია 1994 წლის 12 მაისს (გამოქვეყნებულია 1994 წლის #18 "საქართველოს პარლამენტის უწყებებში"). ცვლილებები შევიდა 1997 წლის 16 სექტემბრის #846 და 2002 წლის 19 ნოემბრის #1751 კანონებით.

6.2.1.3 კანონით დადგენილი ვალდებულებები და ადმინისტრაციული პროცედურები

კანონი კრძალავს ისეთი სასუქების და ქიმიური მელიორანტების გამოყენებას, რომლებიც²²⁷:

- არ არის გამოცდილი საქართველოს პირობებში, აგრეთვე,
- არ აქვს გავლილი ნიადაგურ-ეკოლოგიური ექსპერტიზა, და არ არის შემოწმებული, რეგისტრირებული და ნებადართული შესაბამისი სახელმწიფო უწყების მიერ

6.2.1.4 კანონის დაცვის კონტროლის და დარღვევაზე რეაგირების პროცედურები

იხ. სექცია 6.2.10.5

6.2.2 კანონი "მავნე ორგანიზმებისგან მცენარეთა დაცვის შესახებ"

6.2.2.1 რომელ ნივთიერებებს არეგულირებს

კანონი ეხება მცენარეთა დაცვის საშუალებებს (პესტიციდებს).

²²⁷ კანონი "ნიადაგის დაცვის შესახებ", მუხლი 4, პუნქტი 1, ქვეპუნქტი "კ"

6.2.2.2 კანონის მიღების და ცვლილებების თარიღი

კანონი მიღებულია 1994 წლის 12 ოქტომბერს (გამოქვეყნდა 1994 წლის #21-22 "საქართველოს პარლამენტის უწყებებში"). ცვლილებები შეტანილია 1997 წლის 16 სექტემბრის #846, 1999 წლის 16 აპრილის #1890, 2005 წლის 24 ივნისის #1785, 2005 წლის 28 დეკემბრის #2574, 2006 წლის 29 დეკემბრის #4236 და 2007 წლის 29 ივნისის #5118 კანონებით.

6.2.2.3 კანონით დადგენილი ადმინისტრაციული პროცედურები

კანონი ადგენს, რომ:

- მცენარეთა დაცვის საშუალებების წარმოება და გამოყენება დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შეტანილია (რეგისტრირებულია) ნებადართული პრეპარატების სიაში²²⁸.
- მცენარეთა დაცვის საშუალებების შენახვა დაშვებულია მხოლოდ "შესაბამისი უწყების მიერ" გაცემული პასპორტის მქონე სათავსებში²²⁹, თუმცა ამგვარი პასპორტის გაცემის პროცედურები დადგენილი არ არის²³⁰.
- მცენარეთა დაცვის საშუალებების ტრანსპორტირება დაიშვება მხოლოდ "იმ სპეციალური სატრანსპორტო საშუალებებით და ტარით, რომლებიც აკმაყოფილებს უსაფრთხოების ნორმებით დადგენილ მოთხოვნებს"²³¹.
- მიწათმოსარგებლეები ვალდებული არიან დაიცვან პესტიციდების გამოყენების, ტრანსპორტირების და შენახვის ნორმები, რეგლამენტი და ტექნოლოგია, აგრეთვე აწარმოონ პესტიციდების ხარჯის, ტრანსპორტირების და შენახვის მკაცრი აღრიცხვა²³².
- ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან არ დაუშვან პესტიციდებით მცენარეული პროდუქციისა და გარემოს დაბინძურება, მათი მავნე ზემოქმედება ადამიანთა და ცხოველთა ჯანმრთელობაზე²³³.

6.2.2.4 კანონის დაცვის კონტროლის და დარღვევაზე რეაგირების პროცედურები

იხ. სექცია 6.2.10.5

6.2.3 კანონი "საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ"

6.2.3.1 რომელ ნივთიერებებს ეხება

ქიმიური ნივთიერებების სფეროდან კანონი ეხება ქიმიური ნივთიერებების ნარჩენებს.

6.2.3.2 კანონის მიღების და ცვლილებების თარიღი

²²⁸ კანონი "მავნე ორგანიზმებისგან მცენარეთა დაცვის შესახებ", მუხლი 7

²²⁹ იქვე, მუხლი 8

²³⁰ თუმცა დადგენილია, რომ მცენარეთა დაცვის საშუალებების საცავების მოსაწყობად გარემოზე ზემოქმედების ნებადართაა საჭირო. იხ. სექცია 6.2.20

²³¹ კანონი "მავნე ორგანიზმებისგან მცენარეთა დაცვის შესახებ", მუხლი 8

²³² იქვე, მუხლი 9

²³³ იქვე, მუხლი 9, 9¹

კანონი მიღებულია 1995 წლის 8 თებერვალს. ცვლილება შევიდა 1997 წლის 16 ოქტომბერს #957 კანონით.

6.2.3.3 კანონის ძირითადი დებულებები

კანონის მიხედვით საქართველოში დაშვებულია მხოლოდ არასახიფათო და არარადიკალური ნარჩენების იმპორტი, კერძოდ კი იმ ნარჩენებისა, რომელიც ევროგაერთიანების საბჭოს 259/93 რეგულაციით დადგენილი "ნარჩენების მწვანე სიის" GA, GH, GI, GJ, GN, GL, GE კატეგორიებს მიეკუთვნებიან²³⁴. ამ ნარჩენების იმპორტი დაიშვება მხოლოდ მათი შემდგომი გადამუშავების, რეექსპორტის ან სხვა მიზნით, რომელიც ბაზელის კონვენციის მე-4 დანართით არის განსაზღვრული როგორც "ნარჩენებთან დაკავშირებული განთავსების ოპერაციათა B ჯგუფი"²³⁵.

ბაზელის კონვენციის ტექსტის მიხედვით, ეს არის საქმიანობები, რომელთა მიზანია მასალის აღდგენა ნარჩენისგან, ან ნარჩენის უშუალო ხელახალი გამოყენება პირველადი ან განსხვავებული დანიშნულებით. კერძოდ, ეს საქმიანობებია:

- ნარჩენის გამოყენება საწვავად (მაგრამ არა უშუალო ინსინერაცია) ან სხვაგვარად ენერგიის საწარმოებლად;
- გამხსნელი ან სხვა ორგანული ნივთიერების, ლითონების ან სხვა არაორგანული მასალების, მჟავების და ფუძეების აღდგენა ნარჩენებიდან;
- კატალიზატორების ან გარემოს დაბინძურების შემცირებისთვის გამოყენებული სხვა მასალების კომპონენტების აღდგენა
- ნახშირი ზეთების ხელახალი გამოხდა ან ხელახალი გამოყენება;
- მიწის ისეთი დამუშავება, რომელიც სასარგებლოა სოფლის მეურნეობისთვის ან ეკოლოგიური წონასწორობისთვის.

ყველა სხვა მიზნით ნარჩენების ტრანზიტს და იმპორტს კანონი კრძალავს²³⁶. ბუნებრივია, მათ შორის ქიმიური ნივთიერებების ნარჩენებისაც.

2006 წლიდან "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" კანონის საფუძველზე მიღებული დებულებით²³⁷ ნარჩენები "შეზღუდულად ბრუნვად მასალებს" მიეკუთვნა და მათ იმპორტსა და ტრანზიტზე "შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის" ნებართვის აღების მოთხოვნა გავრცელდა. ეს ნებართვები გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ უნდა გასცეს. ნებართვის გაცემაზე უარის თქმის ერთ-ერთი საფუძველი მაძიებლის მიერ

²³⁴ კერძოდ ეს ნარჩენებია:

GA - ნარჩენები, რომლებიც შედგება ლითონებისა და ლითონთა შენადნობებისაგან (არადისპერსიულ ფორმაში)

GH - მყარი პლასტმასის ნარჩენები

GI - ქაღალდის, მუყაოსა და ქაღალდის ნაწარმის ნარჩენები

GJ - საფეიქრო ნარჩენები

GN - ტყავის თრიმელის, ბეწვეულის გადამუშავებისა და ტყავის მოხმარების ნარჩენები

GL - დაუმუშავებელი კორპისა და მერქნის ნარჩენები

GE - მინის ნარჩენები არადისპერსიულ ფორმაში

²³⁵ კანონი "საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ", მუხლი 3, პუნქტი 1

²³⁶ იქვე, მუხლი 2, პუნქტი 1

²³⁷ იგულისხმება დებულება "შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესის და პირობების შესახებ", რომელიც დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 სექტემბრის #184 დადგენილებით

კანონით დადგენილი სანებართვო პირობების დაუკმაყოფილებლობა შეიძლება იყოს. არ არსებობს ოფიციალური იურიდიული დასკვნა იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა "საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ" კანონით გარკვეული ტიპის ნარჩენების იმპორტისა და ტრანზიტის სრული აკრძალვა სანებართვო მოთხოვნებად ჩაითვალოს.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ნებართვის გაცემის მარეგულირებელმა დებულებამ სულ 1,5 თვე იმოქმედა (2006 წლის 3 ოქტომბრიდან 22 ნოემბრამდე), რომლის განმავლობაში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მის მიხედვით არც ერთი ნებართვა არ გაუცია. 2006 წლის 22 ნოემბრიდან დებულების მოქმედება შეჩერდა და 2011 წლის 1 ივლისამდე მისი ამოქმედება გათვალისწინებული არ არის.

6.2.3.4 კანონის დაცვის კონტროლის და დარღვევაზე რეაგირების პროცედურები

საქართველოს კანონმდებლობით სახიფათო ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის აკრძალვის დარღვევა სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენს. "საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის" მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე ტოქსიკური სამრეწველო ან საყოფაცხოვრებო ნარჩენის ტრანზიტი ან იმპორტი უტილიზაციის, გაუვნებლობის, გადამუშავების, დამარხვის ან ნებისმიერი სხვა მიზნით, აგრეთვე ყველა სხვა სამრეწველო ან საყოფაცხოვრებო ნარჩენების იმპორტი მათი გაუვნებლების, დაწვის ან დამარხვის მიზნით ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე²³⁸. ამ დანაშაულთა გამოძიება საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების კომპეტენციაში შედის²³⁹.

6.2.4 კანონი "გარემოს დაცვის შესახებ"

6.2.4.1 რომელ ნივთიერებებს ეხება

ქიმიური ნივთიერებებიდან კანონი ეხება:

- მინერალურ სასუქებს
- მცენარეთა დაცვის საშუალებებს
- ზრდის სტიმულატორებს
- სხვა ქიმიურ საშუალებებს

6.2.4.2 კანონის მიღების და ცვლილებების თარიღი

კანონი მიღებულია 1996 წლის 10 დეკემბერს (გამოქვეყნებულია 1997 წლის #1-2 "საქართველოს პარლამენტის უწყებებში"). ცვლილებები შევიდა 2000 წლის 30 ივნისის #465ა, 2003 წლის 6 ივნისის #2383 და 2007 წლის 14 დეკემბრის # 5604 კანონებით.

²³⁸ "საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 234

²³⁹ "საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 62

6.2.4.3 აქტით დადგენილი ადმინისტრაციული პროცედურები ქიმიურ ნივთიერებათა სფეროში

კანონის მიხედვით, დაწყებული 2008 წლის 1 იანვრიდან, საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის ბრძანებით ყოველ 5 წელიწადში უნდა დადგინდეს²⁴⁰:

- მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის, ზრდის სტიმულატორების და სხვა ქიმიური საშუალებების გარემოში გამოყენების ნორმები.
- გარემოში ქიმიურ საშუალებათა ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების წესები

6.2.4.4 კანონის საფუძველზე გამოცემული მოქმედი ნორმატიული აქტები

ქიმიური ნივთიერებების გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებით კანონის საფუძველზე გამოცემულია შემდეგი კანონქვემდებარე აქტი:

- "გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ" (დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს #297/ნ ბრძანებით, ცვლილებები შესულია 2003 წლის 24 თებერვლის #38, 2006 წლის 15 სექტემბრის #251 და 2007 წლის 17 დეკემბრის #351 ბრძანებებით). აქტი ადგენს ადამიანის ჯანმრთელობისა და ბუნებრივი გარემოსათვის მავნე ნივთიერებების კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვებ ნორმებს ატმოსფერულ ჰაერში, წყალსა და ნიადაგში.

6.2.4.5 კანონის დაცვის კონტროლის და დარღვევაზე რეაგირების პროცედურები

პესტიციდებსა და აგროქიმიკატებთან დაკავშირებით იხ. სექცია 6.2.10.5.

გარემოსათვის საშიში სხვა ნივთიერებების ტრანსპორტირების, შენახვის ან გამოყენების წესის დარღვევა, თუ ამას შეეძლო გამოეწვია ადამიანის ჯანმრთელობის ან გარემოს არსებითი დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი, წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს და ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე²⁴¹, ხოლო თუ ქმედებამ აღწერილი ზიანი რეალურად გამოიწვია, იგი ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამიდან ხუთ წლამდე²⁴². ხოლო ნებისმიერი სამრეწველო ან სასოფლო-სამეურნეო ობიექტის ექსპლუატაციისას გარემოს დაცვის წესის დარღვევა, თუკი ამან ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება, ცხოველთა ან მცენარეული სამყაროს მასობრივი განადგურება ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე²⁴³. ასეთ კანონდარღვევებს იძიებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, გარემოს დაცვის ინსპექციის გამომძიებელი²⁴⁴.

6.2.4.6 კანონის საფუძველზე შექმნილი მონაცემთა ბაზები

კანონის მიხედვით, ქიმიურ ნივთიერებათა ოპტიმალური გამოყენების, მოხმარების, მათ გამოყენებასთან დაკავშირებული რისკის შემცირების, აღრიცხვისა და კონტროლის მიზნით უნდა შედგეს ქიმიურ ნივთიერებათა ერთიანი სახელმწიფო რეესტრი²⁴⁵. დღესდღეობით იგი შექმნილი არ არის (იხ. სექცია 6.2.9.6).

²⁴⁰ კანონი "გარემოს დაცვის შესახებ", მუხლი 31

²⁴¹ "საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი", მუხლი 288, ნაწილი 1

²⁴² იქვე, ნაწილი 2

²⁴³ "საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი", მუხლი 287

²⁴⁴ იქვე, მუხლი 62, პუნქტი 6

²⁴⁵ კანონი "გარემოს დაცვის შესახებ", მუხლი 31

6.2.5 კანონი "წყლის შესახებ"

6.2.5.1 რომელ ნივთიერებებს ეხება

ქიმიკატებიდან კანონი ეხება ყველა იმ ნივთიერებას, რომელმაც ბუნებრივი წყლის ობიექტი შეიძლება დააბინძუროს.

6.2.5.2 კანონის მიღების და ცვლილებების თარიღი

კანონი მიღებულია 1997 წლის 17 ოქტომბერს (ძალაშია 1997 წლის 25 ნოემბრიდან). ცვლილებები შევიდა 2000 წლის 30 ივნისის #465ა, 2003 წლის 7 მაისის #2192, 8 მაისის #2279, 6 ივნისის #2365, 2004 წლის 16 სექტემბრის #445, 29 დეკემბრის #863, 2005 წლის 28 დეკემბრის #2569 და 2006 წლის 25 მაისის #3161 კანონებით.

6.2.5.3 აქტით დადგენილი ადმინისტრაციული პროცედურები

კანონი კრძალავს წყლის ობიექტებში რაიმე სახის ნარჩენების (მათ შორის ქიმიური ნივთიერებების ნარჩენების) ჩაყრას²⁴⁶. წყლის ტრანსპორტის, მილსადენების, წყლის ობიექტებზე არსებული მცურავი და სხვა ნაგებობების მფლობელნი, აგრეთვე სხვა ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან არ დაუშვან წყლის გაბინძურება და დანაგვიანება ქიმიური, ნავთობის, მინერალური და ორგანული სასუქების, შხამქიმიკატების და სხვა პროდუქტების დანაკარგებით²⁴⁷. მიწის მესაკუთრეები და მოსარგებლეები კი ვალდებული არიან არ დაუშვან წყლის გაბინძურება მინერალური და ორგანული სასუქებით და შხამქიმიკატებით²⁴⁸.

6.2.5.4 კანონის დაცვის კონტროლის და დარღვევაზე რეაგირების პროცედურები

წყლის ტრანსპორტიდან, მილსადენებიდან, წყლის ობიექტებზე არსებული მცურავი და სხვა ნაგებობებიდან წყლის დაბინძურება ან დანაგვიანება ქიმიური ნივთიერებებით, ნავთობით, მინერალური და ორგანული სასუქებით და შხამქიმიკატებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს და იწვევს დაჯარიმებას სამასიდან ექვსას ლარამდე²⁴⁹. სამართალდარღვევის საქმეს იხილავს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოს დაცვის ინსპექცია.

წყლის ობიექტის ისეთი დაბინძურება, რომელიც წყლის ქიმიური და ბიოლოგიური თვისებების გაუარესებას იწვევს, სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენს და ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ერთ წლამდე ვადით ან თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე ვადით. თუ ამ ქმედებამ ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება, ან ცხოველთა ან მცენარეული სამყაროს მასობრივი განადგურება გამოიწვია, ან იგი ჩადენილი იქნა სახელმწიფო ნაკრძალის ან აღკვეთილის ტერიტორიაზე, იგი ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე. ხოლო თუ ქმედების შედეგად ადამიანი დაიღუპა ან სხვა მძიმე შედეგი დადგა, იგი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე²⁵⁰. საქმეს იძიებს გარემოსა

²⁴⁶ კანონი "წყლის შესახებ", მუხლი 15, პუნქტი 1

²⁴⁷ იქვე, პუნქტი 4

²⁴⁸ იქვე, პუნქტი 8

²⁴⁹ "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 58

²⁵⁰ "საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი", მუხლი 292

და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოს დაცვის სამსახურის გამომძიებელი.

6.2.6 კანონი "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ"

6.2.6.1 რომელ ნივთიერებებს ეხება

ქიმიური ნივთიერებების სფეროდან კანონი ეხება:

- ნებისმიერ ქიმიურ ნივთიერებას, რომლითაც შეიძლება დაბინძურებული იყოს საკვები პროდუქტი;
- სადეზინფექციო, სადეზინსექციო და სადერატიზაციო საშუალებებს.

6.2.6.2 კანონის მიღების და ცვლილებების თარიღი

კანონი მიღებულია 1997 წლის 10 დეკემბერს. ცვლილებები შევიდა 1999 წლის 28 მაისის #2013, 9 ივნისის #2088 და 24 დეკემბრის #91, 2000 წლის 24 თებერვლის #162 და 13 დეკემბრის #691, 2001 წლის 25 მაისის #889 და 20 ივნისის #974, 2002 წლის 15 თებერვლის #1296 და 22 ნოემბრის #1768, 2003 წლის 29 იანვრის #1955, 6 ივნისის #2331, 18 ივლისის #2527, 2005 წლის 13 მაისის #1435 და 23 დეკემბრის #2476, 2006 წლის 7 დეკემბრის #3836, 2007 წლის 8 მაისის #4719, 25 მაისის #4816, 8 ივნისის #4921 და 29 ივნისის #5129, 2008 წლის 21 მარტის #6000 კანონებით.

6.2.6.3 კანონის საფუძველზე გამოცემული მოქმედი ნორმატიული აქტები

ქიმიური ნივთიერებების რეგულირების სფეროში კანონის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტებია:

- სანიტარული წესები და ნორმები 2.3.2.00-00 "ჰიგიენური მოთხოვნები სასურსათო ნედლეულისა და საკვები პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოებისადმი" (დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს #301/ნ ბრძანებით)²⁵¹
- ჰიგიენური მოთხოვნები ჩამოსასხმელი სასმელი წყლის ხარისხისადმი (დამტკიცებულია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 27 ნოემბრის #306/ნ ბრძანებით)
- "ქვეყანაში სამედიცინო პროფილაქტიკური სადეზინფექციო საქმიანობის სრულყოფის შესახებ" (დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 19 მარტის #64/ნ ბრძანებით, ცვლილებები შევიდა იმავე მინისტრის 2004 წლის 31 დეკემბრის #363/ნ, 2006 წლის 11 აპრილის #108/ნ, 17 მაისის #131/ნ, 7 აგვისტოს #217/ნ და 18 ოქტომბრის #274/ნ და #275/ნ ბრძანებებით)
- სამუშაო ზონის ჰაერში მავნე ნივთიერებების შემცველობის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები (დამტკიცებულია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 25 დეკემბრის #346/ნ ბრძანებით)
- სამუშაო ზონის ჰაერში ფიბროგენური, შერეული ტიპის აეროზოლებისა და ლითონების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები (დამტკიცებულია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 18 სექტემბრის #262/ნ ბრძანებით)
- პროფესიული დაავადებების ნუსხა და იმ პროფესიული საქმიანობების ჩამონათვალი, რომელთაც თან ახლავს პროფესიული დაავადებების განვითარების რისკი

²⁵¹ აქტი გამოცემულია "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" კანონის 70-ე მუხლის და "სურსათისა და თამბაქოს შესახებ" კანონის მე-6 მუხლის საფუძველზე

(დამტკიცებულია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 13 ივლისის #216/ნ ბრძანებით).

6.2.6.4 აქტით დადგენილი ადმინისტრაციული პროცედურები

კანონის მიხედვით:

- სანიტარული წესების შესრულება სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე²⁵².
- ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებები შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე ხორციელდება²⁵³.

ზემოთ მითითებული კანონქვემდებარე აქტები ქიმიური ნივთიერებების მართვის სფეროში შემდეგ ადმინისტრაციულ პროცედურებს აფუძნებს:

- "ჰიგიენური მოთხოვნები სასურსათო ნედლეულისა და საკვები პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოებისადმი" სანიტარული წესები და ნორმების მიხედვით რეგლამენტირდება რიგი პესტიციდების (ჰექსაქლორციკლოჰექსანი, დდტ და მისი მეტაბოლიტები, ნიტრატები, ნიტროზამინები, ბენზაპირები, აფლატოქსინები, დეზოქსინივალენოლი, ოქსიმეთილფურფუროლი, პატულინი) ნაშთების შემცველობა საკვებ პროდუქტებში. "ჩამოსასხმელი სასმელი წყლის ხარისხისადმი წაყენებული სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნებით" კი დგინდება ჰიგიენური მოთხოვნები ჩამოსასხმელ წყალთან კონტაქტში მყოფი მასალებისადმი და წყლის დამუშავების მეთოდებისადმი.
- "ქვეყანაში სამედიცინო პროფილაქტიკური სადეზინფექციო საქმიანობის სრულყოფის შესახებ" ბრძანებით დგინდება:
 - o სადეზინფექციო, სადეზინსექციო და სადერატიზაციო საშუალებების რეგისტრაციის წესი და პროცედურა
 - o რეგისტრირებული სადეზინფექციო, სადეზინსექციო და სადერატიზაციო საშუალებების სია
 - o სადეზინფექციო, სადეზინსექციო და სადერატიზაციო საშუალებების გამოყენების წესები
- ნორმატიული აქტები, რომლითაც დგინდება სამუშაო ზონის ჰაერში მავნე ნივთიერებების და ფიბროგენული, შერეული ტიპის მოქმედების აეროზოლების და ლითონების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები გამოიყენება მომუშავეთა სამუშაო პირობების შესამოწმებლად და პროფესიული რისკის დონის დასადგენად, პროფილაქტიკური ღონისძიებების გასატარებლად და მუშის სოციალურად დაცვის ღონისძიებების დასასაბუთებლად, აგრეთვე პროფდაავადებათა და მოწამვლების შემთხვევათა გამოსაკვლევად. ცალკე აქტით დადგენილია აგრეთვე პროფესიული დაავადებების გამომწვევი მავნე ფაქტორების (მ.შ. ქიმიური ფაქტორების) ნუსხა და შესაბამისი სარისკო პროფესიების ჩამონათვალი.

6.2.6.5 კანონის დაცვის კონტროლის და დარღვევაზე რეაგირების პროცედურები

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წამოადგენს და იწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 50 ლარით, ხოლო იურიდიული

²⁵² კანონი "ჯანმრთელობის შესახებ", მუხლი 72.

²⁵³ კანონი "ჯანმრთელობის შესახებ", მუხლი 75

პირის – 100 ლარით²⁵⁴. სამართალდარღვევას იხილავენ და სახდელს ადებენ სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოები და დაწესებულებები (ან მათი სახელით ქალაქების ან რაიონების მთავარი სანიტარული ექიმები)²⁵⁵. თუმცა 2006 წლიდან სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ცენტრალური ინსპექცია და მისი ტერიტორიული ორგანოები გაუქმებულია. შესაბამისად, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევაზე რეაგირების მექანიზმი საქართველოში დღესდღეობით არ არსებობს.

6.2.6.6 კანონის საფუძველზე შექმნილი მონაცემთა ბაზები

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შექმნილია რეგისტრირებული სადეზინფექციო, სადეზინსექციო და სადერატიზაციო საშუალებების სია. სიაში შესულია 122 სადეზინფექციო, 15 სადეზინსექციო და 8 სადერატიზაციო საშუალება. მითითებულია აგრეთვე ამ საშუალებების მწარმოებელი სუბიექტების (ფირმების) დასახელება. სია განთავსებულია დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (სექცია 5.1.6) ვებ-გვერდზე: www.ncdc.ge. აქვე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია:

- სადეზინფექციო საშუალების გამოყენების სფერო, წესები და პირობები;
- მიკრობიოლოგიური მოქმედება;
- გამოყენების მეთოდი;
- სამუშაო ხსნარის მომზადება;
- ძირითადი მოქმედი ნივთიერება.

6.2.7 კანონი "საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ"

6.2.7.1 ქიმიურ ნივთიერებათა მართვის რომელ ეტაპს ეხება

ქიმიური ნივთიერებების მართვის სფეროდან კანონი ეხება საწარმოებს, დაწესებულებებს ან ორგანიზაციებს, სადაც მიიღება, გამოიყენება, გადამუშავდება, წარმოიქმნება, ინახება, ტრანსპორტირდება ან ნადგურდება საშიში ქიმიური ნივთიერებები (კანონში განმარტებულია, თუ რა ტიპის ნივთიერებები მიიჩნევა საშიშად. იხ. ცხრილი 35).

6.2.7.2 კანონის მიღების და ცვლილებების თარიღი

კანონი მიღებულია 1997 წლის 10 დეკემბერს. ცვლილებები შევიდა 2000 წლის 29 ივნისის #441, 2001 წლის 2 მარტის #763, 2002 წლის 7 მაისის #1391, 2002 წლის 25 დეკემბრის #1855, 2005 წლის 22 მარტის #1127, 2006 წლის 25 მაისის #3174, 10 ნოემბრის #3642, 24 ნოემბრის #3766, 29 დეკემბრის #4294, 2007 წლის 5 ივნისის #4862 და 8 ივნისის #4923 კანონებით.

6.2.7.3 კანონის საფუძველზე გამოცემული მოქმედი ნორმატიული აქტები

ქიმიურ ნივთიერებების მართვის სფეროში კანონის საფუძველზე გამოცემული მოქმედი ნორმატიული აქტებია:

- საქართველოში ავტოტრანსპორტის აირის საწვავზე გადაყვანის თაობაზე (დამტკიცებულია ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსის 2000 წლის 28 მარტის N11

²⁵⁴ "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 43

²⁵⁵ იქვე, მუხლი 221

ბრძანებით, ცვლილებები შევიდა ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსის 2000 წლის 18 ოქტომბრის #32 ბრძანებით და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 29 ივნისის #1-1/571 ბრძანებით);

- საშიშ საწარმოო ობიექტზე გამოყენებული ტექნიკური მოწყობილობის და ნაკეთობის (პროდუქციის) სერტიფიკაციის სისტემის ცენტრალური ორგანოს შესახებ (დამტკიცებულია ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსის 2001 წლის 27 ივნისის N14 ბრძანებით);
- უსაფრთხოების წესები გაზის მეურნეობაში (დამტკიცებულია ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსის 2002 წლის 28 მარტის N8 ბრძანებით);
- საშიში საწარმოო ობიექტის ტექნიკური უსაფრთხოების ექსპერტიზის ჩატარების წესი (დამტკიცებულია ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსის 2003 წლის 17 ივლისის N20 ბრძანებით);
- დებულება საშიშ საწარმოო ობიექტებზე უბედური შემთხვევის გარეშე მომხდარი ავარიების ტექნიკური გამოკვლევისა და აღრიცხვის შესახებ (დამტკიცებულია ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსის 2003 წლის 17 ივლისის N21 ბრძანებით);
- საშიში საწარმოო ობიექტის სახელმწიფო რეესტრის წარმოებისა და რეგისტრაციის წესი (დამტკიცებულია ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსის 2003 წლის 17 ივლისის N22 ბრძანებით);
- დებულება საშიშ საწარმოო ობიექტთან დაკავშირებული საქმიანობის სანებართვო მოწმობის ფორმის თაობაზე (დამტკიცებულია ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსის 2003 წლის 21 ოქტომბრის N35 ბრძანებით);
- უსაფრთხოების წესები ბუნებრივ გაზზე მომუშავე საავტომობილო გაზსაცემები საკომპრესორო სადგურებისათვის (დამტკიცებულია ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსის 2003 წლის 19 ნოემბრის N37 ბრძანებით);
- დებულება საშიში საწარმოო ობიექტების (სადაც სრულდება ღია სამთო სამუშაოები) უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2006 წლის 10 მარტის #53 დადგენილებით);
- საამფეთქებლო სამუშაოების უსაფრთხოების წესები (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2006 წლის 16 მაისის #95 დადგენილებით);
- სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების დანაკლისის ტექნიკური გამოკვლევისა და აღრიცხვის ინსტრუქცია (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2006 წლის 16 მაისის #95 დადგენილებით);
- ფეთქებადი მასალების სახელმწიფო რეესტრის წარმოებისა და რეგისტრაციის ინსტრუქცია (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2006 წლის 16 მაისის #95 დადგენილებით);
- მადნეული და არამადნეული სასარგებლო წიაღისეულის სამსხვრევ-სახარისხებელი, მამდიდრებელი, სააგლომერაციო და მომგუნდავებელი ფაბრიკების უსაფრთხოების წესები (დამტკიცებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 17 აპრილის #609 ბრძანებით);
- ატრაქციონების უსაფრთხოების წესები (დამტკიცებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 14 მაისის #753 ბრძანებით);
- დებულება ტექნიკური უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანიზებისა და განხორციელების შესახებ (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2007 წლის 8 ნოემბრის #243 დადგენილებით);
- ფეროშენადნობთა წარმოების უსაფრთხოების წესები (დამტკიცებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 16 იანვრის #58 ბრძანებით);
- ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების წესები (დამტკიცებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 დეკემბრის #2935 ბრძანებით, ცვლილება შევიდა 2009 წლის 13 თებერვლის #294 ბრძანებით);

6.2.7.4 კანონით დადგენილი ადმინისტრაციული პროცედურები

კანონი "საშიში ქიმიური ნივთიერებებს" "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ" (იხ. სექცია 6.2.8) კანონისგან განსხვავებულად განსაზღვრავს (შედარებისთვის იხ. ცხრილი 38).

ცხრილი 35. საშიში ქიმიური ნივთიერებები "საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ" კანონის მიხედვით²⁵⁶

კლასი	განმარტება
აალებადი ნივთიერებები	აირები, რომლებიც აალებადი ხდებიან ნორმალური წნევის პირობებში ჰაერთან შერევისას
მჟანგველი ნივთიერებები	ნივთიერებები, რომლებიც ხელს უწყობენ ან იწვევენ სხვა ნივთიერებების წვას
წვადი ნივთიერებები	სითხეები, აირები ან მტვერი, რომელიც: • თვითაალებადია; • აალებს გარეშე წყაროსგან და აგრძელებს წვას მისი მოშორების შემდეგ.
ფეთქებადი ნივთიერებები	ნივთიერებები, რომელთაც გარკვეული სახის გარე ზემოქმედებისას უნარი აქვთ თვითგაფრცხლდნენ და განიცადონ ძალზე სწრაფი ქიმიური გარდაქმნა სითბოსა და აირის გამოყოფით
ტოქსიკური ნივთიერებები	ქიმიური ან ბიოლოგიური ნივთიერებანი, მათი შენაერთები ან შენაერთების ნარევი, რომლებსაც თავისი ფიზიკო-ქიმიური თვისებებით შეუძლია მავნე ზემოქმედება მოახდინონ ადამიანის ჯანმრთელობაზე
რადიოაქტიური ნივთიერებები	ბირთვული, რადიაციული ან სხვა მავნე მაიონიზებული გამოსხივების მქონე ნივთიერებები

კანონის მიხედვით ყველა საწარმო, სადაც საშიში ქიმიური ნივთიერებების მიღება, წარმოქმნა, შენახვა, ტრანსპორტირება, გამოყენება ან განადგურება ხორციელდება, საშიშ საწარმო ობიექტს წარმოადგენს²⁵⁷.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა საშიში საწარმო ობიექტის შესახებ ინფორმაცია საშიში საწარმო ობიექტების ერთიან სახელმწიფო რეესტრში უნდა იყოს თავმოყრილი²⁵⁸. რეესტრს აწარმოებს საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია. ამისთვის მან საშიში საწარმო ობიექტების იდენტიფიკაცია და აღრიცხვა უნდა განახორციელოს²⁵⁹.

საშიში საწარმო ობიექტის მშენებლობის წინაპირობას ობიექტის (ან განსახორციელებელ სამუშაოთა) პროექტის ტექნიკური უსაფრთხოების ექსპერტიზა წარმოადგენს²⁶⁰. ექსპერტიზას ატარებს და მის შედეგებს ამტკიცებს საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია. ექსპერტიზის ხარჯებს აფინანსებს საწარმო.

²⁵⁶ მუხლი 1, პუნქტი 5გ)

²⁵⁷ კანონი "საშიში საწარმო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ", მუხლი 1, პუნქტი 5გ

²⁵⁸ იქვე, მუხლი 14¹

²⁵⁹ "საშიში საწარმო ობიექტების სახელმწიფო რეესტრის წარმოებისა და რეგისტრაციის წესის შესახებ" დებულება (დამტკიცებული საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსის 2003 წლის 17 ივლისის #22 ბრძანებით), მუხლი 3

²⁶⁰ კანონი "საშიში საწარმო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ", მუხლი 15, პ. 1 და 3

საშიშ საწარმოო ობიექტზე გამოყენებულ ტექნიკურ მოწყობილობას უნდა გააჩნდეს ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნათა შესაბამისობის სერტიფიკატი²⁶¹. მოწყობილობის მწარმოებლის მიერ მოწყობილობის მუშაობისათვის დადგენილი ნორმატიული ვადის გასვლის შემდეგ კი მოწყობილობას აგრეთვე ესაჭიროება ტექნიკური უსაფრთხოების ექსპერტიზა²⁶².

საშიშ საწარმოს ექსპლუატაციაში გაშვებისთვის აუცილებელია ”საშიშ საწარმოო ობიექტის ექსპლუატაციის ნებართვა”²⁶³. ასეთ ნებართვას ორი სხვადასხვა უწყება გასცემს, კერძოდ:

- ნავთობისა და გაზის სექტორში მომუშავე საწარმოებისთვის ნებართვას გასცემს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება: ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტო (ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის დასკვნის საფუძველზე);
- ყველა სხვა საშიშ საწარმოებისთვის ნებართვას გასცემს საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია.

ექსპლუატაციის ფაზაში საშიშ საწარმოები ექვემდებარება რეგულარულ სახელმწიფო ტექნიკურ ზედამხედველობას, რომელსაც იგივე ინსპექცია ახორციელებს.

გარდა გარე კონტროლისა, საშიშ საწარმო ობიექტს უსაფრთხოების შიდა კონტროლის სისტემა უნდა გააჩნდეს. კერძოდ, საწარმოს უნდა გააჩნდეს შიდასაწარმოო კონტროლის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირი ან სამსახური (თუ საწარმოში 500 კაცზე მეტი მუშაობს)²⁶⁴. საწარმოო უსაფრთხოების შიდასაწარმოო კონტროლის მიზანია²⁶⁵:

- წარმოების პირობებში უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა და
- ობიექტის უსაფრთხო მუშაობაზე ზეგავლენის მომხდენი გარემოებებისა და დარღვევების გამოვლენა.

ყველა საშიშ საწარმო ობიექტი ვალდებულია ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციას მოთხოვნისთანავე წარუდგინოს უსაფრთხოების დეკლარაცია²⁶⁶. ამ დეკლარაციის ფორმა და წარდგენის წესი საქართველოს მთავრობის მიერ უნდა იყოს დადგენილი, თუმცა ჯერჯერობით ეს განხორციელებული არ არის.

6.2.7.5 კანონის განხორციელების უზრუნველყოფის პროცედურები

”საშიშ საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ” კანონის და მის ქვემდებარე აქტების მოთხოვნათა დარღვევისთვის საქართველოს კანონმდებლობა შემდეგ ზომებს ითვალისწინებს:

საშიშ საწარმოო ობიექტების დამზადება, მათზე სამუშაოთა წარმოება ან მომსახურება უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევით, აგრეთვე უფლებამოსილი ორგანოების სათანადო

²⁶¹ კანონი ”საშიშ საწარმო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ”, მუხლი 7

²⁶² დებულება ”საშიშ საწარმო ობიექტის ტექნიკური უსაფრთხოების ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ” (დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსის 2003 წლის 17 ივლისის #20 ბრძანებით), მუხლი 1, პუნქტი 2 ”ე”

²⁶³ იქვე, მუხლი 13, პუნქტი 2

²⁶⁴ კანონი ”საშიშ საწარმო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ”, მუხლი 17, პუნქტი 3

²⁶⁵ კანონი ”საშიშ საწარმო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ”, მუხლი 17, პუნქტი 1

²⁶⁶ იქვე, მუხლი 2, პუნქტი 3

ნებართვის გარეშე მუშაობა 1000-დან 1500 ლარამდე დაჯარიმებას იწვევს²⁶⁷. საშიში ქიმიური ნივთიერებების საწარმოო მიზნით გამოყენების, შენახვის, დაცვის და გადაზიდვის, აგრეთვე არრიცხვის წესების დარღვევა კი 50-დან 100 ლარამდე, ხოლო განმეორების შემთხვევაში 200-დან 500 ლარამდე თანხით ჯარიმდება²⁶⁸. ამ დარღვევათა გამოვლენა და სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ორგანოებს ევალება.

ფეთქებადსაშიშ საწარმოში ტექნიკური წესების ისეთი დარღვევა, რომელსაც შეუძლია გამოეწვიოს ან გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი – კრიმინალური ქმედებაა და შედეგის სიმძიმის მიხედვით სასჯელს ითვალისწინებს (ჯარიმიდან – 8 წლით თავისუფლების აღკვეთამდე).

6.2.8 კანონი "შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის შესახებ"

6.2.8.1 რომელ ნივთიერებებს ეხება

ქიმიურ ნივთიერებათა სფეროდან კანონი არეგულირებს ორმაგი დანიშნულების ქიმიკატებს.

6.2.8.2 კანონის მიღების და ცვლილებების თარიღი

კანონი მიღებულია 1998 წლის 28 აპრილს (გამოქვეყნებულია "საქართველოს პარლამენტის უწყებანი", 1998 წლის #19-20). ცვლილებები შევიდა 2003 წლის 7 მაისის #2145, 2004 წლის 30 ივნისის #282, 2005 წლის 11 ნოემბრის #2094, 2006 წლის 23 ივნისის #3379 და 25 ივლისის #3540, 2008 წლის 27 ივნისის #75 კანონებით.

6.2.8.3 კანონის საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტები

კანონის საფუძველზე გამოცემულია შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:

- ორმაგი დანიშნულების პროდუქციის (ტექნოლოგიების, მოწყობილობის, მომსახურების) საექსპორტო კონტროლის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ (დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 4 ივლისის #424 ბრძანებულებით, ცვლილება შევიდა 2002 წლის 19 ივლისის #338 ბრძანებულებით);
- საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული სამხედრო დანიშნულების მასალების ნუსხა (დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 15 ივლისის #304 ბრძანებულებით, ცვლილება შევიდა 2007 წლის 20 ნოემბრის #646 ბრძანებულებით);
- საექსპორტო კონტროლს დაქვემდებარებული ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის საკითხთა გადაწყვეტის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ (შეიცავს საექსპორტო კონტროლს დაქვემდებარებული ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხას, დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 22 სექტემბრის #408 ბრძანებულებით, ცვლილება შევიდა 2003 წლის 24 აგვისტოს #413 ბრძანებულებით).

²⁶⁷ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 91¹

²⁶⁸ იქვე, მუხლი 91

6.2.8.4 კანონით დადგენილი ვალდებულებები, პასუხისმგებლობები და ადმინისტრაციული პროცედურები

კანონის მიხედვით ე.წ. ორმაგი დანიშნულების პროდუქციის (მ.შ. ორმაგი დანიშნულების ქიმიკატების) ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი, ტრანზიტი, საბაჟო ტერიტორიაზე გადამუსავება, დროებით შემოტანა ან გატანა მხოლოდ შესაბამისი ნებართვის საფუძველზე არის დასაშვები. ორმაგი დანიშნულების პროდუქციაზე ასეთ ნებართვებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო გასცემს; ხოლო თუკი ოპერაცია დაკავშირებულია იარაღის დამზადებასთან ან შეკეთებასთან, – ნებართვის გამცემი უწყებას საქართველოს თავდაცვის სამინისტრო წარმოადგენს.

ცხრილი 36. 28-ე და 29-ე სასაქონლო ჯგუფებში შემავალი ორმაგი დანიშნულების საქონელი

სასაქონლო ჯგუფის/ქვეჯგუფის კოდი და დასახელება ²⁶⁹		ქვეჯგუფში შემავალი ორმაგი დანიშნულების საქონლის კოდები
28	არაორგანული ქიმიის პროდუქტები	
2804	წყალბადი, ინერტული აირები და სხვა არაალითონები	2804 50 100, 2804 50 900
2805	ტუტე ან ტუტემიწა ლითონები	2805 21 000
2811	არაორგანული მჟავები	2811 11 000, 2811 19 100, 2811 29 300
2812	ჰალოგენიდები და ჰალოგენოქსიდები არაალითონებისა	ქვეჯგუფი მთლიანად
2813	არაალითონების სულფიდები	2813 90 100
2818	ხელოვნური კორუნდი, ალუმინის ოქსიდი და ჰიდროქსიდი	2818 20 000
2825	ჰიდრაზინი და ჰიდროქსილამინი და მათი არაორგანული მარილები; არაორგანული ფუძეები, ლითონების ოქსიდები, ჰიდროქსიდები და ჰიდროქსიდები სხვა	2825 10 000, 2825 60 000, 2825 90 200, 2825 90 900
2826	ფტორიდები, ფტორსილიკატები, ფტორალუმინატები და ფტორის სხვა მარილები	ქვეჯგუფი მთლიანად
2827	ქლორიდები, ოქსიდ ქლორიდები და ჰიდროქსიდ ქლორიდები, ბრომიდები და ბრომიდ ოქსიდები, იოდიდები და იოდიდ ოქსიდები	2827 49 900, 2827 60 000
2829	ქლორატები და პერქლორატები, ბრომატები და პერბრომატები, იოდატები და პერიოდატები	2829 90 100,
2830	სულფიდები, პოლისულფიდები	2830 10 000, 2830 20 000
2833	სულფიტები, შაბები, პერსულფატები	2833 29 000
2834	ნიტრატები, ნიტრიტები	2834 29 000
2835	ფოსფინატები, ფოსფონატები, ფოსფატები	2835 29
2836	კარბონატები	2836 99 190, 2836 99 900
2837	ციანიდები	★ 2837 11 000 ²⁷⁰ , ★ 2837 19 000

²⁶⁹ ჯგუფების და ქვეჯგუფების დასახელებები მოყვანილია არასრულად, შემოკლებული სახით

2839	სილიკატები	2839 90 000
2841	ოქსოლითონური და პეროქსოლითონური მჟავების მარილები	2841 90 000
2842	არაორგანული მჟავების ან პეროქსილმჟავების მარილები სხვა	2842 90 100, 2842 90 900
★2844	რადიაქტიური ელემენტები და იზოტოპები და მათი ნაერთები	ქვეჯგუფი მთლიანად
2845	სხვა იზოტოპები	★2845 10 000, ★2845 90 100, 2845 90 900
2848	ფოსფიდები	ქვეჯგუფი მთლიანად
2849	კარბიდები	ქვეჯგუფი მთლიანად
2850	ჰიდრიდები, ნიტრიდები, აზიდები, სილიციდები, ბორიდები	ქვეჯგუფი მთლიანად
2851	არაორგანული ნაერთები სხვა	2851 00 900
29	ორგანული ქიმიის პროდუქტები	
2903	ნახშირწყალბადების ჰალოგენირებული წარმოებულები	2903 30 100
2904	ნახშირბადის სულფირებული, ნიტრირებული ან ნიტროზირებული წარმოებულები	ქვეჯგუფი მთლიანად
2905	სპირტები აციკლური და მათი წარმოებულები	2905 19 900, 2905 50 100, 2905 50 900
2909	ეთერები მარტივი, ეთერსპირტები, ეთერფენოლები და მათი წარმოებულები	2909 19 000, 2909 30 900
2914	კეტონები და ქინონები და მათი წარმოებულები	2914 19 000
2915	მჟავები აციკლური მონოკარბონული ნაჯერი და მათი წარმოებულები	2915 39 000
2916	მჟავები აციკლური მონოკარბონული უჯერი, მჟავები ციკლური მონოკარბონული და მათი წარმოებულები	2916 39 000
2918	კარბონმჟავები დამატებითი ჟანგბადშემცველი ფუნქციონალური ჯგუფით და მათი წარმოებულები	2918 19 900
2920	ეთერები რთული, მათი მარილები და მათი წარმოებულები	2920 90 200, 2920 90 300, 2920 90 800
2921	ნაერთები ამინის ფუნქციონალური ჯგუფით	2921 11 100, 2921 11 900, 2921 19 900
2922	ამინონაერთები, ჟანგბადშემცველი ფუნქციონალური ჯგუფით	2922 13 000, 2922 19 000
2925	იმინური და კარბოქსიმიდური ფუნქციონალური ჯგუფების შემცველი ნაერთები	2925 19 900
2930	გოგირდორგანული ნაერთები	2930 90 950
2931	სხვა ორგანულ-არაორგანული ნაერთები	2931 00 100, 2931 00 200, 2931 00 800
2933	ნაერთები ჰეტეროციკლური, მხოლოდ აზოტის ჰეტეროატომების შემცველობით	2933 39 900

²⁷⁰ ვარსკვლავით მონიშნულ მასალებზე ნებართვის გაცემისთვის აუცილებელია თავდაცვის სამინისტროსთან არსებული სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის რეკომენდაცია

6.2.9 კანონი "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ"

6.2.9.1 რომელ ნივთიერებებს ეხება

კანონი არეგულირებს "საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს"²⁷¹, თუმცა არ ეხება:

- ადამიანის და ცხოველთა დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ და სამკურნალო პრეპარატებს;
- კოსმეტიკურ პროდუქციას;
- სასწავლო-სამეცნიერო მიზნით გამოყენებულ ნივთიერებებს;
- მიკროორგანიზმებს და მიკრობული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს;
- ნარჩენებს;
- საკვებ დანამატებს;
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქიმიურ ნივთიერებებს;
- რადიოაქტიურ ნივთიერებებს და მასალებს;
- პირადი მოხმარებისთვის განკუთვნილ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ქიმიურ ნივთიერებებს.

შესაბამისად, ეს კანონი ძირითადად ე.წ. "სამრეწველო ქიმიკატებს" (ანუ სხვადასხვა მრეწველობაში/წარმოებაში გამოსაყენებელ ქიმიურ ნივთიერებებს) ეხება.

6.2.9.2 კანონის მიღების და ცვლილებების თარიღი

კანონი მიღებულია 1998 წლის 12 ივნისს (გამოქვეყნებულია 1998 წლის #23-24 "საპარლამენტო უწყებებში"). ცვლილებები შევიდა 2006 წლის 29 დეკემბრის #4262 და 2007 წლის 19 ივნისის #4960 კანონებით.

6.2.9.3 კანონის საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტები

კანონის საფუძველზე გამოცემულია შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:

- საქართველოს ტერიტორიაზე წარმოების, გამოყენების და ექსპორტ-იმპორტის აკრძალვას ან მკაცრად შეზღუდულ გამოყენებას დაქვემდებარებული საშიში ქიმიური ნივთიერებების ნუსხა (დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 26 მარტის #133/ნ ბრძანებით). აქტის მოქმედება გადაფარულია საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 სექტემბრის #184 დადგენილებით "შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესის შესახებ დებულებისა და შეზღუდულად ბრუნვადი მასალების სიის დამტკიცების შესახებ" (იხ. სექცია 6.2.15).
- დებულება საშიში ქიმიური ნივთიერებების კლასიფიკაციის შესახებ (დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 7 აპრილის #79/ნ ბრძანებით)
- საშიში ქიმიური ნივთიერებების ნიშანდებისა და ეტიკეტირების წესი (დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 7 აპრილის #80/ნ ბრძანებით)
- საინფორმაციო ფურცელი საშიშ ქიმიურ ნივთიერებასთან უსაფრთხო მოპყრობის თაობაზე (დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 7 აპრილის #81/ნ ბრძანებით)

²⁷¹ იხ. ტერმინოლოგია, დანართი 3

- საშიში ქიმიური ნივთიერებების სახელმწიფო ექსპერტიზისა და სახელმწიფო გამოცდის წესი და პროცედურა (დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 7 აპრილის #82/ნ ბრძანებით)
- საშიში ქიმიური ნივთიერებების გამოყენების შეზღუდვის ან აკრძალვის წესი (დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 7 აპრილის #83/ნ ბრძანებით)
- საშიშ ქიმიურ ნივთიერებებთან მომუშავეთა შრომით პირობებზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების მეთოდური რეკომენდაციები (დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 7 აპრილის #84/ნ ბრძანებით).

კანონით გათვალისწინებული კიდეც 16-მდე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი დღემდე გამოცემული არ არის.

6.2.9.4 კანონით დადგენილი ვალდებულებები, პასუხისმგებლობები და ადმინისტრაციული პროცედურები

კანონი საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა მართვის პრაქტიკულად ყველა სტადიას არეგულირებს.

კანონის მიხედვით, საშიში ქიმიური ნივთიერებები²⁷² ექვემდებარება სავალდებულო რეგისტრაციას ერთიან სახელმწიფო რეესტრში, რომელიც საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ უნდა აწარმოოს.

ერთიან სახელმწიფო რეესტრში აღურიცხავი საშიში ქიმიური ნივთიერებების გამოყენება კანონით იკრძალება²⁷³ (გამონაკლისს წარმოადგენს ამ ნივთიერებათა გადამუშავების, გაუვნებელყოფისა და განთავსების აუცილებელი ღონისძიებები). იკრძალება აგრეთვე არარეგისტრირებული ქიმიური ნივთიერებების წარმოება, იმპორტი და ექსპორტი²⁷⁴. საინტერესოა, რომ კანონი აგრეთვე კრძალავს საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა იმპორტს (მიუხედავად რეგისტრაციისა) ისეთი ქვეყნებიდან, რომელშიც მისი გამოყენება აკრძალულია²⁷⁵.

საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა ერთიანი სახელმწიფო რეესტრი უნდა წარმოადგენდეს სტანდარტიზებულ მონაცემთა სისტემას, რომელიც უნდა შეიცავდეს²⁷⁶ ინფორმაციას:

- საქართველოში გამოყენებაში არსებული საშიში ქიმიური ნივთიერებების,
- მათი გამომყენებელი ობიექტების,
- ამ ობიექტების საქმიანობაზე გაცემული ნებართვების შესახებ.

თითოეული საშიში ქიმიური ნივთიერებისთვის რეესტრი უნდა შეიცავდეს სრული "სასიცოცხლო ციკლის" აღმწერ მონაცემებს. კერძოდ, შემდეგ ინფორმაციას²⁷⁷:

- ნივთიერების საერთაშორისო იდენტიფიკაცია;
- ნივთიერების თვისებები და მახასიათებლები, კლასიფიკაცია, მავნე ზემოქმედების უნარი ადამიანსა და ჯანმრთელობაზე;

²⁷² იგულისხმება მხოლოდ ამ კანონით რეგულირებული საშიში ქიმიური ნივთიერებები, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქიმიური ნივთიერებების ერთიანი სახელმწიფო რეესტრი უნდა წარმოებდეს ცალკე, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

²⁷³ იქვე, მუხლი 23, პ. 11

²⁷⁴ იქვე, მუხლები 27-28

²⁷⁵ იქვე, მუხლი 28, პუნქტი 4, ქვეპუნქტი ბ

²⁷⁶ საქართველოს კანონი "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ", მუხლი 23, პ.1

²⁷⁷ იქვე, პ. 4

- ნივთიერების წარმოების მოცულობა, სამეურნეო ბრუნვაში არსებული ნივთიერების ოდენობა, ინფორმაცია იმპორტ-ექსპორტის, ტრანსპორტირების, შენახვის შესახებ²⁷⁸;
- ნივთიერების გამოყენების სფეროები, მათ დახასიათება (მ.შ. ნივთიერების მავნე ზემოქმედება);
- უსაფრთხოების ზომები და პირობები ნივთიერების წარმოების, ტრანსპორტირების, შენახვის, მოხმარების და სხვა სახით გამოყენების დროს;
- რეაგირების ღონისძიებები ნივთიერების გაჟონვის, ავარიის, მოწამვლის ან სხვა უბედური შემთხვევის დროს.

გარდა ამისა, რეესტრი უნდა შეიცავდეს საქართველოში იმ საწარმოთა ნუსხას, რომელთაც კავშირი აქვთ საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა წარმოებასთან, ტრანსპორტირებასთან, მოხმარებასთან, შენახვასთან, გაუვნებელყოფასთან ან გამოყენებიდან ამოღებასთან²⁷⁹. გარდა ჩამონათვალისა, რეესტრი უნდა შეიცავდეს სრულ ინფორმაციას ამ საწარმოების შესახებ, რომლის მოცულობა "კომპეტენტურმა სახელმწიფო ორგანოებმა" უნდა დაადგინონ.

რეესტრში ახალი ნივთიერების რეგისტრაციის წინაპირობაა მისი სახელმწიფო ექსპერტიზა. რეგისტრაციისთვის დაინტერესებულმა პირმა თავად უნდა ჩაატაროს ახალი ნივთიერების გამოცდა და მოამზადოს მთელი რიგი დოკუმენტაცია, რომელიც განაცხადთან ერთად უნდა წარადგინოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში. განაცხადის შეტანიდან 1 თვის ვადაში საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ უნდა ჩაატაროს სახელმწიფო ექსპერტიზა საუწყებათაშორისო საბჭოს და სპეციალურად მოწვეული ექსპერტების მონაწილეობით და გასცეს სახელმწიფო ექსპერტიზის დასკვნა. თუ დასკვნა უარყოფითი აღმოჩნდა, მისი გამოცემიდან 1 თვის ვადაში სამინისტრომ ჩაატაროს (ანუ დაუკვეთოს შესაბამისი სამეცნიერო ან სხვა ორგანიზაციის) ნივთიერების სახელმწიფო გამოცდა²⁸⁰.

კანონი ითხოვს, რომ საწარმოები, რომელიც ახორციელებენ საშიში ქიმიური ნივთიერებების წარმოებას, ტრანსპორტირებას, შენახვას, მოხმარებას, გადამუშავებას, გაუვნებელყოფას და განთავსებას აწარმოებდნენ მათ აღრიცხვას და ადგენს ამ აღრიცხვის ფორმას და წესს²⁸¹.

გარდა ამისა, კანონი ითხოვს, რომ ყველა საწარმოში, რომელიც დაკავშირებულია საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა წარმოებასთან, ტრანსპორტირებასთან, მოხმარებასთან, შენახვასთან, გაუვნებელყოფასთან ან გამოყენებიდან ამოღებასთან, უზრუნველყოფილი იყოს ავარიებისა და საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნის ღონისძიებები. კანონის მიხედვით, საწარმოს უნდა გააჩნდეს²⁸²:

- შესაძლო ავარიებისა და საგანგებო მდგომარეობათა ნუსხა, მათი შედეგების პროგნოზირებით;
- ავარიებისა და საგანგებო მდგომარეობისადმი მზადყოფნისა და რეაგირების გეგმები და გადაწყვეტილებათა მიღების კრიტერიუმები; საგანგებო მდგომარეობაში მოქმედების გეგმა²⁸³;
- საშიში ქიმიური ნივთიერებების გამოყენებიდან უსაფრთხო ამოღების და განთავსების სქემები და მეთოდები;

²⁷⁸ კანონი არ აკონკრეტებს, რეესტრში უნდა შევიდეს მონაცემები მსოფლიოს მასშტაბით, თუ საქართველოს მასშტაბით

²⁷⁹ საქართველოს კანონი "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ", მუხლი 23, პ. 6

²⁸⁰ საქართველოს კანონი "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ", მუხლები 13-23

²⁸¹ იქვე, მუხლი 49

²⁸² კანონი "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ", მუხლი 41, პუნქტი 2

²⁸³ კანონი "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ", მუხლი 42, პუნქტი 1

- საავარიო სამსახური²⁸⁴.

საგანგებო მდგომარეობაში მოქმედების გეგმა უნდა აღწერდეს²⁸⁵:

- საგანგებო მდგომარეობის ლიკვიდაციისთვის საჭირო ძალებისა და საშუალებების ნუსხას;
- იმ პირთა სიას და საკონტაქტო ინფორმაციას, რომლებიც პასუხს აგებენ ავარიის ლიკვიდაციაზე;
- საგანგებო მდგომარეობაში საკუთარი საავარიო სამსახურის მოქმედებათა რიგითობას და ხასიათს;
- სხვა დაწესებულებების ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება ჩაერთონ საგანგებო მდგომარეობის ლიკვიდაციაში, მათ ფუნქციებს, ამოცანებს, მათი ინფორმირების და მათთან ურთიერქმედების წესებსა და პირობებს.

კანონი ითხოვს, რომ საავარიო სამსახურს უშუალოდ საწარმოს ხელმძღვანელი უძღვებოდეს²⁸⁶. საავარიო სამსახურის ძირითად ფუნქციას ავარიებისადმი მზადყოფნის უზრუნველყოფა და ავარიებზე რეაგირება წარმოადგენს. კერძოდ, სამსახური ვალდებულია განახორციელოს²⁸⁷:

- საგანგებო მდგომარეობათა და საშიშროების შემთხვევების პროგნოზირება;
- იმიტირებული ავარიების ლოკალიზაცია-ლიკვიდაციის ვარჯიშების ჩატარება;
- სათანადო სპეცტანსაცმლის, აირწინაღების და სხვა ტექნიკური და სატრანსპორტო საშუალებების უზრუნველყოფა²⁸⁸;
- რეგიონულ საავარიო სამსახურებთან კავშირების აწყოფა.

გარდა ამისა, საავარიო სამსახურმა მონაწილეობა უნდა მიიღოს (საწარმოს უსაფრთხოების სამსახურთან ერთად):

- ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული ტექნოლოგიური პროცესის უსაფრთხოების ღონისძიებების შემუშავებაში
- მუშაკების მიერ უსაფრთხოების ტექნიკის ცოდნის უზრუნველყოფასა და კონტროლში.

კანონი ადგენს საშიში ნივთიერებების ეტიკეტირების მოთხოვნას და წესებს²⁸⁹. კანონი აგრეთვე ითხოვს, რომ დაცული იყოს საშიში ნივთიერებების ტრანსპორტირების, შენახვის და მოხმარების წესები, თუმცა მიღებული არ არის კანონქვემდებარე აქტები, რომელიც ამ წესებს დააკონკრეტებს²⁹⁰.

აღსანიშნავია, რომ საშიში ქიმიური ნივთიერებების კანონით დადგენილი კლასიფიკაცია და ნიშანდების წესები განსხვავდება "საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ" კანონით (იხ. სექცია 6.2.7) და "ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესის" ტექნიკური რეგლამენტით (იხ. სექცია 6.2.17) დადგენილი კლასიფიკაციისგან და აღნიშვნებისგან (შედარებისთვის იხ. ცხრილი 35 და ცხრილი 40).

²⁸⁴ კანონი "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ", მუხლი 43, პუნქტი 1

²⁸⁵ კანონი "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ", მუხლი 42, პუნქტი 1

²⁸⁶ კანონი "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ", მუხლი 43, პუნქტი 2

²⁸⁷ კანონი "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ", მუხლი 43, პუნქტი 3

²⁸⁸ კანონი ითხოვს, რომ ამ საშუალებებით საავარიო სამსახურმა საწარმოს უსაფრთხოების სამსახური მოამარაგოს, – რაც, ვფიქრობთ, შეცდომაა.

²⁸⁹ იქვე, მუხლები 24-25

²⁹⁰ იქვე, მუხლები 31-35

ცხრილი 37. REACH რეგულაციის ტერმინების შედარება "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ" კანონის ტერმინებთან

ტერმინი	განმარტება REACH რეგულაციის მიხედვით	განმარტება "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ" კანონის მიხედვით
ნივთიერება/ ქიმიური ნივთიერება	ქიმიური ელემენტი ან მისი ნაერთები, ბუნებრივი ან წარმოებული, ყველა იმ დანამატის ან მინარევის ჩათვლით, რომელიც მისი მდგრადობისთვის არის აუცილებელი ან მისი მიღების ტექნოლოგიურ პროცესში შეერია მას, გარდა იმ გამხსნელებისა, რომელთა მოცილება ნივთიერების მდგრადობის ან შემადგენლობის შეცვლის გარეშე არის შესაძლებელი ²⁹¹ .	ნივთიერებები და მათი ნაერთები ბუნებრივი სახით, ან მიღებული ნებისმიერი ტექნოლოგიური პროცესის შედეგად, პროდუქტის სტაბილურობის შენარჩუნებისათვის საჭირო ნებისმიერ დანამატთან და გამოყენებული ტექნოლოგიური პროცესის შედეგად მიღებულ ყველა მინარევთან ერთად, გამხსნელის გარდა, რომელიც გამოიყოფა ნივთიერების სტაბილურობისა და შემადგენლობის შეცვლის გარეშე, <u>აგრეთვე ამ ნივთიერებების პრეპარატები</u>
პრეპარატი / პრეპარატები	ნარევი ან ხსნარი, რომელიც შედგება ორი ან მეტი ნივთიერებისაგან ²⁹²	ნარევი ან ხსნარები, რომლებიც შედგება ორი ან მეტი ნივთიერებისაგან
ნაკეთობა	ნივთი, რომლის ფუნქციას არა იმდენად ქიმიური შემადგენლობა, არამედ წარმოების პროცესში მისთვის მინიჭებული საგანგებო ფორმა, ზედაპირი, ან კონსტრუქცია განსაზღვრავს ²⁹³ .	-

"საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ" კანონის ევროკავშირის REACH რეგულაციასთან (იხ. სექცია 6.1.9) შედარებისას აშკარა ხდება კანონში არსებული მთელი რიგი ლაპსუსები, რომელიც მის განხორციელებას მნიშვნელოვნად ართულებს. მაგალითად:

- ბუნდოვანია ტერმინი "ქიმიური ნივთიერების" განმარტება (კერძოდ: ტერმინის განმარტებაში გამოიყენება თავად ტერმინის ნაწილი; ტერმინი არ ემთხვევა მეცნიერულ განმარტებას და ამდენად იწვევს გაუგებრობებს; ტერმინში გაიგივებულია სუფთა ქიმიური ნივთიერება და პრეპარატები, ანუ ნივთიერებათა ნარევი); სასურველია იგი შეიცვალოს REACH რეგულაციასთან მიახლოებული განმარტებით (იხ. ცხრილი 37).
- ტერმინები "ქიმიური ნივთიერება" და "საშიში ქიმიური ნივთიერება" მოიცავს როგორც ცალკეულ ნივთიერებებს, ასევე ნივთიერებათა ნარევებს (პრეპარატებს). ამიტომ მოთხოვნა ყველა "საშიში ქიმიური ნივთიერების" რეგისტრაციის შესახებ ნიშნავს იმას, რომ თუნდაც უკვე რეგისტრირებული ნივთიერებების ახალი შეფარდებით შედგენილი ნარევებს ხელახალი რეგისტრაცია სჭირდება, რაც სარეგისტრაციო ობიექტთა რიცხვს პრაქტიკულად უსასრულოდ ზრდის. ასეთი მიდგომა ეკონომიკური თვალსაზრისით გაუმართლებელია (იხ. შედარებისთვის 6.1.9

²⁹¹ Substance: means a chemical element and its compounds in the natural state or obtained by any manufacturing process, including any additive necessary to preserve its stability and any impurity deriving from the process used, but excluding any solvent which may be separated without affecting the stability of the substance or changing its composition;

²⁹² Preparation: means a mixture or solution composed of two or more substances;

²⁹³ Article: means an object which during production is given a special shape, surface or design which determines its function to a greater degree than does its chemical composition;

სექციაში აღწერილი ევროპული სისტემა, სადაც რეგისტრაციას ექვემდებარება ქიმიური ნივთიერებები, თუკი მათი ბრუნვა სუფთა სახით, რაიმე პრეპარატების შემადგენელი ნაწილის სახით ან რაიმე ნაკეთობათა შემადგენელი ნაწილის სახით (თუკი ნაკეთობის მოხმარებისას ამ ნივთიერების გამოყოფა ხდება) წელიწადში 1 ტონას აღემატება).

სასურველია კანონი გადამუშავდეს იმგვარად, რომ "ქიმიურ ნივთიერებების" განმარტება REACH რეგულაციას შეესაბამებოდეს, კლასიფიკაციისა და ნიშანდების სისტემა კი – GHS სისტემას (იხ. სექცია 6.1.8),

გარდა ამისა, გაუმართლებელია პირადი მოხმარებისთვის განკუთვნილ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ქიმიურ ნივთიერებების გამორიცხვა კანონის რეგულირების სფეროდან, მაშინ როდესაც ამგვარ ნაწარმში არსებულ საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს საქართველოში არც სხვა რომელიმე კანონი არეგულირებს. სასურველია, რეგულირებას დაექვემდებაროს საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნებში არსებული ის საშიში ქიმიური ნივთიერებები, რომელთა გამოყოფა და ადამიანსა და გარემოზე ზემოქმედება ამ საყოფაცხოვრებო საგნების გამოყენებისას გარდუვალია (მაგალითად, გამხსნელი და სხვა ნივთიერებები ლაქ-საღებავებში).

6.2.9.5 კანონის დაცვის კონტროლის და დარღვევაზე რეაგირების პროცედურები

ზოგადად ქიმიურ ნივთიერებათა სავალდებულო რეგისტრაციის მოთხოვნის შესრულების კონტროლი არც ერთ საჯარო ორგანოს არ აკისრია.

კანონის მიხედვით საშიში ნივთიერებების ეტიკეტირების კონტროლი ევალება საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტს. დღეს ამ ორგანიზაციის სამართალმემკვიდრეა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო, რომელსაც რაიმე სახის კონტროლის უფლებამოსილება არ გააჩნია. შესაბამისად, კანონის აღნიშნული მოთხოვნა არ კონტროლდება.

"საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის" მიხედვით ცხოველთა სამყაროს ან ცხოველთა საბინადრო გარემოსთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ორგანოებს უფლება აქვთ შეამოწმონ ქიმიურ საშუალებათა ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების წესების დაცვა და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში შეადგინონ ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ. ქიმიურ საშუალებათა ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების წესების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა ცხოველთა სამყაროს და მათ საბინადრო გარემოს იწვევს დაჯარიმებას ას ორმოცდაათიდან ორას ლარამდე²⁹⁴.

"საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის" მიხედვით ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის ორგანოებს უფლება აქვთ შეამოწმონ საშიში ქიმიური ნივთიერებების საწარმოო დანიშნულების მიზნით გადაზიდვის, შენახვის, გამოყენების, დაცვისა და აღრიცხვის ნორმების და წესების დაცვა და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში შეადგინონ ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ. საშიში ქიმიური ნივთიერებების საწარმოო დანიშნულების მიზნით გადაზიდვის, შენახვის,

1. ²⁹⁴ "საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი". მუხლი 85¹

გამოყენების, დაცვისა და აღრიცხვის ნორმების და წესების დარღვევა, რასაც მძიმე შედეგი არ მოჰყოლია, იწვევს დაჯარიმებას ორმოცდაათიდან ას ლარამდე. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, - გამოიწვევს დაჯარიმებას ორასიდან ხუთას ლარამდე²⁹⁵.

ცხრილი 38. ქიმიურ ნივთიერებათა საშიშროების კლასები და მათი აღნიშვნები "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ" კანონისა და მის ქვემდებარე აქტების მიხედვით

საშიშროების კლასის დასახელება ქართულად	საშიშროების კლასის დასახელება ინგლისურად ²⁹⁶	საშიშროების კლასის აღნიშვნა ²⁹⁷
ფეთქებადი	Explosive	E
დამჟანგავი	Oxidizing	O
განსაკუთრებით აალებადი	Extremely Flammable	F+
მაღალაალებადი	Highly Flammable	F
აალებადი	Flammable	R10
ძლიერ ტოქსიკური	Very Toxic	T+
ტოქსიკური	Toxic	T
მავნე	Harmful	Xn
კოროზიული	Corrosive	C
გამაღიზიანებელი	Irritant	Xi
მასენსიბილიზებელი	Sensitizing	R42, R43
კანცეროგენული	Carcinogenic	Carc. Cat.
მუტაგენური	Mutagenic	Muta. Cat.
ტოქსიკური რეპროდუქციისათვის	Toxic for Reproduction	Repr. Tac.
საშიში გარემოსათვის	Dangerous for the Environment	N, R52, R53, R59

თუკი ფეთქებადი, ადივადაალებადი ან მწვავე ნივთიერების აღრიცხვის, შენახვის, გადაზიდვის ან გამოყენების წესის დარღვევამ მძიმე შედეგი გამოიწვია, ქმედება სისხლის სამართლის დანაშაულად კვალიფიცირდება და ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ორიდან ხუთ წლამდე²⁹⁸. ასეთ საქმეებს შინაგან საქმეთა ორგანოების გამომძიებლები იძიებენ.

6.2.9.6 კანონის ფარგლებში შექმნილი მონაცემთა ბაზები

კანონით გათვალისწინებული "ქიმიური ნივთიერებების ერთიანი სახელმწიფო რეესტრი" შექმნილი არ არის. დადგენილია მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე წარმოების, გამოყენების და ექსპორტ-იმპორტის აკრძალვას ან მკაცრად შეზღუდულ გამოყენებას დაქვემდებარებული საშიში ქიმიური ნივთიერებების ნუსხა, რომელიც შეზღუდულად ბრუნვადი მასალების სიის ნაწილს წარმოადგენს (იხ. ცხრილი 39).

2. ²⁹⁵ იქვე, მუხლი 91

²⁹⁶ ინგლისური დასახელებები აღებულია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 7 აპრილის #79/ნ ბრძანებიდან "საშიში ქიმიური ნივთიერებების კლასიფიკაციის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე"

²⁹⁷ აღნიშვნები აღებულია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 7 აპრილის #80/ნ ბრძანებიდან "საშიში ქიმიური ნივთიერებების ნიშანდებისა და ეტიკეტების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე"

3. ²⁹⁸ "საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი", მუხლი 244

6.2.10 კანონი "პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ"

6.2.10.1 რომელ ნივთიერებებს ეხება

კანონი ეხება პესტიციდებს და აგროქიმიკატებს²⁹⁹.

6.2.10.2 კანონის მიღების და ცვლილებების თარიღი

კანონი მიღებულია 1998 წლის 25 ნოემბერს (გამოქვეყნებულია 1998 წლის #6 საკანონმდებლო მაცნეში). ცვლილებები შევიდა 2003 წლის 7 მაისის #2182, 2005 წლის 28 დეკემბრის #2581 და 2006 წლის 29 დეკემბრის #4312 კანონებით.

6.2.10.3 კანონის საფუძველზე გამოცემული მოქმედი ნორმატიული აქტები

კანონის საფუძველზე გამოცემულია და მოქმედებს შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:

- საქართველოში 2005-2009 წწ გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდების (მცენარეთა დაცვის საშუალებების და ზრდის რეგულატორების) სახელმწიფო კატალოგი (დამტკიცებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 11 ივლისის #2-168 ბრძანებით, ცვლილება შეტანილია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2006 წლის 19 ივნისის #2-100 ბრძანებით)
- საქართველოში 2006-2010 წლებში გამოსაყენებლად ნებადართული აგროქიმიკატების კატალოგი (დამტკიცებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2006 წლის 29 აგვისტოს #2-164 ბრძანებით)
- პესტიციდების და აგროქიმიკატების შენახვის, ტრანსპორტირების, რეალიზაციისა და გამოყენების წესები (დამტკიცებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრისა და ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 30 ნოემბრის #2-211 ერთობლივი ბრძანებით)
- საქართველოში პესტიციდების და აგროქიმიკატების სარეგისტრაციო გამოცდების, ექსპერტიზისა და რეგისტრაციის დებულება (დამტკიცებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრისა და ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 30 ნოემბრის #2-212 ერთობლივი ბრძანებით)
- პესტიციდების და აგროქიმიკატების მარკირების წესი (დამტკიცებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს #2-150 ბრძანებით)
- ევროკავშირისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებში რეგისტრირებული პესტიციდების/აგროქიმიკატების საქართველოში რეგისტრაციისათვის დამატებითი მოთხოვნები (დამტკიცებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2007 წლის 28 სექტემბრის #2-152 ბრძანებით)
- ბაზარზე განთავსებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების კონტროლის და ნიმუშის აღების წესი (დამტკიცებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2007 წლის 30 აგვისტოს #2-131 ბრძანებით)
- სურსათში/ცხოველთა საკვებში და გარემოს ობიექტებში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ნარჩენების კონტროლისათვის ნიმუშების აღების წესი (დამტკიცებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2007 წლის 16 აგვისტოს #2-125 ბრძანებით)
- გარემოს ობიექტებში პესტიციდების შემცველობის ქიმიური ნორმატივები (დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს #309/ნ ბრძანებით)

²⁹⁹ იხ. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ტერმინოლოგია

- საქართველოში სარეგისტრაციო გამოცდებისთვის საჭირო პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ნიმუშების, ეტალონური პრეპარატების და ანალიზური სტანდარტების შემოტანის წესი (დამტკიცებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს #2-152 ბრძანებით)
- პესტიციდების წვრილი დაფასოების ორგანიზების წესი (დამტკიცებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2007 წლის 1 ოქტომბრის #2-155 ბრძანებით)

6.2.10.4 კანონით დადგენილი ვალდებულებები, პასუხისმგებლობები და ადმინისტრაციული პროცედურები

კანონის მიხედვით, ნებისმიერი პესტიციდის საქართველოში წარმოების, შემოტანის, შენახვის, რეალიზაციის, გამოყენების ან რეკლამისთვის აუცილებელია მისი სახელმწიფო რეგისტრაცია³⁰⁰. პესტიციდის შემმუშავებლის, დამამზადებლის ან რეალიზატორის ინიციატივით³⁰¹ პესტიციდების და აგროქიმიკატების სახელმწიფო რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო (სარეგისტრაციო ორგანო)³⁰².

პესტიციდის რეგისტრაციის წინაპირობას სარეგისტრაციო გამოცდების გავლა და ექსპერტიზის დადებითი დასკვნის მიღება წარმოადგენს³⁰³. ასეთი გამოცდები ტარდება შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიერ, რეგისტრანტის ხარჯზე³⁰⁴. გამოცდებს ორგანიზებას და კოორდინირებას უწევს სარეგისტრაციო ორგანო³⁰⁵. თუ პესტიციდი უკვე რეგისტრირებულია ევროკავშირის ან ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის რომელიმე წევრ ქვეყანაში, საქართველოში რეგისტრაციისთვის იგი გამოცდას აღარ საჭიროებს³⁰⁶, ტარდება მხოლოდ მისი თანდართული დოკუმენტაციის ექსპერტიზა ხუთი მიმართულებით: ბიოლოგიური, ტოქსიკოლოგიური, ეკოლოგიური, იქტიო-ტოქსიკოლოგიური, ვეტერინარულ-სანიტარული). შესაბამისად, ამ ნივთიერებების სახელმწიფო რეგისტრაციისთვის საჭიროა სარეგისტრაციო ორგანოში განცხადებისა და შემდეგი დოკუმენტების შეტანა³⁰⁷:

- წარმოშობის ქვეყნის ოფიციალური სტრუქტურის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ პესტიციდი/აგროქიმიკატი ან პესტიციდის მოქმედი (აქტიური) ნივთიერება ამ რეგისტრაციის დროისათვის შეტანილია 91/414 ECC დირექტივის პირველ დანართში ან ამერიკის შეერთებული შტატების გარემოს დაცვის სააგენტოს მიერ დარეგისტრირებული აქტიური ნივთიერებების სიაში.
- პატენტის ასლი, რომლითაც დაცულია პესტიციდის მოქმედი ნივთიერება
- მწარმოებლის მიერ გაცემული საბუთი რეგისტრაციის უფლების შესახებ
- მონაცემები პესტიციდის მოქმედი (აქტიური) ნივთიერებების შესახებ, როგორიცაა: საშიშროების კლასი, ჰიგიენური ნორმატივები, გამოყენების რეკომენდაციები და სხვა

³⁰⁰ იქვე, მუხლი 3, პუნქტი "ე"

³⁰¹ იქვე, მუხლი 12, პუნქტი 5

³⁰² იქვე, მუხლი 8, პუნქტი 1

³⁰³ იქვე, მუხლი 12, პუნქტი 1 და 7

³⁰⁴ იქვე, მუხლი 10, პუნქტები 2, 3

³⁰⁵ იქვე, მუხლი 9, პუნქტი 1

³⁰⁶ იქვე, მუხლი 10, პუნქტი 1

³⁰⁷ ევროკავშირისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებში რეგისტრირებული პესტიციდების/აგროქიმიკატების საქართველოში რეგისტრაციისათვის დამატებითი მოთხოვნები (დამტკიცებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2007 წლის 28 სექტემბრის #2-152 ბრძანებით), მუხლი 3

პესტიციდების სახელმწიფო რეგისტრაცია ვადიანია. პესტიციდის მოქმედი ნივთიერების რეგისტრაციის ვადა, როგორც წესი 10 წელია, მისგან წარმოებული პროდუქტის კი – 5 წელი³⁰⁸. ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს რეგისტრაციის უფრო მოკლე ვადა – 3 წელი, ან თუ მიღებულია ახალი ცნობები პესტიციდის საშიშროების შესახებ, მისი რეგისტრაცია შესაძლოა ვადად შეწყდეს³⁰⁹. სარეგისტრაციო ორგანო გასცემს პესტიციდის რეგისტრაციის მოწმობას დაინტერესებულ პირზე³¹⁰. უკვე რეგისტრირებული ნივთიერების ხელახალი რეგისტრაციისას (რეგისტრაციის ვადის განმავლობაში) შესაძლებელია უკვე გავლილი გამოცდების შედეგების გამოყენება, თუკი პირველი რეგისტრანტი ამაზე ოფიციალურ თანხმობას იძლევა³¹¹.

რეგისტრირებული პესტიციდები სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შეიტანება "პესტიციდების და აგროქიმიკატების სახელმწიფო კატალოგში". კატალოგი წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდების და აგროქიმიკატების ჩამონათვალს³¹² და მოიცავს აგრეთვე მათი გამოყენების რეგლამენტებს, ჰიგიენურ ნორმატივებს და გარემოსდაცვით ნორმებს³¹³. კანონის მიხედვით იმ პესტიციდების შემოტანა და მიმოქცევა, რომლებიც პესტიციდების და აგროქიმიკატების სახელმწიფო კატალოგში შეტანილი არ არის, იკრძალება³¹⁴.

გარდა ამისა, კანონი ადგენს აკრძალული და მკაცრად შეზღუდული პესტიციდების ცნებას. ეს არის პესტიციდები, რომელთაც სარეგისტრაციო გამოცდა "ვერ გაიარეს", ვინაიდან აღმოაჩნდათ მაღალი უარყოფითი ზემოქმედება უნარი ადამიანთა ჯანმრთელობაზე და გარემოზე. ამ პესტიციდების მიმოქცევა მხოლოდ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ (სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით) გაცემული სპეციალური ნებართვის საფუძველზე დაიშვება³¹⁵.

ამდენად, კანონის მიხედვით პესტიციდები იყოფა ორ ნაწილად:

- საქართველოში რეგისტრირებული და "პესტიციდების სახელმწიფო კატალოგში" შესული პესტიციდები, რომელთა ქვეყანაში შემოტანა და მიმოქცევა დაიშვება რეგისტრაციის მოწმობის საფუძველზე.
- აკრძალული და მკაცრად შეზღუდული პესტიციდები, რომელთა ქვეყანაში შემოტანა და მიმოქცევა დაიშვება მხოლოდ სპეციალური ნებართვის საფუძველზე.

კანონით დადგენილია აგრეთვე პესტიციდების დამამზადებელთა ვალდებულებები. კერძოდ, დამამზადებელი ვალდებულია³¹⁶:

- პესტიციდების წარმოებისას დაიცვას FAO-ს ტექნიკური მოთხოვნები, ტექნოლოგიური დისციპლინა და უსაფრთხოების წესები;
- თავად უზრუნველყოს პესტიციდების საცალო ვაჭრობისთვის და მომხმარებლისთვის მოსახერხებელი დაფასოება;

³⁰⁸ კანონი "პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ", მუხლი 12, პუნქტი 2

³⁰⁹ იქვე, მუხლი 12, პუნქტი 3, 4

³¹⁰ იქვე, მუხლი 12, პუნქტი 8

³¹¹ "საქართველოში პესტიციდების და აგროქიმიკატების სარეგისტრაციო გამოცდების, ექსპერტიზისა და რეგისტრაციის დებულება" (დამტკიცებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრისა და ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 30 ნოემბრის #2-212 ერთობლივი ბრძანებით), მუხლი 5, პუნქტი 13

³¹² იქვე, მუხლი 3, პუნქტი "მ"

³¹³ იქვე, მუხლი 12, პუნქტი 9

³¹⁴ კანონი "პესტიციდების და აგროქიმიკატების შესახებ", მუხლი 4, პუნქტი 1, ქვეპუნქტი "ზ"

³¹⁵ კანონი "პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ", მუხლი 4, პუნქტი 1, ქვეპუნქტი "გ" და პუნქტი 2

³¹⁶ კანონი "პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ", მუხლი 16, პუნქტი 1

- დაიცვას პესტიციდების შეფუთვის, მარკირებისა და შენახვის საერთაშორისო მოთხოვნები;
- სისტემატიურად ამოწმოს სარეალიზაციოდ გამზადებული პესტიციდების სისუფთავე და ხარისხი;
- უზრუნველყოს მის მიერ წარმოებული პესტიციდების ნარჩენ რაოდენობათა სოფლის მეურნეობის პროდუქციასა და გარემოში კონტროლისთვის საჭირო ანალიზური სტანდარტების გამოშვება;
- თუ მის მიერ წარმოებული პესტიციდის უსაფრთხო გამოყენება, ტრანსპორტირება ან შენახვა შეუძლებელი ხდება, შეწყვიტოს მისი რეალიზაცია და საკუთარი სახსრებით მოახდინოს პესტიციდის უტილიზაცია;
- შეიმუშავოს და შეათანხმოს სოფლის მეურნეობის, შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებთან უვარგისი ან აკრძალული პესტიციდების და მისი შემცველი ტარის განადგურების მეთოდები FAO-ს მითითებების შესაბამისად³¹⁷;
- აწარმოოს პესტიციდები მხოლოდ რეალური საჭიროების მიხედვით.

კანონი ადგენს მოთხოვნებს მიმოქცევაში გაშვებული პესტიციდებისადმი. კერძოდ³¹⁸:

- მათ თან უნდა ახლდეს სარეგისტრაციო ორგანოსთან შეთანხმებული რეკომენდაციები მათი ტრანსპორტირების, შენახვის, უტილიზაციის და გამოყენების შესახებ;
- პესტიციდი მარკირებული უნდა იყოს FAO-ს ინსტრუქციების შესაბამისად³¹⁹ და მარკირება შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე,

კანონის მიხედვით, აგრეთვე, დადგენილია პესტიციდების გამყიდველთა და მომხმარებელთა ანგარიშების ვალდებულება. კერძოდ, ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა საქმიანობაც უკავშირდება პესტიციდების მიმოქცევასა და გამოყენებას, ვალდებული არიან ყოველი კალენდარული წლის ბოლოს ინფორმაცია მიაწოდონ უფლებამოსილ ორგანოებს: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს³²⁰. თუმცა რაიმე კანონქვემდებარე აქტი, რომელიც დააკონკრეტებდა, თუ კერძოდ რა ინფორმაცია უნდა მიაწოდონ პირებმა ამ ორგანოებს და რა ფორმით, მიღებული არ არის.

კანონი გარკვეულწილად არეგულირებს აგრეთვე უვარგის (დამველებულ) პესტიციდებთან და პესტიციდების შემცველ ტარასთან მოპყრობის პროცედურას. კერძოდ, დადგენილია, რომ:

- პესტიციდის განადგურების მეთოდები უნდა შეიმუშავოს დამამზადებელმა (იხ. ზემოთ)
- პესტიციდი უნდა გაანადგუროს დამამზადებელმა (იხ. ზემოთ)
- უვარგისი პესტიციდის მფლობელებმა თავიანთი სახსრებით უნდა ჩააბარონ უვარგისი პესტიციდები დამამზადებელს გაუვნებელყოფის და განთავსების მიზნით;

³¹⁷ იქვე, მუხლი 23, პუნქტი 2

³¹⁸ იქვე, მუხლი 18

³¹⁹ დეტალურად მარკირების მოთხოვნები განმარტებულია "პესტიციდების და აგროქიმიკატების მარკირების წესებში" (დამტკიცებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს #2-150 ბრძანებით)

³²⁰ იქვე, მუხლი 4, პუნქტი 4

თუმცა იმპორტირებული პესტიციდების განადგურების პროცედურა კანონით დაუდგენელია.

კანონის მიხედვით ბიოლოგიური პესტიციდების წარმოება ექვემდებარება ლიცენზირებას³²¹.

6.2.10.5 კანონის დაცვის კონტროლის და დარღვევაზე რეაგირების პროცედურები

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ევალება აკონტროლოს³²²:

- პესტიციდების და აგროქიმიკატების წარმოება-დაფასოების, მარკირების, იმპორტის, ტრანსპორტირების, შენახვის რეალიზაციის და გამოყენების შესაბამისობა დადგენილ წესებთან. თავად წესები დგინდება სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით.
- ბაზარზე განთავსებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხი.

კონტროლის ეს ფუნქციები დაკისრებული აქვს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებას – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურს³²³.

ბაზარზე განთავსებული პესტიციდების ხარისხის შემოწმება ხდება მათი დათვალიერების, ნიმუშების აღების და აკრედიტებულ ლაბორატორიებში მათი გამოცდის საშუალებით. უზარისხო ან ვადაგასული პესტიციდების აღმოჩენის შემთხვევაში, თუკი პრეპარატის გამოყენება მაინც დასაშვებია, შემუშავდება რეკომენდაცია მისი ხარჯვის ნორმის (რეგლამენტის) კორექტირების შესახებ³²⁴. თუ პრეპარატის გამოყენება შეუძლებელია, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური იღებს გადაწყვეტილებას მისი ხმარებიდან ამოღების შესახებ.

საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ვალდებული არიან აკონტროლონ უვარგისი პასტიციდების გაუვნებელყოფა და განთავსება³²⁵.

”საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით” პესტიციდებსა და აგროქიმიკატებთან მოპყრობის წესების დარღვევა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად არის მიჩნეული. დადგენილია ამ წესების კონტროლისა და დარღვევებზე რეაგირების პროცედურები. კერძოდ, ქვემოთ აღწერილ დარღვევების აღმოჩენა უნდა ხდებოდეს საქართველოს ”სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახურის” უფლებამოსილი პირების მიერ. დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში ამ სამსახურის წარმომადგენელი ადგენს სამართალდარღვევათა ოქმს, რომელსაც წარუდგენს სასამართლოს დამრღვევისთვის შესაბამისი სახდელის დასაკისრებლად.

³²¹ იქვე, მუხლი 13, აგრეთვე კანონი ”ლიცენზიების და ნებართვების შესახებ”, მუხლი 6, პუნქტი 9

³²² კანონი ”პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ”, მუხლი 7, პუნქტი 7

³²³ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურის დებულება (დამტკიცებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2006 წლის 14 მარტის #2-44 ბრძანებით. ცვლილებები შეტანილია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2006 წლის 31 მარტის #2-54, 2006 წლის 28 ივნისის #2-111, 2006 წლის 16 ოქტომბრის #2-196, 2007 წლის 13 აპრილის #2-48 და 2007 წლის 26 ივნისის #2-94 ბრძანებებით), მუხლი 3, პუნქტები ”ბ” და ”ყ”, მუხლი 4, პუნქტი 5, ქვეპუნქტები ”ე” და ”ო”

³²⁴ ბაზარზე განთავსებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების კონტროლის და ნიმუშის აღების წესი (დამტკიცებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2007 წლის 30 აგვისტოს #2-131 ბრძანებით), მუხლი 13, პუნქტი 6

³²⁵ კანონი ”პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ, მუხლი 23, პუნქტი 4

უნდა აღინიშნოს, რომ დღეს საქართველოში "სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახური" აღარ არსებობს. მის სანაცვლოდ არსებობს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რომელიც, სოფლის მეურნეობის სამინისტროს იურისტების დასკვნით "მცენარეთა დაცვის სამსახურის" უფლებამონაცვლეს არ წარმოადგენს. შესაბამისად, ახალ სამსახურს არ შეუძლია განახორციელოს კონტროლის ფუნქცია, რომელიც კანონით "მცენარეთა დაცვის სამსახურს" ეკისრება. ასე რომ, დღესდღეობით საქართველოში ქვემოთაღწერილი მუხლების დარღვევაზე რეაგირების უფლებამოსილების მქონე ორგანო ფაქტობრივად არ არსებობს.

პესტიციდებთან და აგროქიმიკატებთან მოპყრობის წესების დარღვევისათვის "საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი" შემდეგ სახდელებს აწესებს:

- მცენარეთა საკარანტინო მავნებლებთან, დაავადებებსა და სარეველებთან ბრძოლის წესების დარღვევა იწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა – შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე³²⁶.
- შხამქიმიკატებისა და მინერალური სასუქების ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა ან შეიძლება მოჰყოლოდა სოფლის მეურნეობის პროდუქციაში ნიტრატებისა და პესტიციდების ნარჩენების ნორმაზე მეტი ოდენობით დაგროვება, აგრეთვე ასეთი პროდუქციის რეალიზაცია, იწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ხუთიდან ათ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა – შრომის ანაზღაურების ათიდან ოც მინიმალურ ოდენობამდე, სოფლის მეურნეობის პროდუქციის კონფისკაციით³²⁷.
- პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შენახვისა და ტრანსპორტირების წესების დარღვევა იწვევს დაჯარიმებას 200-დან 500 ლარამდე³²⁸.
- მომხმარებლის მიერ პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მათი შესატანი ტექნიკური საშუალებების გამოყენების წესების დარღვევა იწვევს დაჯარიმებას 50-დან 100 ლარამდე³²⁹.
- პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შენახვის, ტრანსპორტირების და გამოყენების ინსპექტორებისათვის ხელის შეშლა და უფლებამოსილი პირის მითითებათა შეუსრულებლობა იწვევს დაჯარიმებას 10-დან 50 ლარამდე³³⁰.
- არარეგისტრირებული და ფალსიფიცირებული, ვადაგასული და უხარისხო პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შემოტანა და რეალიზაცია, რასაც მოჰყვა ან შეიძლება მოჰყოლოდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზიანება, აგრეთვე პროდუქციაში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ნარჩენების ზენორმატიული შემცველობა იწვევს დაჯარიმებას 500-დან 1000 ლარამდე³³¹.
- პესტიციდებისა და აგროქიმიკატების უნებართვო წარმოება და დაფასოება იწვევს დაჯარიმებას 500-დან 1000 ლარამდე³³²;

³²⁶ "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი" მუხლი 98

³²⁷ იქვე, მუხლი 98¹, ნაწილი 1

³²⁸ იქვე, ნაწილი 2. ამ დარღვევაზე ოქმის შედგენის უფლება შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ პირებსაც აქვთ.

³²⁹ იქვე, ნაწილი 3

³³⁰ იქვე, ნაწილი 4

³³¹ "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი". მუხლი 98², ნაწილი 1

³³² იქვე, ნაწილი 2

- პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შეფუთვისა და მარკირების წესების დარღვევა იწვევს დაჯარიმებას 500-დან 1000 ლარამდე³³³.
- პესტიციდებისა და აგროქიმიკატების წარმოების, შემოტანისა და რეალიზაციის ინსპექტორებისათვის ხელის შეშლა და უფლებამოსილი პირის მითითებათა შეუსრულებლობა იწვევს დაჯარიმებას 50-დან 100 ლარამდე³³⁴.
- პესტიციდებისა და აგროქიმიკატების უნებართვო დასაწყობება და რეალიზაცია იწვევს რეალიზატორის დაჯარიმებას 100-დან 500 ლარამდე³³⁵.
- გზებზე, ქუჩებში, სკვერებში, პარკებში, ბაზრებში, მოსახლეობის თავშეყრისა და სხვა აკრძალულ ადგილებში პესტიციდებითა და აგროქიმიკატებით ვაჭრობა იწვევს დაჯარიმებას 10-დან 50 ლარამდე³³⁶.

რიგ დარღვევებზე ოქმის შედგენის უფლება საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ორგანოებს (კერძოდ, სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას, გარემოს დაცვის ინსპექციას) აქვს. კერძოდ:

- მცენარეთა დაცვის და ნიადაგის განოციერების ქიმიურ საშუალებათა გარემოში გამოყენების ნორმებისა და ამ ქიმიურ საშუალებათა ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების წესების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა ცხოველთა სამყაროს და მათ საბინადრო გარემოს. დარღვევა იწვევს დაჯარიმებას 150-დან 200 ლარამდე³³⁷.

იმ შემთხვევაში, თუ სასუქებთან ან პესტიციდებთან მოპყრობის (შენახვის, გადაზიდვის, გამოყენების) წესის დარღვევამ გამოიწვია გარემოს ან ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება, ქმედება სისხლის სამართლის დანაშაულად კვალიფიცირდება და ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით სამ წლამდე³³⁸. ხოლო თუ ამ ქმედების შედეგად ადამიანი დაიღუპა _ ქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორიდან ხუთ წლამდე ვადით³³⁹. ასეთ ქმედებებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებელი იძიებს და რეაგირებისთვის წარუდგენს სასამართლოს.

რაც შეეხება მოთხოვნას პესტიციდების რეალიზების თაობაზე ფიზიკური და იურიდიული პირების პერიოდული ანგარიშების შესახებ, მისი დარღვევა შეიძლება ჩაითვალოს არასასურსათო პროდუქციით ვაჭრობის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევად, რაც შრომის ანაზღაურების ათი მინიმალური ოდენობით დაჯარიმებას იწვევს³⁴⁰, თუმცა კანონმდებლობა არ ადგენს ორგანოს, რომელსაც ამ სამართალდარღვევის აღმოჩენისა და ოქმის შედგენის უფლებამოსილება გააჩნია.

³³³ იქვე, ნაწილი 2

³³⁴ იქვე, ნაწილი 3

³³⁵ იქვე, ნაწილი 4

³³⁶ იქვე, ნაწილი 5. ამ დარღვევაზე ოქმის შედგენის უფლება შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ პირებსაც აქვთ.

³³⁷ "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი". მუხლი 85¹.

³³⁸ "საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი", მუხლი 297 "მიწის გაუვარგისება", ნაწილი 1

³³⁹ იქვე, ნაწილი 3

³⁴⁰ "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი". მუხლი 154

6.2.10.6 კანონის საფუძველზე შექმნილი მონაცემთა ბაზები

კანონის საფუძველზე შექმნილია "საქართველოში 2005-2009 წწ გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდების (მცენარეთა დაცვის საშუალებების და ზრდის რეგულატორების) სახელმწიფო კატალოგი".

სოფლის მეურნეობის სამინისტროში შედგენილია, აგრეთვე, ქვეყანაში პესტიციდების და აგროქიმიკატების იმპორტიორ/ექსპორტიორთა, რეალიზატორების, შემნახველების და მწარმოებლების რეესტრი. რეესტრში შეტანილია ამჟამად მოქმედი 18 იურიდიული პირი და ინდემწარმე.

6.2.11 კანონი "ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ"

6.2.11.1 რომელ ნივთიერებებს ეხება

ქიმიური ნივთიერებებიდან კანონი ეხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების იმ პრეპარატებს (მ.შ. პესტიციდებს), რომლებიც დედამიწის ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებებს შეიცავს³⁴¹.

6.2.11.2 კანონის მიღების და ცვლილებების თარიღი

კანონი მიღებულია 1999 წლის 22 ივნისს (გამოქვეყნებულია 1999 წლის #30 "საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში", ძალაშია 2000 წლის 1 იანვრიდან). ცვლილებები შევიდა 2000 წლის 30 ივნისის #465 და 2007 წლის 14 დეკემბრის # 5604 კანონებით.

6.2.11.3 კანონის საფუძველზე გამოცემული მოქმედი ნორმატიული აქტები

ოზონდამშლელ ნივთიერებებთან დაკავშირებით კანონის საფუძველზე გამოცემულია ერთი კანონქვემდებარე აქტი:

- დებულება საქართველოს ტერიტორიაზე ოზონდამშლელ ნივთიერებათა რეგულირების შესახებ (დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 8 მაისის #226 ბრძანებულებით. შემდგომში მისი მოქმედება გადაიფარა საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 სექტემბრის #184 დადგენილებით "შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესის შესახებ დებულებისა და შეზღუდულად ბრუნვადი მასალების სიის დამტკიცების შესახებ". თუმცა ამ უკანასკნელი აქტის მოქმედება შეჩერებულია 2011 წლის 1 ივლისამდე³⁴²)

6.2.11.4 აქტით დადგენილი ადმინისტრაციული პროცედურები

დებულებით დადგენილია საქართველოში რეგულირებულ ოზონდამშლელ ნივთიერებათა სია. მათ შორისაა ოზონდამშლელი პესტიციდი (მეთილბრომიდი). მის წარმოებას, ტრანსპორტირებას, იმპორტს, ექსპორტს, რეექსპორტს ან ტრანზიტს ესაჭიროება ნებართვა "შეზღუდულად ბრუნვადი მასალების, წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის თაობაზე" რომელსაც საქართველოს გარემოს

³⁴¹ კანონი "ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ, მუხლი 26, პუნქტი 5

³⁴² საქართველოს მთავრობის დადგენილება #145, 2008 წლის 27 ივნისი

დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო გასცემს დადგენილი ქვოტის ფარგლებში. ნებართვის გარეშე მეთილბრომიდის იმპორტ-ექსპორტი საქართველოში აკრძალულია.

6.2.11.5 კანონის დაცვის კონტროლის და დარღვევაზე რეაგირების პროცედურები

იხ. სექცია 6.2.15.5

6.2.11.6 კანონის საფუძველზე შექმნილი მონაცემთა ბაზები

კანონით და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით დადგენილია³⁴³ საქართველოში რეგულირებულ ოზონდამშლელ ნივთიერებათა სია.

6.2.12 კანონი "სურსათისა და თამბაქოს შესახებ"

6.2.12.1 რომელ ნივთიერებებს ეხება

ქიმიური ნივთიერებებიდან კანონი ეხება ნებისმიერს, რომლითაც შეიძლება დაზიანებული იყოს საკვები პროდუქტი.

6.2.12.2 კანონის მიღების და ცვლილებების თარიღი

კანონი მიღებულია 1999 წლის 25 ივნისს (ძალაშია 1999 წლის 1 სექტემბრიდან). ცვლილებები შევიდა 1999 წლის 22 ივლისის #2310, 2003 წლის 20 ივნისის #2406 და #2409, 2005 წლის 24 ივნისის #1786 და 2006 წლის 29 დეკემბრის #4313 კანონებით.

6.2.12.3 კანონის საფუძველზე გამოცემული მოქმედი ნორმატიული აქტები

ქიმიური ნივთიერებების რეგულირების სფეროში კანონის შესაბამისად გამოცემულ კანონქვემდებარე აქტებად შეიძლება ჩაითვალოს:

- გარემოს ობიექტებში პესტიციდების შემცველობის ქიმიური ნორმატივები (დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს #309/ნ ბრძანებით);
- სანიტარული წესები და ნორმები 2.3.2.00-00 "ჰიგიენური მოთხოვნები სასურსათო ნედლეულისა და საკვები პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოებისადმი" (დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს #301/ნ ბრძანებით)³⁴⁴

6.2.12.4 აქტით დადგენილი ადმინისტრაციული პროცედურები

კანონის მიხედვით აკრძალულია ისეთი სურსათის³⁴⁵ რეალიზაცია, რომელიც (ან რომლის ზედაპირიც):

³⁴³ სია გაფართოვდა საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 სექტემბრის #184 დადგენილებით "შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესის შესახებ დებულებისა და შეზღუდულად ბრუნვადი მასალების სიის დამტკიცების შესახებ"

³⁴⁴ აქტი გამოცემულია "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" კანონის 70-ე მუხლის და "სურსათისა და თამბაქოს შესახებ" კანონის მე-6 მუხლის საფუძველზე

³⁴⁵ იგულისხმება დაფასოებული სასმელი წყალიც

- ზღვრულად დასაშვებ დონეზე მეტი კონცენტრაციით შეიცავს მცენარეთა დაცვის და ნიადაგის დამუშავების ქიმიურ საშუალებებს ან სასუქებს, ან მათი დაშლის ან სხვა ნივთიერებებთან ურთიერთქმედების შედეგად მიღებულ ნივთიერებებს³⁴⁶;
- შეიცავს გამოყენებისათვის აკრძალულ მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებებს³⁴⁷.

ზემოთ მითითებული სანიტარული წესების მიხედვით კი დადგენილია პესტიციდების ნაშთების ზღვრული დაშვებული შემცველობა სურსათში.

6.2.12.5 კანონის დაცვის კონტროლის და დარღვევაზე რეაგირების პროცედურები

იხ. სექცია 6.2.10.5. გარდა ამისა, ზოგადად, სასურსათო პროდუქციით ვაჭრობის კანონმდებლობით დადგენილი ნებისმიერი წესის დარღვევა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ითვლება და შრომის ანაზღაურების ათი მინიმალური ოდენობით დაჯარიმებას იწვევს³⁴⁸. თუმცა, ამ სამართალდარღვევის მაკონტროლებელ და შესაბამისი ოქმის შედგენის უფლებამოსილ ორგანოს საქართველოს კანონმდებლობა არ ადგენს.

ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქციის რეალიზაცია კი სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენს. იგი ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ან თავისუფლების შეზღუდვით სამ წლამდე ვადით ან თავისუფლების აღკვეთით სამიდან ხუთ წლამდე ვადით. თუ ამ ქმედებამ რეალურად შეუქმნა საფრთხე ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, იგი ისჯება თავისუფლების შეზღუდვით სამ წლამდე ვადით ან თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან რვა წლამდე. ხოლო თუ ქმედებამ გამოიწვია ადამიანის დაღუპვა ან სხვა მძიმე შედეგი, იგი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე³⁴⁹. ამ დანაშაულებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის საგამომიებო დანაყოფის გამომძიებლები იძიებენ.

6.2.13 კანონი "საშიში ქიმიური ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ"

6.2.13.1 რომელ ნივთიერებებს ეხება

კანონი ეხება ნებისმიერი საშიში ნივთიერებით გარემოსთვის, ადამიანის ჯანმრთელობისთვის, კულტურული ან ისტორიული მნიშვნელობის ობიექტებისთვის, ქონებისთვის მიყენებულ ზიანს.

6.2.13.2 კანონის მიღების და ცვლილებების თარიღი

კანონი მიღებულია 1999 წლის 23 ივლისს. ცვლილებები შევიდა 2002 წლის 19 ნოემბრის #1750 და 2003 წლის 6 ივნისის #2377 კანონებით.

6.2.13.3 კანონით დადგენილი ადმინისტრაციული პროცედურები

კანონს შემოაქვს გარემოს დაბინძურების შედეგად სახელმწიფოზე მიყენებული ზიანის ცნება და ადგენს დამბინძურებლის ვალდებულებას აუნაზღაუროს სახელმწიფოს ეს ზიანი.

³⁴⁶ კანონი "სურსათისა და თამბაქოს შესახებ", მუხლი 6, პუნქტი 1ა

³⁴⁷ იქვე, პუნქტი 1ბ

³⁴⁸ "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", მუხლი 154

³⁴⁹ "საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი", მუხლი 198

დღესდღეობით გარემოზე მიყენებული ზიანის ფულადი ოდენობის გაანგარიშება ხდება შემდეგი ნორმატიული აქტის მიხედვით:

- "გარემოსთვის მიყენებული ზიანის გაანგარიშების მეთოდის" (დამტკიცებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2006 წლის 5 ივლისის #538 ბრძანებით, ცვლილება შევიდა 2006 წლის 16 ოქტომბრის #1098 ბრძანებით).

6.2.14 კანონი "ნიადაგების კონსერვაციის და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ"

6.2.14.1 რომელ ნივთიერებებს ეხება

ქიმიური ნივთიერებების სფეროდან კანონი ეხება აგროქიმიკატებს, აგრეთვე მათ და სხვა ქიმიური ნივთიერებების ნარჩენებს.

6.2.14.2 კანონის მიღების და ცვლილებების თარიღი

კანონი მიღებულია 2003 წლის 3 მაისს. ცვლილებები მასში არ შესულა.

6.2.14.3 კანონის საფუძველზე გამოცემული მოქმედი ნორმატიული აქტები

ქიმიკატებთან დაკავშირებით კანონის საფუძველზე გამოცემულია ერთი კანონქვემდებარე აქტი:

- დებულება წარმოების ტოქსიკური ნარჩენებითა და რადიაქტიური ნივთიერებებით დაბინძურების შედეგად დეგრადირებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და სხვა მიწების კონსერვაციის შესახებ (დამტკიცებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2005 წლის 18 მარტის #36 ბრძანებით)

6.2.14.4 აქტით დადგენილი ადმინისტრაციული პროცედურები

დებულების მიხედვით საშიში ნივთიერებებით (მათ შორის ნავთობით და ნავთობპროდუქტებით), სამრეწველო ტოქსიკური და სხვა სახის ნარჩენებით, ნარჩენი პესტიციდებით და აგროქიმიური ნივთიერებებით ზღვრულ დასაშვებ დონეზე მეტად დაბინძურებული ნიადაგები ექვემდებარება კონსერვაციას³⁵⁰ ან/და აღდგენა-გაუმჯობესებას. დაბინძურებული მიწების გამოვლენას და გამოკვლევას ახორციელებენ³⁵¹ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე) და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო (დანარჩენ მიწებზე). გამოკვლევის შემდეგ მზადდება დასკვნები დაბინძურებული მიწის შემდგომი გამოყენების მიზნით. ეს დასკვნები შეიძლება გულისხმობდეს:

- მიწის გამოყენების სპეციალური რეჟიმის შემოღებას
- მიწის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლას

³⁵⁰ დებულება წარმოების ტოქსიკური ნარჩენებითა და რადიაქტიური ნივთიერებებით დაბინძურების შედეგად დეგრადირებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და სხვა მიწების კონსერვაციის შესახებ, მუხლი 3, პუნქტი 6

³⁵¹ იქვე, მუხლი 3, პუნქტი 8

- კონსერვაციის ვადის დადგენას
- აღდგენის ღონისძიებების დადგენას

მიწის დაბინძურებული ფენის მოხსნას, განთავსებას და ტერიტორიის რეკულტივაციას ახორციელებს/აფინანსებს ის პირი, ვისი ბრალითაც მოხდა მიწის დაბინძურება-დეგრადაცია³⁵². თუ ასეთი არ არსებობს, დეგრადირებული მიწების კონსერვაცია და აღდგენა ფინანსდება საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან, მიზნობრივი პროგრამების შესაბამისად³⁵³.

მიწების კონსერვაციას და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების სამუშაოების შემუშავებას, ჩატარებას და ერთიან სახელმწიფო მართვას ახორციელებენ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე) და საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო (დანარჩენ მიწებზე). დაბინძურებული და დეგრადირებული მიწების კონსერვაციის ინვენტარიზაციას ადგილობრივი მმართველობის ორგანოები ახორციელებენ³⁵⁴. დღეისთვის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროქიმიისა და ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების სამსახური ლიკვიდირებულია.

6.2.15 კანონი "ლიცენზიების და ნებართვების შესახებ"

6.2.15.1 რომელ ნივთიერებებს ეხება

ქიმიური ნივთიერებების სფეროდან კანონი ეხება:

- შეზღუდულად ბრუნვად (აკრძალულ და მკაცრად შეზღუდულ) პესტიციდებს, სამრეწველო ქიმიკატებს და ქიმიური ნივთიერებების ნარჩენებს;
- ორმაგი დანიშნულების მასალებს;
- საშიშ საწარმოო ობიექტებს;
- გარემოზე ზემოქმედების უნარის მქონე საქმიანობებს;

6.2.15.2 კანონის მიღების და ცვლილებების თარიღი

კანონი მიღებულია 2005 წლის 24 ივნისს. ცვლილებები შევიდა 2005 წლის 9 დეკემბრის #2236, 2006 წლის 25 მაისის #3176 და #3186, 2006 წლის 23 ივნისის #3380, 2006 წლის 30 ივნისის #3427, 2006 წლის 24 ივლისის #3495, 25 ივლისის #3533, 29 დეკემბრის #4233, 2007 წლის 28 მარტის #4532, 8 მაისის #4715, 14 დეკემბრის #5606, 2008 წლის 14 მარტის #5921 და 2008 წლის 19 მარტის #5947 კანონებით.

6.2.15.3 კანონის საფუძველზე გამოცემული მოქმედი ნორმატიული აქტები

ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით კანონის საფუძველზე გამოცემულია ერთი კანონქვემდებარე აქტი:

- დებულება შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესის შესახებ და შეზღუდულად ბრუნვადი მასალების სია (დამტკიცებულია

³⁵² იქვე, მუხლი 4, პუნქტი 1

³⁵³ იქვე, მუხლი 6

³⁵⁴ იქვე, მუხლი 7

საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 სექტემბრის #184 დადგენილებით). დებულება ამოქმედდა 2006 წლის 3 ოქტომბერს, ხოლო თვენახევარში, 2006 წლის 22 ნოემბერს, მისი მოქმედება შეჩერდა საქართველოს მთავრობის 2006 წლის 22 ნოემბრის #219 დადგენილებით, შემდგომ – 2007 წლის 7 აპრილის #83, 24 აგვისტოს #178 და 28 ნოემბრის #261 დადგენილებებით, შემდეგ – 2008 წლის 27 ივნისის #145 დადგენილებით. ბოლო შესწორების თანახმად დებულების მოქმედება 2011 წლის 1 ივლისამდე არის შეჩერებული.

6.2.15.4 აქტით დადგენილი ადმინისტრაციული პროცედურები

6.2.15.4.1 შეზღუდულად ბრუნვადი მასალები

კანონი ადგენს შეზღუდულად ბრუნვადი მასალების ცნებას³⁵⁵, რომელიც ზემოთ აღნიშნული კანონქვემდებარე აქტით განმარტებულია, როგორც ნივთიერებები, ნედლეული, პროდუქცია, ნარჩენი, რომლებიც თავიანთი აქტიური თვისებების გამო განსაკუთრებით მავნე ზეგავლენას ახდენენ ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე, რის გამოც მათი ბრუნვა შეზღუდულია ან აკრძალულია საქართველოს ტერიტორიაზე³⁵⁶. შეზღუდულად ბრუნვადი მასალების სია ამავე კანონქვემდებარე აქტით არის დადგენილი. დღეს მოქმედ სიაში შედის:

- როტერდამის კონვენციის მესამე დანართით განსაზღვრული და სხვა საშიში პესტიციდები და სამრეწველო ქიმიკატები;
- ოზონდამშლელი ნივთიერებები;
- ნარკოტიკული ნივთიერებების პრეკურსორები;
- ბაზელის კონვენციის პირველი და მეორე დანართით განსაზღვრული ნარჩენები;
- ევროგაერთიანების საბჭოს 259/93 რეგულაციით დადგენილი ნარჩენების წითელ, ყვითელ და მწვანე სიებით განსაზღვრული ნარჩენები.

კანონის მიხედვით შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოება, ტრანსპორტირება, იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი ან ტრანზიტი საჭიროებს ნებართვას.

”შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესის შესახებ” დებულების მე-4 მუხლის მიხედვით შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო გასცემს. გარკვეულ შემთხვევებში ამ ნებართვის გაცემისთვის სამინისტროს სხვა სამთავრობო უწყებების დასკვნა ესაჭიროება. კერძოდ:

- აკრძალულ და მკაცრად შეზღუდული პესტიციდების შემთხვევაში – სოფლის მეურნეობის სამინისტროს;
- აკრძალულ და მკაცრად შეზღუდული ნივთიერებების შემთხვევაში – შინაგან საქმეთა სამინისტროს და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს;

³⁵⁵ კანონი ”ლიცენზიების და ნებართვების შესახებ”, მუხლი 24, პუნქტი 7

³⁵⁶ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 სექტემბრის #184 დადგენილებით ”შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესის შესახებ დებულებისა და შეზღუდულად ბრუნვადი მასალების სიის დამტკიცების შესახებ” მე-2 მუხლის 1 პუნქტის მიხედვით.

- ნარკოტიკული ნივთიერებების პრეკურსორების შემთხვევაში – შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს;
- ნებისმიერი შეზღუდულად ბრუნვადი მასალის ტრანსპორტირების შემთხვევაში – შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

ცხრილი 39. საქართველოში შეზღუდულად ბრუნვადი მასალები, დანართი 1
(როტერდამის კონვენციის მესამე დანართით და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის #133/ნ (26.03.2001 წ.) ბრძანებით (საქართველოს ტერიტორიაზე წარმოების, გამოყენებისა და ექსპორტი-იმპორტის აკრძალვას და მკაცრად შეზღუდვას დაქვემდებარებული) განსაზღვრული საშიში ქიმიური ნივთიერებები)

N	ქიმიური ნივთიერება	საერთაშორისო სარეგისტრაციო ნომერი (CAS)	გამოყენების კატეგორია	გადაწყვეტილება	შედის როტერდამის კონვენციის მე-3 დანართში	რეგულირდება სტოკჰოლმის კონვენციით
1	ვერცხლისწყლის შემცველი ნაერთები		პესტიციდები	აკრძალულია	+	
2	ალდრინი	309-00-2	პესტიციდები	აკრძალულია	+	+
3	ქლორდანი	57-74-9	პესტიციდები	აკრძალულია	+	+
4	დილდრინი	60-57-1	პესტიციდები	აკრძალულია	+	+
5	დდტ	50-29-3	პესტიციდები	აკრძალულია	+	+
6	ენდრინი	72-20-8	პესტიციდები	აკრძალულია		+
7	ჰექსაქლორციკლოჰექსანი (HCH)	608-73-1	პესტიციდები	აკრძალულია	+	
8	ჰეპტაქლორი	76-44-8	პესტიციდები	აკრძალულია	+	+
9	ჰექსაქლორბენზოლი	118-74-1	პესტიციდები	აკრძალულია	+	+
10	კამფეკლორი (ტოქსაფენი)	8001-35-2	პესტიციდები	აკრძალულია	+	+
11	ნიტროფენი	1836-75-5	პესტიციდები	აკრძალულია		
12	1,2-დიბრომეთანი	106-93-4	პესტიციდები	აკრძალულია	+	
13	1,2-დიქლორეთანი	107-06-2	პესტიციდები	აკრძალულია	+	
14	პენტაქლორფენოლი და მისი მარილები და ეთერები	87-86-5	პესტიციდები	აკრძალულია	+	
15	ეთილენ ოქსიდი	75-21-8	პესტიციდები	აკრძალულია	+	
16	დინოსები და მათი მარილები და ეთერები	88-85-7	პესტიციდები	აკრძალულია	+	
17	ბინაპაკრილი	485-31-4	პესტიციდები	აკრძალულია	+	
18	კაპტაფოლი	2425-06-1	პესტიციდები	აკრძალულია	+	
19	კვინტოზანი, მედექსაქლორბენზოლი 1გ/კგ-ზე მეტი ან ედპენტაქლორბენზოლი 10გ/კგ შემცველობით	82-68-8	პესტიციდები	აკრძალულია		
20	2,4,5-T და მისი მარილები და ეთერები	93-76-5	პესტიციდები	აკრძალულია	+	
21	ლინდანი	58-89-9	პესტიციდები	აკრძალულია	+	
22	ფტორაცეტამიდი	640-19-7	პესტიციდები	აკრძალულია	+	
23	ქლორდიმეფორმი	6164-98-3	პესტიციდები	აკრძალულია	+	
24	ქლორბენზილატი	510-15-6	პესტიციდები	აკრძალულია	+	
25	მარექსი	2385-85-5	პესტიციდები	აკრძალულია		+
26	ქლორპიკრინი	76-06-2	პესტიციდები	აკრძალულია		
27	მონოკროტოფოსი (ხსნარი რომელიც შეიცავს 600გ/ლ აქტიურ ინგრედიენტზე მეტს)	6923-22-4	განსაკუთრებით საშიში პესტიციდური შემადგენლობა	აკრძალულია	+	
28	მეტამიდოფოსი (ხსნარი, რომელიც შეიცავს 600გ/ლ	10265-92-6	განსაკუთრებით საშიში	აკრძალულია	+	

	აქტიურ ინგრედიენტზე მეტს)		პესტიციდური შემადგენლობა			
29	ფოსფამიდონი (ხსნარი, რომელიც შეიცავს 1000გ/ლ აქტიურ ინგრედიენტზე მეტს)	13171-21-6	განსაკუთრებით საშიში პესტიციდური შემადგენლობა	აკრძალულია	+	
30	მეთილაპარათიონი (ემულგირებადი კონცენტრატები ინგრედიენტის 19,5 %-ის შემცველობით და მეტი და ფხვნილოვანი შემადგენლობა აქტიური ინგრედიენტის 1,5%- ის შემცველობით და მეტი)	29988-00-0 ³⁵⁷	განსაკუთრებით საშიში პესტიციდური შემადგენლობა	აკრძალულია	+	
31	პარათიონი (ყველა ფორმულაციები – აეროზოლები, დუსტი, ემულგი-რებადი, კონცენტრატები, გრანუ-ლები, სველებადი ფხვნილები) გარდა სუსპენზიებისა კაფსულებში	56-38-2	განსაკუთრებით საშიში პესტიციდური შემადგენლობა	აკრძალულია	+	
32	დიკოფოლი	115-32-2	პესტიციდები	მკაცრი შეზღუდვა		
33	ა) მალეიქჰიდრაზიდი და მისი მარილები ბ) ქოლინი, პოტასიუმი, მალეიქის ჰიდრაზიდის შემცველი მარილები	123-33-1	პესტიციდები	მკაცრი შეზღუდვა		
34	პოლიქლორირებული დიფენილები (PCB) გარდა მონო- და დიქლორბიფენილებისა	1336-36-3	სამრეწველო	აკრძალულია	+	+
35	პოლიქლორტერფენილები (PCT)	61788-33-8	სამრეწველო	აკრძალულია	+	
36	პრეპარატები - PCB ან PCT 0,005%-ზე მეტი შემცველობით		სამრეწველო	აკრძალულია		
37	პოლიბრომირებული დიფენილები (PBB) ჰექსა ოქტა დეკა	59080-40-9 27858-07-7 13654-09-6 36355-06-8	სამრეწველო	აკრძალულია	+	
38	აზბესტის ბოჭკო: კროკოდოლიტი ამოზიტი ანტოფილტი აქტინოლიტი ტრემოლიტი	12001-28-4 12172-73-5 77536-67-5 77536-66-4 77536-68-6	სამრეწველო	აკრძალულია	+	
39	იუგილექ 121		სამრეწველო	აკრძალულია		
40	(DBBT)	99688-47-8	სამრეწველო	აკრძალულია		
41	2-ნაფტილამინი	91-59-8	სამრეწველო	მკაცრი შეზღუდვა		
42	ბენზიდინი	92-87-5	სამრეწველო	მკაცრი შეზღუდვა		
43	4-ნიტრობიფენილი	92-93-3	სამრეწველო	მკაცრი შეზღუდვა		
44	4-ამინობიფენილი	92-67-1	სამრეწველო	მკაცრი შეზღუდვა		
45	ტრის (დიბრომპროპილ) ფოსფატი	126-72-7	სამრეწველო	მკაცრი შეზღუდვა	+	
46	ტრის აზირინიდი -	545-55-1	სამრეწველო	მკაცრი შეზღუდვა		

³⁵⁷ კოდი არასწორია. უნდა იყოს 298-00-0

	ფოფინოქსიდი					
47	იუგილექ 141	76253-60-6	სამრეწველო	მკაცრი შეზღუდვა		
48	დნოკი და მისი მარილები (ისეთები, როგორიცაა ამონიუმის, კალიუმისა და ნატრიუმის მარილები)	534-52-1, 2980-64-5, 5787-96-2, 2312-76-7	პესტიციდები	აკრძალულია	+	
49	ტეტრაეთილტყვია	78-00-2	სამრეწველო	აკრძალულია	+	
50	ტეტრამეთილტყვია	75-74-1	სამრეწველო	აკრძალულია	+	
51	ეთილენ დიქლორიდი ³⁵⁸	107-06-2	პესტიციდები		+	
52	გასაფრქვევი ფხვნილოვანი შემადგენლობები, რომლებიც შეიცავენ: ბენომილს, კონცენტრაცია 7 ან მეტი პროცენტი; კარბოფურანს, კონცენტრაცია 10 ან მეტი პროცენტი; თირამს, კონცენტრაცია 15 ან მეტი პროცენტი	17804-35-2 1563-66-2 137-26-8	განსაკუთრებით საშიში პესტიციდური შემადგენლობა	აკრძალულია	+	
53	მეტამიდოფოსი	6923-22-4 ³⁵⁹	განსაკუთრებით საშიში პესტიციდური შემადგენლობა	აკრძალულია		

”ლიცენზიების და ნებართვების შესახებ” კანონის 27-ე მუხლის მიხედვით ნებართვის გაცემაზე უარის თქმის ერთ-ერთი საფუძველი მაძიებლის მიერ კანონით დადგენილი სანებართვო პირობების დაუკმაყოფილებლობა შეიძლება იყოს. ვფიქრობთ, რომ ასეთ სანებართვო მოთხოვნებად უნდა ჩაითვალოს ”საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ” კანონით გარკვეული ტიპის ნარჩენების იმპორტისა და ტრანზიტის სრული აკრძალვა (იხ. სექცია 6.2.3.3) და ”პესტიციდების და აგროქიმიკატების შესახებ” კანონის დებულებები აკრძალული და მკაცრად შეზღუდული პესტიციდების იმპორტის დაშვების მკაცრად განსაზღვრული პირობების თაობაზე (იხ. სექცია 6.2.10.4).

როგორც ზემოთ აღინიშნა, დებულებამ ”შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესის შესახებ” სულ 1,5 თვე იმოქმედა. 2006 წლის 22 ნოემბერიდან მისი მოქმედება შეჩერდა და დღეის მდგომარეობით მისი ამოქმედება 2011 წლის 1 ივლისამდე არ არის გათვალისწინებული. დებულების შეჩერების ძირითად მიზეზს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ დებულება აერთიანებდა სრულებით განსხვავებულ რეგულირების რეჟიმში მყოფ სხვადასხვა ტიპის ნივთიერებებსა და საქონელს. რეალობამ აჩვენა, რომ ნებართვის ერთიანი პროცედურით მათი მოცვა გაუმართლებლად დიდ ადმინისტრაციულ რესურსს მოითხოვდა და ხშირ შემთხვევაში სრულებით განუხორციელებელი იყო.

”ლიცენზიების და ნებართვების შესახებ” კანონის დებულებამ ნარჩენების იმპორტსა და ტრანზიტზე ნებართვის დაშვების შესახებ გადაფარა ”საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ” კანონის (იხ. სექცია 6.2.3) დებულებები, რომელთა მიხედვით ნარჩენების იმპორტი და ტრანზიტი საქართველოში, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა, საერთოდ იკრძალებოდა და აგრეთვე სისხლის

³⁵⁸ მეორდება, იგივეა, რაც #13: 1,2-დიქლორეთანი

³⁵⁹ სარეგისტრაციო კოდი არასწორია. უნდა იყოს 10265-92-6

სამართლის კოდექსის 234 მუხლი, რომლის მიხედვით სახიფათო ნარჩენების იმპორტი საქართველოში სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენს. თუმცა აღნიშნული დებულების მოქმედების შეჩერება "ლიცენზიების და ნებართვების შესახებ" კანონის შესაბამისი მუხლის მოქმედების შეჩერების გარეშე სამართლებრივად გაურკვეველ მდგომარეობას ქმნის: ერთის მხრივ საქმიანობებს ესაჭიროება ნებართვა, მაგრამ ამავე დროს ნებართვის გაცემის პროცედურის მარეგულირებელი აქტი შეჩერებულია. გაუგებარია, თუ რას ნიშნავს ეს მდგომარეობა – საქმიანობის ნებართვის გარეშე განხორციელების დაშვებას თუ საქმიანობის მთლიანად აკრძალვას (განსაკუთრებით ნარჩენების შემთხვევაში – როცა იმპორტისა და ტრანზიტის ამკრძალავი დებულებები გაუქმებული კი არა, გადაფარულია).

6.2.15.4.2 ორმაგი დანიშნულების მასალები

კანონი ითვალისწინებს ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის არსებობას. ამ საკითხს უფრო დეტალურად არეგულირებს კანონი "შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის შესახებ" (იხ. სექცია 6.2.8).

6.2.15.4.3 საშიში საწარმოო ობიექტები

კანონის მიხედვით საშიში საწარმოო ობიექტების ექსპლუატაციას ესაჭიროება ნებართვა³⁶⁰, რომელსაც ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია გასცემს. მეტი დეტალებისთვის იხ. სექცია 6.2.7.

6.2.15.4.4 გარემოზე ზემოქმედების უნარის მქონე საქმიანობები

კანონის მიხედვით გარემოზე მავნე ზემოქმედებისთვის საჭიროა საგანგებო ნებართვა. გარემოზე ზემოქმედების ნებართვის საკითხებს საქართველოს კანონმდებლობასი ცალკე კანონი აწესრიგებს. დეტალებისთვის იხ. სექცია 6.2.20.

6.2.15.5 კანონის დაცვის კონტროლის და დარღვევაზე რეაგირების პროცედურები

შეზღუდულად ბრუნვადი მასალების იმპორტ-ექსპორტის, ტრანზიტის და რეექსპორტის ნებართვის გარეშე განხორციელების აღკვეთას საბაჟო ინსტრუქციების შესაბამისი დებულებები ემსახურება. კერძოდ, თუ საქონელი შეზღუდულად ბრუნვად მასალას წარმოადგენს, სავალდებულოა შემდეგი წესების დაცვა:

- იმპორტირებული საქონლის განბაჟებისთვის აუცილებელია შეზღუდულად ბრუნვადი მასალების იმპორტზე ნებართვის წარდგენა³⁶¹ (ინსტრუქციის ეს მოთხოვნა შეჩერებულია და ამოქმედდება მხოლოდ "შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესის შესახებ" დებულების ამოქმედებასთან ერთად³⁶²);

³⁶⁰ კანონი "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ", მუხლი 24, პუნქტი 25

³⁶¹ "ინსტრუქცია საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ" (დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის #1760 ბრძანებით, ცვლილებები შევიდა 2007 წლის 8 თებერვლის #105, 23 აპრილის #389, 23 ივლისის #923, 27 აგვისტოს #1028, 2008 წლის 9 იანვრის #10, 18 იანვრის #73, 27 მაისის #464, 20 ივნისის #536, 4 აგვისტოს #637 და 31 დეკემბრის #983 ბრძანებებით), მუხლი 9, პუნქტი 8, ქვეპუნქტი "ბ.ბ.ა"

³⁶² იქვე, მუხლი 15

- საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის ექსპორტის რეჟიმზე გატანისთვის – შეზღუდულად ბრუნვადი მასალების ექსპორტის ნებართვის წარდგენა³⁶³ (ინსტრუქციის ეს მოთხოვნა შეჩერებულია და ამოქმედდება მხოლოდ "შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესის შესახებ" დებულების ამოქმედებასთან ერთად³⁶⁴);
- ტრანზიტის საბაჟო რეჟიმისთვის განკუთვნილი საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისთვის – შეზღუდულად ბრუნვადი მასალების ტრანზიტის ნებართვის წარდგენა³⁶⁵;

საგულისხმოა, რომ 2009 წლიდან საქართველოს საბაჟოებში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) მიერ შემუშავებული საბაჟო მონაცემთა ავტომატიზებული სისტემის³⁶⁶ (ASYCUDA) გასანერგად მოქმედებას იწყებს გამარტივებული საბაჟო პროცედურების რეჟიმი. თუმცა შეზღუდულად ბრუნვადი მასალები ამ რეჟიმს არ ექვემდებარება³⁶⁷ (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქონლის მიმღები რომელიმე სამინისტროა).

შესაბამისი ნებართვის გარეშე შეზღუდულად ბრუნვადი მასალების იმპორტ-ექსპორტი კი კრიმინალიზებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, რომლის მიხედვით შხამიანი ან მომწამვლელი ნივთიერების დადგენილი წესის დარღვევით საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადატანა ან გადმოტანა საბაჟო წესის დარღვევად კვალიფიცირდება და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან რვა წლამდე³⁶⁸. ამ დანაშაულების გამოძიება შინაგან საქმეთა ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნება³⁶⁹.

რაც შეეხება სათანადო ნებართვის გარეშე შეზღუდულად ბრუნვადი ქიმიური ნივთიერებების წარმოებას, ან საშიში ქიმიური ობიექტის ექსპლუატაციას, ან გარემოზე ზემოქმედების უნარის მქონე საქმიანობის განხორციელებას, ყოველივე ეს წარმოადგენს ნებართვის გარეშე სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას, ანუ უკანონო სამეწარმეო საქმიანობას. ეს ქმედება, დიდი ოდენობით შემოსავლის მიღების ან მნიშვნელოვანი ზიანის

³⁶³ "ინსტრუქცია საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ" (დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის #1770 ბრძანებით, ცვლილებები შევიდა 2007 წლის 9 მარტის #191, 2008 წლის 18 იანვრის #77, 20 ივნისის #530, 4 აგვისტოს #641, 2 დეკემბრის #888 და 31 დეკემბრის #984 ბრძანებებით), მუხლი 4, პუნქტი 6¹, ქვეპუნქტი "ბ.ბ.ა"

³⁶⁴ იქვე, მუხლი 13

³⁶⁵ "ინსტრუქცია საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ" (დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 20 დეკემბრის #1761 ბრძანებით, ცვლილებები შევიდა 2007 წლის 8 თებერვლის #88, 9 მარტის #186, 23 ივლისის #922, 28 სექტემბრის #1083, 17 დეკემბრის #1293, 2008 წლის 18 იანვრის #76, 27 მაისის #467, 20 აგვისტოს #671 და 31 დეკემბრის #993 ბრძანებებით), მუხლი 4, პუნქტი 4, ქვეპუნქტი "ა.ა.ბ"

³⁶⁶ Automated System of Customs Data

³⁶⁷ "ინსტრუქცია საბაჟო-სავაჭრო თანამშრომლობის განხორციელების წესის შესახებ" (დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 31 დეკემბრის #990 ბრძანებით), მუხლი 8, პუნქტი "ა" და "ინსტრუქცია საბაჟო-სავაჭრო თანამშრომლობის მონაწილეთა მიერ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების(იმპორტის) საბაჟო რეჟიმში გაცხადებულ საქონელზე, რომლის მიმართაც დადგენილი წესით ხორციელდება გამარტივებული საბაჟო კონტროლი, სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის შევსების, წარდგენის და რეგისტრაციის წესის შესახებ" (დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის #1232 ბრძანებით, ცვლილება შევიდა 2008 წლის 31 დეკემბრის #982 ბრძანებით), მუხლი 2, პუნქტი "ბ.ა";

³⁶⁸ "საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 214, პუნქტი 4

³⁶⁹ "საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი", მუხლი 62

მიყენების შემთხვევაში სისხლის სამართლის დანაშაულად კვალიფიცირდება და ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ერთიდან სამ წლამდე³⁷⁰. ასეთ დანაშაულებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის საგამომიებო დანაყოფის გამომძიებლები იძიებენ³⁷¹.

გარდა ამისა, საქმიანობის განხორციელება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე თავისთავად დასჯადი ქმედებაა. კერძოდ, საქმიანობის განხორციელება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე იწვევს დაჯარიმებას 7000-დან 10000 ლარამდე³⁷². ხოლო თუ ასეთი ქმედება გაგრძელდა ადმინისტრაციული სახდების დადების შემდგომაც, საქმიანობა სისხლის სამართლის კოდექსს დაექვემდებარება და დაისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ორ წლამდე ვადით ან თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ვადით³⁷³. პირველ შემთხვევაში საქმეს იხილავს და ადმინისტრაციულ სახდელს ადებს³⁷⁴, მეორე შემთხვევაში კი საქმეს იძიებს და სასამართლოს გადასცემს³⁷⁵ – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შესაბამისი თანამდებობის პირები.

რაც შეეხება შეზღუდულად ბრუნვადი მასალების სათანადო ნებართვის გარეშე ტრანსპორტირებას, ეს ქმედება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს და სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კონტროლდება. კერძოდ:

- თუ დარღვეულია პესტიციდების ტრანსპორტირების წესი (მათ შორის სათანადო ნებართვის არსებობის ვალდებულება), სამართალდარღვევის აღმოჩენის, ოქმის შედგენის და საქმის სასამართლოსათვის წარდგენის ვალდებულება ეკისრება სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახურს ან შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოებს. ქმედება ისჯება ჯარიმით 200-დან 500 ლარამდე³⁷⁶.
- თუ დარღვეულია ქიმიურ საშუალებათა ტრანსპორტირების წესები (მათ შორის სათანადო ნებართვის არსებობის ვალდებულება) და ამან ზიანი მიაყენა ცხოველთა სამყაროს და მათ საბინადრო გარემოს, გარემოს დაცვის სამინისტროს უფლებამოსილი პირი (გარემოს დაცვის სამსახურის ინსპექტორი) ადგენს ოქმს სამართალდარღვევის შესახებ და საქმეს განსახილველად გადასცემს სასამართლოს. ქმედება ისჯება ჯარიმით 150-დან 200 ლარამდე³⁷⁷.
- თუ საშიში ქიმიური ნივთიერებების გადაზიდვა ხდება საწარმოო დანიშნულებით და დაირღვა მათი გადაზიდვის წესი (მათ შორის სათანადო ნებართვის არსებობის ვალდებულება), სამართალდარღვევის აღმოჩენის, ოქმის შედგენის და საქმის სასამართლოსათვის წარდგენის ვალდებულება ეკისრება ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციას. ქმედება ისჯება ჯარიმით 50-დან 100 ლარამდე, ხოლო განმეორებით ჩადენისას – 200-დან 500 ლარამდე³⁷⁸.

³⁷⁰ "საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი", მუხლი 192

³⁷¹ "საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი", მუხლი 62, პუნქტი 3

³⁷² "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", მუხლი 79¹

³⁷³ "საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი", მუხლი 306

³⁷⁴ "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", მუხლი 222

³⁷⁵ "საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი", მუხლი 62, პუნქტი 6

³⁷⁶ "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", მუხლი 98¹

³⁷⁷ იქვე, მუხლი 85¹

³⁷⁸ იქვე, მუხლი 91

იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდულად ბრუნვადი მასალების უნებართვო ტრანსპორტირება შეეძლო გამოეწვია ან გამოიწვია გარემოს ან ადამიანთა ჯანმრთელობის არსებითი დაზიანება, იგი გარემოსათვის საშიში ნივთიერებისადმი ან ნარჩენისადმი მოპყრობის წესის დარღვევად შეიძლება დაკვალიფიცირდეს, რაც სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენს და ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე (მძიმე შედეგის შესაძლებლობის შემთხვევაში) ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე (მძიმე შედეგის დადგომის შემთხვევაში), ან თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან რვა წლამდე ვადით (ადამიანთა დაღუპვის შემთხვევაში)³⁷⁹. საქმეს იძიებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების, გარემოს დაცვის სამსახურის გამომძიებელი³⁸⁰.

გარდა ამისა, კანონი ნებართვის მფლობელთა მიერ ნებართვის პირობების დაცვის კონტროლსაც ითვალისწინებს. კერძოდ, კანონის მიხედვით, ნებართვის გამცემ ორგანოს უფლება აქვს აკონტროლოს ნებართვის მფლობელის მიერ ნებართვის პირობების შესრულება³⁸¹.

6.2.16 კანონი "სურსათის უვნებლობის და ხარისხის შესახებ"

6.2.16.1 რომელ ნივთიერებებს ეხება

ქიმიური ნივთიერებების სფეროდან კანონი ეხება ნებისმიერ ქიმიურ ნივთიერებას, რომლითაც შეიძლება დაზიანდეს იყოს სურსათი, მ.შ სასმელი წყალი.

6.2.16.2 კანონის მიღების და ცვლილებების თარიღი

კანონი მიღებულია 2005 წლის 27 დეკემბერს (გამოქვეყნდა 2006 წლის 18 იანვარს "საკანონმდებლო მაცნეში", ძალაშია 2006 წლის 1 თებერვლიდან). ცვლილებები შევიდა 2006 წლის 29 დეკემბრის #4328 და 2007 წლის 29 ივნისის #3120 კანონებით.

6.2.16.3 კანონის საფუძველზე გამოცემული მოქმედი ნორმატიული აქტები

ქიმიური ნივთიერებების სფეროსთან დაკავშირებით კანონის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტებია:

- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის დებულება (დამტკიცებულია სოფლის მეურნეობის მინისტრის 2006 წლის 14 მარტის #2-44 ბრძანებით, ცვლილებები შევიდა იმავე მინისტრის 2006 წლის 31 მარტის #2054, 28 ივნისის #2-111, 16 ოქტომბრის #2-196, 2007 წლის 13 აპრილის #2-48 და 26 ივნისის 2-94 ბრძანებებით);
- სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტი (დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 17 დეკემბრის #349/ნ ბრძანებით)

³⁷⁹ "საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი", მუხლი 288

³⁸⁰ "საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი", მუხლი 62, პუნქტი 6

³⁸¹ კანონი "ლიცენზიების და ნებართვების შესახებ", მუხლი 29, პუნქტი "ვ"

6.2.16.4 აქტით დადგენილი ადმინისტრაციული პროცედურები

კანონი ადგენს სურსათის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურს და მის უფლებამოსილებებს³⁸². თუმცა კანონის შესაბამისი მუხლების ამოქმედების თარიღი 2009 წლის 31 დეკემბერია.

გარდა ამისა, კანონქვემდებარე აქტით ამავე სამსახურის უფლებამოსილებას წარმოადგენს სასმელი წყლის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი (იხ. სექცია 6.2.19.5).

კანონის მიხედვით სურსათის სახელმწიფო კონტროლის მიზნით აღებული ნიმუშის ანალიზი მხოლოდ სპეციალურად შერჩეულ "დასახელებულ" საგამოცდო ლაბორატორიაში შეიძლება ჩატარდეს³⁸³. ამ ლაბორატორიებს ირჩევს "აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი" და მათ სიას აქვეყნებს საქართველოს ოფიციალურ ბეჭდვით გამოცემაში³⁸⁴ (იხ. ცხრილი 25).

6.2.16.5 კანონის დაცვის კონტროლის და დარღვევაზე რეაგირების პროცედურები

სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებისთვის ხელის შეშლა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს და იწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ასორმოცდაათიდან სამას მინიმალურ ოდენობამდე³⁸⁵. ასეთ სამართალდარღვევაზე ოქმის შედგენის უფლება კონტროლისა და ზედამხედველობის შესაბამის ორგანოს აქვს³⁸⁶.

6.2.17 კანონი "ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ"

6.2.17.1 რომელ ნივთიერებებს ეხება

ქიმიურ ნივთიერებათა სფეროში კანონი ეხება სახიფათო ტვირთებს.

6.2.17.2 კანონის მიღების და ცვლილებების თარიღი

კანონი მიღებულია 2007 წლის 30 მარტს, ცვლილება შევიდა 2008 წლის 23 დეკემბრის # 856 კანონით.

6.2.17.3 კანონის საფუძველზე გამოცემული მოქმედი ნორმატიული აქტები

კანონის საფუძველზე გამოცემულია ქიმიურ ნივთიერებათა სფეროსთან შეხებაში მყოფი ერთი აქტი:

- ტექნიკური რეგლამენტი: ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესი (დამტკიცებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის უფროსის 2008 წლის 21 აპრილის #49 ბრძანებით)

6.2.17.4 ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი ადმინისტრაციული პროცედურები

ტექნიკური რეგლამენტი ითხოვს სახიფათო ტვირთების კლასიფიკაციას და მარკირებას "სახიფათო ტვირთების გადაზიდვის შესახებ" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის

³⁸² კანონი "სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ", მუხლები 20-34

³⁸³ იქვე, მუხლი 20, პუნქტი 1

³⁸⁴ იქვე, მუხლი 20, პუნქტი 4

³⁸⁵ "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", მუხლი 173⁵

³⁸⁶ იქვე, მუხლი 239, პუნქტი 23

ტიპიური წესების შესაბამისად, რაც თავის მხრივ გაერთიანებული ერების GHS სისტემას ეფუძნება (იხ. სექცია 6.1.8).

ცხრილი 40. სახიფათო ტვირთების საშიშროების კლასები ტექნიკური რეგლამენტის "ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესი" მიხედვით

საშიშროების კლასის ნომერი	ქვეკლასები	დასახელება ქართულად ³⁸⁷	დასახელება ინგლისურად ³⁸⁸
1	1.1, 1.2, 1.3, 1.4, 1.5, 1.6	ფეთქებადი ნივთიერებები	Explosives
2		აირები	Gases
	2.1	ადვილალეხადი	Flammable gases
	2.2	არაალეხადი, არატოქსიკური	Non-flammable, non-toxic gases
	2.3	ტოქსიკური	Toxic gases
3		ადვილალეხადი სითხეები	Flammable liquids
4		აალებადი მყარი ნივთიერებები	Flammable solids
	4.1	ადვილალეხადი მყარი ნივთიერებები	Flammable solids, self-reactive substances and solid desensitized explosives
	4.2	თვითაალებადი ნივთიერებები	Substances liable to spontaneous combustion
	4.3	ნივთიერებები, რომლებიც წყალთან კონტაქტისას გამოჰყოფენ აალებად გაზებს	Substances which in contact with water emit flammable gases
5		მჟანგავი ნივთიერებები და ორგანული პეროქსიდები	Oxidizing substances and organic peroxides
	5.1	მჟანგავი ნივთიერებები	Oxidizing substances
	5.2	ორგანული პეროქსიდები	Organic peroxides
6		ტოქსიკური და ინფექციური ნივთიერებები	Toxic and infectious substances
	6.1	ტოქსიკური ნივთიერებები	Toxic substances
	6.2	ინფექციური ნივთიერებები	Infectious substances
7		რადიოაქტიური ნივთიერებები და მასალები	Radioactive material
8		კოროზიული და მწველი ნივთიერებები	Corrosive substances
9		სხვა სახიფათო ნივთიერებები და ნაკეთობები	Miscellaneous dangerous substances and articles

ტექნიკური რეგლამენტის დანართები ადგენს სახიფათო ტვირთების კლასებს და შესაბამის აღნიშვნებს, ასევე ნიშანდების წესებს, ასეთი ტვირთების გადამზიდავ ავტომანქანაზე დასამაგრებელი ნარინჯისფერი ტაბლოს ფორმას, ზომას და შინაარსს. თუმცა რეგლამენტს თან არ ახლავს "სახიფათო ტვირთების გადაზიდვის შესახებ" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტიპიური წესების უმნიშვნელოვანესი ნაწილი – სახიფათო ტვირთების ჩამონათვალი, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ტვირთის ოთხნიშნა კოდის დადგენა და როგორც ტვირთის ნიშანდება, ასევე ავტომობილზე დასამაგრებელი ტაბლოს შერჩევა.

³⁸⁷ ტექნიკური რეგლამენტის "ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესი" მე-5 დანართის მიხედვით

³⁸⁸ "სახიფათო ტვირთების გადაზიდვის შესახებ" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტიპიური წესების მიხედვით

ამიტომ ტექნიკური რეგლამენტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტიპური წესების დოკუმენტის გარეშე გამოუყენებადია.

6.2.17.5 კანონის დაცვის კონტროლის და დარღვევაზე რეაგირების პროცედურები

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ტვირთების გადაზიდვის წესის დარღვევისათვის. კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევა იწვევს დაჯარიმებას 30 ლარით³⁸⁹, ხოლო საერთაშორისო ხელშეკრულებებით ან კონვენციებით დადგენილი წესების დარღვევა – 500 ლარით³⁹⁰. შესაბამის სამართალდარღვევების იდენტიფიკაცია და ოქმის შედგენა შინაგან საქმეთა ორგანოებს ევალება³⁹¹.

6.2.18 კანონი "ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ"

6.2.18.1 რომელ ნივთიერებებს ეხება

ქიმიურ ნივთიერებათა სფეროდან კანონი ეხება საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს, რომელთა ზემოქმედების ქვეშ საგანგებო სიტუაციისას ადამიანები შეიძლება მოხვდნენ.

6.2.18.2 კანონის მიღების და ცვლილებების თარიღი

კანონი მიღებულია 2007 წლის 8 ივნისს.

6.2.18.3 კანონის საფუძველზე გამოცემული მოქმედი ნორმატიული აქტები

ქიმიურ ნივთიერებათა სფეროსთან კავშირშია კანონის საფუძველზე გამოცემული შემდეგი ნორმატიული აქტები:

- დებულება საგანგებო სიტუაციების კლასიფიკაციის განსაზღვრის წესის შესახებ (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2008 წლის 21 მარტის #68 დადგენილებით);
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამთავრობო კომისიის დებულება (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2008 წლის 21 მარტის #69 დადგენილებით);
- ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმა (დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 26 აგვისტოს #415 ბრძანებულებით).

6.2.18.4 კანონით დადგენილი ადმინისტრაციული პროცედურები

კანონი და მისი ქვემდებარე აქტები განსაზღვრავენ საგანგებო სიტუაციების დროს ფუნქციებისა და კომპეტენციების გადანაწილებას კერძო პირებს, სახელმწიფო აღმასრულებელ ხელისუფლებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს შორის და მათი ურთიერთქმედების წესებს.

კანონის მიხედვით საგანგებო სიტუაციათა შედეგების ლიკვიდაცია პირველ რიგში თავად იმ იურიდიული კერძო ან საჯარო პირების ძალებით და საშუალებებით უნდა მოხდეს, რომელთა ფაქტობრივ მფლობელობაშია არსებული ტერიტორია და რომელთა

³⁸⁹ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 127¹, პუნქტი 1

³⁹⁰ იქვე, პუნქტი 2

³⁹¹ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 239, პუნქტი 13

ბრალეულობით წარმოიქმნა საგანგებო სიტუაცია³⁹². თუ საგანგებო სიტუაციის შედეგების ლიკვიდაცია აღნიშნული შიდა ძალებით შეუძლებელია, სალიკვიდაციო ღონისძიებებში ე.წ. "ერთიანი სისტემა"³⁹³ უნდა ჩაერთოს.

"საგანგებო სიტუაციის თავიდან აცილების, ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის ერთიანი სისტემა" სამთავრობო უწყებათა შორის თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების წინასწარ დადგენილ სქემას წარმოადგენს. ერთიანი სისტემის საქმიანობის მართვას საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის შესაბამისი დონის (ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკების, ადგილობრივი) დანაყოფები ახორციელებენ³⁹⁴.

კანონის ქვემდებარე აქტით "ერთიანი სისტემის" ფარგლებში სახელმწიფო უწყებათა ურთიერთდახმარების 17 ფუნქცია არის დადგენილი, ამ ფუნქციის ფარგლებში შესასრულებელ ამოცანებისა და ფუნქციის შესრულებაზე პასუხისმგებელი და დამხმარე ორგანოების მითითებით³⁹⁵. ეს ფუნქციებია:

1. საგანგებო მართვის უზრუნველყოფა
2. კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ღონისძიებების უზრუნველყოფა
3. მოსახლეობის ევაკუაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა
4. სამიგრო-სამაშველო, საავარიო-სამაშველო და საავარიო-აღდგენითი სამუშაოების ღონისძიების უზრუნველყოფა;
5. სატრანსპორტო უზრუნველყოფა;
6. სამედიცინო უზრუნველყოფა;
7. დიპლომატიური პროტოკოლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
8. ტყის ხანძრებზე ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფა;
9. ენერგომომარაგების უზრუნველყოფა;
10. მცენარეთა და ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფა;
11. ქიმიური და რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
12. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;
13. საინჟინრო უზრუნველყოფა;
14. საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვის უზრუნველყოფა;
15. საგზაო უზრუნველყოფა;
16. სურსათითა და წყლით უზრუნველყოფა;
17. კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა.

საგანგებო სიტუაციებისას ქიმიური და რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნქციის განხორციელებაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს არის პასუხისმგებელი. კერძოდ, ამ ფუნქციაში საწარმოო ობიექტებზე მომხდარი ავარიების შედეგად ძლიერმოქმედი ტოქსიკური ან რადიოაქტიური ნივთიერებების გავრცელების უნარისა და საშიშროების შეფასება და ამ გავრცელების

³⁹² კანონი "ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობის და ტერიტორიის დაცვის შესახებ", მუხლი 5, პუნქტი 4

³⁹³ სრული დასახელება: საგანგებო სიტუაციის თავიდან აცილების, ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის ერთიანი სისტემა. იხ. დანართი 3, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ტერმინოლოგია

³⁹⁴ ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმა (დამტკიცებული საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 26 აგვისტოს #415 ბრძანებულებით), მუხლი 8, პუნქტი 1

³⁹⁵ ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმა (დამტკიცებული საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 26 აგვისტოს #415 ბრძანებულებით), დანართი 1

აღკვეთისა და მოსახლეობის დაცვის ღონისძიებების შემუშავება და (სხვა უწყებებთან ერთობლივად) განხორციელების ორგანიზება იგულისხმება.

კანონი ითხოვს, რომ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებმა თავიანთ კომპეტენციის ფარგლებში საგანგებო სიტუაციათა მართვის დანაყოფები შექმნან³⁹⁶. ამ დანაყოფების ფუნქცია საგანგებო სიტუაციათა დროს სამუშაოების ორგანიზება და ამ სამუშაოთა წარმოების ნორმებისა და წესების დადგენა და საგანგებო სიტუაციის დროს მათი დაცვის უზრუნველყოფა უნდა იყოს³⁹⁷.

საგულისხმოა, რომ კანონი ითვალისწინებს საგანგებო სიტუაციების არა მარტო ლიკვიდაციის, არამედ თავიდან აცილების აუცილებლობას. საგანგებო სიტუაციის თავიდან აცილებას კანონი განმარტავს, როგორც *”სამართლებრივ, ორგანიზაციულ, ეკონომიკურ, საინჟინრო-ტექნიკურ, სანიტარიულ-ჰიგიენურ, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ და სხვა ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც ხორციელდება ბუნებრივ გარემოსა და საშიშ საწარმოო ობიექტზე მონიტორინგისა და კონტროლის ორგანიზების, საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის პროგნოზირებისა და პროფილაქტიკის, საგანგებო სიტუაციისათვის მომზადების, ხოლო მისი წარმოქმნის შემთხვევაში – ზარალის შემცირების მიზნით”*. თუმცა კანონი არ განსაზღვრავს, თუ როგორ და რომელი უწყებების მიერ უნდა იყოს უზრუნველყოფილი აღწერილი ზომები. ”ერთიანი სისტემის” ფარგლებში მოქმედ აღმასრულებელი ხელისუფლების უწყებებს ევალებათ საგანგებო სიტუაციათა თავიდან აცილების ღონისძიებების განხორციელება მხოლოდ საგანგებო სიტუაციის დროს, და არა მანამდე, წინასწარ³⁹⁸. და არც ერთ უწყებას არ ევალება ამ ღონისძიებათა შემუშავება ან შემუშავების უზრუნველყოფა. ამავე დროს, კანონის მიხედვით საგანგებო სიტუაციათა პროგნოზირება³⁹⁹, პრევენცია⁴⁰⁰ და მათთვის მზადყოფნა⁴⁰¹ ”ერთიანი სისტემის” ამოცანებში შედის.

ასეთივე გაურკვევლობაა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების უწყებრივ გეგმებთან დაკავშირებით: კანონის მიხედვით საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ეროვნული გეგმა ”ერთიან სისტემაში” მყოფ უწყებათა რეაგირების გეგმების ერთობლიობას წარმოადგენს⁴⁰². თუმცა არც კანონი და არც დღემდე მიღებული კანონქვემდებარე აქტები ასეთი გეგმების შემუშავებას სამთავრობო უწყებებს არ ავალდებუნ.

ვფიქრობთ, რომ აუცილებელია კანონქვემდებარე აქტების მიღება, რომელიც შესაბამის სამთავრობო უწყებებზე არა მარტო საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების, არამედ საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების და მზადყოფნისთვის აუცილებელ საქმიანობებსაც ერთმნიშვნელოვნად გადაანაწილებდა.

³⁹⁶ კანონი ”ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ”, მუხლი 14, პუნქტი 1 ”ა”

³⁹⁷ იქვე, ”ზ”- ”თ” პუნქტები

³⁹⁸ კანონი ”ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ”, მუხლი 14, პუნქტი 1 ”ვ”

³⁹⁹ კანონი ”ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ”, მუხლი 6, პუნქტი 1, ქვეპუნქტები ”ა” და ”გ”

⁴⁰⁰ იქვე, პუნქტი ”ზ” და ”ე”

⁴⁰¹ იქვე, პუნქტები ”დ”, ”ვ” და ”ზ”

⁴⁰² კანონი ”ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ”, მუხლი 1, პუნქტი ”ლ”

6.2.19 კანონი "საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ"

6.2.19.1 რომელ ნივთიერებებს ეხება

ქიმიური ნივთიერებების სფეროდან კანონი ეხება ნებისმიერ ქიმიკატს, რომლითაც შეიძლება დაბინძურებული იყოს სასმელი წყალი;

6.2.19.2 კანონის მიღების და ცვლილებების თარიღი

კანონი მიღებულია 2007 წლის 27 ივნისს. კანონს ცვლილებები არ განუცდია.

6.2.19.3 კანონის საფუძველზე გამოცემული მოქმედი ნორმატიული აქტები

ქიმიური ნივთიერებების რეგულირების სფეროში კანონის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტია:

- სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტი (დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 17 დეკემბრის #349/ნ ბრძანებით)

6.2.19.4 აქტით დადგენილი ადმინისტრაციული პროცედურები

კანონის მიხედვით სანიტარული ნორმები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი ტექნიკური რეგლამენტებია და მათი დაცვა სავალდებულოა⁴⁰³. ზემოთ მითითებული ტექნიკური რეგლამენტით ნორმირებულია სასმელ წყალში პესტიციდების საერთო რაოდენობა, აგრეთვე, ზედაპირული აქტიური ნივთიერებებისა და ნავთობპროდუქტების შემცველობა. დადგენილია აგრეთვე წყალში ამ ნივთიერებათა კონტროლისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია.

6.2.19.5 კანონის დაცვის კონტროლის და დარღვევაზე რეაგირების პროცედურები

კანონის მიხედვით სასმელი წყლის უვნებლობის კონტროლს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს⁴⁰⁴. კერძოდ, უნდა გაკონტროლდეს სასმელი წყლის უვნებლობის პარამეტრების შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან და უნდა ხორციელდებოდეს სასმელი წყლის გარე შერჩევითი ლაბორატორიული შემოწმება.

კანონის მიხედვით ტექნიკური რეგლამენტი იგივე სანიტარული ნორმაა. სანიტარული ნორმების დარღვევაზე რეაგირების პროცედურები იხ. 6.2.6.5 სექციაში. იხ. აგრეთვე სექცია 6.2.12.5.

6.2.20 კანონი "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ"

6.2.20.1 კანონის მიღების და ცვლილებების თარიღი

კანონი მიღებულია 2007 წლის 14 დეკემბერს.

⁴⁰³ კანონი "საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ, მუხლი 3, პუნქტი "ქ" და მუხლი 5, პუნქტი 1, ქვეპუნქტი "დ"

⁴⁰⁴ იქვე, მუხლი 23, პუნქტი 2

6.2.20.2 კანონის საფუძველზე გამოცემული მოქმედი ნორმატიული აქტები

ქიმიურ ნივთიერებათა მართვის სფეროში კანონის საფუძველზე მიღებულია შემდეგი ნორმატიული აქტები:

- საწარმოო და არასაწარმო ობიექტებში ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩაშვების ტექნიკური რეგლამენტი (დამტკიცებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 13 ნოემბრის #745 ბრძანებით);
- ტექნიკური რეგლამენტი ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დამაბინძურებელი საქმიანობისთვის (დამტკიცებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 13 ნოემბრის #745 ბრძანებით);

6.2.20.3 აქტით დადგენილი ადმინისტრაციული პროცედურები

კანონი ადგენს "ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის" ცნებას და ადგენს ამ საქმიანობების განხორციელების უფლების მინიჭების უფლებამოსილებებს და პროცედურებს.

ქიმიურ ნივთიერებათა მართვასთან დაკავშირებული, ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობებია⁴⁰⁵:

- ნავთობგადამამუშავებელი და გაზგადამამუშავებელი წარმოებები (დღე-ღამეში 500 ტ-ზე მეტის); ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, აგრეთვე თხევადი და ბუნებრივი აირების საცავების, ტერმინალების განთავსება, რომელთა ტერიტორიაზე განლაგებული ავზებიდან ერთ-ერთის მოცულობა 1000 კუბ.მ-ზე მეტია ან მათი ჯამური მოცულობა 1000 კუბ.მ-ს აღემატება; მაგისტრალური ნავთობსადენისა და გაზსადენის გაყვანა;
- ქვანახშირის გაზიფიცირებასთან, გათხევადებასთან, ბრიკეტირებასა და დაკოქსებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სიმძლავრის წარმოება;
- ქიმიური მრეწველობა, კერძოდ: ნახევარფაბრიკატების (შუალედური პროდუქტების) ქიმიური დამუშავება და ქიმიური ნივთიერებების წარმოება; პესტიციდების, მინერალური სასუქების, ქიმიური საღებავების, ლაქის, პეროქსიდებისა და ელასტიკური ნივთიერებების (რეზინის ან პლასტიკური ნივთიერებების) წარმოება და დამუშავება; დენთისა და სხვა ასაფეთქებელი ნივთიერებების წარმოება; აკუმულატორების წარმოება; გრაფიტის ელექტროდების დამზადება;
- ნებისმიერი მეტალურგიული წარმოება (საათში ტონაზე მეტი პროდუქციის წარმადობით), გარდა ლითონთა ცივად დამუშავებისა და საიუველირო წარმოებებისა;
- სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავება (სამშენებლო მასალების გადამამუშავებიდან მხოლოდ ცემენტის, ასფალტის, კირის, გაჯის, თაბაშირისა და აგურის წარმოება);
- მინისა და მინის პროდუქციის წარმოება;
- ნებისმიერი საწარმოო ტექნოლოგია, სადაც გამოყენებული იქნება აზბესტი;
- მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ან სახიფათო ნარჩენების განთავსება, გადამამუშავება, გაუვნებელყოფა;
- ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების (დღე-ღამეში 1000 მ³ და მეტი მოცულობის), აგრეთვე მაგისტრალური საკანალიზაციო კოლექტორის განთავსება;
- ტოქსიკური და სხვა საშიში ნივთიერების საცავების მოწყობა.

თუ ეს საქმიანობანი საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, ეკოლოგიური ექსპერტიზა ამ ნებართვის გაცემის პროცედურის ნაწილია. თუ ასეთი ნებართვა საჭირო არ არის, მაშინ აუცილებელია "გარემოზე ზემოქმედების ნებართვა" და ამ შემთხვევაში ეკოლოგიური ექსპერტიზა ამ უკანასკნელის გაცემის ადმინისტრაციული პროცედურის ნაწილს

⁴⁰⁵ "გარემოზე ზემოქმედების შესახებ" კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით

წარმოადგენს⁴⁰⁶. ორივე შემთხვევაში ეკოლოგიური ექსპერტიზის განხორციელებას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო უზრუნველყოფს⁴⁰⁷. ექსპერტიზა ტარდება შესაბამისი დარგის მოწვეული ექსპერტების მიერ, რომელთა ხარჯებს (წინასწარ დადგენილი ნიხრის მიხედვით) დაინტერესებული პირი ანაზღაურებს.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა მხოლოდ საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნის შემთხვევაში გაიცემა⁴⁰⁸. გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი შეიძლება იყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის უარყოფითი დასკვნა ან საქართველოს კანონმდებლობის სხვა მოთხოვნათა დარღვევა⁴⁰⁹.

დაშვებულია გარემოზე ზემოქმედების ნებართვის სხვა პირზე გადაცემა, სამინისტროს სათანადო ინფორმირების პირობით⁴¹⁰.

ყველა იმ საქმიანობისთვის, რომელიც ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული არ არის, სავალდებულოა გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დაცვა⁴¹¹. ქიმიურ ნივთიერებათა მართვის სფეროში ასეთი რეგლამენტები სულ ორია. ისინი ადგენენ დამზინძურებელ ნივთიერებათა დაშვებულ კონცენტრაციებს ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებში და სტაციონარული ობიექტების გამონაბოლქვში.

6.2.20.4 კანონის დაცვის კონტროლის და დარღვევაზე რეაგირების პროცედურები

საქმიანობის განხორციელება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე დასჯადი ქმედებაა. კერძოდ, საქმიანობის განხორციელება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე იწვევს დაჯარიმებას 7000-დან 10000 ლარამდე⁴¹². ხოლო თუ ასეთი ქმედება გაგრძელდა ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდგომაც, საქმიანობა სისხლის სამართლის კოდექსს დაექვემდებარება და დაისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ორ წლამდე ვადით ან თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ვადით⁴¹³. პირველ შემთხვევაში საქმეს იხილავს და ადმინისტრაციულ სახდელს ადებს⁴¹⁴, მეორე შემთხვევაში კი საქმეს იძიებს და სასამართლოს გადასცემს⁴¹⁵ – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შესაბამისი თანამდებობის პირები.

გარდა ამისა, ”ლიცენზიების და ნებართვების შესახებ” კანონის მიხედვით ნებართვის გამცემ ორგანოს უფლება აქვს აკონტროლოს ნებართვის მფლობელის მიერ ნებართვის პირობების შესრულება⁴¹⁶. საქმიანობის განხორციელება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობების დარღვევით ხუთი ათასი ლარით დაჯარიმებას იწვევს⁴¹⁷. შესაბამის კონტროლს

⁴⁰⁶ კანონი ”გარემოზე ზემოქმედების შესახებ”, მუხლი 4, პუნქტები 3-6

⁴⁰⁷ იქვე, მუხლი 9, პუნქტი 2

⁴⁰⁸ იქვე, მუხლი 9, პუნქტი 3

⁴⁰⁹ იქვე, მუხლი 13

⁴¹⁰ იქვე, მუხლი 18

⁴¹¹ იქვე, მუხლი 5, პუნქტი 1

⁴¹² ”საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი”, მუხლი 79¹

⁴¹³ ”საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი”, მუხლი 306

⁴¹⁴ ”საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი”, მუხლი 222

⁴¹⁵ ”საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი”, მუხლი 62, პუნქტი 6

⁴¹⁶ კანონი ”ლიცენზიების და ნებართვების შესახებ”, მუხლი 29, პუნქტი ”ვ”

⁴¹⁷ ”საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი”, მუხლი 79²

ახორციელებს, დარღვევის საკითხს იხილავს და დამრღვევს სახდელს აკისრებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შესაბამისი ორგანო.

რაც შეეხება გარემოსდაცვითი რეგლამენტების შესრულების კონტროლს, კანონმდებლობა ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას გარემოს დაცვის კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დარღვევისთვის (200-დან 400 ლარამდე ჯარიმის სახით)⁴¹⁸. ამ საქმეთა განხილვისა და სახდელის დაკისრების უფლებამოსილება კვლავ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შესაბამის ორგანოებს აკისრია⁴¹⁹.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შესაბამისი ორგანო – გარემოს დაცვის ინსპექცია გარემოს დაცვის სამსახურად გარდაქმნის პროცესშია, რომელიც 2010 წლის 1 იანვრისთვის უნდა დასრულდეს.

6.3 საქართველოში ქიმიური ნივთიერებების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის ძირითადი ნაკლოვანებები

6.3.1 შესაბამისობა კონვენციების მოთხოვნებთან

სამართლებრივი ბაზის მდგომარეობის მიხედვით საქართველო დღეს რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებების არ-შესრულების მდგომარეობაში იმყოფება. კერძოდ:

- ხარვეზებით სრულდება ბაზელის კონვენციის მოთხოვნები (იხ. სექცია 6.1.2.2). კერძოდ:
 - o არ არის დადგენილი ეფექტური ადმინისტრაციული პროცედურა საქართველოსა და ბაზელის კონვენციის არა-მხარე ქვეყნებს შორის ნარჩენების იმპორტ-ექსპორტის აღსაკვეთად (ბაზელის კონვენციის მუხლი 4, პუნქტი 5);
 - o არ არის დადგენილი ეფექტური პროცედურა ბაზელის კონვენციით გათვალისწინებული წინასწარი შეტყობინების გარეშე ნარჩენების შემცველი ტვირთის ექსპორტის განხორციელების აღსაკვეთად (ბაზელის კონვენციის მუხლი 6, პუნქტი 3);
 - o არ არსებობს ადმინისტრაციული პროცედურა საქართველოს ფარგლებში ნარჩენების გადამზიდველთა სათანადო ნებართვის ან უფლებამოსილების არსებობის მოთხოვნისათვის (ბაზელის კონვენციის მუხლი 4, პუნქტი 7).
- ხარვეზებია აგრეთვე როტერდამის კონვენციის მოთხოვნების შესრულებაშიც (იხ. სექცია 6.1.4). კერძოდ:
 - o არ არის სამდივნოსადმი წარდგენილი ინფორმაცია იმის შესახებ, აკრძალულია თუ არა საქართველოში როტერდამის კონვენციის მე-3 დანართში შესული ქიმიური ნივთიერებების იმპორტი;
 - o არ არის დადგენილი ეფექტური ადმინისტრაციული პროცედურა იმის უზრუნველსაყოფად, რომ დაშვებული არ იყოს როტერდამის კონვენციის მე-3 დანართში შესული ქიმიური ნივთიერებების ექსპორტი იმ ქვეყნებში, რომლებმაც კონვენციის სამდივნოს აცნობეს ამ ნივთიერებათა იმპორტის აკრძალვის შესახებ;

⁴¹⁸ "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", მუხლი 69

⁴¹⁹ "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი", მუხლი 222

- o არ არის დადგენილი ეფექტური ადმინისტრაციული პროცედურა იმის უზრუნველსაყოფად, რომ იმპორტიორი ქვეყნის წინასწარი ინფორმირების გარეშე დაშვებული არ იყოს საქართველოდან ისეთი ქიმიური ნივთიერებების ექსპორტი, რომლებიც საქართველოში აკრძალული ან მკაცრად შეზღუდულია, როტერდამის კონვენციის მე-3 დანართში კი შესული არ არის.
 - o დღესდღეობით არ არსებობს ოფიციალური სტრუქტურა, რომელიც კონვენციის ფარგლებში საქართველოში გამოგზავნილ შეტყობინებებზე დროულ პასუხს გასცემდა.
- საქართველო ხარვეზებით ასრულებს სტოკჰოლმის კონვენციის მოთხოვნებსაც (იხ. სექცია 6.1.5). კერძოდ:
 - o საქართველოს ჯერ არ წარუდგენია კონვენციის სამდივნოში კონვენციის განხორციელების ეროვნული გეგმა;
 - o საქართველოში დღესდღეობით არ არის დადგენილი ეფექტური ადმინისტრაციული მექანიზმი კონვენციით რეგულირებული ნივთიერებების წარმოების და გამოყენების აკრძალვის/შეზღუდვის უზრუნველსაყოფად;
- სრულფასოვნად არ სრულდება "ქიმიური იარაღის შემუშავების, წარმოების, დაგროვების და გამოყენების აკრძალვისა და მისი განადგურების შესახებ" 1993 წლის პარიზის კონვენციით ნაკისრი ვალდებულებები
 - o არ არის შერჩეული უწყება, რომელსაც დაევალება კონვენციის იმპლემენტაციისათვის საჭირო კანონმდებლობის შემუშავება
 - o არ არის დადგენილი ადმინისტრაციული მექანიზმი კონვენციით რეგულირებადი ქიმიკატების წარმოების, გამოყენების, გადაცემის (იმპორტის–ექსპორტის აკრძალვის/შეზღუდვის), განადგურების უზრუნველსაყოფად.

6.3.2 სასაქონლო ნომენკლატურის ნაკლოვანებები

საქართველოში დღეს მოქმედი საბაჟო ნომენკლატურა ბაზელის, პარიზის, როტერდამის და სტოკჰოლმის კონვენციებით რეგულირებადი ნივთიერებების და საქონლის სათანადო იდენტიფიკაციის საშუალებას არ იძლევა (იხ. სექცია 6.1.7). ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოში მოქმედი სასაქონლო კოდების სისტემა საბაჟო ჰარმონიზებული სისტემის 2002 წლის ვარიანტთან არის შესაბამისობაში, რომელშიც ამ კონვენციების საჭიროებანი ასახული ჯერ არ იყო. საბაჟო ჰარმონიზებული სისტემის 2007 წლის ვარიანტში გარემოსდაცვითი კონვენციების საჭიროებებმა უფრო სრული ასახვა ჰპოვა. საქართველოში გარემოსდაცვითი კონვენციების სათანადოდ შესრულებისთვის საბაჟო ჰარმონიზებული სისტემის 2007 წლის კოდების დანერგვა აუცილებელია.

6.3.3 ტერმინი "ქიმიური ნივთიერების" ნაკლოვანებანი

"საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი სამართლებრივი ტერმინოლოგიის მსგავსი შინაარსის მქონე ევროკავშირის REACH რეგულაციით დადგენილი ადეკვატური ტერმინოლოგიების განმარტებებთან შედარებისას (იხ. ცხრილი 37) თვალშისაცემია რამოდენიმე არსებითი განსხვავება, რომელმაც მნიშვნელოვნად გაართულა ხსენებული კანონის ამოქმედება. კერძოდ:

REACH რეგულაციის (აგრეთვე ყველა მისი წინამორბედი დირექტივის) მიხედვით, იურიდიული ტერმინის "ქიმიური ნივთიერება" განმარტება ფაქტიურად ემთხვევა სამეცნიერო ტერმინის განმარტებას ("ქიმიური ელემენტი და მისი ნაერთები") იმ განსხვავებით, რომ ტექნოლოგიური მინარევების ან ნივთიერების სტაბილურობისთვის აუცილებელი დანამატების არსებობის მიუხედავად ნივთიერება "სუფთა" ქიმიურ

ნივთიერებად ითვლება. ეს განმარტება საშუალებას იძლევა, თითოეული "ქიმიური ნივთიერება" შესაბამისი მეცნიერული ფორმულით და საერთაშორისო ნომრით (მაგ. CAS ნომრით) აღიწეროს. რაც შეეხება რეგულირებას, REACH სისტემა არეგულირებს ბრუნვაში გაშვებულ ნივთიერებებს "როგორც ასეთს" (ანუ სუფთა ნივთიერებას, როგორც საქონელს), აგრეთვე ნივთიერებას, "როგორც პრეპარატის შემადგენელ ნაწილს" ან "როგორც ნაკეთობის შემადგენელ ნაწილს". ამ სამ შესაძლებლობას რეგულაცია მკაფიოდ განასხვავებს და განსხვავებულადაც არეგულირებს (მაგალითად, მოთხოვნილია ქიმიურ ნივთიერებათა რეგისტრაცია და გამოცდა, მაგრამ არა პრეპარატების ან ნაკეთობების რეგისტრაცია – რაც ბუნებრივია, ვინაიდან თითოეული ნივთიერების შემცველი პრეპარატების და ნაკეთობების რაოდენობა პრაქტიკულად უსასრულო შეიძლება იყოს).

ამის საპირისპიროდ, საქართველოს კანონს "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ" შემოაქვს "ქიმიური ნივთიერების" განმარტება, რომლის მიხედვით თავად ტერმინი "ქიმიური ნივთიერება" მოიცავს ნივთიერებებს, მათ ნაერთებს, აგრეთვე მათ პრეპარატებს, ანუ ნივთიერებების ნარევეს და ხსნარებს⁴²⁰. ეს განმარტება პირველ რიგში მეცნიერულს სცდება. გარდა ამისა იგი უაღრესად აფართოვებს "ქიმიურ ნივთიერებათა" სფეროს და საერთაშორისო მეცნიერულ კლასიფიკაციაში მათ მოქცევას შეუძლებელს ხდის. უფრო მეტიც, თუ ქართული კანონის განმარტებას სიტყვასიტყვით მივყევით და თუ გავითვალისწინებთ, რომ არსებითად ყოველი ნივთი დედამიწაზე ქიმიურ ნივთიერებათა ნარევეს წარმოადგენს, გამოვა, რომ ქართული ტერმინი "ქიმიური ნივთიერება" პრაქტიკულად ყველა ნივთს, საქონელს ან ნაკეთობას მოიცავს (გარდა იმ სფეროებისა, რომელზეც კანონის მოქმედება არ ვრცელდება) და შესაბამისად, საშიში თვისებების არსებობის შემთხვევაში, ყველა მათგანის გამოცდას და რეგისტრაციას ითხოვს.

უნდა ითქვას, რომ ქიმიურ ნივთიერებათა თვისებებისა და მათი მოკლე და გრძელვადიან ზემოქმედებათა დადგენის მიზნით განხორციელებული გამოცდები საკმაოდ ძვირად ღირებული საქმიანობაა⁴²¹ (რომ აღარაფერი ვთქვათ რეგისტრაციის პროცედურაზე, რომელიც პრაქტიკულად ყოველთვის ფასიანია, თუნდაც თანმდევი ადმინისტრაციული ხარჯების დაფარვის საჭიროების გამო). ამდენად, "ქიმიურ ნივთიერებათა" სფეროს ხელოვნური გაფართოვება და ყველა ნარევის, ხსნარის, და შესაძლოა აგრეთვე ნაკეთობებისათვის იგივე ტიპის გამოცდების მოთხოვნა უაღრესად ამბიციური დებულებაა და განხორციელების შემთხვევაში იგი ეკონომიკის განვითარებისთვის სერიოზულად დამაბრკოლებელი იქნება.

აღწერილ დაბრკოლებათა გადასალახად პირველ რიგში *საჭიროა* ქართულ საკანონმდებლო სივრცეში "ქიმიური ნივთიერების" განმარტების შესაბამისობაში მოყვანა REACH რეგულაციის განმარტებასთან. გარდა ამისა, *სასურველია*: შესწავლილი იქნეს REACH სისტემაში საქართველოს ჩართვის შესაძლებლობები და, საქართველოში ქიმიურ ნივთიერებათა რეგისტრაციისა და გამოცდის სისტემა მაქსიმალურად მიახლოვდეს REACH სისტემასთან.

6.3.4 "შეზღუდულად ბრუნვადი მასალების" რეგულირების ბუნდოვნობა

საქართველოში ე.წ. "შეზღუდულად ბრუნვადი მასალების" დღევანდელი სამართლებრივი სტატუსი ფრიად ბუნდოვანია. კერძოდ, "ლიცენზიების და ნებართვების შესახებ" 2005 წლის კანონის მიხედვით ამ მასალების წარმოებას, ტრანსპორტირებას, იმპორტს, ექსპორტს,

⁴²⁰ კანონი "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ, მუხლი 2. პუნქტები "ა" და "ბ"

⁴²¹ მაგალითად, REACH სტრატეგიის აღმწერ დოკუმენტში მითითებულია, რომ ერთი ნივთიერების სრული გამოცდა დაახლოებით 600000 ევრო ჯდება.

რეექსპორტს ან ტრანზიტს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვა ესაჭიროება. ამავე დროს, ნებართვის გაცემის წესის დამდგენი კანონქვემდებარე აქტი შეჩერებულია, რაც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ამ ნებართვის გაცემის საშუალებას არ აძლევს. საქართველოს კანონმდებლობა არ იძლევა ერთმნიშვნელოვან პასუხს კითხვაზე, ნიშნავს თუ არა ეს მდგომარეობა შეზღუდულად ბრუნვადი მასალების ბრუნვის სრულ აკრძალვას თუ სრულ თავისუფლებას. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს ის, რომ საქართველოს დანარჩენი კანონმდებლობით შეზღუდულად ბრუნვადი მასალების სტატუსი სხვადასხვაგვარია: რიგი მათგანის იმპორტი და ტრანზიტი დაშვებულია (მაგ. ევროპის თანამეგობრობის საბჭოს 259/93 რეგულაციით დადგენილი ნარჩენების მწვანე სიაში შესული GA, GH, GI, GJ, GN, GL, GE კატეგორიების ნარჩენები, იხ. სექცია 6.2.3.3), ზოგის მკაცრად აკრძალულია (მაგ.: ყველა სხვა სახის ნარჩენი; აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტ-ექსპორტის აკრძალვას დაქვემდებარებული პესტიციდები, იხ. სექცია 6.2.10.4 და ცხრილი 39), ზოგის კი დაუდგენელია (მაგ. ოზონდამშლელი ნივთიერებები, ან "მკაცრად შეზღუდული" პესტიციდები და სამრეწველო ქიმიკატები, იხ. ცხრილი 30). შეზღუდულად ბრუნვადი მასალების ასეთი ბუნდოვანი და ამასთან არაერთგვაროვანი სტატუსი განსხვავებული სამართლებრივი ინტერპრეტაციების შესაძლებლობას წარმოქმნის. ამასთან აუცილებელია, რომ ნივთიერებების იდენტიფიცირებისათვის გამოიყენებული იქნეს ქიმიკატების CAS-ის, EU-ს, EC-ს საერთაშორისო სისტემებში გამოყენებული ციფრული საიდენტიფიკაციო ნომრები.

6.3.5 ქიმიურ ნივთიერებათა კლასიფიკაცია და ეტიკეტირება

საქართველოს არსებული კანონმდებლობა საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა კლასიფიკაციის სამ და მათი შემცველი პროდუქციისა და ტვირთების ნიშანდების ორი სხვადასხვა სისტემას აფუძნებს, კერძოდ: "საშიშ ქიმიური ნივთიერებების შესახებ" საქართველოს კანონი და მისი კანონქვემდებარე აქტები (იხ. სექცია 6.2.8) აფუძნებს ქიმიურ ნივთიერებათა კლასიფიკაციას ევროკავშირის 67/548/EEC და 1999/45/EC დირექტივების შესაბამისად. მაშინ როდესაც ტექნიკური რეგლამენტს «ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესი» (იხ. სექცია 6.2.17) კი გაეროს GHS სისტემით და საშიშ ტვირთებთან მოპყრობის სამოდელო წესებით (იხ. სექცია 6.1.8) დადგენილი კლასიფიკაცია შემოაქვს ხმარებაში. საშიშ ქიმიური ნივთიერებების კლასიფიკაციის ეს ორი სისტემა მნიშვნელოვნად განსხვავდება.

იმის გადასაწყვეტად, თუ საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა კლასიფიკაციის რომელი სისტემა სჯობს, გასათვალისწინებელია, რომ თავად ევროკავშირმა, 2003 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ GHS სისტემის დამტკიცების შემდეგ დაიწყო საკანონმდებლო პროცესი საკუთარი კანონმდებლობის გაეროს GHS სისტემაზე მოსარგებად. ევროკავშირი GHS სისტემაზე 2010-2015 წლებში გადავა⁴²². ვფიქრობთ, რომ რაციონალური იქნებოდა ამ ვადებისთვის შესაბამისი ცვლილებები საქართველოს კანონმდებლობაშიც განხორციელებულიყო⁴²³.

საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა კლასიფიკაციის კიდევ ერთი სისტემა საქართველოს კანონმდებლობაში შემოტანილია კანონით "საშიშ საწარმოო ობიექტების უსაფრთხოების

⁴²² 2010 წლის 1 დეკემბრიდან ახალის სისტემა ამოქმედდება სუფთა ქიმიური ნივთიერებებისთვის, 2015 წლის 1 ივნისიდან – ქიმიურ ნივთიერებათა ნარეგებისთვის.

⁴²³ სახელმძღვანელოდ შეიძლება გამოყენებული იქნას ევროკომისიის დამტკიცებული საკანონმდებლო წინადადება COM(2007)355 final

შესახებ (სექცია 6.2.7). საინტერესოა, რომ ამ კლასიფიკაციით სასიშ ნივთიერებებში არა მარტო აალებადი, არამედ უბრალოდ წვადი ნივთიერებებიც შედის.

კლასიფიკაციის სიმრავლის გამო გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად სასურველია:

- საქართველოს კანონმდებლობაში მკაფიოდ განიმარტოს, თუ რა ტიპის ნივთიერებებია "საშიში ქიმიური ნივთიერებები"
- დადგინდეს საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა ნიშანდების სისტემა, რომელიც მათი გამოყენების ყველა სფეროსთვის (ტრანსპორტი, მოხმარება, საწარმოო უსაფრთხოება) ერთიანი იქნება.
- მიღებული იქნას კანონქვემდებარე აქტი, რომლითაც ქართველი მომხმარებლისთვის და საჯარო მოხელისთვის სახიფათო ტვირთებისთვის გაეროს მიერ დადგენილი ოთხნიშნა კოდების მნიშვნელობათა გარკვევა გახდება შესაძლებელი.

6.3.6 საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილება და მზადყოფნა

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს საგანგებო სიტუაციათა თავიდან აცილების აუცილებლობას. კერძოდ, საგანგებო სიტუაციათა პროგნოზირება⁴²⁴, პრევენცია⁴²⁵ და მათთვის მზადყოფნა⁴²⁶ "საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის ერთიანი სისტემის" ამოცანებში შედის. თუმცა არსებული კანონმდებლობა არ აზუსტებს, თუ როგორ და კერძოდ რომელი უწყებების მიერ უნდა იყოს უზრუნველყოფილი აღწერილი ზომები.

ასეთივე გაურკვევლობაა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების უწყებრივ გეგმებთან დაკავშირებით: კანონის მიხედვით საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ეროვნული გეგმა "ერთიან სისტემაში" მყოფ უწყებათა რეაგირების გეგმების ერთობლიობას წარმოადგენს⁴²⁷. თუმცა დღემდე მიღებული ნორმატიული აქტები ასეთი გეგმების შემუშავებას სამთავრობო უწყებებს არ ავალეს.

ვფიქრობთ, რომ აუცილებელია კანონქვემდებარე აქტების მიღება, რომელიც საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების და მზადყოფნისთვის აუცილებელ საქმიანობებს შესაბამის სამთავრობო უწყებებზე დეტალურად გადაანაწილებდა.

⁴²⁴ კანონი "ზუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ", მუხლი 6, პუნქტი 1, ქვეპუნქტები "ა" და "გ"

⁴²⁵ იქვე, პუნქტი "ზ" და "ე"

⁴²⁶ იქვე, პუნქტები "დ", "ვ" და "ზ"

⁴²⁷ კანონი "ზუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ", მუხლი 1, პუნქტი "ლ"

დანართი 1. ქიმიური ნივთიერებების მართვის სფეროში საქართველოსთვის გაწეული საერთაშორისო დახმარება

საქართველოში ქიმიურ ნივთიერებათა მართვასთან დაკავშირებით განხორციელებული და მიმდინარე პროექტები ქვემოთ ცხრილშია მითითებული.

ცხრილი 41. ქიმიური ნივთიერებების სფეროსთან დაკავშირებული საერთაშორისო პროექტები საქართველოში

პროექტის დასახელება	განმახორციელებელი ორგანიზაცია	ვადები	დამფინანსებელი
მონრეალის ოქმის განხორციელების ეროვნული გეგმის მომზადება	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	1997	მონრეალის ოქმის მრავალმხრივი ფონდი, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP)
ქიმიური ნივთიერებების მართვის ეროვნული პროფილის მომზადება	ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, ნიკოლოზ შავდია	1998-1999	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სწავლების და მეცნიერების ინსტიტუტი (UNITAR)
ინსტიტუციონალური გაძლიერება მონრეალის ოქმის ვალდებულებათა შესასრულებლად (ფაზები I, II, III, IV, V)	ოზონის ეროვნული ჯგუფი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, შემდგომ – "საქართველოს მემაცივრეთა ასოციაცია"	1998-2009	მონრეალის ოქმის მრავალმხრივი ფონდი, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP), შემდგომ აგრეთვე გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)
მაცივარაგენტების შეგროვებისა და რეციკლირების ეროვნული გეგმის განხორციელება	"საქართველოს მემაცივრეთა ასოციაცია", საკონტაქტო პირი სულხან სულაძე, ტელ: 99532232689, ელ-ფოსტა: gra@post.ge	1998-2000	მონრეალის ოქმის მრავალმხრივი ფონდი, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)
სამაცივრო დარგის სპეციალისტების და ტექნიკოსების სწავლება	ოზონის ეროვნული ჯგუფი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო "საქართველოს მემაცივრეთა ასოციაცია"	1999-2001	მონრეალის ოქმის მრავალმხრივი ფონდი, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP)
წყლის მართვა სამხრეთ კავკასიაში (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო)	ზურაბ ჯინჭარაძე (საქართველოს გუნდის ლიდერი) მობ: +99599 728768, ელ-ფოსტა: zjincharadze@immap.org	2000-2004-2008	ამერიკის სერთებულ შტატების სააგენტო საერთაშორისო განვითარებისთვის (USAID)
მდინარეების ერთობლივი მართვის პროგრამა ტრანსასაზღვრო მდინარეებში წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების თაობაზე (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო)	ანატოლი პიჩუგინი, მობ: +99597 073354, ელ-ფოსტა: pichuginaa@fastmail.fm	2002-2003	ევროკავშირის ტექნიკური დახმარება დსთ ქვეყნებისთვის (EU TACIS)
საინიციატივო პროგრამა სამეწარმეო და სატრანსპორტო სექტორების სამაცივრო	"საქართველოს მემაცივრეთა ასოციაცია", საკონტაქტო პირი სულხან სულაძე, ტელ: 99532232689,	2002-2004	მონრეალის ოქმის მრავალმხრივი ფონდი, გაეროს განვითარების

ტექნიკის მომხმარებლებისთვის	ელ-ფოსტა: gra@post.ge		პროგრამა (UNDP)
პროგრამა "მეცნიერება მშვიდობისთვის", სამხრეთ კავკასიის მდინარეების მონიტორინგი (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო)	ნოდარ კეკელიძე (ეროვნული დირექტორი) მობ: +995 98 186645 ელ-ფოსტა: nnkekelidze@geo.net.ge	2002-2008	OSCE-NATO
სასწავლო პროგრამა საბაჟო თანამშრომლებისთვის ოზონდამშლელ ნივთიერებათა კონტროლისთვის	ოზონის ეროვნული ჯგუფი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	2003-2005	მონრეალის ოქმის მრავალმხრივი ფონდი, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP)
სტოკჰოლმის კონვენციის შესრულების ეროვნული სამოქმედო გეგმის მომზადება	პროექტის ეროვნული დირექტორი: ალვერდ ჩანქსელიანი, გარემოს დაცვის სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიურ ნივთიერებათა მართვის სამმართველო, ტელ (+995 32) 727227 baselpops@internet.ge	2003-2005	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს განვითარების პროგრამა (UNDP), გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი (GEF), საქართველოს მთავრობა
მეთილბრომიდის ხმარებიდან ამოღება ნიადაგის ფუმიგაციის სექტორში	"ასოციაცია სამოქალაქო საზოგადოება სოფლად" პრეზიდენტი კობა ხუციშვილი ტელ: 99532569338; ფაქსი: 99532221965, ელ-ფოსტა: koba_csp@yahoo.com	2003-2006	მონრეალის ოქმის მრავალმხრივი ფონდი და გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია (UNIDO)
ტრანსსაზღვრო დაბინძურების შემცირება მტკვარ-არაქსის აუზში (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო)	მალხაზ ადეიშვილი (ეროვნული კოორდინატორი) მობ: +995 99 531427, ელ-ფოსტა: madeishvili@caucasus.net	2003-2005-2007	გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), შვედეთის სააგენტო საერთაშორისო განვითარების მხარდაჭერისთვის (SIDA), გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი (GEF)
ნარჩენები და ნარჩენების მართვა (გარემოს დაცვის ინსპექტორატის ტრეინინგი)	საკონტაქტო პირი: ქეთი მუმლაძე, გარემოს დაცვის ინსპექცია, ტელ: 99532275764, ელ-ფოსტა: k.mumladze@yahoo.co.uk	2006-2007	ჰოლანდიის განსახლების, სივრცული დაგეგმვისა და გარემოს დაცვის სამინისტრო
არამილსადენიდან ზღვაში და ხმელეთზე ნავთობის დაღვრის პრევენცია და შერბილება	საკონტაქტო პირი: მედგარ ჭელიძე, მობ: 99599162221 ელ-ფოსტა: info@royalhaskoning.com	2006-2007	მსოფლიო ბანკი (WB)
ვადაგასული პესტიციდების რისკ-ფაქტორების შემცირება საქართველოში (კახეთის რეგიონი), მოლდოვეთსა და ყირგიზეთში	განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაცია – Milieukontakt International წარმომადგენლობა საქართველოში პროექტის კოორდინატორი: ხათუნა ახალაია, გარემოს დაცვის სამინისტრო, გარემოს ინტეგრირებული მართვის დეპარტამენტი ტელ: 995 32 275727, ელ-ფოსტა: khatunaakhalaia1@yahoo.com	2006-2008	ჰოლანდიის საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია Mileucontact, ჰოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტრო

ჰალონების მართვის ეროვნული გეგმის მომზადება	”საქართველოს მემაცივრეთა ასოციაცია”, საკონტაქტო პირი სულხან სულაძე, ტელ: 99532232689, ელ-ფოსტა: gra@post.ge	2006-2008	მონრეალის ოქმის მრავალმხრივი ფონდი და გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია (UNIDO)
მეთილბრომიდის ხმარებიდან ეტაპობრივი ამოღება წისქვილებში	“ასოციაცია სამოქალაქო საზოგადოება სოფლად” პრეზიდენტი კობა ხუციშვილი ტელ: 99532569338; ფაქსი: 99532221965, ელ-ფოსტა: koba_csp@yahoo.com	2006-2009	მონრეალის ოქმის მრავალმხრივი ფონდი
მონრეალის ოქმის ვალდებულებათა შესრულების ხელშეწყობის პროექტი	”საქართველოს მემაცივრეთა ასოციაცია”, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	2006-2010	გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)
ქლორფტორნახშირბადების ხმარებიდან საბოლოო ამოღების გეგმის მომზადება	”საქართველოს მემაცივრეთა ასოციაცია”, ტელ: 99532232689, ელ-ფოსტა: gra@post.ge	2007-2009	მონრეალის ოქმის მრავალმხრივი ფონდი, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)
საქართველოს ქიმიური პროფილის განახლება, SAICM განხორციელების ეროვნულ შესაძლებლობათა შეფასება და პრიორიტეტების დასახვა	საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი, საკონტაქტო პირი: ლია თოდუა, Tel: 995 32 250711/399019, ელ-ფოსტა: liatodua@csrdg.ge ვებ-გვერდი: http://csrdg.ge	2007-2009	SAICM სწრაფი დაწყების პროგრამა, გაეროს სწავლებისა და კვლევების ინსტიტუტი (UNITAR)
მტკვრის აუზის ტრანსსაზღვრო მართვის ხელშეწყობა (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო)	ანატოლი პიჩუგინი (Team Leader) მობ: +99597 073354, ელ-ფოსტა: pichuginaa@fastmail.fm	2007-2009	ევროკავშირის ტექნიკური დახმარება დსთ ქვეყნებისთვის (EU TACIS)
გარემოსდაცვითი მონიტორინგისა და მართვის სისტემების განვითარება საქართველოში	Karri Eloheimo, მობ: +995 93 407130	2008	ფინეთის მთავრობა

დანართი 2. ქვეყნის ზოგადი მიმოხილვა

ფიზიკური და დემოგრაფიული მახასიათებლები

- საქართველოს ტერიტორია შეადგენს 69.7 ათასი კმ²;
- სახელმწიფო მმართველობის ფორმა - საპრეზიდენტო რესპუბლიკა;
- ოფიციალური სახელმწიფო ენა - ქართული;
- მოსახლეობის რაოდენობა - 4394.7 ათასი კაცი; (2007 წ.)
- ქალაქის მოსახლეობა - 2,472,100;
- სოფლის მოსახლეობა - 1,912,600;
- მოსახლეობის საშუალო ასაკი - 35.2 (1994 წ.);
- სამუშაო ასაკის (15-64 წწ) მოსახლეობის რაოდენობა - 2021.8 ათასი კაცი;
- შობადობა - 10.7 (1000 მოსახლეზე, 1997 წ.);
- სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა - 74.3 (2006 წ.);
- სიკვდილიანობა - 7.5 (1000 მოსახლეზე, 1997წ.);
- უმუშევრობის დონე - 13.6 % (2006 წ.)
- სახლს გარეთ მომუშავე ქალთა რაოდენობა - 987.3 ათასი (1997 წ.).

პოლიტიკურ/გეოგრაფიული სტრუქტურა

საქართველო შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარე ქვეყანაა. ჩრდილოეთით მას რუსეთი ესაზღვრება, სამხრეთით - თურქეთი და სომხეთი, აღმოსავლეთით - აზერბაიჯანი. საქართველო ტრანსკონტინენტალური ქვეყანაა, განლაგებულია აღმოსავლეთ ევროპისა და დასავლეთ აზიის კვეთაზე - ევრაზიის მთიან ტერიტორიაზე, რომელსაც კავკასია ეწოდება.

საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა კარგად ასახავს აქ არსებულ ეთნიკურ მრავალფეროვნებას, ქართველები შეადგენენ მოსახლეობის უმეტესობას - დაახლოებით 83.8% პროცენტს. მსხვილი ეთნიკური ჯგუფებიდან წარმოდგენილია - აზერბაიჯანელები (6.5%), სომხები (5.7%), რუსები (1.5%), აფხაზები და ოსები. ქვეყანაში ასევე ცხოვრობს უამრავი პატარა ეთნიკური ჯგუფი - ასირიელები, ჩეჩნები, ჩინელები, ქართველი ებრაელები, ბერძნები, ყაზარდოელები, ქურთები, თათრები, თურქები და უკრაინელები.

საქართველო დაყოფილია 11 ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად. მათ შორისაა ორი ავტონომიური რესპუბლიკა (აფხაზეთი და აჭარა). დანარჩენი მხარეებია: გურია, იმერეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სამეგრელო და ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი. საქართველოს ტერიტორია დაყოფილია 69 თვითმმართველ ერთეულად, აქედან 5 თვითმმართველ ქალაქს წარმოადგენს, 51 კი რაიონის მუნიციპალიტეტს.

სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო სექტორები

ცხრილი 42. ქვეყნის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო სექტორების ზოგადი მიმოხილვა

სექტორი	წვლილი ქვეყნის პროდუქციაში	მომუშავეთა რაოდენობა ათასი კაცი	მთავარი პროდუქცია
დამამუშავებელი მრეწველობა	16%	141.7	მანქანათმშენებლობა, შავი და ფერადი მეტალურგია, ქიმი. მრეწველობა, ხე-ტყის დამამუშავება, ენერგეტიკა
სამთო-მოპოვებითი მრეწველობა	4%	9.8	ქვანახშირის მოპოვება, ფერადი ლითონები
სოფლის მეურნეობა	32%	1305.0	ღვინო-ყურძენი, ხეხილი, მარცვლეული, კარტოფილი, ბოსტნეული, ციტრუსები, ჩაი.
საერთო	48%	1455.5	

ცხრილი 43. ქვეყნის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო სექტორის სტრუქტურა

სექტორი	სულ	მცირე სამრეწველო საწარმოები / წვრილი სასოფლო მეურნეობები		საშუალო სამრეწველო საწარმოები / საშუალო სასოფლო მეურნეობები		მსხვილი სამრეწველო საწარმოები / მსხვილი სასოფლო მეურნეობები	
		ოდენობა	% საერთოდან	ოდენობა	% საერთოდან	ოდენობა	% საერთოდან
დასაქმებულთა რაოდენობა (2007)	324 366	71 293	22	69 142	21	183 931	57
საწარმოთა რაოდენობა სულ	4632	3943	85	497	11	192	4
საწარმოები დამამუშავებელ მრეწველობაში			16.2		60		23.75
სოფლის მეურნეობა	691 500 ⁴²⁸	525 540	76 ⁴²⁹	159 045	23	6 915	1

შენიშვნები:

⁴²⁸ სულ 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგების მიხედვით საქართველოში აღრიცხულია 730000 მეურნეობა, აქედან 691500 მეურნეობას გააჩნია სასოფლო-სამეურნეო (სათიბ-სამოვრების ჩათვლით) მიწა. მეურნეობების მხოლოდ 18 % აწარმოებს პროდუქციას რეალიზაციის მიზნით, დანარჩენი თავის წარმოებულ პროდუქციას თვითონ მოიხმარს.

⁴²⁹ ბოსტან-ბაზრეულის, ხილის, კენახის, ციტრუსების მეურნეობებში წვრილი მეურნეობების წილი 98-99%-ს აღწევს

1. სასოფლო მეურნეობებში წვრილად მიჩნეულია მეურნეობები, რომელიც 1 ჰა-ზე ნაკლებ სასოფლო-სამეურნეო მიწას იყენებს, საშუალოა მეურნეობები, რომელიც 1-დან 5-მდე ჰა მიწას იყენებს, მსხვილია მეურნეობები, რომელიც 5 ჰა-ზე მეტ სახნავ მიწას იყენებს.
2. სამრეწველო სექტორის დაყოფა საქართველოში მიღებულია მცირე, საშუალო და მსხვილ საწარმოებად.

ცხრილი 44. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება

ძირითადი მოსავალი	მოსავლის საერთო მასა (ტ)	მომუშავეთა საერთო რაოდენობა	საპროდუქციო ფართობი (ათასი ჰა)
მარცვლეული	901.9		437.2
კარტოფილი	350.0		27.1
ბოსტნეული	513.9		32.3
ხილი	299.4		85.3
ციტრუსი	57.1		11.4
ყურძენი	309.1		81.2
ჩაი	33.2		34.7
სულ	2464.5	1305000	709.2

ცხრილი 45. სამრეწველო პროდუქციის წარმოება რეგიონების მიხედვით

რეგიონი	ძირითადი პროდუქცია	პროდუქციის საერთო ღირებულება (მლნ.დოლ)	სამრეწველო საწარმოთა რ-ობა	მომუშავეთა რ-ობა
ქ. თბილისი	სამკ. პრეპარატები, ლაქსადებავეები, საფეიქრო, სინთ.სარეცხი საშუალებები, მანქანათმშენებლობა, ჩარხმშენებლობა	200.0	1012	57671
აფხაზეთის ა.რ.	ხელსაწყოების წარმოება	10.0		424
აჭარის ა.რ.	გემთმშენებლობა	30.0	201	8373
სამეგრელო	ქაღალდის და ხეტყის წარმოება, გემთმშენებლობა	20.0	446	7246
გურია	ასკანიტი	7.5	161	3175
იმერეთი	ლაქ-სადებავეები, მანგანუმი, ქვანახშირი, ბარიტი, ფერადი ლითონები	75.0	679	24547
რაჭა-ლეჩხუმი	დარიშხანი	4.1	40	860
შიდა ქართლი	ცეოლიტი, ცემენტი, ანდეზიტი	31.0	183	6250
მცხეთა-თიანეთი	ხე-ტყის დამუშავება	12.0	162	2063
კახეთი	სამკ. პრეპარატები	15.0	197	5085
ქვემო ქართლი	ფერადი ლითონები, ფოლადი, ნაგლინი, სასუქები, ქიმიკატები	130.0	188	18501
სამცხე-ჯავახეთი	კვების და საფეიქრო	14.0	130	3193
საერთო		644.0	3399	151500

ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებულ სექტორებში დასაქმებულთა რაოდენობა

ცხრილში მითითებულია მრეწველობის ძირითადი დარგები, რომლებსაც აქვთ შეხება სხვადასხვა საშიშ ქიმიურ ნივთიერებებთან

ცხრილი 46. მომუშავეთა რაოდენობა მრეწველობის ძირითად დარგებში

აღწერა	საწარმოთა რ-ობა	მომუშავეთა რ-ობა (ათასი კაცი)	პროდუქციის ღირებულება წელიწადში (მლნ დოლ.)	გამოყენებული ან წარმოებული ქიმიური ნივთიერებები
კვების მრეწველობა	2038	31.2	17.7	ამიაკი, ქლორიანი კირი, ფორმალდეჰიდი, ეთილის სპირტი, მეთანოლი, ნიკოტინი
საფეიქრო ტანსაცმელი, ტყავის ნაწარმი	180	11.3	5.7	ორგანული საღებავები, ძმარმჟავა, ტუტეები, ქრომის შემცველი მთრთვილავი ნივთიერება, გოგირდმჟავა, მონომერები, ორგანული და არაორგანული ნაერთები
ხე და ხისწარმი, გამომცემლობა, ქაღალდი და ქაღალდის წარმოება	277	4.1	4.5	ორგანული გამსხნელები, საღებავები, ლაქები, არომატული ნახშირწყალბადები (ბენზოლი, ტოლუოლი, ქსილოლი, სტიროლი), ფორმალდეჰიდი, აცეტონი, საღებავები, გოგირდმჟავა, ძმარმჟავა, ძმრის ანჰიდრიდი
ქიმიკატების, ქვანახშირის/ნავთობის, პლასტიკური მასების წარმოება	87	8.2	3.5	აზოტის ჟანგეულები, გოგირდწყალბადი, ციანამიდები, ნახშირწყალბადი - ნაჯერი და უჯერი, არომატული ნახშირწყალბადები, ფორმალდეჰიდი, ფენოლი, ბენზინი, უაიტსპირტი, ნაფტალინი
არალითონური მინერალური წარმოება	264	6.2	11.0	მტვერი (ქვა, ღორღი, გოგირდი, კალციტები)
ძირითადი ლითონური წარმოება	19	12.8	3.4	მანგანუმი, მანგანუმის ოქსიდი, გოგირდის ანჰიდრიდი, რკინის ნაერთები, გოგირდწყალბადი, ფენოლი, ბენზპირენი, ნაჯერი და უჯერი ნახშირწყალბადები, ვერცხლისწყლის ორთქლი, სპილენძი
მანქანათა და მოწყობილობათა წარმოება	239	35.8	41.0	მანგანუმი, ქრომი, რკინა, მჟავები, ტუტეები, ციანის ნაერთები
სხვა მანუფაქტურული წარმოება	171	23.7	-	
წიაღისეულის წარმოება და გამდიდრება	11	9.8	35.1	აზოტის ჟანგეულები, გოგირდის და გოგირდოვანი ანჰიდრიდი, ნახშირწყალბადები, გოგირდწყალბადი, არომატული ნახშირწყალბადები
ელექტროენერგია	113	7.4	164.0	აზოტის ჟანგეულები, გოგირდის და გოგირდოვანი ანჰიდრიდი
სულ	3399	151.5	186.3	

დანართი 3. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ტერმინოლოგია

აალებადი ნივთიერებები⁴³⁰ - აირები, რომლებიც ნორმალური წნევის პირობებში ჰაერთან შერევისას აალებადი ხდებიან.

აგროქიმიკატები⁴³¹ - სასუქები, ქიმიური მელიორანტები, აგრომადნეულები, საკვები დანამატები, რომლებიც გათვალისწინებულია მცენარეთა კვებისათვის, ნიადაგს ნაყოფიერებისათვის და ცხოველთა დამატებითი კვებისათვის.

ადვილად აალებადი ნივთიერებები/პრეპარატები⁴³² - ნივთიერებები/პრეპარატები, რომელიც:

- ცხელდებიან და აალებიან ჰაერთან შეხებისას, ენერგიის სხვა წყაროების არარსებობისას;
- იმყოფებიან მყარ მდგომარეობაში და აალებიან სითბოს წყაროსთან ხანმოკლე შეხებისას და განაგრძობენ ამ წყაროს მოცილების შემდეგ;
- იმყოფებიან თხევად მდგომარეობაში და აქვთ დაბალი აალების წერტილი;
- წყალთან ან ნესტიან ჰაერთან შეხებისას გამოჰყოფენ ადვილად აალებად აირებს საშიში ოდენობით.

ავარია⁴³³ - ნაგებობისა და ტექნიკური მოწყობილობის რღვევა, საშიში ნივთიერების ამოფრქვევა, რომლებსაც სეუძლია გამოიწვიოს ადამიანის მსხვერპლი, ან მიაყენოს ზიანი ადამიანის ჯანმრთელობას, ქონებას ან გარემოს.

აკრძალული პესტიციდი⁴³⁴ - პესტიციდი, რომლის გამოყენება ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მიზნით ნებისმიერ სფეროში აკრზალულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილებით.

ალერგიული ნივთიერებები/პრეპარატები⁴³⁵ - ნივთიერებები/პრეპარატები, რომელიც ორგანიზმში მოხვედრისას იწვევენ ზემოქმედებლობას (ალერგიულ რეაქციას). განეკუთვნებიან საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს.

ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმა (იგივე: ეროვნული რეაგირების გეგმა)⁴³⁶ - ერთიან სისტემაში მყოფ სამინისტროთა, მათი მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებათა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა რეაგირების გეგმების ერთობლიობა, რომლებიც ითვალისწინებს ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვას.

გამაღიზიანებელი ნივთიერებები/პრეპარატები⁴³⁷ - ნივთიერებები/პრეპარატები, რომელიც ორგანიზმში მოხვედრისას იწვევენ ფიზიკურ გაღიზიანებას და ანთეტიკ პროცესს. განეკუთვნებიან საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს.

გონადოტროპული ნივთიერებები/პრეპარატები⁴³⁸ - ნივთიერებები/პრეპარატები, რომელიც ორგანიზმში მოხვედრისას იწვევენ ან ხელს უწყობენ სასქესო ჯირვლების ფუნქციის მოშლას. განეკუთვნებიან საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს.

დამჟანგავი ნივთიერებები/პრეპარატები⁴³⁹ - ნივთიერებები/პრეპარატები, რომელიც იწვევენ ძლიერ ეგზოთერმულ რეაქციას სხვა აალებად ნივთიერებებთან შეხებისას. განეკუთვნებიან საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს.

⁴³⁰ კანონი "საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ", პირველი მუხლის მე-5 პუნქტის "გა" ქვეპუნქტი

⁴³¹ "პესტიციდებისა და აგროქიმიური ნივთიერებების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის "გ" პუნქტის მიხედვით

⁴³² "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ" კანონის მე-2 მუხლის "გ" პუნქტის "გდ" ქვეპუნქტის მიხედვით

⁴³³ "საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ" კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით

⁴³⁴ "პესტიციდებისა და აგროქიმიური ნივთიერებების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის "დ" პუნქტის მიხედვით

⁴³⁵ "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ" კანონის მე-2 მუხლის "გ" პუნქტის "გთ" ქვეპუნქტის მიხედვით

⁴³⁶ "ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ" კანონის პირველი მუხლის "ლ" პუნქტი

⁴³⁷ "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ" კანონის მე-2 მუხლის "გ" პუნქტის "გზ" ქვეპუნქტის მიხედვით

⁴³⁸ "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ" კანონის მე-2 მუხლის "გ" პუნქტის "გმ" ქვეპუნქტის მიხედვით

დესიკანტები⁴⁴⁰ - ქიმიური ან ბიოლოგიური პრეპარატები, რომელიც გამოიყენება მოსავლის აღების წინ მცენარის შესახმობად. განეკუთვნებიან პესტიციდებს.

დეფოლიანტები⁴⁴¹ - ქიმიური ან ბიოლოგიური პრეპარატები, რომელიც გამოიყენება მოსავლის აღების წინ მცენარისთვის ფოთლების მოსაცილებლად. განეკუთვნებიან პესტიციდებს.

ემბრიოტროპული ნივთიერებები/პრეპარატები⁴⁴² - ნივთიერებები/პრეპარატები, რომელიც ორგანიზმში მოხვედრისას იწვევენ ან ხელს უწყობენ ჩანასახის განვითარების მოშლას. განეკუთვნებიან საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს.

ერთიანი სისტემა - იხ: საგანგებო სიტუაციის თავიდან აცილების, ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის ერთიანი სისტემა.

ეროვნული რეაგირების გეგმა - იხ. ბუნებრივ და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმა.

კანცეროგენული ნივთიერებები/პრეპარატები⁴⁴³ - ნივთიერებები/პრეპარატები, რომელიც ორგანიზმში მოხვედრისას იწვევენ ან ხელს უწყობენ სიმსივნური დაავადების განვითარებას. განეკუთვნებიან საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს.

მელიორანტი⁴⁴⁴ - ქიმიური, ბიოლოგიური და სხვა ნაერთები, რომელიც გამოიყენება ნიადაგის გასაუმჯობესებლად.

მკაცრად შეზღუდული პესტიციდი⁴⁴⁵ - პესტიციდი, რომლის გამოყენება ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მიზნით პრაქტიკულად აკრძალულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილებით, თუმცა დასაშვებია მისი ზოგიერთი სახით გამოყენება.

მჟანგველი ნივთიერებები⁴⁴⁶ - ნივთიერებები, რომლებიც ხელს უწყობენ ან იწვევენ სხვა ნივთიერების აალებას ან წვას.

მუტაგენური ნივთიერებები/პრეპარატები⁴⁴⁷ - ნივთიერებები/პრეპარატები, რომელიც ორგანიზმში მოხვედრისას იწვევენ ან ხელს უწყობენ გენეტიკური სისტემის მოშლას. განეკუთვნებიან საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს.

პესტიციდები⁴⁴⁸ - ქიმიური ან ბიოლოგიური პრეპარატები, რომელიც გამოიყენება შემდეგი მიზნით:

- მცენარეთა დაავადებებისა და მათი გადამტანების წინააღმდეგ
- მცენარეთა მავნებლების წინააღმდეგ
- სარეველა მცენარეების წინააღმდეგ
- სოფლის მეურნეობის შენახული პროდუქციის დაავადებების წინააღმდეგ
- სოფლის მეურნეობის შენახული პროდუქციის მავნებლების წინააღმდეგ
- მღრღნელების წინააღმდეგ
- ცხოველთა პარაზიტების წინააღმდეგ
- მცენარეთა ზრდის რეგულირებისთვის
- მოსავლის აღების წინ მცენარისთვის ფოთლების მოსაცილებლად
- მოსავლის აღების წინ მცენარის შესახმობად
- საცავების, საწყობების, სატრანსპორტო საშუალებების, სათბურების, ნიადაგის, მცენარეული ან სხვა პროდუქციის გაუსნეოვნებისთვის.

⁴³⁹ "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ" კანონის მე-2 მუხლის "გ" პუნქტის "გზ" ქვეპუნქტის მიხედვით

⁴⁴⁰ "პესტიციდებისა და აგროქიმიური ნივთიერებების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის "ზ" პუნქტის მიხედვით

⁴⁴¹ "პესტიციდებისა და აგროქიმიური ნივთიერებების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის "ზ" პუნქტის მიხედვით

⁴⁴² "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ" კანონის მე-2 მუხლის "გ" პუნქტის "გზ" ქვეპუნქტის მიხედვით

⁴⁴³ "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ" კანონის მე-2 მუხლის "გ" პუნქტის "გი" ქვეპუნქტის მიხედვით

⁴⁴⁴ კანონი "ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ", მუხლი 2, პუნქტი "რ"

⁴⁴⁵ "პესტიციდებისა და აგროქიმიური ნივთიერებების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის "ყ" პუნქტის მიხედვით

⁴⁴⁶ "საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ" კანონის პირველი მუხლის მე-5 პუნქტის "გზ" ქვეპუნქტის მიხედვით

⁴⁴⁷ "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ" კანონის მე-2 მუხლის "გ" პუნქტის "გვ" ქვეპუნქტის მიხედვით

⁴⁴⁸ "პესტიციდებისა და აგროქიმიური ნივთიერებების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის "ზ" პუნქტის მიხედვით

საგანგებო სიტუაცია⁴⁴⁹ - ობიექტზე, გარკვეულ ტერიტორიაზე ან აკვატორიაში ბუნებრივი მოვლენების, სტიქიური უბედურების, ხანძრის, ავარიის, კატასტროფის ან სხვა სახის უბედურების, აგრეთვე საბრძოლო საშუალებათა გამოყენების შედეგად წარმოქმნილი სიტუაცია, როდესაც ირღვევა ადამიანთა ცხოვრებისა და საქმიანობის ნორმალური პირობები, საფრთხე ემუქრება მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ზარალდება მოსახლეობა და ზიანდება ბუნებრივი გარემო.

საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმა - იხ. ბუნებრივ და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმა.

საგანგებო სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაცია⁴⁵⁰ - საგანგებო სიტუაციების გაერთიანებული სალიკვიდაციო ძალების მიერ ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენისა და მათი ჯანმრთელობის შენარჩუნების, მატერიალური ზიანის და ბუნებრივი გარემოს დაზიანების შემცირების, აგრეთვე საგანგებო სიტუაციის ზონის ლოკალიზებისა და საგანგებო სიტუაციის წყაროს დამაზიანებელი ფაქტორების ზემოქმედების შემცირების მიზნით საგანგებო სიტუაციის ზონაში და მის მიმდებარე რაიონებში ყველა სახის სადაზვერვო, საავარიო-სამაშველო და საავარიო-აღდგენითი სამუშაოების შესრულება, ასევე ამ ძალების პირადი შემადგენლობის სასიცოცხლო უზრუნველყოფის ორგანიზება.

საგანგებო სიტუაციის თავიდან აცილება⁴⁵¹ - სამართლებრივ, ორგანიზაციულ, ეკონომიკურ, საინჟინრო-ტექნიკურ, სანიტარიულ-ჰიგიენურ, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ და სხვა ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც ხორციელდება ბუნებრივ გარემოსა და საშიშ საწარმოო ობიექტზე მონიტორინგისა და კონტროლის ორგანიზების, საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის პროგნოზირებისა და პროფილაქტიკის, საგანგებო სიტუაციისათვის მომზადების, ხოლო მისი წარმოქმნის შემთხვევაში – ზარალის შემცირების მიზნით.

საგანგებო სიტუაციის თავიდან აცილების, ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის ერთიანი სისტემა (იგივე: ერთიანი სისტემა)⁴⁵² - საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ სამინისტროთა, მათი მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებათა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა ერთობლიობა, რომელთა მიზანია საგანგებო სიტუაციის თავიდან აცილება, ხოლო მისი წარმოქმნის შემთხვევაში – საგანგებო სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაცია, მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ეკონომიკის ობიექტებისა და ბუნებრივი გარემოს დაცვა და მატერიალური ზიანის შემცირება;

საშიში ნივთიერება⁴⁵³ - ელემენტი, რთული ნივთიერება ან ნაერთი, მათ შორის ნავთობი, ბუნებრივი გაზი და მისგან გამოყოფილი სხვა გაზები და ნივთიერებები (ბუნებრივი, გადაუმუშავებელი რადიოაქტიური ნივთიერებების გარდა), აგრეთვე საქართველოს საგადასახადო კოდექსით⁴⁵⁴ ... განსაზღვრული ნივთიერებები, რომელთაც პირდაპირ ან გარემოსა და ცოცხალ ორგანიზმებში დაგროვების შედეგად შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენონ ადამიანს, გარემოსა და ქონებას.

⁴⁴⁹ "ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ" კანონის პირველი მუხლის "ა" პუნქტი

⁴⁵⁰ "ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ" კანონის პირველი მუხლის "ე" პუნქტი

⁴⁵¹ "ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ" კანონის პირველი მუხლის "დ" პუნქტი

⁴⁵² "ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ" კანონის პირველი მუხლის "ვ" პუნქტი

⁴⁵³ "საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ" კანონის მე-2 მუხლის "ა" პუნქტის მიხედვით

⁴⁵⁴ იგულისხმება 1997 წლის 13 ივნისის საგადასახადო კოდექსი (რომელიც დღეს ძალაში აღარაა) და მის საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტი: "დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფეროში გამოფრქვეულ და წყლის ობიექტებში ჩაშვებულ მავნე ნივთიერებათა ფარდობითი საშიშროების კოეფიციენტის დამტკიცების შესახებ" (დამტკიცებულია საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 1997 წლის 25 ნოემბრის #139 ბრძანებით)

საშიში საწარმოო ობიექტი⁴⁵⁵ - საწარმო, რომელშიც ხორციელდება საშიში საქმიანობა, სადაც:

- გამოიყენება მაღალ წნევაზე და ტემპერატურაზე მომუშავე მოწყობლობები, ტვირთამწე მექანიზმები, ესკალატორები, საბაგირო გზები, ფუნიკულორები;
- აწარმოებენ სამთო, მიწისქვესა და მეტალურგიულ-გადამამუშავებელ სამუშაოებს;
- მიიღება, გამოიყენება, გადამამუშავდება, წარმოიქმნება, ინახება, ტრანსპორტირდება, ნადგურდება საშიში ნივთიერებები.

საშიში საქმიანობა⁴⁵⁶ - საქმიანობა, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ავარია.

საშიში ქიმიური ნივთიერებები (*"საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით*)⁴⁵⁷ - ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც:

- მავნე ზემოქმედებას ახდენენ ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე, და
- მიეკუთვნებიან ტოქსიკურობისა და საშიშროების შემდეგი კლასებიდან ერთ-ერთს:
 - ფეთქებადი ნივთიერებები/პრეპარატები
 - დამჟანგავი ნივთიერებები/პრეპარატები
 - უკიდურესად აალებადი ნივთიერებები/პრეპარატები
 - ადვილად აალებადი ნივთიერებები/პრეპარატები
 - ნივთიერებები/პრეპარატები, რომელიც შეხებისას აზიანებენ ცოცხალ ქსოვილს
 - ტოქსიკური ნივთიერებები/პრეპარატები
 - გამაღიზიანებელი ნივთიერებები/პრეპარატები
 - ალერგიული ნივთიერებები/პრეპარატები
 - კანცეროგენული ნივთიერებები/პრეპარატები
 - მუტაგენური ნივთიერებები/პრეპარატები
 - ტერატოგენური ნივთიერებები/პრეპარატები
 - გონადოტროპული ნივთიერებები/პრეპარატები
 - ემბრიოტროპული ნივთიერებები/პრეპარატები.

(ეს განმარტება არ ვრცელდება :

- ადამიანის და ცხოველთა დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ და სამკურნალო პრეპარატებზე;
- კოსმეტიკურ პროდუქციაზე;
- სასწავლო-სამეცნიერო მიზნით გამოყენებულ ნივთიერებებზე;
- მიკროორგანიზმებს და მიკრობული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებზე;
- ნარჩენებზე;
- საკვებ დანამატებზე;
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქიმიურ ნივთიერებებზე;
- რადიაქტიულ ნივთიერებებს და მასალებზე;
- პირადი მოხმარებისთვის განკუთვნილ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ქიმიურ ნივთიერებებზე)

საშიში ქიმიური ნივთიერებები (*"საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ" კანონის მიხედვით*)⁴⁵⁸:

- აალებადი ნივთიერებები,
- მჟანგველი ნივთიერებები,
- წვადი ნივთიერებები,
- ფეთქებადი ნივთიერებები,
- ტოქსიკური ნივთიერებები,

⁴⁵⁵ "საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ" კანონის პირველი მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის მიხედვით

⁴⁵⁶ "საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ" კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით

⁴⁵⁷ "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ" კანონის მე-2 მუხლის "გ" პუნქტის მიხედვით

⁴⁵⁸ კანონი "საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ", პირველი მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტი

- რადიაქტიური ნივთიერებები.

სახიფათო ნარჩენები⁴⁵⁹ - "სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ" ბაზელის 1989 წლის კონვენციის პირველი დანართით დადგენილი, კონტროლსა და განსაკუთრებულ განხილვას დაქვემდებარებული ნარჩენების კატეგორიათა ჯგუფები, რომლებიც ხასიათდებიან ამავე კონვენციის მესამე დანართით დადგენილი სახიფათო თვისებებით. აგრეთვე ევროგაერთიანების საბჭოს 259.93 რეგულაციით დადგენილი "ნარჩენების ყვითელი სიით" და "ნარჩენების წითელი სიით" განსაზღვრული ნარჩენები.

ტერატოგენური ნივთიერებები/პრეპარატები⁴⁶⁰ - ნივთიერებები/პრეპარატები, რომელიც ორგანიზმში მოხვედრისას იწვევენ ან ხელს უწყობენ ნაყოფის განვითარების პროცესის დარღვევას და სიმახინჯეებს. განეკუთვნებიან სამიშ ქიმიურ ნივთიერებებს.

ტოქსიკური ნივთიერებები/პრეპარატები ("საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ" კანონის მიხედვით⁴⁶¹) - ნივთიერებები/პრეპარატები, რომელიც ორგანიზმში მცირე ოდენობით მოხვედრისას იწვევენ სიკვდილს, მწვავე ან ქრონიკულ მოწამვლას. განეკუთვნებიან სამიშ ქიმიურ ნივთიერებებს.

ტოქსიკური ნივთიერებები ("საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ" კანონის მიხედვით⁴⁶²) - ქიმიური ან ბიოლოგიური ნივთიერებანი, მათი შენაერთები ან შენაერთების ნარევი, რომელთაც თავიანთი ფიზიკო-ქიმიური თვისებებით შეუძლია მავნე ზემოქმედება მოახდინონ ადამიანის ჯანმრთელობაზე.

უკიდურესად აალებადი ნივთიერებები/პრეპარატები⁴⁶³ - ნივთიერებები/პრეპარატები, რომლებსაც აქვთ დაბალი აალების და დუღილის წერტილები, აალებიან ჰაერთან შეხებისას ოტახის ტემპერატურასა და ნორმალურ ატმოსფერულ წნევაზე. განეკუთვნებიან სამიშ ქიმიურ ნივთიერებებს.

უსაფრთხოების დეკლარაცია⁴⁶⁴ - საგანგებო სიტუაციის რისკის ფაქტორის შეფასების მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარდგენილი ინფორმაცია სამიშ საწარმოო ობიექტის შესახებ.

ფეთქებადი ნივთიერებები/პრეპარატები ("საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ" კანონის მიხედვით)⁴⁶⁵ - ნივთიერებები/პრეპარატები, რომელიც იწვევენ ეგზოთერმულ რეაქციას ატმოსფერული ჟანგბადის გარეშე და სწრაფად გამოჰყოფენ გაზებს, დეტონირებენ, ადვილად აალებიან ან ფეთქდებიან ნაწილობრივ დახშულ პირობებში გახურებით. განეკუთვნებიან სამიშ ქიმიურ ნივთიერებებს.

ფეთქებადი ნივთიერებები ("საშიში საწარმოო ობიექტის უშიშროების შესახებ" კანონის მიხედვით)⁴⁶⁶ - ნივთიერებები, რომლებსაც გარკვეული გარე ზემოქმედებისას უნარი აქვთ თვითგაზრცელდნენ და განიცადონ ძალზე სწრაფი ქიმიური გარდაქმნა სითბოსა და აირის გამოყოფით.

ქიმიური ნივთიერებები⁴⁶⁷ - ნივთიერებები ან მათი ნაერთები ბუნებრივი სახით, ან მიღებული ნებისმიერი ტექნოლოგიური პროცესის შედეგად, პროდუქტის სტაბილურობის შენარჩუნებისთვის საჭირო ნებისმიერ დანამატთან და გამოყენებული ტექნოლოგიური პროცესის შედეგად მიღებულ ყველა მინარევთან ერთად, გამხსნელის გარდა, რომელიც გამოიყოფა ნივთიერების სტაბილურობის და შემადგენლობის შეცვლის გარეშე, აგრეთვე ამ ნივთიერებების პრეპარატები.

⁴⁵⁹ "საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ" კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით

⁴⁶⁰ "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ" კანონის მე-2 მუხლის "გ" პუნქტის "გლ" ქვეპუნქტის მიხედვით

⁴⁶¹ "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ" კანონის მე-2 მუხლის "გ" პუნქტის "გვ" ქვეპუნქტის მიხედვით

⁴⁶² კანონი "საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ", მუხლი 1, პუნქტი 5გვ)

⁴⁶³ "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ" კანონის მე-2 მუხლის "გ" პუნქტის "გგ" ქვეპუნქტის მიხედვით

⁴⁶⁴ "ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ" კანონის პირველი მუხლის "ზ" პუნქტი

⁴⁶⁵ "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ" კანონის მე-2 მუხლის "გ" პუნქტის "გა" ქვეპუნქტის მიხედვით

⁴⁶⁶ კანონი "საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ", პირველი მუხლის მე-5 პუნქტის "გე" ქვეპუნქტი

⁴⁶⁷ "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ" კანონის მე-2 მუხლის "ა" პუნქტის მიხედვით

შეზღუდულად ბრუნვადი მასალები⁴⁶⁸ - ნივთიერებები, ნედლეული, პროდუქცია, ნარჩენი, რომლებიც თავიანთი აქტიური თვისებების გამო განსაკუთრებით მავნე ზეგავლენას ახდენენ ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე, რის გამოც მათი ბრუნვა შეზღუდულია ან აკრძალულია საქართველოს ტერიტორიაზე. შეზღუდულად ბრუნვადი მასალების სია დგინდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. დღეს მოქმედ სიაში შედის:

- როტერდამის კონვენციის მესამე დანართით განსაზღვრული ნივთიერებები (პესტიციდები და სამრეწველო ქიმიური ნივთიერებები)
- ოზონდამშლელი ნივთიერებები
- ნარკოტიკული ნივთიერებების პრეკურსორები
- ბაზელის კონვენციის პირველი და მეორე დანართით განსაზღვრული ნარჩენები
- ევროგაერთიანების საბჭოს 259/93 რეგულაციით დადგენილი ნარჩენების წითელ, ყვითელ და მწვანე სიებით განსაზღვრული ნარჩენები.

წვადი ნივთიერებები⁴⁶⁹ - სითხეები, აირები, მტვერი, რომლებიც თვითაალებადია, (ან) აალებიან გარეშე წყაროსგან და აგრძელებენ წვას წყაროს მოშორების შემდეგაც.

წინასწარ დასაბუთებული თანხმობა⁴⁷⁰ - პრინციპი, რომლის თანახმად საერთაშორისო ვაჭრობისას არ შეიძლება აკრძალული ან მკაცრად შეზღუდული პესტიციდების შემოტანა სათანადო შეთანხმების გარეშე ან სარეგისტრაციო ორგანოს გადაწყვეტილების გვერდის ავლით, წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის დარღვევით.

წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურა⁴⁷¹ - "ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ" 1998 წლის 10 სექტემბრის როტერდამის კონვენციით დადგენილი პროცედურა, რომლის არსი საშიში ქიმიური ნივთიერებების ექსპორტიორი ქვეყნების მიერ ტვირთის დანიშნულების ქვეყანაში ამ ნივთიერების იმპორტის რეჟიმის წინასწარ გარკვევაში და დაცვაში მდგომარეობს. კონვენცია ითვალისწინებს სამდივნოს საშუალებით კონვენციის წევრი ქვეყნების რეგულარულ ინფორმირებას კონვენციის წევრ-ქვეყნებში კონვენციით რეგულირებადი ნივთიერებების იმპორტის რეჟიმის შესახებ. კონვენციის წევრი ქვეყნები ვალდებული არიან არ დაუშვან კონვენციით რეგულირებადი ნივთიერებების ექსპორტი იმ ქვეყნებში, რომელთაც კონვენციის სამდივნოს ამ ნივთიერებათა იმპორტის აკრძალვის შესახებ აცნობეს. გარდა ამისა, იმ ნივთიერებების ექსპორტის შემთხვევაში, რომლებიც კონვენციის დანართში მითითებული არ არის, მაგრამ მისი გამოყენება ან იმპორტი ამ კონკრეტულ ქვეყანაში აკრძალული ან შეზღუდულია, ქვეყანა ვალდებულია თავად გაარკვიოს მიმღებ ქვეყანაში ნივთიერების იმპორტის რეჟიმი და მიმღები ქვეყნის მიერ იმპორტის აკრძალვის შემთხვევაში საკუთარი ტერიტორიიდან ამ ნივთიერებათა ექსპორტი არ დაუშვას.

⁴⁶⁸ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 სექტემბრის #184 დადგენილებით "შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესის შესახებ დებულებისა და შეზღუდულად ბრუნვადი მასალების სიის დამტკიცების შესახებ" მე-2 მუხლის 1 პუნქტის მიხედვით.

⁴⁶⁹ "საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ" კანონის პირველი მუხლის მე-5 პუნქტის "გდ" ქვეპუნქტის მიხედვით

⁴⁷⁰ კანონი "პესტიციდების და აგროქიმიკატების შესახებ", მუხლი 3, პუნქტი "შ"

⁴⁷¹ "ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ" 1998 წლის 10 სექტემბრის როტერდამის კონვენციის მიხედვით

დანართი 4. გამოყენებული შემოკლებები

FAO - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია

GHS - ქიმიურ ნივთიერებათა კლასიფიკაციის და ეტიკეტირების გლობალური ჰარმონიზებული სისტემა

ILO - შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია

IOMC - ქიმიურ ნივთიერებათა მდგრადი მართვის ორგანიზაციათაშორისი პროგრამა

OECD - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

UNCTAD - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია

UNDP - გაეროს განვითარების პროგრამა

UNEP - გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა

UNIDO - გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია

UNITAR - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სწავლებისა და მეცნიერების ინსტიტუტი

WHO - მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია

აიპ - არასამეწარმეო იურიდიული პირი

გაერო - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

გზშ - გარემოზე ზემოქმედების შეფასება

დდტ - (Dichloro-Diphenyl-Trichloroethane) დიქლორდიფენილტრიქლორეთანი

მოდ - მდგრადი ორგანული დამაბინძურებლები

სს - სააქციო საზოგადოება

სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი

დანართი 5. პროფილის მომზადების პროცესის მონაწილეები

საკოორდინაციო ჯგუფი

ანგარიშის მომზადებას ზედამხედველობდა შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან შემდგარი საკოორდინაციო ჯგუფი:

- საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს ინტეგრირებული მართვის დეპარტამენტი
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი
- საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია
- საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სტატისტიკის დეპარტამენტი
- საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური
- სსიპ, იოველ ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი
- სსიპ, რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტი
- სს, ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინის და ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი
- აიპ, ეკოლოგიური და ბიოლოგიური მონიტორინგის ასოციაცია
- აიპ, კავკასიის არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი
- აიპ, მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია
- აიპ, საქართველოს მემამულეთა კავშირი
- აიპ, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა _ დედამიწის მეგობრები-საქართველო
- აიპ, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება

ცხრილი 47. ქიმიური პროფილის შემუშავების პროცესში გამართული საჯარო განხილვების მონაწილენი

ორგანიზაცია	განყოფილება	წარმომადგენლები	ელ-ფოსტა
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	გარემოს ინტეგრირებული მართვის დეპარტამენტი	ნინო თხილავა	ntkhilava@moe.gov.ge
		მიხეილ თუშიშვილი	geoairdept@caucasus.net
		ალვერდ ჩანჭსელიანი	
		ირაკლი ლეგაშვილი	chem_ira@yahoo.com
		ჯანრი ქარჩავა	
		კახა რუხაია	k.rukhaia@yahoo.com
		დალი სვანი	dali.svani@yahoo.com
		ხათუნა ახალაია	khatunaakhalaia@yahoo.com
		ალექსანდრე მინდორაშვილი	a.mindorashvili@mail.ru
	გარემოს დაცვის ინსპექცია	ნელი კორკოტაძე	n.korkotadze@yahoo.com
ეკონომიკური განვითარების სამინისტრო	გარემოს ეროვნული სააგენტო	მარინე არაბიძე	marabidze@environment.ge
	საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის დეპარტამენტი	დავით კალატოზიშვილი	dkalatozishvili@economy.ge
	სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი	გიორგი კვინიკაძე	gkvinikadze@statistics.gov.ge
	ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია	ირაკლი ბალარჯიშვილი	
ენერგეტიკის სამინისტრო	ენერგეტიკის დეპარტამენტი	დავით შარიქაძე	dato.shariqadze@minenergy.gov.ge
		დიმიტრი ქურდოვანიძე	
		თამაზ მუხურაძე	
	საქართველო ნავთობისა და გაზის კორპორაცია	გიგლა თამაზაშვილი ირაკლი კესეთელიძე	g.tamazashvili@gogc.ge
თავდაცვის სამინისტრო	J-4 დეპარტამენტი	ნათელა არაბული	
		მაია ჯამბურია	
		ნიკოლოზ კარიაული	
	J-3 დეპარტამენტი	თამაზ ჯამათაშვილი	
		ვახტანგ კეკელია	
	სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი	ავთანდილ დვალაშვილი	
იუსტიციის სამინისტრო	სამართალშემოქმედების დეპარტამენტი	ლაშა ინაური	linauri@justice.gov.ge
რეგიონული განვითარებისა და	საავტომობილო ტრანსპორტის	ზაზა ავალიანი	z.avaliani@uta.gov.ge

ინფრასტრუქტურის სამინისტრო	დეპარტამენტი			
	ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია	გიორგი მჟავანაძე	g.mzhavanadze@uta.gov.ge	
საგარეო საქმეთა სამინისტრო	უსაფრთხოების პოლიტიკის და ევროატლანტიკურ ი ინტეგრაციის დეპარტამენტი	ნესტან ბეჟანიშვილი	n.bejanishvili@mfa.gov.ge	
სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური	მარინა ღვინეაძე	ghvinepadze@mail.ru	
		ირინე ცომაია	Zomaia@moa.ge	
		ზურაბ ლიპარტია	zurab_lipartia@fvp.ge	
		თენგიზ კალანდაძე		
ფინანსთა სამინისტრო	შემოსავლების სამსახური	ვახტანგ გელაშვილი	v.gelashvili@mof.ge	
		ზურაბ მარშანია	z.marshania@mof.ge	
შინაგან საქმეთა სამინისტრო	საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტი	ჯოჯიკ ტაბატაძე	jojik-8@mail.ru	
		მალხაზ ლაგურაშვილი		
შრომის, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო	ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი	ნია ბიუაშვილი	ngiuashvili@moh.gov.ge	
		მარინე ბაიდაური	mbaidauri@yahoo.com	
	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	ნანა გაბრიაძე	gabriadenana@yahoo.com	
		ნოდარ კანდელაკი		
სსიპ აგრარული რადიოლოგიისა და ეკოლოგიის ინსტიტუტი		ლუიზა მიქელაძე	radioeko09@yahoo.com	
სსიპ მეზღაღეობის, მევენახეობის და მელვინეობის ინსტიტუტი		ლია შუბლაძე ლუდა ცხვედაძე	saproeqto@rambler.ru	
სსიპ იოველ ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი		მანანა ორჯონიკიძე		
სსიპ იულონ ლომოურის მიწათმოქმედების ინსტიტუტი		ნუნუ ჟვანია ქეთევან ნიაური		
სსიპ ლევან ყანჩაველის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი		მარიამ მაჭავარიანი ესმა ორჯონიკიძე ქეთევან ბეჟანიშვილი	machavariani_maka@yahoo.com	
სს მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის ინსტიტუტი		რუსუდან ჯავახაძე	rusudanieco@yahoo.com	
		ინგა ღვინერია	ingagvineria@yahoo.com	
სსიპ მიხეილ საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის ინსტიტუტი		ჟორდან შავრეშიანი		
სსიპ პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი		ავთანდილ დოლიძე ირმა მიქაძე	avtodolidze@yahoo.com	
სსიპ რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი		თამაზ მარსაგიშვილი თინათინ ლეჟავა	tmars@geo.net.ge	
სსიპ სერგი დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი		თამარ ვარაზი	phisovaraza@yahoo.com	
პროფილაქტიკოს ტოქსიკოლოგთა		გივი კაციტაძე	givikats@yahoo.com	

ასოციაცია		ekotox@myoffice.ge
მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია (APLR)	ირაკლი ჩიბურდანიძე	irakli@aplr.org
საქართველოს სამაცივრო და კრიოგენური ტექნიკის და ჰაერის კონდიციონირების ინჟინერთა ასოციაცია	სულხან სულაძე	gra@post.ge
კავკასიის გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი (CENN)	ნინო შავგულიძე	nino.shavgulidze@cenn.org
საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი (CSRDG)	ლია თოდუა	liatodua@csrdg.ge
	თამარ გობეჯიშვილი	tamar@csrdg.ge
საქართველოს ეკოლოგიური და ბიოლოგიური მონიტორინგის ასოციაცია (GEBMA)	მანანა ჟურული	mjuruli@myoffice.ge
საქართველოს მემამულეთა კავშირი	ირაკლი მერკვილაშვილი	irakli_gtz@yahoo.com
საქართველოს სამედიცინო ელემენტოლოგთა კავშირი	ივანე ხარისჩარიშვილი	bioelement@posta.ge
GEO-ECO TAO	ნინო ზაქარიადე	nzakariadze@geoecotao.ge
მწვანე ალტერნატივა	ქეთი გუჯარაძე	kgujaraidze@greenalt.org
საქართველოს მწვანეთა მოძრაობა	ანტონინა მსხილაძე	antoninamsxiladze@yahoo.co.uk
მცენარეთა დაცვის ასოციაცია	ზურაბ ლოლაძე	zurab@fructina.ge
კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (REC-Caucasus)	ქეთევან სამადაშვილი	keti.samadashvili@rec-caucasus.org
საქართველოს პროფკავშირების გაერთიანება	ვიქტორ დოლიძე	victor_gtuc@yahoo.com
	ჯანსუღ ნადირაძე	

დამატება: საქართველოს შესაძლებლობათა შეფასება ”ქიმიურ ნივთიერებათა საერთაშორისო მართვისადმი სტრატეგიული მიდგომის”(SAICM) განსახორციელებლად

წინამდებარე შეფასება განხორციელდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სწავლებისა და მეცნიერების ინსტიტუტის პროექტის ”საქართველოს ქიმიური პროფილის განახლება, ქიმიური ნივთიერებების საერთაშორისო მართვისადმი სტრატეგიულ მიდგომაში მონაწილეობისათვის საქართველოს შესაძლებლობების შეფასება და მათი გაუმჯობესებისათვის პრიორიტეტების დასახვა” ფარგლებში. პროექტი დაფინანსდა ქიმიური ნივთიერებების მართვის საერთაშორისო კონფერენციის (ICCM) მიერ ”ქიმიური ნივთიერებების საერთაშორისო მართვისადმი სტრატეგიული მიდგომის” (SAICM) ხელშეწყობის მიზნით შექმნილი ”სწრაფი დაწყების პროგრამის” (Quick Start Programme) ფონდიდან. საქართველოში პროგრამის განხორციელება უზრუნველყო არასამთავრობო ორგანიზაციამ: საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრმა. პროექტის ეროვნული კოორდინატორი იყო საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ინტეგრირებული მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, ქ-ნი ნინო თხილავა. შეფასების მომზადებას საქართველოს შემდეგი საჯარო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან შემდგარი საკოორდინაციო ჯგუფი ზედამხედველობდა:

- საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს ინტეგრირებული მართვის დეპარტამენტი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გარემოს დაცვის განყოფილება;
- საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია;
- საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სტატისტიკის დეპარტამენტი;
- საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური;
- სსიპ, იოველ ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი;
- სსიპ, რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტი;
- სს, ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინის და ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი;
- აიპ, ეკოლოგიური და ბიოლოგიური მონიტორინგის ასოციაცია;
- აიპ, კავკასიის არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი;
- აიპ, მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია;
- აიპ, საქართველოს მემამულეთა კავშირი;
- აიპ, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა _ დედამიწის მეგობრები-საქართველო;
- აიპ, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება;

1. შეფასების მეთოდოლოგია

”ქიმიურ ნივთიერებისადმი სტრატეგიული მიდგომის” განსახორციელებლად საქართველოს შესაძლებლობათა შეფასებისთვის გამოყენებული იქნა გაეროს წვრთნებისა და კვლევების ინსტიტუტის (UNITAR) მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია. ზოგადი მეთოდოლოგია განხილული იქნა დაინტერესებულ მხარეთა ეროვნულ შეხვედრაზე 2008 წლის 18-19 ივნისს, რის შემდეგაც მცირედი მოდიფიცირება განიცადა. საბოლოო სახით იგი მდგომარეობდა შემდეგში:

1. ”საქართველოს ქიმიური პროფილის” შემუშავების პროცესში და მის საფუძველზე გამოიკვეთა მიმდინარე ეტაპზე საქართველოში ქიმიურ ნივთიერებათა მართვის მნიშვნელოვანი და გადაუდებელი პრობლემები;
2. დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით დადგინდა ქიმიურ ნივთიერებათა მართვის მნიშვნელოვანი და გადაუდებელი პრობლემებთან დაკავშირებულ შესაძლებლობათა ნაკლოვანებები და ჩამოყალიბდა მათი აღმოფხვრისთვის საჭირო ღონისძიებები; გაირკვა ამ ღონისძიებების განმახორციელებელი და მონაწილე ორგანიზაციები.
3. დაინტერესებულ მხარეთა ეროვნულ შეხვედრაზე მოხდა რეაგირების ზომებს შორის პრიორიტეტების განსაზღვრა.

გარდა ამისა, რიგ შემთხვევებში ჩამოყალიბდა ქიმიურ ნივთიერებათა მართვის მნიშვნელოვანი და გადაუდებელი პრობლემებთან დაკავშირებულ შესაძლებლობათა ნაკლოვანებების გადალახვის კონკრეტული პროექტები, რომელიც შესაძლებლობათა შეფასების დოკუმენტს თანდართული აქვს.

2. ქიმიურ ნივთიერებათა მართვის მნიშვნელოვანი და გადაუდებელი პრობლემები

”საქართველოს ქიმიური პროფილის” შემუშავების პროცესში და მის საფუძველზე ქიმიურ ნივთიერებათა მართვის შემდეგი მნიშვნელოვანი და გადაუდებელი პრობლემები (სფეროები) გამოიკვეთა:

1. ქიმიურ ნივთიერებათა სახელმწიფო მართვის არაეფექტური კოორდინირება;
2. ქიმიურ ნივთიერებათა შესახებ ინფორმაციისა და მონაცემების (მ.შ. ადამიანთა მოწამვლების და გარემოს და საკვების დაბინძურების შესახებ მონაცემების) ნაკლებობა და გართულებული ხელმისაწვდომობა;
3. ქიმიურ ნივთიერებების მარეგულირებელი საერთაშორისო კონვენციების შესრულების ნაკლოვანებანი;
4. ტოქსიკური და სახიფათო ტვირთების არალეგალური იმპორტ-ექსპორტის არასაკმარისად ეფექტური აღკვეთა;
5. არაერთგვარი მიდგომა სახიფათო ქიმიურ ნივთიერებათა კლასიფიკაციისა და საშიშროების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისადმი, GHS სისტემის დანერგვის საჭიროება;
6. პესტიციდების არაეფექტური მართვა და მასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის რისკები;
7. სახიფათო ნარჩენების (მათ შორის დაგროვილი ნარჩენების) არაეფექტური მართვა;
8. არასაკმარისი მზადყოფნა ქიმიური ჰვარიებისადმი;

9. გარემოსდაცვით მოთხოვნათა/პირობების შესრულების არასაკმარისი კონტროლი.

ქვემოთ დეტალურად არის განხილული ქიმიურ ნივთიერებათა მართვის თითოეული მნიშვნელოვანი და გადაუდებელი პრობლემა, მისი გამომწვევი მიზეზები (პრობლემასთან დაკავშირებულ შესაძლებლობათა ნაკლოვანებები) და მათი გადაჭრის გზები და შესაძლებლობები.

2.1 სახელმწიფო მართვა

”საქართველოს ქიმიურ პროფილის” შემუშავების პროცესის მონაწილეთა მიერ არაერთხელ აღინიშნა, რომ საქართველოში ქიმიურ ნივთიერებათა მართვის ერთ-ერთ ძირეულ ნაკლოვანებას ქიმიურ ნივთიერებათა მართვის **ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობა** წარმოადგენს.

საქართველოში ქიმიურ ნივთიერებათა მართვაში რამოდენიმე სახელმწიფო უწყება მონაწილეობს. ესენია:

1. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო და მის სისტემაში შემავალი უწყებები:
 - სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, გარემოს დაცვის ინსპექცია;
 - საჯარო სამართლის იურიდიული პირი, გარემოს ეროვნული სააგენტო;
2. ეკონომიკური განვითარების სამინისტრო და მის სისტემაში შემავალი:
 - საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია.
3. ენერგეტიკის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ნავთობის და გაზის ეროვნული სააგენტო.
4. თავდაცვის სამინისტრო;
5. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია.
6. საგარეო საქმეთა სამინისტრო;
7. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება: სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური;
8. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო კონტროლის დეპარტამენტი;
9. შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი;
10. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და მის სისტემაში შემავალი უწყება:
 - საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

ამ უწყებებს შორის **კოორდინაცია** ქიმიურ ნივთიერებათა მართვის სფეროში ძალზედ სუსტია. ბოლო 10 წლის განმავლობაში ამ სფეროში უწყებათაშორისი კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით ორი ორგანო შეიქმნა:

- ქიმიურ ნივთიერებათა მართვის ინფრასტრუქტურის ეროვნული პროგრამის შემუშავებული სახელმწიფო კომისია (შეიქმნა 1998 წლის 17 მარტს საქართველოს პრეზიდენტის #82 განკარგულებით);
- საშიში ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხო გამოყენების რეგულირების საუწყებო-სამართლის საბჭო (შეიქმნა 2002 წლის 21 ივნისს საქართველოს პრეზიდენტის #307 ბრძანებულებით).

თუმცა ვერც ერთმა ამ ორგანომ ქიმიურ ნივთიერებათა სახელმწიფო მართვის კოორდინირების მხრივ მდგომარეობა ვერ გააუმჯობესა. ამის მიზეზები იყო: მკაფიო სამუშაო გეგმის და მიზნის არარსებობა, ორგანოს ბუნდოვანი სტრუქტურა, გაურკვეველი სამუშაო პროცედურები და პასუხისმგებლობები, დაფინანსების არარსებობა.

საქართველოში ქიმიურ ნივთიერებათა სახელმწიფო მართვის ზოგადი ნაკლოვანებების გამოსასწორებლად შემოთავაზებული ქმედებებია:

1. საქართველოს მიერ "ქიმიური ნივთიერებების საერთაშორისო მართვისადმი სტრატეგიული მიდგომის" (SAICM) განხორციელების გეგმის შემუშავება და ნორმატიული დოკუმენტის სახით დამტკიცება. გეგმაში უნდა გაიწეროს კონკრეტული უწყებების ფუნქციები და პასუხისმგებლობები, წარმატების ინდიკატორები და გეგმის შესრულების შესახებ ანგარიშების პროცედურა.
2. ქიმიურ ნივთიერებათა სახელმწიფო მართვის მაკოორდინირებელი უწყებო-სამართლის ორგანოს შექმნა და მისი ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა. უწყებო-სამართლის ორგანოს ეფექტური ფუნქციონირებისთვის აუცილებელია:
 - ორგანოს გააჩნდეს მართვის/ზედამხედველობის რგოლი, რომელშიც შევა პრემიერ-მინისტრი და თითოეული უწყების მაღალი დონის პასუხისმგებელი პირი;
 - არსებობდეს ორგანოს მუშაობის გეგმა და მისი შესრულების შესახებ მმართველი რგოლისადმი ანგარიშების მკაფიოდ დადგენილი პროცედურა;
 - ორგანოს სამდივნოს ფუნქცია დაეკისროს ერთ-ერთ სამინისტროს (სასურველია ეს იყოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს) და იგი უზრუნველყოფილი იქნეს სათანადო რესურსებით;
 - ორგანოში წარმოდგენილი იყოს სფეროს სპეციალისტები თითოეული უწყებიდან და უზრუნველყოფილი იყოს მათი მონაწილეობა (ექსპერტთა სამუშაო ჯგუფი);
 - უზრუნველყოფილი იქნეს უწყებო-სამართლის ორგანოს მუშაობის გამჭვირვალობა და სამოქალაქო სექტორის ჩართულობა (მაგალითად: სამდივნოს მიერ ინტერნეტის საშუალებით უწყებო-სამართლის ორგანოს შეხვედრებისა და მათი შედეგების შესახებ ინფორმაციის რეგულარული გამოქვეყნება, არასამთავრობო ან ბიზნეს-ორგანიზაციების დაინტერესების შემთხვევაში ორგანოს მუშაობაში და სხდომებში მათი მონაწილეობის წახალისება და სხვა).

2.2 ინფორმაცია და მონაცემები

როგორც "საქართველოს ქიმიურ პროფილშია" აღნიშნული, საქართველოში ქიმიურ ნივთიერებათა მართვის ერთ-ერთ ძირითად ნაკლოვანებას ასეთი მართვისთვის საჭირო საინფორმაციო რესურსების ნაკლებობა წარმოადგენს.

კერძოდ, დღეს საქართველოში საერთოდ არ გროვდება ინფორმაცია:

- საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა წარმოების შესახებ (ნივთიერებათა ტიპები და მოცულობები);
- საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა სამრეწველო და საყოფაცხოვრებო მოხმარება/გამოყენების შესახებ (ნივთიერებათა ტიპები და მოცულობები);
- სახიფათო და სხვა ნარჩენების წარმოქმნის შესახებ (ნარჩენების ტიპები და მოცულობები);
- სახიფათო ნარჩენების განთავსების (მ.შ. დროებითი განთავსების/შენახვის) შესახებ (ადგილმდებარეობა, ნარჩენების ტიპები, მოცულობები, განთავსების/შენახვის პირობები);

შემდეგი ინფორმაცია კი არსებობს, მაგრამ არასათანადო ხარისხისაა:

- საშიშ ქიმიურ ნივთიერებების გამომყენებელ საწარმოთა ჩამონათვალი (რეესტრი) და ამ საწარმოებში გამოყენებული ნივთიერებების სახე და მოცულობები - ეს ინფორმაცია რამოდენიმე სხვადასხვა უწყებას გააჩნია, თუმცა იგი ან არ არის სისტემატიზირებული და ამდენად გამოუყენებადია (ეს ეხება ტექნიკური ზედამხეველობის ინსპექციაში არსებულ საშიშ საწარმოთა რეესტს), ან მოძველებულია და მისი განახლება აღარ ხორციელდება (ეს ეხება საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტში არსებულ ინფორმაციას).
- მონაცემები საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა იზორტ-ექსპორტისა და ტრანზიტის შესახებ – ეს მონაცემები რეგულარულად გროვდება და მუშავდება, მაგრამ ქიმიური ნივთიერებების იდენტიფიკაციისათვის აუცილებელი მონაცემების (ქიმიური ფორმულა და დასახელება, CAS, UN, EC კოდები, სავაჭრო დასახელება, სინონიმების დასახელება და სხვა.), ასევე შესაბამისად მომზადებული და აღჭურვილი საბაჟო პერსონალის არარსებობის გამო მაღალია საქონლის (განსაკუთრებით ქიმიური ნივთიერებების) არასწორი კოდიფიცირების ალბათობა.
- მონაცემები საშიში (მაგნე) ქიმიური ნივთიერებებით სურსათის და სასმელი წყლის დაბინძურების მდგომარეობის შესახებ - მაგვსი გაზომვები ხორციელდება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სახელმწიფო სამსახურის მიერ, მაგრამ ძალზედ იშვიათად, შეზღუდულად და არასისტემატიურად.
- მონაცემები საშიში (მაგნე) ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურებათა ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედების შესახებ - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ გროვდება სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოში დაფიქსირებულ მოწამვლების შესახებ, მაგრამ ტოქსიკოლოგიური ლაბორატორიების არარსებობის გამო ინფორმაცია მოწამვლათა მიზეზები/გამომწვევი აგენტების შესახებ არასაიმედოა. გარემოს, სურსათის და სასმელი წყლის არსებულ დაბინძურებათა ჯანმრთელობისთვის რისკების ანალიზი და კვლევები კი არ ხორციელდება დაბინძურების შესახებ ინფორმაციის ხელმიუწვდომლობის გამო.
- მონაცემები საშიში (მაგნე) ქიმიური ნივთიერებებით გარემოს დაბინძურების მდგომარეობის შესახებ - გარემოს დაცვის სააგენტოს მიერ ასეთი ინფორმაციის შეგროვება თანდათანობით აღდგა, მაგრამ გაზომვათა რაოდენობა, სიხშირე და ხარისხი, ასევე მოგროვილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა დაბალია.

გარდა ამისა, გადაწყვეტილების მიმღებთათვის ხელმისაწვდომი არ არის ქიმიურ ნივთიერებათა ერთიანი რეესტრი, სადაც ერთად შეკრებილი და ხელმისაწვდომი იქნებოდა ინფორმაცია ყველა ქიმიური ნივთიერების თვისებების, უსაფრთხო მოპყრობის წესების,

განეიტრალების საშუალებების და ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი ადამიანების სასწრაფო სამედიცინო დახმარების შესახებ.

ქიმიურ ნივთიერებების მართვისთვის საჭირო და საკმარისი ინფორმაციით საქართველოს გადაწყვეტილების მიმღებთა უზრუნველსაყოფად აუცილებელია:

1. საქართველოს გადაწყვეტილების მიმღებთათვის ხელმისაწვდომი გახდეს საერთაშორისო მონაცემთა ბაზები, რომელშიც ყველა ქიმიური ნივთიერების მახასიათებლები, უსაფრთხო მოპყრობის წესები და განეიტრალების საშუალებები არის აღწერილი. სასურველია საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ქართულად ითარგმნოს (ინფორმაცია იმ ნივთიერებების შესახებ, რომლებიც საქართველოში ფართოდაა ხელმისაწვდომი).
2. შეიქმნას ქვეყანაში არსებულ საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა რაოდენობისა და ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციის მოგროვების სისტემა:
 - შეიქმნას იმპორტირებული საშიში ქიმიური ნივთიერებების "თრეჟინგის" (მიდევნების) უზრუნველყოფი საინფორმაციო სისტემა, რომლის საშუალებით შესაძლებელი გახდება გაირკვეს ქვეყანაში შემოსული საშიში ქიმიური ნივთიერებების ბედი (გადამზიდავები, დილერები, საბოლოო მომხმარებლები);
 - დაწესდეს საშიში ქიმიური ნივთიერებების წარმოების, შეძენა-გასხვისების, შენახვის, მოხმარების და მათი ნარჩენების/ნაშთების გადამუშავება/განთავსების თაობაზე მეწარმეთა სავალდებულო ანგარიშგების ვალდებულება. მოგროვილი ინფორმაცია გადაეცეს ქიმიურ ნივთიერებათა "თრეჟინგის" ერთიან სისტემაში.
 - მოწესრიგდეს და ყველა სათანადო საჯარო უწყებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა მწარმოებელი, გადამამუშავებელი ან მომხმარებელი საწარმოების რეესტრი (საშიში ნივთიერების სახის, მოცულობის და წარმოების ან მოხმარების სიჩქარის მითითებით); გაერთიანდეს იგი ერთიან მონაცემთა ბაზაში ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებულ საქმიანობათა/საწარმოთა საინფორმაციო ბაზასთან.
 - განხორციელდეს უცხოეთის (სასურველია პრიბალტიკის ქვეყნები) გამოცდილების გაზიარება ბრუნვაში/გამოყენებაში არსებულ საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა აღრიცხვის სისტემის ორგანიზების და მოთხოვნათა არსებობის საკითხებში;
3. შემუშავდეს და დაინერგოს დამბინძურებელთა გაშვებისა და გადატანის რეესტრი (PRTR).
4. გაუმჯობესდეს ქიმიური ნივთიერებებით გარემოს ფაქტორების დაბინძურების მონიტორინგი და მონაცემთა ხელმისაწვდომობა. ამისთვის საჭიროა:
 - გარემოს ეროვნული სააგენტოს პერსონალის ინტენსიური თრენინგი თანამედროვე გამოხმადი აპარატურის ათვისებისთვის. სასურველია რამოდენიმე თრენინგის მომზადება საზღვარგარეთ, რომლებიც შემდგომ დანარჩენი პერსონალის წვრთნას ადგილზე განახორციელებენ;
 - გარემოს ეროვნული სააგენტოს და მისი რეგიონული განყოფილებების დამატებითი აღჭურვა თანამედროვე აპარატურით და მისი საკომპლექტაციო ნაწილებით, კერძოდ: ჰაერში და წყალში ემისიების გამოხმადი მობილური აპარატურით; ჰაერის გამოხმადი ავტომატური სადგურებით (თბილისისთვის სულ ცოტა 5 სადგური, ქუთაისში, ბათუმში, ზესტაფონში, რუსთავსა და კასპში – თითო მაინც); მომარაგება სახარჯი მასალებით (რეაქტივები, სტანდარტები და სხვა).

- გარემოს დაბინძურების გაზომვათა შედეგების საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობისთვის ინფორმაციის განთავსება გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე, საზოგადოებისთვის და გადაწყვეტილების მიმღებთათვის გასაგებ, იოლ და ადვილად მოსაძიებელი ფორმით.
5. გაუმჯობესდეს ქიმიური ნივთიერებებით სურსათისა და სასმელი წყლის დაბინძურების მონიტორინგი. ამისთვის:
- შემუშავდეს და განხორციელდეს სახელმწიფო მონიტორინგის ეფექტური სქემა;
 - დახმარება გაეწიოს მონიტორინგის განმახორციელებელ არასამთავრობო ორგანიზაციებს (მაგ: მომხმარებელთა ფედერაცია, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაცია)
6. გაუმჯობესდეს ადამიანთა მოწამვლების აღრიცხვა და გამოკვლევა. ამისთვის საჭიროა:
- შეიქმნას და აღიჭურვოს ტოქსიკოლოგიური კვლევების ლაბორატორია (სასურველია 2 _ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში);
 - გაძლიერდეს ტოქსიკოლოგიის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები (მაგ: ტოქსიკოლოგიის ეროვნული საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი, ტოქსიკოლოგთა ასოციაცია; შრომის, მედიცინისა და ეკოლოგიის ინსტიტუტი)
7. გაუმჯობესდეს გარემოს, სურსათისა და სასმელი წყლის დაბინძურების ჯანმრთელობაზე ზეგავლენის რისკების შესწავლა. ამისთვის:
- ჩატარდეს თრენინგები რისკ-ფაქტორების განსაზღვრის თანამედროვე მდგომარეობაში დაავადებათა ეროვნული ცენტრის თანამშრომლებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის.

2.3 კონვენციების განხორციელება

როგორც საქართველოს ქიმიურ პროფილშია აღნიშნული, დღეის მდგომარეობით, საქართველოს მიერ ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული კონვენციების განხორციელების საკითხებში მთელი რიგი ხარვეზები არსებობს. კემოდ ხარვეზებია:

- საქართველოს მიერ ბაზელის კონვენციის მოთხოვნების შესრულებაში:
 - o არ არსებობს ეფექტური ადმინისტრაციული პროცედურა საქართველოსა და ბაზელის კონვენციის არა-მხარე ქვეყნებს შორის ნარჩენების იმპორტ-ექსპორტის აღსაკვეთად (ბაზელის კონვენციის მუხლი 4, პუნქტი 5);
 - o არ არსებობს ეფექტური პროცედურა ბაზელის კონვენციით გათვალისწინებული წინასწარი შეტყობინების გარეშე ნარჩენების შემცველი ტვირთის ექსპორტის განხორციელების აღსაკვეთად (ბაზელის კონვენციის მუხლი 6, პუნქტი 3);
 - o არ არსებობს ადმინისტრაციული პროცედურა საქართველოს ფარგლებში ნარჩენების გადამზიდველთა სათანადო ნებართვის ან უფლებამოსილების არსებობის მოთხოვნისათვის (ბაზელის კონვენციის მუხლი 4, პუნქტი 7).
- საქართველოს მიერ როტერდამის კონვენციის მოთხოვნების შესრულებაში:

- o არ არის სამდივნოსადმი წარდგენილი ინფორმაცია იმის შესახებ, აკრძალულია თუ არა საქართველოში როტერდამის კონვენციის მე-3 დანართში შესული ქიმიური ნივთიერებების იმპორტი;
- o არ არსებობს ეფექტური ადმინისტრაციული პროცედურა იმის უზრუნველსაყოფად, რომ დაშვებული არ იყოს როტერდამის კონვენციის მე-3 დანართში შესული ქიმიური ნივთიერებების ექსპორტი იმ ქვეყნებში, რომლებმაც კონვენციის სამდივნოს აცნობეს ამ ნივთიერებათა იმპორტის აკრძალვის შესახებ;
- o არ არსებობს ეფექტური და საიმედო ადმინისტრაციული პროცედურა იმის უზრუნველსაყოფად, რომ იმპორტიორი ქვეყნის წინასწარი ინფორმირების გარეშე დაშვებული არ იყოს საქართველოდან ისეთი ქიმიური ნივთიერებების ექსპორტი, რომლებიც საქართველოში აკრძალული ან მკაცრად შეზღუდულია, როტერდამის კონვენციის მე-3 დანართში კი შესული არ არის.
- o კონვენციის სამდივნოში მითითებული ოფიციალური სტრუქტურა, რომელიც პასუხისმგებელია კონვენციის ფარგლებში საქართველოში გამოგზავნილ შეტყობინებებზე პასუხს გაცემაზე, ლიკვიდირებულია. ახალი საკონტაქტო პირის დანიშვნა კი ჭიანურდება.
- საქართველოს მიერ სტოკჰოლმის კონვენციის მოთხოვნების შესრულებაში:
 - o საქართველოს ჯერ არ წარუდგენია კონვენციის სამდივნოში კონვენციის განხორციელების ეროვნული გეგმა;
 - o საქართველოში დღესდღეობით არ მოქმედებს ეფექტური ადმინისტრაციული მექანიზმი კონვენციით რეგულირებული ნივთიერებების გამოყენების აკრძალვის/შეზღუდვის უზრუნველსაყოფად;
- საქართველოს მიერ პარიზის კონვენციის მოთხოვნების შესრულებაში:
 - o არ არის მიღებული კონვენციის ვალდებულებათა შესრულებისთვის საჭირო კანონმდებლობა.

ადმინისტრაციულ პროცედურების არაეფექტურობასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები დიდწილად განპირობებულია იმით, რომ "შეზღუდულად ბრუნვადი მასალებს წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 სექტემბრის #184 დადგენილებით დამტკიცებულმა დებულებამ, რომელიც სხვადასხვა კონვენციათა განსხვავებული მოთხოვნებისა და პროცედურების ერთ, გამარტივებულ პროცედურაში მოქცევის მცდელობას წარმოადგენდა, ვერ იმუშავა და ამოქმედებიდან 1,5 თვეში მისი მოქმედება შეჩერებული იქნა, რამაც ძალზედ გაართულა საბაჟოებში კონვენციების მოთხოვნების ეფექტურად შესრულება.

ამ მდგომარეობათა გამოსასწორებლად **აუცილებელია:**

- "შეზღუდულად ბრუნვადი მასალებს წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" დებულების გადამუშავება იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს სხვადასხვა კონვენციათა განსხვავებული მოთხოვნების შესრულების და პროცედურების დაცვის უზრუნველყოფა (სასურველია აქტის დაყოფა რამოდენიმე დებულებად).
- სტოკჰოლმის კონვენციის შესრულების ეროვნულ მოქმედებათა გეგმის დამტკიცება და სამდივნოში წარდგენა.

- როტერდამის კონვენციის ოფიციალურ საკონტაქტო პირად გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ოფიციალურად დანიშვნა და ამის შესახებ კონვენციის სამდივნოს სათანადოდ ინფორმირება. სასურველია აგრეთვე კონვენციის ერთ-ერთ საკონტაქტო პირად სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოფიციალურად დასახელება.
- პარიზის კონვენციის შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის შემუშავება.

2.4 ქიმიურ ნივთიერებათა საერთაშორისო გადაზიდვები

საქართველოს ქიმიურ პროფილში აღწერილია მთელი რიგი პრობლემები, რომელიც საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა იმპორტ-ექსპორტისა და ტრანზიტის კონტროლისა და აღრიცხვის ნაკლოვანებებთან არის დაკავშირებული. ამის მიზეზია საბაჟოზე ქიმიკატების იდენტიფიკაციის პრობლემები, რაც თავის მხრივ შემდეგი მიზეზებიტ არის გამოწვეული:

- სასაქონლო ნომენკლატურის სისტემა ჰარმონიზებული სისტემის 2002 წლის ვარიანტს შეესაბამება და ქიმიურ ნივთიერებათა მარეგულირებელი უმეტესი კონვენციების მოთხოვნებს არ ასახავს;
- მებაჟეების არასაკმარისი თრენინგები ქიმიურ ნივთიერებათა იდენტიფიკაციის სფეროში;
- მებაჟისთვის მოსახერხებელი საინფორმაციო მასალებისა და პროგრამული უზრუნველყოფის არარსებობა, რომელიც გააიოლებდა რეგულირებადი ქიმიური ნივთიერებების იდენტიფიცირებას მისი სხვადასხვა მახასიათებლის საშუალებით (ქიმიური ფორმულა და დასახელება, CAS, UN, EC კოდები, სავაჭრო დასახელება, ფორმულაციის დასახელება და სხვა.).
- საზღვრებზე არ არსებობს ქიმიური ნივთიერებების უსაფრთხო ინსპექტირებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა და იდენტიფიკაციის ტექნიკური საშუალებები.

საქართველოს საბაჟოებზე ქიმიურ ნივთიერებათა იდენტიფიცირების გასაუმჯობესებლად აუცილებელია:

- დაინერგოს ჰარმონიზებული სასაქონლო ნომენკლატურის 2007 წლის ვერსია;
- განხორციელდეს მებაჟეთა კვალიფიკაციის ამაღლება ქიმიური ნივთიერებების იდენტიფიკაციისა და აღრიცხვის საკითხებში,
- მებაჟისთვის მოსახერხებელი საინფორმაციო მასალებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება, რომელიც რეგულირებადი ქიმიური ნივთიერებების იდენტიფიცირებას მისი სხვადასხვა მახასიათებლის საშუალებით გახდის შესაძლებელს (ქიმიური ფორმულა და დასახელება, CAS, UN, EC კოდები, სავაჭრო დასახელება, ფორმულაციის დასახელება და სხვა.).
- მოეწყოს საზღვრებზე ქიმიური ნივთიერებების ინსპექტირების პუნქტები, სადაც შესაძლებელი იქნება ქიმიურად საშიში ტვირთების განცალკევება, უსაფრთხო ინსპექტირება, საშიში ნივთიერებების ლოკალიზება და დროებითი იზოლაცია იქვე განთავსებულ, შესაბამისად დაცულ დროებით საცავში. ინფრასტრუქტურა უნდა მოიცავდეს სადეკონტამინაციო და სანიტარული დამუშავებისათვის საჭირო კვანძებსაც.
- საბაჟო ორგანოების აღჭურვა ქიმიკატების იდენტიფიკაციისათვის საჭირო ტექნიკური და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.

2.5 კლასიფიკაცია და ნიშანდობა

როგორც საქართველოს ქიმიურ პროფილში დეტალურადაა გარჩეული, საქართველოში დღეს საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა კლასიფიკაციის რამოდენიმე განსხვავებული სისტემა მოქმედებს. განსხვავებულია აგრეთვე საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა ნიშანდობის მოთხოვნები. უფრო მეტიც, ბუნდოვანი და ორაზროვანია თვით სამართლებრივი ტერმინი "ქიმიური ნივთიერება". ეს მდგომარეობა შეუძლებელს ხდის ქიმიურ ნივთიერებათა აღრიცხვასა და რეგისტრაციას და ძალზედ ართულებს საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა ნიშანდობის და ზოგადად ქიმიური უსაფრთხოების მოთხოვნათა აღსრულებას. ამდენად ქვეყანაში საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა ერთიანი, თანამედროვე კლასიფიკაციისა და ნიშანდობის მოთხოვნების დანერგვა აუცილებელია.

განსახორციელებელი საკმიანოებია:

1. ქართულ საკანონმდებლო სივრცეში ტერმინი "ქიმიური ნივთიერების" ისეთი განმარტების შემოღება, რომელიც შესაბამისობაში იქნება აღიარებულ საერთაშორისო სისტემებთან, მაგალითად ევროკავშირის 1907/2006 რეგულაციასთან "ქიმიურ ნივთიერებათა რეგისტრაციის, შეფასების, დაშვებისა და შეზღუდვის შესახებ" (REACH).
2. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა "ქიმიურ ნივთიერებათა კლასიფიკაციის და ეტიკეტირების გლობალური ჰარმონიზებული სისტემა" (GHS) სისტემასთან; ამ მიზნით აუცილებელია გადამუშავდეს კანონი "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ", "საშიში საწარმოო ობიექტის შესახებ" და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები.
3. საქართველოს ყველა შესაბამისი საჯარო უწყების მოხელეთა გაცნობიერება REACH და GHS სისტემებისა და მათი განხორციელების თავისებურებებში.

2.6 პესტიციდები

პესტიციდები საშიში ქიმიური ნივთიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი კლასია. "საქართველოს ქიმიურ პროფილში" პესტიციდებისადმი განსაკუთრებული ყურადღება განპირობებულია იმით, რომ ეს ნივთიერებები საქართველოში ფაქტობრივად ყველა მსურველისთვის იოლად ხელმისაწვდომია და, ასე ვთქვათ, "ფართო მოხმარების მომწამვლელ ნივთიერებებს" წარმოადგენენ.

პრიორიტეტული პრობლემები პესტიციდების მართვის სფეროში შემდეგია:

- კანონმდებლობის მოუწესრიგებლობის გამო ვერ ხორციელდება ბრუნვაში არსებული პესტიციდების ხარისხის და სწორი ნიშანდობის კონტროლი, რის შედეგადაც პესტიციდების მომხმარებლები არ არიან დაცულნი უხარისხო ან ფალსიფიცირებული პესტიციდების შემენისგან.
- პესტიციდების მოხმარების უფლება და შესაძლებლობა საქართველოში ყველა ფერმერს აქვს, პესტიციდების გამოყენების ნორმებსა და უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებით კი მათი ცოდნა და ინფორმირებულობა ძალზედ დაბალია. შედეგად ხშირია პესტიციდების არანორმირებული ან არადანიშნულებით გამოყენება, სასურსათო პროდუქტების და ნიადაგის დაბინძურება. გარდა ამისა, ხშირია შემთხვევები, როდესაც პესტიციდების მომხმარებლები უცოდინრობის ან უსახსრობის გამო პესტიციდების მოხმარებისას არ იყენებენ პირადი დაცვის

საშუალებებს, რის შედეგადაც პესტიციდების მომხმარებელ გლეხთა შორის ხშირია მოწამვლები.

პესტიციდების მართვის პრიორიტეტულ პრობლემათა გადასაჭრელად აუცილებელია:

- კანონმდებლობის დახვეწა იმგვარად, რომ ეფექტურად აღიკვეთოს:
 - a. არარეგისტრირებული პესტიციდების შესაძლო იმპორტი და ბრუნვა
 - b. უხარისხო და ფალსიფიცირებული პესტიციდების გაყიდვა
 - c. პესტიციდების გაყიდვა სათანადო წარწერების და ინსტრუქციების გარეშე
- ფართო საინფორმაციო/საგანმანათლებლო კამპანიების ორგანიზება პესტიციდების მომხმარებელი ფერმერებისათვის საქართველოში ფართოდ გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ძირითად მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლის მეთოდებზე, გამოსადეგ პესტიციდებზე და სხვა ტექნოლოგიებზე, პესტიციდების გამოყენების ნორმებზე და უსაფრთხოების წესებზე:
 - d. ბროშურების, ლიფლეტების, პოსტერების და სახელმძღვანელოების გამოცემა და გავრცელება;
 - e. თრენინგების პროგრამის შემუშავება და რეგულარული თრენინგების ჩატარება.
- ფერმერთა უზრუნველყოფა პერსონალური დაცვის საშუალებებით, უფასოდ ან დაბალ ფასებში.

2.7 სახიფათო ნარჩენების (მ.შ დაგროვილი ნარჩენების) მართვა

საქართველოში სახიფათო ნარჩენების მართვა განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს, ვინაიდან ქვეყანას მათი სათანადოდ გაუვნებელყოფის ან განთავსების სიმძლავრეები არ გააჩნია. სახიფათო ნარჩენების არსებული ერთადერთი პოლიგონი სავალალო მდგომარეობაში იმყოფება და გარემოს დაბინძურების სერიოზულ წყაროს წარმოადგენს. ამავე დროს მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, სამედიცინო და ვეტერინარულ დაწესებულებებში მუდმივად წარმოიქმნება სახიფათო ნარჩენები, რომელთა გაუვნებელყოფის ან/და სათანადოდ განთავსების საშუალებები უაღრესად შეზღუდულია ან არ არსებობს: ქვეყანაში სამედიცინო ნარჩენების სულ რამოდენიმე მცირე ინსინერატორი მუშაობს, მათგან ერთი აჭარას ემსახურება, სხვები კი – კერძო კლინიკებს. სამრეწველო და ვეტერინარული ნარჩენები, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო სახიფათო ნარჩენები (მაგალითად პესტიციდების ტარა), ასევე სამედიცინო ნარჩენების დიდი წილი, მინიმალური დამუშავების შემდეგ, ან ყოველგვარი დამუშავების გარეშე ჩვეულებრივ, მუნიციპალური ნარჩენების პოლიგონებზე ხვდება.

გარდა ამისა, დიდი ოდენობით სახიფათო სამრეწველო ნარჩენები არის აკუმულირებული ყოფილი საბჭოთა საბჭოთა კავშირის საწარმოების ტერიტორიებზე. მათ შორის ყველაზე საშიშია 100 ატასი ტონა 4-9% დარიშხანის შემცველი დარიშხანის შემცველი ნარჩენი სოფლებს ცანისა და ურევის ტერიტორიაზე. ამ ნარჩენების გაუვნებელყოფის ტექნოლოგიები ან უსაფრთხო დროებითი განთავსებისთვის საჭირო სიმძლავრეები საქართველოს დღესდღეობით არ გააჩნია.

აღწერილი მდგომარეობა სასწრაფო რეაგირებას საჭიროებს. კერძოდ, აუცილებელია:

- სახელმწიფოს მიერ სახიფათო ნარჩენების განთავსება-გაუვნებელყოფის საკმარისი სიმძლავრის თანამედროვე ობიექტის მშენებლობა და ექსპლუატაციაში შეყვანა;

ობიექტს უნდა გააჩნდეს აგრეთვე სამედიცინო და ვეტერინარული ნარჩენების გაუვნებელყოფისა და უსაფრთხო ინსინერაციის დანადგარები.

- სახიფათო ნარჩენების აღრიცხვისა და კონტროლის სისტემის აწყობა იმის უზრუნველსაყოფად, რომ სახიფათო ნარჩენები (მ.შ. სამედიცინო, ვეტერინარული, პესტიციდების და სხვა) მუნიციპალურ ან არალეგალურ ნაგავსაყრელებზე არ ხვდებოდეს.

2.8 ქიმიური ავარიები

საქართველოში ქიმიური ავარიების პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების საკითხები 3 უწყებას ეხება:

1. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს ქიმიური უსაფრთხოების ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია;
2. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიული პირს – ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციას, რომლის ფუნქციაა საშიშ საწარმოო ობიექტების აღრიცხვა და მათში უსაფრთხოების წესების დაცვის უზრუნველყოფა (ექსპერტიზა, ნებართვის გაცემა, ზედამხედველობა, უსაფრთხოების დეკლარაციის მოთხოვნა);
3. შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის, რომლის ფუნქციაა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალებისა და საშუალებების მზადყოფნაში ქონა და საგანგებო სიტუაციაზე ოპერატიული რეაგირება.

დღეის მდგომარეობით სამივე უწყებას ახასიათებს შესაძლებლობათა ნაკლოვანებები, რომლის შედეგად ქიმიურ ავარიათა პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების მდგომარეობა საქართველოში საკმაოდ დაბალია. კერძოდ, ეს ნაკლოვანებებია:

1. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ქიმიური ნივთიერებებისა და ნარჩენების მართვის სამმართველოს არ გააჩნია საკმარისი რაოდენობის და საჭირო ცოდნისა და უნარების მქონე პერსონალი ქიმიური უსაფრთხოების დაგეგმვისა და კოორდინირებისთვის;
2. ძალზედ შეზღუდულია ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის შესაძლებლობები (კომპიუტერული აღჭურვილობა, ავტომობილები);
3. შეზღუდულია საგანგებო სიტუაციათა დეპარტამენტის მაშველთა რაზმების ქიმიურ ავარიებზე რეაგირებისთვის საჭირო აღჭურვილობა და არასაკმარისი მაშველთა მომზადების დონე (განსაკუთრებით რეგიონებში).

სიტუაციის გაუმჯობესებისთვის აუცილებელია:

1. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ქიმიური ნივთიერებებისა და ნარჩენების მართვის სამმართველოს გაძლიერება შესაბამისი ცოდნის, გამოცდილების და უნარების მქონე პერსონალით ქიმიური უსაფრთხოების გეგმების შემუშავებისა და განხორციელების კოორდინირებისთვის. არსებული პერსონალის წვრთნები ქიმიური ავარიების პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების პრინციპებში;
2. ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის შესაძლებლობების გაძლიერება კომპიუტერული აღჭურვილობითა და ავტომობილებით;

3. საგანგებო სიტუაციათა დეპარტამენტის მაშველთა რაზმების (განსაკუთრებით რეგიონებში) ქიმიურ ავარიებზე რეაგირებისთვის საჭიროებათა დადგენა, მათი ეკიპირება პერსონალური დამცავი საშუალებებით, დეტექციის და იდენტიფიკაციის მოწყობილობებით და სხვა საჭირო ამუნიციით, ქიმიურ ავარიებზე რეაგირების წვრთნების ჩატარება.

2.9 გარემოსდაცვითი ინსპექტირება და კონტროლი

გარემოსდაცვით მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო კონტროლის განხორციელება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, გარემოს დაცვის ინსპექციის კომპეტენციას განეკუთვნება. რიგი პრობლემების გამო ინსპექციის მიერ აღნიშნული ფუნქცია შეზღუდულად ხორციელდება. კერძოდ:

- ინსპექციას არ გააჩნია საწარმოთა გეგმური შემოწმებების დამტკიცებული გრაფიკი. შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების მქონე საწარმოთა და საქმიანობათა რეგულარული, გეგმური შემოწმებები ინსპექციის მიერ არ ხორციელდება. საწარმოთა შემოწმება ხდება მხოლოდ შემოსული საჩივრების, ან საწარმოს მიერ წარმოდგენილი არასრული ანგარიშის საფუძველზე. გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მქონე საწარმოების შემოწმება, საჩივრის შემთხვევაში, ხორციელდება მინისტრის ბრძანების საფუძველზე, ხოლო იმ საწარმოების შემოწმება, რომელთაც გარემოზე ზემოქმედების ნებართვა არ გააჩნიათ – მოსამართლის ბრძანების საფუძველზე.
- არ არსებობს სისტემატიური მიდგომა ინსპექციის მიერ გარემოზე ზემოქმედების უნარის მქონე უნებართვო საქმიანობის, ან გარემოსდაცვითი რეგლამენტების დარღვევით განხორციელებული საქმიანობის აღმოსაჩენად. ასეთი საქმიანობების აღმოჩენა მხოლოდ მოსახლეობისგან შესაბამისი საჩივრის შემოსვლის შემთხვევაში ხდება.
- ინსპექციას არ გააჩნია მოწყობილობა ინსპექტირების დროს საჭირო გაზომვების განსახორციელებლად.
- არასაკმარისია ინსპექტორთა კვალიფიკაცია გარემოში ემისიათა გამომწვევი პროცესების სათანადო შემოწმების და ემისიათა პრევენციის მიზნით დამბინძურებლებთან ახსნა-განმარტებითი მუშაობისთვის.

აღწერილ პრობლემათა გადასაღებად შემდეგი ღონისძიებების განხორციელება არის საჭირო:

- გარემოზე ზემოქმედების უნარის მქონე საწარმოთა და საქმიანობათა გეგმური ინსპექტირების განრიგის შემუშავება და დამტკიცება;
- სისტემატიური მიდგომის შემუშავება უნებართვო ან გარემოსდაცვითი რეგლამენტების დარღვევით განხორციელებულ საქმიანობათა აღმოსაჩენად;
- ინსპექციის აღჭურვა ემისიების გამზომი პორტატიული აპარატურით;
- გარემოსდაცვით ინსპექტორთა პერმანენტული ტრენინგები გარემოს დამბინძურებელ ტექნოლოგიებსა და გარემოს დაბინძურების პრევენციის საკითხებში. სასურველია შეიქმნას სპეციალური სასწავლო ცენტრი ან ბაზა, ამ მიზნით.

ცხრილი 48. საქართველოში ქიმიურ ნივთიერებათა მართვის მნიშვნელოვან და გადაუდებელ პრობლემებთან დაკავშირებული შესაძლებლობათა ნაკლოვანებანი და მათი გადაჭრის გზების შემაჯამებელი ცხრილი:

	პრობლემური სფერო	გამოვლენილი ნაკლოვანება	განსახორციელებელი ქმედება	მოქმედი პირები	პრიორიტეტულობა ⁴⁷²	
					ქულა ⁴⁷³	რანჟირება ⁴⁷⁴
1	ქიმიურ ნივთიერებათა მართვა ეროვნულ დონეზე	ქიმიურ ნივთიერებათა მართვაში მონაწილე სახელმწიფო ორგანოთა კოორდინაციის ნაკლებობა	მაკოორდინირებელი ორგანოს შექმნა და ეფექტური ფუნქციონირება (ორგანოს ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი იყოს გარემოს დაცვის სამინისტრო, ორგანოსთან შეიქმნას სპეციალისტების უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი)	მთავრობა	9	საშუალო
		ქიმიურ ნივთიერებათა მართვის სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობა	ჩამოყალიბდეს ქიმიურ ნივთიერებათა მართვის სახელმწიფო პოლიტიკა (ან SAICM განხორციელების პოლიტიკა/სტრატეგია)	მთავრობა	8.5	საშუალო
2	ინფორმაცია და მონაცემები, მათი მოგროვება და ხელმისაწვდომობა	არ არის ხელმისაწვდომი ქიმიურ ნივთიერებების მონაცემთა საერთაშორისო ბაზები	ქიმიურ ნივთიერებების მონაცემთა საერთაშორისო ბაზების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	8	საშუალო
		არ არსებობს საიმედო და ყოვლისმომცველი მონაცემები ქვეყანაში ბრუნვაში არსებული სახიფათო ქიმიური	სისტემის ჩამოყალიბება ბრუნვაში არსებული ქიმიური ნივთიერებებისა და ნარჩენების შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად: • იმპორტირებული ნივთიერებების		16.5	მაღალი

⁴⁷² 2009 წლის 2 ივლისს ჩატარებულ ეროვნულ სემინარზე განხორციელებული პრიორიტეზაციის მიხედვით

⁴⁷³ ქულების მინიჭების მეთოდოლოგია: სემინარის მონაწილეებს ჰქონდათ თითოეული ღონისძიებისთვის ხმის მიცემის საშუალება. სულ სემინარში მონაწილეობდა 38 ადამიანი, თითოეულს ჰქონდა 15 ხმა, რომელიც შეედლო თავის სურვილისამებრ გადაენაწილებინა საქმიანობებზე (დაიშვებოდა ერთ საქმიანობაზე 1 მონაწილის მიერ 1-ზე მეტი ხმის მიცემა და 0.5 ხმის მიცემა). სულ გამოყენებული იქნა 220 ხმა, რიგმა მონაწილეებმა ხმა მისცა არა ცალკეულ ღონისძიებას, არამედ მთელ მიმართულებას/საკითხს. ასეთი ხმები დაემატა საკითხის შემცველ თითოეულ საქმიანობის ქულას.

⁴⁷⁴ პრიორიტეზაციის შედეგად საქმიანობის მაქსიმალური ქულა: 17.5, მინიმალური ქულა: 3. დაბალ პრიორიტეტად ჩაითვალა საქმიანობები, რომლებმაც მიიღო 3-დან 7.5 ქულამდე; საშუალო პრიორიტეტად – 7.5-დან 12.5 ქულამდე; მაღალ პრიორიტეტად 12.5 ქულა და ზემოთ.

	ნივთიერებებისა და ნარჩენების შესახებ	”თრეკინგი” - სავალდებულო ანგარიშგება საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა და ნარჩენების წარმოების, მოხმარების, შენახვის, გაუვნებელყოფის, გადამუშავების, გასხვისების და შეძენის შესახებ - უცხოური გამოცდილების შესწავლა აღრიცხვის სისტემის აღსრულების შესახებ - PRTR დანერგვა			
	არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია გარემოს ფაქტორების დაბინძურების მდგომარეობის შესახებ	გაუმჯობესდეს გარემოს მონიტორინგი: - გარემოს ეროვნული სააგენტოს პერსონალის წვრთნები - დამატებითი აპარატურა და საკომპლექტაციო ნაწილები - ინფორმაციის განთავსება ვებ-გვერდზე	გარემოს ეროვნული სააგენტო	11	საშუალო
	მწირია ინფორმაცია სასურსათო პროდუქტების და სასმელი წყლის დაბინძურების შესახებ	შემუშავდეს ეფექტური მონიტორინგის სქემა და რეგულარულად განხორციელდეს მონიტორინგი დამოუკიდებელი მონიტორინგის განმახორციელებელ არასამთავრობო ორგანიზაციათა ხელშეწყობა	სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახური	14	მაღალი
	არ არსებობს სანდო ინფორმაცია ქიმიურ ნივთიერებებით მოწამვლებისა და ჯანმრთელობის რისკების შესახებ	მოეწყოს და აღიჭურვოს 1-2 ტოქსიკოლოგიური ლაბორატორია ტოქსიკოლოგიის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციათა ხელშეწყობა რისკის შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიების სწავლება	დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	10.5	საშუალო

	პრობლემური სფერო	გამოვლენილი ნაკლოვანება	განსახორციელებელი ღონისძიება	მოქმედი პირები	პრიორიტეტულობა	
					ქულა	რანჟირება
3	საერთაშორისო კონვენციების შესრულება	კანონმდებლობის შეუსაბამობა კონვენციების მოთხოვნებთან	ქიმიურ ნივთიერებათა მარეგულირებელი კონვენციების განსახორციელებელი შესაბამისი ინსტრუქციების შემუშავება	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	11	საშუალო
		კონვენციების საკონტაქტო ორგანოების დაუდგენლობა	როტერდამის კონვენციის ძირითად საკონტაქტო პირად დაინიშნოს გარემოს დაცვის სამინისტრო, მეორად საკონტაქტო პირად – სოფლის მეურნეობის სამინისტრო	მთავრობა	7	დაბალი
4	ტოქსიკური და სახიფათო ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვები	HS ძველი ვერსიის გამოყენება	HS 2007 წლის ვერსიის დანერგვა	ფინანსთა სამინისტრო	10	საშუალო
		მებაჟეთა არასაკმარისი კვალიფიკაცია ქიმ. ნივთიერებათა იდენტიფიცირების მხრივ	მებაჟეთა წვრთნები ქიმიური ნივთიერებების იდენტიფიკაციის საკითხებში		11	საშუალო
		დამხმარე საინფორმაციო მასალებისა და პროგრამული უზრუნველყოფის ნაკლებობა	საინფორმაციო მასალებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება რეგულირებადი ქიმიური ნივთიერებების სხვადასხვა საშუალებით იდენტიფიცირებისთვის (ქიმიური ფორმულა და დასახელება, CAS, UN, EC კოდები, სავაჭრო დასახელება, ფორმულაციის დასახელება, სხვა)		11.5	საშუალო
		არასაკმარისი ინფრასტრუქტურა საშიში ტვირთების ინსპექტირებისთვის	ინფრასტრუქტურის/მოწყობილობის უზრუნველყოფა ქიმიურ ნივთიერებათა შემცველი ტვირთების შემოწმების და იდენტიფიკაციისთვის		16	მაღალი
5	GHS დანერგვა	კანონმდებლობა წინააღმდეგობრივია GHS მიმართებაში	კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა GHS სისტემასთან	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	5.5	დაბალი
		დაბალია საჯარო მოხელეთა ცნობიერება GHS საკითხებში	საჯარო მოხელეთა წვრთნები GHS დანერგვისა და განხორციელების საკითხებში	ყველა სამინისტრო	6.5	დაბალი

6	პესტიციდების უსაფრთხო მართვა	კანონმდებლობა არ იძლევა პესტიციდების ბრუნვის კონტროლის საშუალებას	კანონმდებლობის დახვეწა იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს პესტიციდების ბრუნვის კონტროლი	პარლამენტი	9.5	საშუალო
		პესტიციდების მოხმარებელთა არასაკმარისი ცოდნა და ინფორმირებულობა	საინფორმაციო კამპანიები/გამოცემები პესტიციდების მომხმარებლების ცნობიერების ასამაღლებლად და პესტიციდების მომხმარებელთა სწავლება/ტრენინგები	სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის სამსახური	6	დაბალი
		პესტიციდების მომხმარებლები არ იყენებენ პირადი დაცვის საშუალებებს	პესტიციდების მომხმარებლებისთვის პირადი დაცვის საშუალებებს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა		3	დაბალი
7	სახიფათო ნარჩენები (მ.შ. დაგროვილი ნარჩენები)	არასაკმარისი სიმძლავრეები სახიფათო ნარჩენების გაუვნებელყოფის და განთავსებისთვის	საკმარისი სიმძლავრის სახიფათო ნარჩენების გაუვნებელყოფა-განთავსების თანამედროვე ობიექტის აგება სახელმწიფოს მიერ	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	17.5	მაღალი
		სახიფათო ნარჩენების წარმოების, ტრანსპორტირების, განთავსების კონტროლის არარსებობა	დაინერგოს სახიფათო ნარჩენების გადაზიდვებისა და განთავსების კონტროლის ეფექტური სისტემა		12.5	მაღალი

	პრობლემური სფერო	გამოვლენილი ნაკლოვანება	განსახორციელებელი ღონისძიება	მოქმედი პირები	პრიორიტეტულობა	
					ქულა	რანჟირება
8	ქიმიური ავარიების პრევენცია და მზადყოფნა	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შეზღუდული შესაძლებლობაანი ქიმიურ ავარიებზე რეაგირების ეროვნული გეგმის მომზადებისთვის	სამინისტროს უზრუნველყოფა შესაბამისი კვალიფიკაციის შტატით	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამმართველო	6.5	დაბალი
		არსებული პერსონალის წვრთნა ქიმიური ავარიების პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების პრინციპებში				
		ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექციის პრობლემები	ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექციის გაძლიერება: - კომპიუტერული სისტემა - სპეციალტომობილები	ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია	15	მაღალი
		საგანგებო სიტუაციათა დეპარტამენტის სამაშველო ჯგუფების შეზღუდული შესაძლებლობები (რეგიონებში)	სამაშველო ჯგუფების (განსაკუთრებით რეგიონებში) წვრთნა და ეკიპირება ქიმიურ ავარიებზე სათანადოდ რეაგირებისთვის	შსს საგანგებო სიტუაციათა დეპარტამენტი	11.5	საშუალო
9	გ/დ მოთხოვნათა დაცვის კონტროლი და მონიტორინგი	არ არსებობს გეგმური შემოწმებების დამტკიცებული განრიგი	გეგმური შემოწმებების განრიგის დამტკიცება	გარემოს დაცვის ინსპექცია	8.5	საშუალო
		არ არსებობს უნებართვო საქმიანობათა გამოვლენის ერთიანი მიდგომა	შემუშავდეს უნებართვოს საქმიანობათა გამოვლენის ერთიანი მიდგომა		5	დაბალი
		არ არსებობს პორტატიული მოწყობილობა ემისიათა გასაზომად	ინსპექციის აღჭურვა ემისიების გამზომი პორტატიული აპარატურით.		8.5	საშუალო
		ინსპექტორთა დაბალი კვალიფიკაცია	ინსპექტორთა კვალიფიკაციის ამაღლება ემისიათა შემცირების ტექნოლოგიებში		11.5	საშუალო

3. საპროექტო იდეები საქართველოში ქიმიურ ნივთიერებათა მართვის გაუმჯობესებისთვის

1. SAICM განხორციელების ეროვნული გეგმის შემუშავება

მოკლე აღწერა: საქართველოს ქიმიური პროფილისა და SAICM შესაძლებლობათა შეფასების ბაზაზე მომზადდეს SAICM განხორციელების გეგმა, მოეწყოს მისი განხილვები დაინტერესებულ მხარეთა (მ.შ. ბიზნესის) მონაწილეობით, სასურველია დაინტერესებულ მხარეებთან შეთანხმებული გეგმა დამტკიცდეს ნორმატიული დოკუმენტის სახით.

პროექტის შემსრულებელი/მიმღები: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო;

პროექტის სავარაუდო ხანგრძლივობა: 1 წელი;

სავარაუდო ღირებულება: 20 000 აშშ დოლარი.

პარტნიორობის შესაძლებლობანი: პროექტის განხორციელებისას სასურველია სამინისტროს და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობა.

2. ქიმიურ ნივთიერებათა სახელმწიფო მართვის მავოორდინირებული უწყებათაშორისი ორგანოს შექმნა.

მოკლე აღწერა: უწყებათაშორისი ორგანოს შექმნა SAICM განხორციელების კოორდინირებისთვის; თანმიმდევრული სტრუქტურისა და პროცედურების ჩამოყალიბება; ორგანოს ეფექტური ფუნქციონირების ფინანსური უზრუნველყოფა.

პროექტის სასურველი შემსრულებელი/მიმღები: საქართველოს მთავრობა

პროექტის სავარაუდო ხანგრძლივობა: 3-5 წელი;

სავარაუდო ღირებულება: 70 000 -100 000 აშშ დოლარი.

3. ქვეყანაში არსებულ ქიმიურ ნივთიერებათა შესახებ ინფორმაციის მოგროვების სისტემის კონცეპტუალური მოდელის შემუშავება

მოკლე აღწერა: ქვეყანაში არსებულ საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა (და მათი ნარჩენების) შესახებ ინფორმაციის მოგროვების (იგულისხმება ინფორმაცია თითოეული ნივთიერების ბუნვის მოცულობების, ბრუნვაში მონაწილე პირების, ნივთიერების გამოყენების ფორმების და გამომყენებელი პირების შესახებ) ისეთი სისტემის შემუშავება, რომელიც ერთი მხრივ უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიმღებთ სრული ინფორმაციით საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ და მეორეს მხრივ საზიანო არ იქნება ბიზნესის განვითარებისთვის.

პროექტის სავარაუდო ხანგრძლივობა: 1,5 წელი

სავარაუდო ღირებულება: 30 000 აშშ დოლარი.

პარტნიორობის შესაძლებლობანი: ძალზედ მნიშვნელოვანია პროექტში შესაბამისი ბიზნესების წარმომადგენელთა სრულფასოვანი მონაწილეობა.

4. გარემოს ეროვნული სააგენტოს პერსონალის შესაძლებლობათა გაძლიერება

მოკლე აღწერა: პერსონალის მიერ თანამედროვე ლაბორატორიული გამზომი ტექნიკის (მას-სპექტრომეტრი, ალური ქრომატოგრაფი) შესაძლებლობათა სრულად ათვისება შესაბამისი გამოცდილების მქონე ლაბორატორიაში სამუსაო პრაქტიკის გავლის გზით.

პროექტის სავარაუდო ხანგრძლივობა: 3-4 თვე.

სავარაუდო ღირებულება: 30 000 აშშ დოლარი.

პარტნიორობის შესაძლებლობანი: შესაძლებელია თანამშრომლობა კერძო ლაბორატორიებთან, სათრენინგო/საგანმანათლებლო ცენტრებთან, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

5. გარემოს ეროვნული სააგენტოს აღჭურვა ჰაერის ხარისხის გამზომი ავტომატური სადგურებით.

სავარაუდო ღირებულება: 300 000 აშშ დოლარი/თითო სადგურზე. სასურველია 5-6 სადგურის შეძენა.

6. გარემოს დაბინძურებით გამოწვეული რისკების შეფასების ახალი მეთოდოლოგიის ათვისება

მოკლე აღწერა: ჩატარდეს ტრენინგები რისკ-ფაქტორების განსაზღვრის თანამედროვე მდგომარეობაში დაინტერესებული მხარეებისთვის.

პროექტის სასურველი შემსრულებელი/მიმღები: დაავადებათა ეროვნული ცენტრი

პროექტის სავარაუდო ხანგრძლივობა: 6 თვე;

სავარაუდო ღირებულება: 15 000 აშშ დოლარი.

7. ქიმიურ ნივთიერებათა მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწა/განახლება.

მიზანი: საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა REACH და GHS სისტემებთან და ბაზელის, როტერდამის, სტოკჰოლმის და პარიზის კონვენციების მოთხოვნებთან.

მოკლე აღწერა: უნდა გადამუშავდეს ქიმიურ ნივთიერებათა მარეგულირებელი კანონმდებლობა და კანონქვემდებარე აქტები (კანონები: "საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ", "საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ", "საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ", საქართველოს მთავრობის დადგენილება „შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესის შესახებ“ და სხვა).

პროექტის სავარაუდო ხანგრძლივობა: 8-10 თვე

სავარაუდო ღირებულება: 40 000 აშშ დოლარი.

პარტნიორობის შესაძლებლობანი: შესაძლებელია თანამშრომლობა საკონსულტაციო ორგანიზაციებთან როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

8. საქართველოში რეგულირებად ქიმიურ ნივთიერებათა და პრეპარატების ქართულენოვანი მონაცემთა ბაზის შექმნა.

მოკლე აღწერა: ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა, რომელიც სრულად აღწერს საქართველოში რეგულირებად ქიმიურ ნივთიერებებს და პრეპარატებს (დასახელებები, ქიმიური ფორმულა, CAS, UN, EC კოდები, საშიშროება, ნიშანდობა, თვისებები, გამოყენების ძირითადი გზები)

პროექტის სავარაუდო ხანგრძლივობა: 6 თვე.

სავარაუდო ღირებულება: 10 000 აშშ დოლარი.

პარტნიორობის შესაძლებლობანი: მონაცემთა ბაზა შეიძლება მომზადდეს არასამთავრობო ან კერძო ორგანიზაციის მიერ, საქართველოს მთავრობის დაკვეთით ან მისთვის.

9. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა ქიმიურ ნივთიერებათა იდენტიფიცირებაში, სათანადო სასაქონლო კოდის მინიჭებაში და სწორი საბაჟო რეჟიმის განსაზღვრაში მებაჟეების დასახმარებლად.

მოკლე აღწერა: იოლად მოსახმარი ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა, რომელიც შეიცავს ამომწურავ ინფორმაციას ყველა ქიმიურ ნივთიერებათა შესახებ და მათი სხვადასხვა მახასიათებლებით იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა (სხვადასხვა კოდები, ქიმიური ფორმულა, ქიმიური დასახელებები სხვადასხვა ენაზე, რეგულირების რეჟიმი, საშიშროების კლასი, ნიშანდების აღნიშვნები და ა.შ.). ბაზაში იქნება მითითებული საქონლის სახეები, რომელშიც ნივთიერება შეიძლება იყოს და მათი კოდები საბაჟო ნომენკლატურის მიხედვით.

პროექტის სავარაუდო ხანგრძლივობა: 8 თვე.

სავარაუდო ღირებულება: 25 000 აშშ დოლარი.

პარტნიორობის შესაძლებლობანი: მონაცემთა ბაზა შეიძლება მომზადდეს არასამთავრობო ან კერძო ორგანიზაციის მიერ, საქართველოს მთავრობის დაკვეთით ან მისთვის.

10. მებაჟეთა შესაძლებლობების გაძლიერება ქიმიურ ნივთიერებათა იდენტიფიცირებისთვის.

მოკლე აღწერა: მებაჟეების წვრთნა და ეკიპირება საქართველოში რეგულირებად ქიმიურ ნივთიერებათა და მათი შემცველი საქონლის უკეთ გამოვლენისთვის.

პროექტის სავარაუდო ხანგრძლივობა: 1,5 წელი.

სავარაუდო ღირებულება: 100 000 აშშ დოლარი.

11. ფერმერთა საგანმანათლებლო პროგრამა პესტიციდების უსაფრთხო მოხმარებისთვის

მოკლე აღწერა: ფერმერებისთვის საცნობარო მასალის მომზადება და გავრცელება პესტიციდების უსაფრთხო გამოყენების მეთოდებისა, აგრეთვე მათი დანიშნულების და გამოყენების დადგენილი ნორმების და წესების შესახებ.

პროექტის სავარაუდო ხანგრძლივობა: 2-3 წელი.

სავარაუდო ღირებულება: 100 000 აშშ დოლარი.

12. გარემოს დაცვის სამინისტროს გაძლიერება ქვეყანაში ქიმიურ ავარიას პრევენციისა და მზადყოფნის სისტემის აწყობის მიზნით.

მოკლე აღწერა: სამინისტროს პერსონალის წვრთნები ქიმიური ავარიების პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების საერთაშორისო პრინციპებში და მიდგომებში.

პროექტის სავარაუდო ხანგრძლივობა: 1 წელი.

სავარაუდო ღირებულება: 30 000 აშშ დოლარი.

პარტნიორობის შესაძლებლობანი: ქიმიურ ნივთიერებათა მართვაში მონაწილე სხვა სამთავრობო უწყებების და აგრეთვე შესაბამისი მრეწველობის წარმომადგენლების მონაწილეობა ფრიად სასურველია.

13. საგანგებო სიტუაციათა დეპარტამენტის მაშველთა რაზმების შესაძლებლობათა გაძლიერება ქიმიურ ავარიებზე რეაგირებისთვის.

მოკლე აღწერა: მაშველთა რაზმების ეკიპირება პერსონალური დამცავი საშუალებებით, დეტექციის და იდენტიფიკაციის მოწყობილობებით და სხვა საჭირო ამუნიციით, ქიმიურ ავარიებზე რეაგირების წვრთნების ჩატარება.

პროექტის სავარაუდო ხანგრძლივობა: 1,5 წელი.

სავარაუდო ღირებულება: 100 000 აშშ დოლარი.

14. გარემოს დაცვის ინსპექციის შესაძლებლობათა გაძლიერება

მოკლე აღწერა: ინსპექციის აღჭურვა ემისიების პორტატიული ანალიზატორებით და პერსონალის თრენინგი მათ გამოყენებაში.

პროექტის სავარაუდო ხანგრძლივობა: 1 წელი.

სავარაუდო ღირებულება: 70 000 აშშ დოლარი.